ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში

სარჩევი

შესავალი 2

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 3

2. დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა 10

3. პროკურატურა 16

4. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა 22

5. სასჯელაღსრულების სისტემა, პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია 34

6. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა 59

7. ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლა 72

8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 91

9. გამოხატვის თავისუფლება 97

10. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება 101

11. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა 104

12. რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა 124

13. ბავშვთა უფლებების დაცვა 135

14. გენდერული თანასწორობა, ქალთა გაძლიერება და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა 169

15. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები 225

16. თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები 234

17. ეკო-მიგრანტების უფლებები 237

18. რეპატრიანტთა უფლებები 240

19. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა 241

20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები 251

21. შრომითი უფლებები 274

22. საკუთრების უფლების დაცვა 284

23. ეკოლოგიური უფლებების დაცვა 287

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიშს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების მიზნით, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მხრიდან განხორციელებული აქტივობების შესახებ. ამასთან, ანგარიშში მოყვანილია ინფორმაცია, რომელმაც გარკვეულ შემთხვევებში განაპირობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავდა 23 თემატურ თავს, რომელიც ჯამში შედგებოდა 386 საქმიანობისგან. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში მოცემულია სტატისტიკური ინფორმაცია შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი საქმიანობების შესახებ. აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს, როგორც შესრულების რაოდენობრივ ასევე, პროცენტულ მაჩვენებლებს. ანგარიშის თანახმად, სამოქმედო გეგმის 226 საქმიანობა (59%) შესრულდა სრულად, 120 საქმიანობა (31%) ნაწილობრივ, ხოლო შეუსრულებელი დარჩა 40 საქმიანობა (10%). აღნიშნულ სტატისტიკური მონაცემები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მოსაზრებას კონკრეტული საქმიანობების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია არ იყოს გაზიარებული სხვადასხვა დაინტერესებული პირის მიერ.

ანგარიში მომზადების პროცესში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებთან ერთად, ჩართულები იყვნენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებების წარმომადგენელები. ანგარიშის მომზადებას კოორდინირებას უწევდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო.

1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

მიზანი: 1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით

ამოცანა: 1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება

<u>საქმიანობა:</u> 1.1.1. შეჯიბრობითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცება

<u>ინდიკატორი:</u> საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცების მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ივნისში მიიღო.

ბრალდებულის რიგი უფლებებისა და საქმის სამართლიანი განხილვის პრინციპის ეფექტური რეალიზების მიზნით, რაც გულისხმობს მხარეთა მიერ სასამართლოში მტკიცებულებების პირველადი ფორმით წარდგენის მეტ შესაძლებლობას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოში საქმის განხილვის ვადის დაწესებას ისეთ საქმეებზე, სადაც ბრალდებულს შეფარდებული აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ აქვს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმების შესაბამისობაში მოყვანას, რომლებიც აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით პატიმრობის, გამოყენებას, შეცვლასა და გაუქმებას ეხება.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის ივლისში მიიღო.

შეჯიბრებითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცების მიზნით, საჭიროებიდან გამომდინარე, დამატებით ცვლილებების მომზადება იგეგმება 2015 წელს.

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრო მუშაობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების პროექტზე, რომლის თანახმად ახლებურად ჩამოყალიბდება მტკიცებულებათა დასაშვებობის წესები, მათ შორის, განისაზღვრება ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები.

<u>საქმიანობა:</u> 1.1.2. საპროცესო შეთანხმების რეფორმა

<u>ინდიკატორი:</u> საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეფორმა განხორციელებულია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2014 წლის აგვისტოში. ცვლილებების ძირითად არსს წარმოადგენს სასჯელზე საპროცესო შეთანხმების გაუქმება, საპროცესო შეთანხმების ოქმის წარმოების საკანონმდებლო რეგულირება, საპროცესო შეთანხმების პროცესში მოსამართლის უფლებამოსილებების გაზრდა, საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების საფუძვლების გაფართოება და სხვა.

<u>საქმიანობა:</u> 1.1.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული ნაფიც მსაჯულთა ევროპული მოდელების შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე იუსტიციის სამინიტროს მიერ მომზადდა შედარებით-სამართლებრივი კვლევა, რომელშიც დეტალურად იქნა განხილული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქცია, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის მეთოდები და გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხები ევროპულ სახელმწიფოებში. კვლევის საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, თუმცა არ მომხდარა მისი ინიცირება საქართველოს პარლამენტში.

სახელმწიფო ბრალდების ეფექტურად მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად 2014 წლის ივნისში და ივლისში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით პროკურორების გარკვეული ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგი სასამართლო „უნარ-ჩვევებში“, ძირითადი აქცენტი გაკეთდა ნაფიცი მსაჯულების წინაშე გამოსვლაზე.

> *<u>საქმიანობა:</u> 1.1.4. დაზარალებულთა უფლებების განმტკიცების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება*

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულის უფლებების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2014 წლის აგვისტოში, რომლის მიხედვით დაზარალებულის უფლებას, მიიღოს ცნობა დანაშულის შეტყობინების შესახებ; მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში სასამართლოში გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება; მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ და სხვა.

> *<u>საქმიანობა:</u> 1.1.5. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება*

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში მნიშვნელოვან ცვლილებებს ითვალისწინებდა. ცვლილებების მომდევნო ტალღა 2014 წლის ნოემბერში განხორციელდა. აღნიშნული კანონშემოქმედებითი პროცესების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელიც ფარული საგამოძიებო საქმიანობის ღონისძიებების სფეროში განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის მაღალ ხარისხს გულისხმობს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით "ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებები, რომელთა განხორცილების დროსაც დიდია ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარისხი, გადავიდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეგულირების სფეროში. განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- განისაზღვრა დანაშაულთა ის კატეგორია და პირთა წრე, რომელთა მიმართ შესაძლებელია ფარული თვალთვალის ან მიყურადების განხორციელება. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე, დასაშვებია ზოგიერთ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, რომელიც საპროცესო კოდექსით პირდაპირაა გათვალისწინებული; ასევე შეიზღუდა პირთა წრე. ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებები ხორციელდება „დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირის“ მიმართ ან როდესაც პირი, იღებს დანაშაულთან პირდაპირ კავშირში მყოფი პირისათვის განკუთვნილ ან მისგან მომდინარე ინფორმაციას.
- დადგინდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ წერილობით ცნობების ვალდებულება იმ პირისთვის, რომლის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული ფარული საგამოძიებო მოქმედება. ამ პირს ასეთი ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად გადაეცემა მოსამართლის განჩინება მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ, აგრეთვე ის მასალა, რომლის საფუძველზედაც მიიღო მოსამართლემ ამგვარი გადაწყვეტილება, და განემარტება აღნიშნული განჩინების დადგენილი წესით გასაჩივრების უფლება;
- განისაზღვრა ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შენახვისა და განადგურების წესი; გამოძიებისთვის ღირებულების არმქონე მასალის განადგურების ვალდებულება დაეკისრა პროკურორს, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალა, რომელიც საქმეს ნივთიერ მტკიცებულებად დაერთვის, ინახება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.
- საქართველოს უზენაეს სასამართლოს დაეკისრა ვალდებულება შეადგინოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი, რომელშიც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია.

"პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" და "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" კანონებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი:

- სატელეფონო საუბრებისა და ჩაწერის ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ კოპირებულ მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განისაზღვრა საგამოძიებო ორგანოების მაკონტროლებელ გარე უწყებად. კონტროლის მექანიზმი ხორციელდება ფარულის საგამოძიებო მოქმედებების განხორცილების ორ ეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე უფლებამოსილი ორგანოს მიერ ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად ინიცირების შესაძლებლობას.
- საგამოძიებო ორგანოების მოქმედების კანონიერების გადამოწმების შესაძლებლობას იძლევა კანონის ის დანაწესი, რომლის თანახმადაც სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოთხოვნილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის ან მისი ჩატარების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოს მიერ სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ მოსამართლის განჩინების ერთი ეგზემპლარი, განჩინების გამოტანიდან 24 საათში გადაეცემა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს.
- გარდა ამისა, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის 35-ე მუხლის თანახმად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აქვს ზოგადი კომპეტენცია შეამოწმოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში. საგამოძიებო ორგანოების შემოწმებისას, იგი უფლებამოსილია შემოწმების განხორციელებისას გამოითხოვოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და

დანაშაულის გამოძიების ამსახველი ნებისმიერი სახის მასალა, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება და აუცილებელია შემოწმების განსახორციელებლად; ინსპექტორი უფლებამოსილია გაეცნოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და დანაშაულის გამოძიების ამსახველ ნებისმიერ მასალას, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას მიეკუთვნება, მიუხედავად მათი შინაარსისა და შენახვის ფორმისა. ყოველივე ზემოაღნიშნული, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საშუალებას აძლევს განახორციელოს ეფექტიანი და ქმედითი კონტროლი.

ამოცანა: 1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის, ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების ფორმირების მიზნით, ცვლილებების პროექტის მომზადება

<u>საქმიანობა:</u> 1.2.1. ზოგადი ნაწილის პროექტის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2013 წელს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის მიზნით შეიქმნა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, სასამართლოს, პროკურატურის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრის წარმომადგენლები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პროექტი, რომელიც 2014 წლის 10 იანვარს განსახილველად წარედგინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფს. 2014 წლის 11 მარტს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცდა სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის პროექტი.

2014 წლის 13 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილი) განსახილველად წარედგინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული კომენტარების დამუშავების საფუძველზე მომზადდა პროექტის განახლებული ვერსია. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილები) 2014 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, ხოლო 2014 წლის 9 ივლისს გაიგზავნა ევროპის საბჭოში ექსპერტიზისათვის.

2015 წლის მარტში, მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის შესაბამისად განხორციელდა კოდექსის ცვლილებების განახლება და დაიგეგმა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში მისი განხილვა.

2015 წლის 13 ოქტომბერს, გაიმართა კონფერენცია სისხლის სამართლის კოდექსის განახლებულ პროექტთან დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად კოდექსის პროექტში განხორციელებული ცვლილებები.

საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მიერ მოწოდებული მოსაზრებების/შენიშვნების/რეკომენდაციების განხილვის/გათვალისწინების შემდგომ, კანოპროექტის საბოლოო ვერსია პარლამენტში 2016 წელს გაიგზავნება დასამტკიცებლად.

<u>საქმიანობა:</u> 1.2.2. კერძო ნაწილის პროექტის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის მხარდაჭერითა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით 2014 წლის თებერვალში დაიწყო სისხლის სამართლის კერძო ნაწილის გადახედვაზე მუშაობა.

2014 წლის 8-9 თებერვალს კაჭრეთში გაიმართა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის გასვლითი შეხვედრა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის გადასინჯვასთან დაკავშირებით, სადაც შემუშავდა სამუშაო პროცესის გეგმა და სისხლის სამართლის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოხდა 4 სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომლის ფარგლებშიც სამუშაო გადანაწილდა. სამუშაო ჯგუფებმა მუშაობა დაიწყეს 17 თებერვალს. სამუშაო ჯგუფების მუშაობის შედეგად სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილიც გადაისინჯა - მოხდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, შესაბამისი კვლევების გაკეთება და საკანონმდებლო ნორმების ჩამოყალიბება.

2014 წლის 13 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილი) განსახილველად წარედგინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფს და ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული კომენტარების დამუშავების საფუძველზე მომზადდა პროექტის განახლებული ვერსია. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილები) 2014 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, ხოლო 2014 წლის 9 ივლისს გაიგზავნა ევროპის საბჭოში ექსპერტიზისათვის.

2015 წლის მარტში, მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის შესაბამისად განხორციელდა კოდექსის ცვლილებების განახლება და დაიგეგმა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში მისი განხილვა.

2015 წლის 13 ოქტომბერს, გაიმართა კონფერენცია სისხლის სამართლის კოდექსის განახლებულ პროექტთან დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად კოდექსის პროექტში განხორციელებული ცვლილებები.

საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მიერ მოწოდებული მოსაზრებების/შენიშვნების/რეკომენდაციების განხილვის/გათვალისწინების შემდგომ, კანოპროექტის საბოლოო ვერსია პარლამენტში 2016 წელს გაიგზავნება დასამტკიცებლად.

ამოცანა: 1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა

> *<u>საქმიანობა:</u> 1.3.1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანა*

<u>ინდიკატორი:</u> სისტემურად გადასინჯულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

262-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდეგ დაემატა 1^1 ნაწილი, რომლითაც კანონი სასამართლოს ავალდებულებს, ასკ-ის 45-ე 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების საქმის განხილვა დაიწყოს დაუყოვნებლივ, სამართალდარღვევის ოქმის და საქმის წარმოების სხვა მასალების მიღებისთანავე. სასამართლოს მიერ სამართალდარღვევების საქმის განხილვის დაუყოვნებლივ დაწყება სამართალდარღვევის ოქმის

და საქმის წარმოების სხვა მასალების მიღებისთანავე ხელს შეუწყობს, როგორც პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის ეფექტურობის გაზრდას.

32-ე მუხლის ახალი რედაქციით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა არ შეიძლება იყოს 15 დღეზე მეტი. ეს ნორმა აისახა სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა მუხლში, რომლებითაც დადგენილი იყო ადმინისტრაციული პატიმრობის 15 დღეზე მეტი ვადა. ადმინისტრაციული წესით 90-დღიანი პატიმრობა არ შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. ამასვე გვიჩვენებს ევროპული და სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც, როგორც წესი, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 15 დღეს არ აღემატება.

245-ე მუხლში შეტანილი ცვლილების შედეგად, ადმინისტრაციული დაკავებისას დამკავებელი მოხელე ვალდებული იქნება დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: ა) რა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინა მან და დაკავების საფუძველი; ბ) მას უფლება აქვს ადვოკატზე; გ) მისი სურვილის შემთხვევაში მისი დაკავების ფაქტს და ადგილსამყოფელს აცნობებენ მის მიერ დასახელებულ ახლობელს და ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლის ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად, პირველი შესაძლებლობისთანავე, აცნობებენ მის მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს. გარდა აღნიშნულისა, „დაუშვებელ მტკიცებულებად განისაზღვრება ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა“.

ამოცანა: 1.4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მოსამართლის როლის გაზრდა

> *<u>საქმიანობა:</u> 1.4.1. სისხლის სამართლის მატერიალური და პროცესუალურ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმების შესაბამისად მოსამართლის როლის გაანალიზება ადამიანის უფლებების დაცვის, მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის, უფლებების დარღვევების პრევენციისა და დარღვევაზე რეაგირების კუთხით.*

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი კვლევა; კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მომუშავე ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავე მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათასორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის დროს წამებასთან და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლაში მოსამართლის როლის გაზრდას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა თანახმად, სასამართლოს სხდომის/განხილვის ნებისმერი სტადიაზე მოსამართლე, თუ მას გაუჩნდა ვარაუდი, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, ასევე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, უფლებამოსილია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

<u>საქმიანობა:</u> 1.4.2. 1.4.1-ში გათვალისწინებული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მომუშავე ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავე მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათასორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის დროს წამებასთან და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლაში მოსამართლის როლის გაზრდას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა თანახმად, სასამართლოს სხდომის/განხილვის ნებისმერი სტადიაზე მოსამართლე, თუ მას გაუჩნდა ვარაუდი, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, ასევე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, უფლებამოსილია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
10	9	0	1

2. დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მართლმსაჯულების სისტემა

მიზანი: 2. სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის გაუმჯობესება სასამართლოს სისტემის განგრძობადი რეფორმის მხარდაჭერის გზით

ამოცანა: 2.1. სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ხელშეწყობა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად

<u>საქმიანობა:</u> 2.1.1. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და ინიცირება მოსამართლეთა დანიშვნის წესის სრულყოფის, უვადოდ დანიშვნამდე, 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის მკაფიო გარანტიების ჩამოყალიბების, საქმეთა ავტომატური განაწილების სამართლიანი პრინციპის შემოღების, მოსამართლეთა მივლინების პროცედურის მოწესრიგების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭირვალობის გაზრდის მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპი, რომლის ამსახველი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტიც საქართველოს მთავრობამ 2015 წლის 23 ივნისის სხდომაზე დაამტკიცა, ამჟამად საქართველოს პარლამენტშია ინიცირებული. 2015 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევის შემდეგ სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის ამსახველ საკანონმდებლო პაკეტს რამდენიმე ახალი კომპონენტი დაემატა. შესაბამისად, საპარლამენტო განხილვების პროცესი მოგვიანებით - შემოდგომის პერიოდიდან დაიწყო და შემდგომ 2016 წლის თებერვალში, საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე განახლდა.

რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდება მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიები. კანონში მიეთითება, რომ არავის აქვს უფლება მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორი გადაწყვეტილება მიიღოს კონკრეტულ საქმეზე.

რეფორმის მესამე ეტაპი, სხვა საკითხებს შორის, მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრას და ზოგადად, მათი თანამდებობაზე განწესების პროცედურის დახვეწას ითვალისწინებს.

რეფორმის შედეგად, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება მოსამართლეობის **კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები.** საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლეთა შერჩევისას დაეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკეულ მახასიათებლებს მოიცავენ. კომპეტენტურობის კრიტერიუმების შეფასება გარკვეული ქულების საფუძველზე მოხდება.

რეფორმა მიზნად ისახავს მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ყველასათვის სამართლიანი და თანაბარი პირობების შექმნას. მოქმედი რეგულირებისგან განსხვავებით, მოსამართლეობის ყველა კანდიდატი **თანამდებობაზე განწესდება კონკურსის წესით.** მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანაბარ პირობებში მოექცევიან იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელები და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან გათავისუფლებული პირები. თუ კონკურსში მონაწილე კანდიდატთა მიერ წარდგენილი განცხადებები და თანდართული დოკუმენტები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას. კანონპროექტი კონკურსის მიმდინარეობისას ადგენს ობიექტურობისა და თანასწორობის, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. ამასთან, დგინდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულება, გადასცეს მოსამართლეობის კანდიდატს მოსამართლის თანამდებობაზე მისი განწესების ან განწესებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

კონკურსის მიმდინარეობისას დგინდება მოსამართლეობის **კანდიდატის თაობაზე სანდო ინფორმაციის მოძიების წესი**, ასევე საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრება **ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა.** თუ კონკურსის მიმდინარეობისას სახეზე იქნება გარემოება, რომელიც საეჭვოს გახდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას, იგი ვალდებული იქნება წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კონკურსის მიმდინარეობისს მოსამართლეობის კანდიდატთა ინტერესების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიაა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების **გასაჩივრების მექანიზმის შემოღება.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2014 წლის 1 აგვისტოს განხორციელებული ცვლილებით, მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისტემაში შეიქმნა საკვალიფიკაციო პალატა და დეტალურად განისაზღვრა პალატის მიერ საჩივრის განხილვის პროცედურა, მათ შორის, საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები, საჩივრის რეკვიზიტები და თანდართული

დოკუმენტაციის ჩამონათვალი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი საქმის წარმოების პროცესში და სხვ. ამჯერადაც სწორედ საკვალიფიკაციო პალატა იქნება ის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც განიხილავს მოსამართლეობის კანდიდატთა საჩივრებს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება უვადოდ დანიშვნამდე, 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, ამ საკითხს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მეორე ეტაპი დაეთმო, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს კონსტიტუციით **მოსამართლის უვადო განწესების პრინციპის** ამოქმედებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა თანამდებობაზე სამი წლის ვადით დანიშნული მოსამართლის საქმიანობის შეფასების ისეთი კრიტერიუმებისა და პროცედურის ჩამოყალიბება, რომელიც დაადგენდა შეფასების პროცესის ობიექტურად, კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად წარმართვის ვალდებულებას და, ამავე დროს, გაითვალისწინებდა შეფასების პროცესში მოსამართლის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. ამასთან, ეს პროცესი ჰარმონიზებული უნდა ყოფილიყო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასთან. საბოლოოდ, უნდა შექმნილიყო მოსამართლეთა შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმი, რომელიც სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ უზრუნველყოფს მოსამართლის თანამდებობაზე ისეთი პროფესიონალის განწესებას, რომელმაც დაამტკიცა, რომ არის კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი და ხანგრძლივი ვადით იმსახურებს მოსამართლის მანტიას.

კანონპროექტის შემუშავების პროცესში შესწავლილ იქნა აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, პოლონეთისა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილებაც. განხილული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ, სამართლიან, ამომწურავ და მოსამართლისათვის წინასწარ ცნობილ კრიტერიუმებსა და პროცედურებს, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსამართლის მიერ შეფასების შედეგების თაობაზე საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და თანამდებობაზე უვადოდ გამწესების თაობაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

მოსამართლეთა შეფასება ეყრდნობა ორ ძირითად კრიტერიუმს - კეთილსინდისიერებას და კომპეტენტურობას, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ ცალკეულ მახასიათებლებს. კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების შეფასება, მათი შინაარსობრივი დატვრითვიდან გამომდინარე, სხვადასხვა პრინციპს ეფუძნება: კომპეტენტურობის კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება ქულათა სისტემის მეშვეობით. რაც შეეხება კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მისი შეფასების შედეგად, მიიღება ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა: მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს ან მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მსჯელობს და სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებაზე უარის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, რისთვისაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში შეიქმნა საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ერთეული - **საკვალიფიკაციო პალატა.** საკვალიფიკაციო პალატის გამოვლენილი დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ასეთმა დარღვევამ იმოქმედა საბოლოო შედეგზე და გამოიწვია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი გადაწყვეტილების მიღება. საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო, საკვალიფიკაციო პალატის

გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ხელახლა მსჯელობს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების საკითხზე და იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების ან უვადოდ გამწესებაზე უარის შესახებ.

სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს შემოაქვს საქმის ავტომატური განაწილების პრინციპი და ამ მიზნით ითვალისწინებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისათვის ახალი 58[1] მუხლის დამატებას, რომლის თანახმად, რაიონულ (საქალაქო),სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები განაწილდება ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. ახალი წესის თანახმად, მხოლოდ ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას იქნება დასაშვები საქმეების ელექტრონული სისტემის გარეშე განაწილება, თუმცა ამ შემთხვევაშიც კანონით დადგენილი რიგითობის წესისა და პირობების დაცვით.

საკანონმდებლო პაკეტის საქართველოს პარლამენტში განხილვისას გამოიკვეთა, რომ სასამართლო სისტემა მზად არ არის საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის დასანერგად. საამისოდ ხელისშემშლელი მიზეზების განხილვა-გადაწყვეტის მიზნით 2015 წლის მესამე კვარტალში იუსტიციის მინისტრმა გამართა შეხვედრები, სადაც ყველა დაინტერესებული უწყების მონაწილეობით წარიმართა მსჯელობა საქმეთა განაწილების ელექტრონულ პროგრამაში საქმის სირთულის კომპონენტის ასახვასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის შესაძლო გზებთან დაკავშირებით.

რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში **მოსამართლეთა მივლინების პროცედურაც მოწესრიგდება.** მივლინება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მოსამართლის თანხმობით და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით. მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინება ტერიტორიულად ახლომდებარე სასამართლოდან დასაშვები იქნება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები და თუ კანონით დადგენილი წესით (რეზერვში მყოფი მოსამართლეები, მოსამართლეები საკუთარი თანხმობის საფუძველზე) ვერ მოხდა მოსამართლის შერჩევა, რისთვისაც ასევე სავალდებულოა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების არსებობა.

ამავე რეფორმის ფარგლებში გაიზრდება **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხიც.** საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს ვებგვერდზე განათავსოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საბჭოს შემადგენლობის ცვლილებასთან ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და მისი შედეგების შესახებ. ამასთან, საბჭო ვალდებული იქნება საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე უზრუნველყოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება.

> *<u>საქმიანობა:</u> 2.1.2. ინდივიდუალური მოსამართლის სამართლიანი ანაზღაურებისა და სოციალური დაცვის სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

წინამდებარე საკითხზე მუშაობა საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჩართულობით მიმდინარეობს.

ამოცანა: 2.2. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმჯობესების მხარდაჭერა სამართლიანობის, ობიექტურობისა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით.

<u>საქმიანობა:</u> 2.2.1. საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწის, მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების შექმნის, სამართალწარმოების ეტაპების ოპტიმიზაციისა და ზოგადად დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით.

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსამართლეთა წინააღმდეგ წარმართული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურების დახვეწა და მისი ეტაპების ოპტიმიზაცია, ამ პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი სამართლებრივი გარანტიების შექმნა, აგრეთვე დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მოქმედი კანონით დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. რეფორმის შედეგად, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს მის მიმართ წარმოებული პროცესის გასაჯაროება, რაც ქმნის მოსამართლის უფლებების დაცვის დამატებით გარანტიებს. ამ ცვლილებით ასევე მიიღწევა დისციპლინური სამართალწარმოების ერთგვაროვნებისა და პროცესზე საზოგადოებრივი კონტროლის მიზანი. გარდა ამისა, მოსამართლე უფლებამოსილი იქნება საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ისარგებლოს დამცველის (ადვოკატი ან სხვა წარმომადგენელი) მომსახურებით.

სასამართლოს თავმჯდომარე აღარ იქნება უფლებამოსილი აღძრას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა. შეიქმნება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა დაცვის დამატებითი გარანტიები. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, სადაც განიხილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხი და ამ საკითხებთან დაკავშირებული მასალები, მოწვეული იქნება ეს მოსამართლეც. ამასთან, სადისციპლინო კოლეგია ვალდებული იქნება გაითვალისწინოს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება უკიდურესი ღონისძიებაა და ის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული.

დისციპლინური სამართალწარმოებისათვის დადგინდება მტკიცების სტანდარტი. სადისციპლინო კოლეგია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის, აგრეთვე დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუ კოლეგიაში საქმის განხილვისას ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით დადგენილი დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა.

დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლები საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორსაც გაეგზავნება.

კანონის ცვლილება, რომლითაც სადისციპლინო კოლეგიას ერთმევა უფლება წარდგინებით მიმართოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სრულიად ახალი დარღვევის თაობაზე, რომელზეც მხარე არ დავობს, სადისციპლინო კოლეგიას აიძულებს იყოს მიუკერძოებელი არბიტრი და არა ინკვიზიციური ნიშნების მატარებელი ორგანო.

სასამართლოს თავმჯდომარე აღარ იქნება უფლებამოსილი აღძრას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნა. ეს უფლება ენიჭება დამოუკიდებელ ინსპექტორს, რომელიც დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ახალ ინსტიტუტს წარმოადგენს. სიახლე უფრო

მეტად უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლებას. დამოუკიდებელი ინპექტორის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში განხორციელებული ქმედებების შედეგად საბოლოო გადაწყვეტილებებს მიიღებს კოლეგიური ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

ამოცანა: 2.3. სასამართლო სისტემის გამჭირვალობის გაზრდის მხარდაჭერა საზოგადოებისა და მართლმსაჯულების ინტერესების სამართლიანი დაბალანსების პრინციპის შესაბამისად

<u>საქმიანობა:</u> 2.3.1. სასამართლო აქტების საჯაროობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება და წარდგენა

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის სამინისტროს მიერ სასამართლო რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს შემოაქვს სასამართლო აქტების საჯაროობის პრინციპი - ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება მთლიანად, აგრეთვე, დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით, შესაბამისი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

ამოცანა: 2.4. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება

<u>საქმიანობა:</u> 2.4.1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მოსამართლეთა მომზადებისა და განგრძობადი განათლების პროგრამების პერიოდული განახლების მიზნით, ადამიანის უფლებების სისტემური, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> იუსტიციის უმაღლესი სკოლას მიეწოდა შესაბამისი რესურსები მოსამართლეთა მომზადებისა და განგრძობადი განათლების პროგრამების პერიოდული განახლების მიზნით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, მოსამართლეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ჯამში უზრუნველყო 53 ტრენინგის ჩატარება მოქმედი მოსამართლეებისთვის მათ მიერ მოთხოვნილ და მნიშვნელოვან საკითხებზე.

აღნიშნული ტრენინგების დიდი ნაწილი ეთმობოდა ადამიანის უფლებების თემატიკას, რომელიც, ასევე, მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს.

რაც შეეხება 2015 წლის პროგრამას, იგი უკვე დამტკიცებულია და ითვალისწინებს შემდეგ ტრეინინგებს ადამიანის უფლებების თემატიკაზე:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი გამოყენება - 2 ტრეინინგი;
2. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები - 2 ტრეინინგი;
3. ბავშვთა უფლებების დაცვა; მათ შორის, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის საკითხები - 2 ტრეინინგი;
4. ნარკომომხმარებელთა უფლებები - 2 ტრეინინგი;

5. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი და თავშესაფრის ასპექტები საქართველოში - 1 ტრენინგი;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტიანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - 2 ტრეინინგი;
7. შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება - 1 ტრეინინგი;
8. ადამიანით ვაჭრობა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა, განსაკუთრებით ბავშვების ეფექტიანი დაცვა - 1 ტრეინინგი;

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
5	4	0	1

3. პროკურატურა

მიზანი: 3. „პროკურატურა - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლიანი, ეფექტური და გამჭვირვალე სისხლის სამართლებრივი დევნა."

ამოცანა: 3.1. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცვალებადი გამოწვევების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება

<u>საქმიანობა:</u> 3.1.1. სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების კოორდინაცია [პროკურატურის მხრიდან] სხვა სამართალდაცმავ ორგანოებთან თანამშრომლობით, საკანონმდებლო გაზის, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებითა და საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობით

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი ანალიზები და კვლევები; მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები; კრიმინოლოგთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014-2015 წლებში საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით შესწავლილ იქნა საპროკურორო პრაქტიკა ცაკლეული სისხლის სამართლის დანაშაულების მიხედვით, ცალკეულ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მომზადებულ იქნა რეკომენდაციები პროკურორებისათვის.

ამოცანა: 3.2. საპროკურორო საქმიანობაზე კონტროლის არსებული სისტემის რეფორმა ეფექტურობისა და სისტემური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით

<u>საქმიანობა:</u> 3.2.1. კონტროლის არსებული სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი გაზისა და პრაქტიკის შესწავლა; რეფორმის კონცეფციის შემუშავება; საკანონმდებლო ცვლილებებისა და შიდა პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები; მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები; სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 27 დეკემბერს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-13 გაფართოებულ სხდომაზე გაიხსნა საჯარო დისკუსია პროკურატურის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა პრაქტიკის შედარებით-სამართლებრივი კვლევა პროკურატურის ადგილის შესახებ სახელმწიფო სისტემაში. კვლევა დაეგზავნა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

2015 წლის 8 აპრილს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-15 გაფართოებულ სხდომაზე განხილულ იქნა შედარებით-სამართლებრივი კვლევა და იუსტიციის სამინიტროს მიერ განსახილველად წარმოდგენილ იქნა პროკურატურის რეფორმის მოდელის კონცეფცია, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 28 აპრილის შეხვედრაზე „პროკურატურის შესახებ“ კანონში ცვლილებები დასრულდა.

2015 წლის 15 მაისს „პროკურატურის შესახებ“ კანონის ცვლილებათა პაკეტი დამტკიცდა მთავრობის სხდომაზე და გაიგზავნა პარლამენტში განსახილველად. პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები 2015 წლის 18 სექტემბერს მიიღო.

2015 წლის 13 ოქტომბერს „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-9^1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მთავარი პროკურორობის კანდიდატის შესარჩევად აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და სამართლის ექსპერტებთან ინტენსიური კონსულტაციები დაიწყო. 2015 წლის 18 ნოემბერს, ერთთვიანი კონსულტაციების შედეგად, იუსტიციის მინისტრმა საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად მთავარი პროკურორობის სამი კანდიდატი – 2 მამრობითი და 1 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი წარუდგინა, „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-9^1(1) მუხლის შესაბამისად, „კონსულტაციების შედეგად იუსტიციის მინისტრი შეარჩევს და საპროკურორო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავარი პროკურორობის არანაკლებ 3 კანდიდატს, რომელთა ერთი მესამედი მაინც განსხვავებული სქესის უნდა იყოს“.

2015 წლის 19 ნოემბერს საპროკურორო საბჭოს მეორე სხდომა გაიმართა რომელზეც პირველად იქნა არჩეული და დამტკიცებული მთავარი პროკურორობის კანდიდატი. არჩევნების პროცესი გამჭვირვალედ და პროცედურების მკაცრი დაცვით წარიმართა, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდა იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდებზე. საპროკურორო საბჭოს მიერ მთავარი პროკურორობის კანდიდატის დამტკიცების შემდგომ კანდიდატი საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა და, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა.

2015 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავარი პროკურორი აირჩია.

2015 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გაანალიზებულ იქნა საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკა. განხორციელდა საპროცესო დოკუმენტების (ბრალის, გამოძიების შეწყვეტის დადგენილებები, აღკვეთის ღონისძიებების შუამდგომლობები და სხვ.) მონიტორინგი, როგორც სამართლებრივი, ისე მართლწერის კუთხით.

ასევე, გაანალიზებულ იქნა საპროკურორო პრაქტიკა ცალკეული დანაშაულების მიხედვით, მათ შორის მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ოჯახური დანაშაულები, 16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარება და სხვ. მოხდა რაიონში არსებული სპეციფიკისა და არსებული ტენდენციების შესწავლა როგორც კრიმინოგენური, ისე საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მხრივ.

2015 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები ოჯახური დანაშაულის გამოძიებისას გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებების შესახებ, რომლის შესრულების მონიტორინგი ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს; მომზადებულ იქნა სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს არასრულწლოვნებთან მუშაობის სპეციფიკის შესახებ; განახლებულ იქნა რეკომენდაციები აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების შესახებ.

ობიექტური, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავებულ იქნა გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა 2016 წლისთვის არის დაგეგმილი.

ამოცანა: 3.3. პროკურატურის კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საქმიანობის ფორმების დანერგვა

> *<u>საქმიანობა:</u> 3.3.1. კვალიფიციური კადრების შერჩევა, შენარჩუნება და პროფესიული განვითარება*

<u>ინდიკატორი:</u> პროკურატურაში მიღების სტანდარტის დადგენა; კონკურსის გავლისა და თანამდებობაზე მიღების კრიტერიუმების გაწერა; შეფასების სისტემის შექმნა; ატესტაციის სისტემის შექმნა; ტრენინგ-საჭიროებების განსაზღვრა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 15 აგვისტოს N43 ბრძანებით დამტკიცებულ იქნა „პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესი“. აღნიშნულ ბრძანებაში გაწერილი პროცედურების შესაბამისად ხდება პროკურატურაში სტაჟიორების შერჩევა.

საანგარიშო პერიოდში დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა, პროკურორების გადამზადების პროექტი. რომელიც შეეხო შემდეგ მიმართულებებს:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნარ-ჩვევები;
- აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთება ეროვნული კანონდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით;
- იურიდიული დოკუმენტების შედგენა და დასაბუთება;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (მათ შორის განრიდება და მედიაცია);
- კიბერ უსაფრთხოება /კომპიუტერული დანაშაულის გამოძიება და დევნა;
- იურიდიული პირების პასუხისმგებლობა კორუფციულ დანაშაულებთან მიმართებაში;
- ტრეფიკინგისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;
- ეფექტური კომუნიკაცია და საჯარო გამოსვლები;
- ეთიკის სტანდარტები;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- ინფორმაციის თავისუფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა;
- ეფექტიანი კომუნიკაციის ტექნიკები - პროკურორის კომუნიკაციის სტანდარტი.

პროკურატურის მუშაკთა შეფასების სისტემის კონცეფციაზე მუშაობა დაიწყო 2015 წლის 1 ნახევარში. აღნიშნული მიზნით პროკურატურის შიგნით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი. ამ ეტაპზე შეფასების სისტემის კონცეფცია შემუშავებულია. უახლოეს მომავალში იგეგმება კონცეფციის საბოლოო სრულყოფა და პრაქტიკაში განხორციელება.

2015 წლის ბოლოს ჩატარდა სისტემაში ტრენინგ საჭიროებათა ანალიზი და მიღებული შედეგების, თუ სამომავლო პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავდა 2016 წლის სამოქმედო გეგმა.

ამოცანა: 3.4. პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლება.

<u>საქმიანობა:</u> 3.4.1. საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება; „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა; სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში; ბრიფინგების რაოდენობა; საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გატარებული ღონისძიებების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ შეიქმნა სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის. სახელმძღვანელოში თავმოყრილია ზოგადი სამართლებრივი საკითხები, რომლებიც დაეხმარება ჟურნალისტს სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის გაშუქებაში.

გარდა ამისა, 2014-2015 წლებში სისტემატიურად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე ბრიფინგების გზით. სულ ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 34 ბრიფინგი და გავრცელდა 264 განცხადება.

2014 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ იქნა **16927** აქტივობა, მათ შორის 2862 მოქალაქის მიღება და გასაუბრება, 2015 წელს კი განხორციელებულ იქნა **15987** აქტივობა, მათ შორის 2075 მოქალაქის მიღება და გასაუბრება.

გარდა ამისა, პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში 2014 წელს სულ ჩატარდა **146** ღონისძიება, მათ შორის 70 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 14 კულტურული, 41 სპორტული და 21 სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიება.

აღნიშნულ ღონისძიებებში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო **5984** პირმა.

2015 წელს პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში სულ ჩატარდა **154** ღონისძიება, მათ შორის 116 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 10 კულტურული, 21 სპორტული და 7 სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიება.

აღნიშნულ ღონისძიებებში საერთო ჯამში მონაწილეობა მიიღო **5791** პირმა.

<u>საქმიანობა:</u> 3.4.2. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა და კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნება

<u>ინდიკატორი:</u> მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

მთავარი პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობით 2015 წელს კოორდინატორების მომსახურებით ისარგებლა 10491-მა მოქალაქემ. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მომსახურება გაუწიეს შემდეგ პირებს: განმცხადებლებს (4002 პირი); დაზარალებულებს (2507 პირი); მოწმეებს (1655 პირი); ბრალდებულებს, მათი ოჯახის წევრებს ან მათ ადვოკატებს (1374 პირი) და სხვა პირებს, რომლებიც არ შედიან არცერთ აღნიშნულ ჩამონათვალში (953 პირი).

ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორები სისტემატურად სწავლობენ სისხლის სამართლის საქმეებს და პროკურორებს აძლევენ შესაბამის მითითებებს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში.

2015 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც ეხებოდა ოჯახში ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), არასრულწლოვნით ვაჭრობის, წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, რასობრივი დისკრიმინაციის, სიტყვის თავისუფლების ხელყოფის, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონო მოთავსების, განზრახ უკანონო დაკავების ან დაპატიმრების, რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულების გამო დევნის, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსებული პირების გარდაცვალების ფაქტებს.

<u>საქმიანობა:</u> 3.4.3. ადგილობრივი საბჭოების სხდომების გააქტიურება

<u>ინდიკატორი:</u> ადგილობრივი საბჭოების სხდომების რაოდენობა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ადგილობრივი საბჭოების შეხვედრები იგეგმება 2016 წლის პირველ ნახევარში. აპრილში პროექტი პილოტურად განხორციელდება აჭარის რეგიონში.

ამოცანა: 3.5 პროკურატურის ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირება სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით

<u>საქმიანობა:</u> 3.5.1 შესაბამისი საკადრო გადაწყვეტილებების მიღება, საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვის მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> პროკურატურის ორგანოები აღჭურვილია შესაბამისი კვალიფიკაციის სათანადო ოდენობის კადრებით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს პროკურატურის სისტემაში სტაჟირების გავლა დაასრულა 50 პირმა, რომელთაგან 34 დაინიშნა პროკურორისა და გამომძიებლის შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე.

2014 წელს კვლავ ჩატარდა სტაჟიორთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1702 კანდიდატმა. საბოლოოდ შეირჩა 53 სტაჟიორი, რომლებიც 2015 წლის 6 თებერვლიდან დღემდე გადიან სტაჟირებას პროკურატურის ორგანოებში.

ამოცანა: 3.6. პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა აღკვეთის ღონისძიების საშუალებების დანერგვა და გამოყენება

<u>საქმიანობა:</u> 3.6.1. აღკვეთი ღონისძიებების სახით პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა საშუალებების შესახებ საკანონმდებლო ბაზის გადახედვის წინადადებების შემუშავება; შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> პატიმრობისა და გირაოს გარდა სხვა საშუალებების გამოყენების სტატისტიკა. სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს პროკურორებისათვის შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები (გაიდლაინი) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პირობების შესახებ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში პროკურორების მხრიდან მოთხოვნილი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითისათვის, თუ 2013 წელს პირადი ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეფარდებულ იქნა 740 პირის მიმართ, 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 901-ს, ხოლო 2015 წელს - 1020-ს შეადგენდა.

ამოცანა: 3.7. პროკურატურის მიერ აღდგენითი მართლმსაჯულების არატრადიციული ფორმის სისხლის სამართალწარმოების გაფართოება და გამჭვირვალე გამოყენება.

<u>საქმიანობა:</u> 3.7.1. დისკრეციული უფლებამოსილების აქტიურად გამოყენება

<u>ინდიკატორი:</u> დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებლის სტატისტიკა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014-2015 წლებში პროკურორების მიერ აქტიურად ხდებოდა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება. მაგალითისათვის: 2014 წელს განრიდებული იქნა დანაშაულის ჩამდენი სრულწლოვანი პირების 9% (1967 პირი) და არასრულწლოვანი პირების 40% (203); 2015 წელს განრიდებული იქნა დანაშაულის ჩამდენი სრულწლოვანი პირების 10% (1974 პირი) და არასრულწლოვანი პირების 44% (296).

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
9	8	0	1

4. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა

მიზანი: 4. პოლიციის სისტემაში დანაშაულის პრევენციისა და ეფექტური გამოძიების სტანდარტების გაუმჯობესება, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამოცანა: 4.1. ადამიანური რესურსების განვითარება, ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და გადამზადების მეშვეობით

<u>საქმიანობა:</u> 4.1.1. პოლიციის საგამოძიებო შესაძლებლობების გაზრდა საბაზისო და სპეციალიზირებული ტრენინგის/გადამზადების კურსების მეშვეობით, მათ შორის ტრეინინგები ტაქტიკურ და საგამოძიებო უნარ-ჩვევებში

<u>ინდიკატორი</u>: ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა; გადამზადებული პირების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 2158 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 1953 მსმენელმა;

<u>საქმიანობა:</u> 4.1.2. ტრენინგი შსს თანამშრომლებისთვის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის საკითხებზე

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლოპროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს 620 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 465 მსმენელმა;

> *<u>საქმიანობა:</u> 4.1.3. შსს თანამშრომელთა მომზადება/გადამზადება არასრულწლოვნებთან მოპყრობის სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე/საკითხებზე*

<u>ინდიკატორი:</u> შსს პოლიციის აკადემიის პროგრამაში დანერგილი ახალი კომპონენტი; გადამზადებული თანამშრომლების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის საფუძველზეც შსს აკადემიამ შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა.

2015 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 327 პოლიციელის/გამომძიებლის სპეციალიზაცია. პროგრამაში მონაწილეობას სხვა დანაყოფებთან ერთად შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებიც იღებენ;

> *<u>საქმიანობა:</u> 4.1.4. დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესება დროებითი მოთავსების იზოლატორის პერსონალის მომზადება/გადამზადების კურიკულუმის შექმნითა და სპეციალიზებული ტრენინგების განხორციელების გზით*

<u>ინდიკატორი:</u> დროებითი მოთავსების იზოლატორის-ში დანერგილი მუშაობის ახალი სტანდარტი; საქართველოს მასშტაბით გადამზადებული დროებითი მოთავსების იზოლატორის პერსონალის რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის (ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში) ფარგლებში შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და

მონიტორინგის მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სრულმა შემადგენლობამ 2014 წლის გაზაფხულზე (230 თანამშრომელი), საქართველოს შსს აკადემიაში გაიარა ტრეინინგი: ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაავადებათა პრევენციის შესახებ". ტრენინგის პროგრამა შემუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ევროპის საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობით და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საერთაშორისო და ეროვნული დოკუმენტები ჯანდაცვის საკითხების შესახებ, დაავადებათა პრევენცია და ჯანმრთელობის ხელშეწყობა, საცხოვრებელი პირობები, ფსიქიკური ჯანმრთელობა, თვითდაზიანებისა და სუიციდის პრევენცია, ტუბერკულოზის გამომწვევი მიზეზები და გადადების გზები, ჰეპატიტები A,B,C, ალერგია, დიაბეტი და კანის დაავადებები;

ევროკავშირის დახმარებით 2014 წლის 11 ივლისს დაიწყო ტრენინგები დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მოხდა სრული შემადგენლობის გადამზადება. ტრეინინგის ფარგლებში დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლებმა შეისწავლეს პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების ამოცნობა და მათთან მოპყრობა, ასევე სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის დახმარების გაწევა. აღნიშნული ტრეინინგები ჩატარდა 6 ეტაპად და დასრულდა 2015 წლის თებერვალში.

2015 წლის 21 თებერვლიდან 5 აპრილამდე ევროპის საბჭოს და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში" ფარგლებში გაიმართა ტრენინგები დროებითი მოთავსების იზოლატორის ყველა თანამშრომლისთვის (სულ 230 თანამშრომელი). ორდღიანი ტრენინგის ფარგლებში თანამშრომლები გაეცნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებას, ევროპის წამების პრევენციის კომიტეტის მანდატს, სტანდარტებს და კომიტეტის მიერ საქართველოში ვიზიტების შესახებ შედგენილ ანგარიშებს;

2015 წელს მაისი-ოქტომბრის პერიოდში, ევროკავშირის დახმარებით, ჩატარდა ტრენინგების ციკლი, დისკრიმინაციის დაუშვებლობის თემაზე, აღნიშნულ ტრენინგებში საქართველოს პროკურატურის და პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას ასევე იღებდნენ შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლები. ტრენინგი ჯამში გაირა მთავარი სამმართველოს 50-მა თანამშრომელმა. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, დისკრიმინაციის აკრძალვა, წამების არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, დისკრიმინაციის ფაქტების მარეგულირებელი ნორმები და სხვა;

2015 წლის აგვისტოში, ს.ს.ი.პ შსს აკადემიაში დაიწყო მოკლევადიანი სასწავლო კურსები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. კურსები ეტაპობრივად ტარდება და მათში მონაწილეობას სხვა დანაყოფებთან ერთად შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებიც იღებენ;

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების მომზადება/გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროგრამა 2015 წლის ნოემბერში დამტკიცდა შსს აკადემიაში;

ამოცანა: 4.2. ადამიანის უფლებები და საზოგადოებასთან ურთიერთობა

<u>საქმიანობა:</u> 4.2.1. დაკავებულთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, დაბეჭდილი მასალის გამოყენებით

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველთან ან მთავარ პროკურატურაში შესაბამისი საჩივრების შემცირებისა და დადასტურების მაჩვენებელი; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დმი-ში დაკავებულ და ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირებს არ მიუმართავთ საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველთან ან მთავარ პროკურატურაში.

ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორში ადგილზე ინახება ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებულ პირთა უფლებების ნუსხა ცალ-ცალკე. აღნიშნული დოკუმენტების ტექსტი შედგენილია სახალხო დამცველის აპარატთან ერთად და ისინი ექვს ენაზეა ნათარგმნი. პიროვნებას დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისთანავე გადაეცემა დოკუმენტი, რომელსაც გაცნობის შემდეგ აწერს ხელს. ხელმოწერილი უფლებების ნუსხა ინახება დაკავებულის პირად საქმესთან ერთად.

<u>საქმიანობა:</u> 4.2.2. შსს თანამშრომლების საქმიანობაზე (საგამოძიებო და პრევენციული) შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს, აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობას და სისტემურ დამოუკიდებლობას

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი საჭიროებების კვლევა; მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები; შესწავლილია სხვა ქვეყნების გამოცდილება; მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებების პროექტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სამინისტროს გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და დაუშვებელია მის საქმიანობაში სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ან თანამდებობის პირის ჩარევა. სამინისტროს გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ მინისტრის წინაშე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შს სამინისტროს შიდა კონტროლის არსებული მექანიზმის და მეთოდების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე რიგი სისტემური ცვლილებები.

გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრაქტიკამ და ვითარების ანალიზმა აჩვენა, რომ შს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში, საქვეუწყებო დაწესებულებაში და შს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში არსებული მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ქვედანაყოფები ახორციელებდნენ ფაქტიურად ანალოგიურ საქმიანობას, ამასთან მათი საქმიანობის პროცესში ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც შს სამინისტროს მოსამსახურის მიმართ გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ შეესაბამებოდა რეალურ გარემოებებს. გარდა ამისა, სამინისტროს სისტემაში დისციპლინური წარმოების მეთოდებისა და ფორმების შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნული მექანიზმის არა ცენტრალიზებულად მოქმედებამ, რაც გულისხმობს ცალკეული ქვედანაყოფებისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას დამოუკიდებლად განახორციელონ მათივე დაქვემდებარებაში არსებული ქვედანაყოფების საქმიანობის მონიტორინგი და აწარმოონ სამსახურებრივი შემოწმება, შექმნა გარკვეული დისტანცია სამინისტროს ქვედანაყოფებსა და

ხელმძღვანელობას შორის, რითაც ამ უკანასკნელებს შეეზღუდათ საშუალება მთელ რიგ შემთხვევებში ფლობდნენ ობიექტურ, მიუკერძოებელ და/ან რეალურ ინფორმაციას დანაყოფების და პირადი შემადგენლობის საქმიანობის, უშუალოდ დანაყოფებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა გენერალურ ინსპექციაში თავი მოიყაროს შს სამინისტროს დანაყოფებში მოქმედმა, მონიტორინგის ფუნქციით აღჭურვილმა ქვედანაყოფებმა. აღნიშნული ცვლილებით, ერთ სამართლებრივ სივრცეში და მმართველობაში მოექცა, ხოლო ფიზიკურად (და ტექნიკურად) ადგილზე, დანაყოფებში დარჩა შესაბამისი ქმედითი რგოლები, რომლებიც ასევე ხელს უწყობენ ქვედანაყოფის და გენერალური ინსპექციის კოორდინირებულ მუშაობას.

დამტკიცდა შს სამინისტროს მოსამსახურეთა ახალი დისციპლინური წესდება, რომლითაც დანაყოფებს შეუნარჩუნდათ ის უფლებამოსილება, რითაც უზრუნველყოფენ საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის კონტროლს, რაც აუცილებელია დანაყოფის გამართული და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დისკრეციული უფლებამოსილებების შეზღუდვა, მნიშვნელოვანი იყო დასაქმებულის უფლებების დაცვის კონტექსტშიც.

გენერალური ინსპექციის ახალი დებულება უზრუნველყოფს დისციპლინური წარმოების ცენტრალიზებას და გამორიცხავს დუბლირებას მონიტორინგის ფუნქციის მქონე ქვედანაყოფების საქმიანობაში, მკაფიოდ გამიჯნავს აღნიშნული მიმართულებით დანაყოფების უფლებამოსილებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების ფარგლებში მოხდა გენერალური ინსპექციის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დახვეწა.

საქმიანობის პრინციპების დახვეწის და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხორციელდება ევროპის ქვეყნების მსგავსი უწყებების საუკეთესო გამოცდილების შესწავლა და დანერგვა.

გატარდა გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზის (126) პოპულარიზაციის ღონისძიებები. იქმნება გენერალური ინსპექციის ელექტრონული არქივი და მონაცემთა ბაზა, რომელიც გაამარტივებს სტატისტიკების წარმოებას და ანალიზს.

გატარებული რეფორმები გენერალურ ინსპექციას საშუალებას აძლევს შს დანაყოფებში არსებული ვითარების, გამოწვევების, საფრთხეების და ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით შესაძლო რისკების შესახებ გააკეთოს სრულფასოვანი ანალიზი, მოამზადოს და სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგინოს ობიექტური შეფასება და დროული პრევენციისთვის სათანადო რეკომენდაციები.

გატარებული რეფორმების ერთ-ერთი შედეგია სამინისტროს გენერალური ინსპექციის გამჭვირვალობის გაზრდა. ანგარიშის პერიოდში მოხდა გენერალური ინსპექციის დებულების გასაჯაროება, პრევენციის მიზნით სისტემატურად ხორციელდება დისციპლინურ სახდელთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება სამინისტროს ვებგვერდზე.

> *<u>საქმიანობა:</u> 4.2.3. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შსს-ს დმი-ს სტანდარტული ოპერატიული პროცედურებისა (SOP) და ქცევის ინსტრუქციების შემუშავება პროკურატურასთან თანამშრომლობით*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია სტანდარტული ოპერატიული პროცედურები და ქცევის ინსტრუქციები; მუშაობის გაუმჯობესებული სტანდარტები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავების მიზნით, საქართველოში იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ექსპერტი ჯეიმს მერდოკი. უცხოელი ექსპერტი ადგილზე გაეცნო დროებითი მოთავსების იზოლატორების ფუნქციონირებას და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს, რაზედაც მოამზადა შესაბამისი ანგარიში. ანგარიშის საფუძველზე შემუშავდა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOP);

SOP-ზე მუშაობა უკვე დასრულებულია და მისი დამტკიცება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უახლოეს მომავალში იგეგმება.

> *<u>საქმიანობა:</u> 4.2.4. დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების გზით*

<u>ინდიკატორი:</u> პროექტში ჩართული სკოლებისა და მოსწავლეების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სხვადასხვა რეგიონების საპროექტო საჯარო სკოლებში, პროექტ „PH INTERNATIONAL”-ის უშუალო ხელშეწყობით, 2008 წლიდან ხორციელდება „საქართველოს სამართლებრივი განათლების“ პროგრამის განხორციელება, რაც ითვალისწინებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტების მიერ სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელოთი „სამართლებრივი კულტურის“ საგნის სწავლებას საჯარო სკოლის მე-7 და მე–9 კლასელებისთვის. გაკვეთილები მიმდინარეობს, ერთობლივად, ინტერაქტიული მეთოდით, უბნის ინსპექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის და სკოლის პედაგოგის მიერ.

გაკვეთილები ინტერაქტიულია, მოიცავს როლურ თამაშებს და გამიზნულია მოსწავლეებში სამართლის და მართლმსაჯულების სფეროში მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნის ამაღლებისკენ. სახელმძღვანელო „სამართლებრივი კულტურა“ შედგება შემდეგი თემებისგან:

- სამართლებრივი კულტურის არსი და მნიშვნელობა;
- არასრულწლოვანი და კანონი;
- ძალადობა (ძალადობა ოჯახში, „ბულინგი“ სკოლებში);
- მავნე ჩვევები და მათი სახიფათო შედეგებისგან თავდაცვა;
- ორგანიზებული დანაშაული (ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა);
- სასამართლო სამართალწარმოება.

2013–2014 სასწავლო წელს, პროგრამის განხორციელება ადგილობრივი უბნის ინსპექტორ–გამომძიებლების და სკოლის პედაგოგების მიერ უზრუნველყოფილი იყო საქართველოს 32 საჯარო სკოლაში. სწავლება მიმდინარეობდა: თბილისის – 17, ახალქალაქის - 5 , ფოთის - 5 და თელავის – 5 საჯარო სკოლებში.

აღნიშნული საგანი გაიარა 2000–ზე მეტმა მოსწავლემ.

გარდა ინტერაქტივისა, პროექტის ფარგლებში ხორციელდებოდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები შსს სხვადასხვა შენობებში.

2015–2016 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად განახლდა პროექტ „სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ განხორციელება საქართველოს 34 საჯარო სკოლაში.

პროექტში ახლად ჩართული სკოლების და მონაწილეების მომზადების მიზნით, 2015 წლის 20-21-22 ნოემბერს, ქ. თბილისში, სასტუმრო „ძველ თბილისში“ „საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პროგრამა სამართლებრივი განათლებისთვის“ პროექტის ფარგლებში, „სამართლებრივი კულტურის“ საგნის სწავლების მეთოდიკის შესახებ ერთობლივი ტრენინგი ჩაუტარდათ გურიის, შსს-ს უბნის ინსპექტორებს და საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების პედაგოგებს.

მოსამზადებელ ტრენინგებზე პროექტის მონაწილე პედაგოგებმა და სამართალდამცველებმა, გაკვეთილის წარმოების მეთოდიკის პარალელურად, სიღრმისეული ინფორმაცია მიიღეს მოზარდების ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ. ტრენინგს განათლების სფეროს ექსპერტები და ის სამართალდამცველები უძღვებოდნენ, რომლებსაც დიდი ხნის გამოცდილება აქვთ აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული აქტივობის შესრულებაში.

2015-2016 წელს პროქტში ჩართული/გადამზადებული სამართალდამცავების რაოდენობა შეადგენს 25 სამართალდამცავს (გურია –5, კახეთი–3, სამეგრელო – 5, სამცხე–ჯავახეთი 3+4, თბილისი 5).

საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის "მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის" ფარგლებში 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ბათუმისა და ქუთაისის განყოფილებებმა 14 საჯარო სკოლის 400-მდე მოსწავლეს უმასპინძლეს. სააგენტოში ჩატარდა შეხვედრები ასევე თბილისის (5 სკოლა), მცხეთის (2 სკოლა), დუშეთის (2 სკოლა) და წეროვანის (1 სკოლა) საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. პროექტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეები მომსახურების სააგენტოს სერვისებისა და საგზაო ნიშნების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ. უფროს კლასელებმა დაათვალიერეს სააგენტოს შენობა და დაესწრნენ მართვის მოწმობის თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდას.

შსს აკადემიაში 2015 წლის განმავლობაში სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა არაერთი ვიზიტი განხორციელდა. ვიზიტები ემსახურება მოზარდებში სამართლებრივი კულტურის ამაღლებას და ამ გზით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას. აკადემიაში სტუმრობისას მოსწავლეები/სტუდენტები ეცნობიან პოლიციელთა მომზადების მეთოდიკას და ესწრებიან პრეზენტაციას თემაზე: „სწავლება აკადემიაში“. მოსწავლეები/სტუდენტები ნახულობენ აკადემიის ინფრასტრუქტურას - სასწავლო დაფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლოდარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებულიტირები.

საჯარო სკოლების მოსწავლეთა ვიზიტები შსს აკადემიაში:

სულ 2015 წელს 1344 მოსწავლე.

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ვიზიტები:

- 29 მაისი - ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები (24 სტუდენტი);
- 8 ივნისი - სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები (ეროვნული უმცირესობები);
- 15 ოქტომბერი - თსუ (24 სტუდენტი);
- 16 დეკემბერი - ელსა (14 სტუდენტი);

- 17 დეკემბერი - ინოვაციური განათლების ცენტრი (27 სტუდენტი);
- 23 დეკემბერი - ინოვაციური განათლების ცენტრი (28 სტუდენტი);

სულ 150-მდე სტუდენტი.

2014 წლის 25 ნოემბერიდან 2015 წლის თებერვლის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სოციალური კამპანია „ძალადობა დასჯადია“. დაანონსებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის ფარგლებში სხვა აქტივობებთან ერთად :

- მომზადდა და სამი კვირის განმავლობაშისაქართველოს წამყვან ტელეარხებზე განთავსდა საინფორმაციო ვიდეორგოლი სლოგანით „ძალადობა დასჯადია“;
- შს სამინსიტროს ოფიციალურ ვებ.გვერდზე და Facebook გვერდებზე გამოცხადდა თემატური კონკურსები მოქალაქეებისთვის და ჟურნალისტებისთვის;
- არასრულწლოვანთა ჩართულობით განხორციელედა პრომო აქციები თბილისის ქუჩებში;

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით ახალგაზრდა თაობის უკეთ ინფორმირების მიზნით თბილისსა და საქართველოს რეგიონებში საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გაიმართა საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. იმისათვის, რომ შეხვედრები ეფექტიანი ყოფილიყო შეიქმნა შს სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომდგენლებით და ფსიქოლოგით დაკომპლექტებული ჯგუფი.

აქციის ფარგლებში, თბილისის 18 საჯარო სკოლაში და რეგიონის 5 საჯარო სკოლაში გაიმართა მსგავსი ფორმატის შეხვედრა. სკოლასთან ერთად შეხვედრები გაიმართა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან, თბილისსა და რეგიონებში 10 უმაღლეს სასწავლებელში ჩატარდა შეხვედრა.

არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული თემები გაწერილია სასწავლო პროგრამებში; დანაშაულის პრევენციის თემატიკა სავალდებულო დისციპლინის სახით ინტეგრირებულია სადამრიგებლო საათში. დანაშაულის პრევენცის მიმართულებით აქტიურად მუშაობს სსიპ მანდატურის სამსახურის მულტიდისციპლინური ჯგუფი (მანდატურები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, სოციალური მუშაკები).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერებს სამინისტროს ერთობლივი პროექტის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სოციალური კამპანიის - **„არა ძალადობას!“** - ფარგლებში, მოსწავლეთა ინფორმირებისა და მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა შეხვედრები სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლაში, ასევე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. პროექტი ითვალისწინებდა საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებსა და მოსწავლეებთან.

2014 წლის 27 დეკემბერს ჩატარდა მოსწავლეთა კონფერენცია ძალადობის თემაზე. კონფერენციის მიზანი იყო მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, ძალადობა, დისკრიმინაცია და მათი პრევენცია.

<u>საქმიანობა:</u> 4.2.5. პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების მუდმივად ინფორმირებით ვებ-გვერდის, სოციალური მედიისა და რგოლების, რადიო გადაცემის, საინფორმაციო ბროშურების საშუალებით

<u>ინდიკატორი:</u> შსს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია; გადაცემები, ბროშურები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი მედიასთან პროაქტიურ კომუნიკაციას ახორციელებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი რეგულარულად მართავს ბრიფინგებს მას-მედიის წარმომადგენლებისათვის, პასუხობს ყველაზე აქტუალურ კითხვებს.

შსს-სთან დაკავშირებული ინფორმაცია ვიდეო, ფოტო და ტექსტური მასალის სახით, საზოგადოებას, მათ შორის, მედიას, დროულად მიეწოდება სამინისტროს ვებ-გვერდის www.police.ge-ს და ასევე, facebook-ზე სამინისტროს ოფიციალური გვერდის მეშვეობით. შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალური ქსელებს და სოციალურ მედიას.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი საზოგადოებას ინფორმაციას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის გათვალისწინებით და გამოძიების ინტერესების დაცვით აწვდის; შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში დაკავებულის სახე იფარება, ტექსტურ მასალაში მხოლოდ სახელი და გვარი პირველი ასო იწერება, არ იწერება დაზარალებულის ვინაობა, ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში არ მიეთითება საავადმყოფოს მისამართი და არ ასახელებს იმ კომპანიის სახელწოდებას, სადაც მოხდა დანაშაული.

2014 წლის 29 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის ფარგლებში განხორციელდა პროექტი, „პოლიციის დაკავების დროს ეჭვმიტანილის საპროცესო უფლებები საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში: ემპირიული კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის ხელშეწყობა“. პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში დაკავებულ/ბრალდებულ პირთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლასა და პოლიციის თანამშრომლების მიერ ამ კუთხით არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევა კონცენტრირებული იყო პროცედურული უფლებების განმარტების, დუმილის უფლების, სამედიცინო დახმარებისა და ადვოკატის ხელმისაწვდომობის დაცვის საკითხებზე. კვლევა განხორციელდა თბილისის, ქუთაისისა და თელავის პოლიციის განყოფილებებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პრაქტიკოსების ყოველდღიურ საქმიანობაზე პირდაპირი დაკვირვებით. ასევე ჩატარდა პოლიციელთა, ადვოკატთა და დაკავებულთა მიზნობრივი ინტერვიუები. აღნიშნული პროექტი ხაზს უსვამს შსს-ს გამჭვირვალობასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის მზადყოფნას.

განსაჯაროვდა შსს გენერალური ინსპექციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციისა და ანტიკორუფციული სააგენტოს დებულებები.

შემუშავდა ხშირად დასმული 300-მდე კითხვა-პასუხი (FAQ), რომელიც გამოქვეყნებულია შსს-ს ვებ–გვერდზე. ასევე, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, ინფორმაციის მიწოდების ოპერატიულობითა და ხარისხით მოქალაქეების კმაყოფილების დონის დადგენის მიზნით, დაიწყო მოქალაქეების გამოკითხვა ელ. ფოსტის მეშვეობით. შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების სერიალი "იდენტიფიკაცია".

ორგანიზებული დანაშაულის კუთხით ცნობიერების ამაღლების კუთხით დარიგდა შესაბამისი ბუკლეტები.

ჩატარდა შემდეგი სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიები: არ დაჯდე ნასვამი საჭესთან, შეიკარი ღვედი, ანტინარკოტიკული კამპანია - არა ბიონარკოტიკს.

დამზადდა 2015 წლის საინფორმაციო - საიმიჯო რგოლი - წლის შემაჯამებელი რგოლი შს სამინისტროს მუშაობის შესახებ;

შს სამინისტრომ 2015 წლის დეკემბრის თვიდან „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის“ ფარგლებში ფართომასშტაბიანი სოციალური კამპანია დაიწყო, სლოგანით „შენი გულისთვის- შენი უსაფრთხოებისთვის“. კამპანიის მიზანია ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენცია, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირება და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა: 4.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარება

> *<u>საქმიანობა:</u> 4.3.1. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> დროებითი მოთავრების იზოალორტის ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ევროკავშირის დახმარებით, ქვეყნის მასშტაბით ყველა საკნისათვის შეძენილ იქნა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათები, რომლებიც უზრუნველყოფენ დღისა და ღამის განათებას. მათი მონტაჟი ეტაპობრივად ხორციელდებოდა.

2014 წლის ივლისში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს, კახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ. თელავი). იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით, ხოლო საკნებში ევროკავშირის დახმარებით მოხდა ახალი უსაფრთხო საწოლების, მაგიდებისა და სკამების მონტაჟი; ქვეყნის თითქმის ყველა იზოლატორში დამონტაჟებულია უსაფრთხო საწოლები, მაგიდები და სკამები (რუსთავის, წალკისა და ახალქალაქის იზოლატორებში მომავალში იგეგმება არსებული ხის ნარების ჩანაცვლება უსაფრთხო საწოლებით, სამუშაო ჩატარდება ასევე ლენტეხში - აღნიშნული პროცესი უკავშირდება დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებს.

სარემონტო სამუშაოები 2015 წლის იანვარში დასრულდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (განყოფილება) (ქ. მცხეთა).

ქვეყნის მასშტაბით 2015 წლის ზაფხულში ყველა იზოლატორში დასრულდა საწოლების გადაკეთება, ასევე უსაფრთხო მაგიდა-სკამებისა და განათების დამონტაჟება.

ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების შესაბამისად, დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2015 წლის იანვარში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ (სამსახური) (ქ.გორი) და თეთრიწყაროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ორივე იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით და დაკავებულთათვის ადგილზე შეიქმნა გაუმჯობესებული ყოფითი პირობები;

2015 წლის სექტემბერში ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალისათვის შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა;

2015 წლის ზაფხულში სარემონტო სამუშაოები შესრულდა საგარეჯოსა და ამბროლაურის დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ჩატარდა აღნიშნული ორი იზოლატორის სრული რეაბილიტაცია;

2015 წლის სექტემბერში სარემონტო სამუშაოები დასრულდა ქ.თბილისის N1 დროებითი მოთავსების იზოლატორში (სამმართველო). იზოლატორში ჩატარდა ფუნდამენტური სამუშაოები, რომლის დროსაც ევროკავშირის გრანტის ფარგლებში საკნებში განხორციელდა არსებული საწოლების გადაკეთება, ახალი მაგიდა-სკამების მონტაჟი და საკნები აღიჭურვა სპეციალური სანათებით. ევროკავშირის გრანტის ფარგლებში, ასევე მოხდა ქ.თბილისის N1 (სამმართველო) დროებითი მოთავსების იზოლატორის სველი წერტილის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირება;

> *<u>საქმიანობა:</u> 4.3.2. შსს-ს ინფრასტრუქტურის განვითარება არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სფეროში*

<u>ინდიკატორი:</u> არალეგალ მიგრანტთა ქვეყნიდან გაძევების მექანიზმები გაუმჯობესებულია ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირთა დროებითი განთავსების ცენტრი. უცხოელთა განთავსების ცენტრში გადაყვანა დასაშვებია მოსამართლის გადაწყვეტილებით. განთავსება წარმოადგენს გადაადგილების შემზღუდველ ღონისძიებას, შესაბამისად შსს აღნიშნულ ღონისძიებას განიხილავს როგორც უკიდურეს ზომას. ცენტრში მოთავსების მაქსიმალურ ვადას წარმოადგენს 3 თვე. შსს ინიციატივით განისაზღვრა განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატივებიც. სასამართლოს მიერ ამ ალტერნატიული ზომების შეფარდებისას პირს არ შეეზღუდება გადაადგილების თავისუფლება. ცენტრში არასრულწლოვანთა და ოჯახების განთავსება ხორციელდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მაქსიმალურად მოკლე ვადით.

საქართველოს კანონის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება უცხოელისათვის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის შეფარდების შესახებ. დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიული ზომის მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. მის ვადას განსაზღვრავს სასამართლო.

დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსების ალტერნატიულ ზომებს წარმოადგენს:

ა) პოლიციის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში რეგულარული, არაუმეტეს კვირაში ორჯერ გამოცხადება;
ბ) უცხოელთან დაკავშირებული საქართველოს მოქალაქის თავდებობა, ან მინიმუმ 1000 ლარის ოდენობის საბანკო გარანტია ან რეგულარული შემოსავლების დამადასტურებელი ცნობა;
გ) არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობის გირაო.

განთავსების ცენტრის დებულების შემუშავებისას და შესაბამისი არქიტექტურული პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. კერძოდ, განთავსების ცენტრში უცხოელებისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება. ცენტრში, ასევე დაცულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, უზრუნველყოფილია განათლების მიღებისა და თავისუფალი დროის გატარებისთვის საჭირო პირობები. ცენტრში გათვალისწინებულია სასადილო, სამლოცველო ოთახი, სარეკრეაციო ზონა და სპორტული მოედანი;

ცენტრში უცხოელების მოთავსება ხორციელდება მათი სქესის გათვალისწინებით. კერძოდ, ქალები და მამაკაცები განთავსდებიან განცალკევებით მათთვის გამოყოფილ ბლოკებში. ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით ოჯახები განთავსდებიან ცალკე ბლოკში. არასრულწლოვანი უცხოელები განთავსდებიან ოჯახთან ერთად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიზანშეწონილია მათი განცალკევება უსაფრთხოების მიზნებიდან და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე სხვადასხვა რელიგიისა და წარმოშობის მქონე პირები შეიძლება განთავსდნენ ცალ-ცალკე, იმ შემთხვევაში თუ წინასწარ ცნობილია მათ შორის უთანხმოების/დაპირისპირების შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განთავსების აუცილებლობის შემთხვევაში განთავსდებიან შესაბამისად ადაპტირებულ ოთახებში.

ცენტრში მოთავსებულ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ უფასო სამართლებრივი კონსულტაცია.

დაკავებისას უცხოელს დაკავების საფუძვლები განემარტებათ მათთვის გასაგებ ენაზე. მათ ეძლევათ საშუალება ისარგებლონ თარჯიმნის მომსახურებით. მათ ასევე მიეწოდებათ ინფორმაცია თავის ქვეყანაში ნებაყოფლობითი დაბრუნების გზებისა და პირობების შესახებ.

ცენტრში მოთავსებულ უცხოელს უფლება აქვს დაამყაროს კონტაქტი მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობასთან. იმ შემთხვევაში, თუ პირს არ აქვს არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა მას აქვს უფლება, დაუკავშირდეს იმ სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც თავის თავზე აიღებს მისი ინტერესების დაცვას ან იმ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლის ამოცანაა ასეთი კატეგორიის პირების დაცვა.

უცხოელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შეხვდეს უფლებამოსილ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს (შესაბამისი რწმუნების წარმოდგენის შემთხვევაში), ადვოკატს ან/და მის კანონიერ წარმომადგენელს, სამუშაო დღის ნებისმიერ მონაკვეთში და სპეციალურად გამოყოფილ დროს მისთვის სასურველ პირს.

უცხოელს უფლება აქვს გამოყოფილ დროს ისარგებლოს ტელეფონით საქართველოში მისთვის სასურველ პირთან დასაკავშირებლად, ასევე მიიღოს და გააგზავნოს ამანათები და წერილები.

ცენტრში ფუნქციონირებს უცხოელთა უფლებების დაცვისა და მონიტორინგის განყოფილება, რომელიც კონტროლს უწევს განთავსების ცენტრში მყოფი უცხოელების უფლებების რეალიზებას და რეაგირებს შესაბამის დარღვევებზე. განიხილავს ცენტრში განთავსებული უცხოელების მხრიდან წარმოდგენილ განცხადებებს/საჩივრებს მათი უფლებების დარღვევების ფაქტებთან დაკავშირებით.

უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით მამაკაცთა ფლიგელისთვის მოეწყო იზოლირებული გასასვლელი. გაიმიჯნა მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომელთა და უცხოელთა სასადილო სივრცე.

დაკავებულ უცხოელთა პერსონალური მონაცემები დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დაცვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე №967 ბრძანების შესაბამისად.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა

		რაოდენობა	
11	11	0	0

5. სასჯელაღსრულების სისტემა, პრობაცია და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია

მიზანი: 5.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება

ამოცანა: 5.1.1 პენიტენციურ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების სისტემატური გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების კუთხით

> *<u>საქმიანობა:</u> 5.1.1.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების და შიდა რეგულაციების შემცვლელი დოკუმენტაციის მომზადება და ინიცირება*

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული და ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების გადახედვა პერიოდულად ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება შესაბამისი, როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება. 2015 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმის ფარგლებში ცვლილება შევიდა 41 კანონში და დაიწერა 1 ახალი კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“; 2015 წლის განმავლობაში გამოიცა შემდეგი ბრძანებები:

- „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ 2015 წლის 2 ნოემბრის №157 ბრძანება;
- ,,საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №146 ბრძანება;
- „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანება;
- „სპეციალური კონკურსის ჩატარების წესის, სავალდებულო სპეციალური პროფესიული მომზადების (სასწავლო) კურსის სახეებისა და გავლის წესის, აგრეთვე სერტიფიცირებისა და პერიოდული გადამზადების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №148 ბრძანება;
- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სათათბირო ორგანოს – საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №139 ბრძანება
- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შინაგანაწესის (ქცევის ზოგადი წესები) დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №145 ბრძანება;
- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების, წახალისების წესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანება;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 26 აგვისტოს №104 ბრძანებით დამტკიცდა "თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესი და პირობები"

- პატიმრობის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოვიდა მინისტრის მიერ გამოცემული არაერთი ნორმატიული აქტი.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 3 ივლისი ბრძანება "მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ".

2015 წლის 1 სექტემბერს, ძალაში შევიდა თითოეული პენიტენციური დაწესებულებისათვის შექმნილი ინდივიდუალური დებულება, რომლითაც გათვალისწინებულია მათი სპეციფიკა და ნათლად არის გაწერილი ფუნქციები და მოვალეობები (სულ 15 პენიტენციური დაწესებულების დებულება);

2015 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ერთად გამოიცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ახალი, ერთობლივი ბრძანება - ,,ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“.

2015 წლის 3 ივლისს გამოიცა ნორმატიული აქტები:

- ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება მსჯავრდებულთა რისკების სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე, რისკების შეფასების გუნდის საქმიანობა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი;
- ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასება და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა;

ამოცანა: 5.1.2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირების შემდგომი განვითარება

<u>საქმიანობა:</u> 5.1.2.1. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრირების და მენეჯმენტის სრულყოფა

<u>ინდიკატორი:</u> სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შემუშავება, ადმინისტრირების მხრივ შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სტრუქტურული რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასჯელაღსრულების მართვის სისტემა და ჩამოყალიბდა ერთიანი ძლიერი სამსახური, რომელიც მოქნილად და ეფექტიანად უზრუნველყოფს პოლიტიკის განხორციელებას და სრულად დაექვემდებარება პოლიტიკურ და სამოქალაქო კონტროლს.

„პატიმრობის კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, შეიცვალა სასჯელაღსრულების სისტემის მართვის მოდელი. კერძოდ, სამინისტროს რეორგანიზაციის გზით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინტეგრაცია მოხდა სამინისტროში. იდენტური ფუნქციების მქონე სამმართველოები გაერთიანდა, რამაც აღმოფხვრა ფუნქციათა დუბლირება. გაძლიერდა ანალიტიკური მიმართულება. სპეციალური პენიტენციური სამსახურის შექმნით გაძლიერდა პენიტენციური დაწესებულებების მართვა და ადმინისტრირება. „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ კანონით სამინისტროს შიდა სტრუქტურა დაიყო ორ ნაწილად: სამოქალაქო სამსახურად და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად. მკვეთრად გაიმიჯნა სამოქალაქო თანამდებობების პერსონალი და სპეციალური წოდების მქონე პერსონალი.

აღნიშნული კანონით რეგულირდება სასჯელის უშუალო აღმასრულებელი პერსონალის სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი, მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობები, უსაფრთხოების, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. ამასთანავე, თითოეული დაწესებულებისათვის შემუშავდა დამოუკიდებელი დებულება, რომელთა შემდგომი გადახედვა მოხდება საჭიროებიდან გამომდინარე.

საანგარიშო პერიოდში, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეიმუშავა შემდეგი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები:

- სამინისტროს ყველა პენიტენციური დაწესებულების დებულება (დებულებებში გაწერილია სარეჟიმო აქტივობების განხორციელების წესი);
- არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესი;
- ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესი;
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვისა და გაცემის წესი;
- მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი;
- ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი.

> *<u>საქმიანობა:</u> 5.1.2.2 თანამშრომლებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება და მათი ატესტირება*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამუშაოთა აღწერილობებით; ატესტაცია გავლილი თანამშრომლების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 12 იანვრის №23 ბრძანებით დამტკიცდა სამინისტროს მოხელეთა სამუშაო აღწერილობები თითოეული თანამდებობისათვის. თანამშრომლებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება შესრულებულია და დამტკიცებულია მინისტრის ნორმატიული აქტებით[1], ხოლო ატესტაცია გაიარა 68 (სამოცდარვა) თანამშრომელმა.

> *<u>საქმიანობა:</u> 5.1.2.3. ტრენინგები პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის, მათ შორის ადმინისტრირების, შიდა კონტროლის, მენეჯმენტის, ადამიანის უფლებების და სხვა დარგებში*

<u>ინდიკატორი:</u> ტრეინინგების შედეგად სერთიფიცირებულ თანამშრომელთა რაოდენობა

[1] გთხოვთ, იხილოთ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის N164, N98, N94, N96, N64, N52, N45, N48, N47, N40, N49, N44, N50, N51, N43 ბრძანებები დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და საკონკურსო თემატიკის დამტკიცების შესახებ.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი მიზნად ისახავს სამინისტროს სისტემაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ხელშეწყობასა და პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეების, პერსონალის ან დასაქმების სურვილის მქონე პირთა მომზადება - გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ტრეინინგები იყოფა ზოგად და სპეციფიკურ მოდულებად. საბაზისო ტიპის ტრენინგები უტარდებათ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომლებს. მოკლე-ვადიანი ტრენინგები მოიცავს თემებს, როგორიცაა: წამების პრევენცია, ადამიანის უფლებები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ჯანდაცვის მხარდაჭერა, პროცედურული უსაფრთხოება, ქალ მსჯავრდებულებთან მოპყრობის წესები, არასაპატიმრო სასჯელის ზომები, შიმშილობის აქციების მართვა, პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემის მენეჯმენტი. გარდა ამისა, სასწავლო ცენტრი მუდმივად აახლებს სასწავლო მოდულებს, რათა არ ჩამორჩეს პენიტენციურ სისტემაში არსებულ ცვლილებებს. ცენტრის მიერ გადამზადებული პერსონალის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

2014 და 2015 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სერთიფიცირებული სასწავლო ტრეინინგი გაიარა:

მიზნობრივი ჯგუფი	**2014 წელი**	**2015 წელი**
სამინისტროს აპარატი	61	61
პენიტენციური დეპარტამენტი	321	372
პენიტენციური დაწესებულებები	1504	2434
პრობაციის ეროვნული სააგენტო	372	415
სასწავლო ცენტრი და ტრენერები	88	96
ჯამი	**2346**	**3378**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა“ სისტემის იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც სამსახურეობრივი შეხება აქვთ არასრულწლოვან ბრალდებულებთან/ მსჯავრდებულებთან. კურსის მიზანი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირთა კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვნებთან მუშაობის / ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში მომზადება გაიარა პენიტენციური დაწესებულებებისა და საგამოძიებო დეპარტამენტის 104-მა თანამშრომელმა.

ამოცანა: 5.1.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა - საჭიროებების გათვალისწინებით

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.1 პენიტენციური სისტემის დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაცია

<u>ინდიკატორი:</u> რისკის და რესოციალიზაციის საჭიროებათა შესაბამისად თავისუფლებააღკვეთილ/შეზღუდულ პირთა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულების დაწესებულებათა კლასიფიკაცია დასრულდა 20015 წელს. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის N35 ბრძანებით დამტკიცებული პრინციპებისა და პროცედურის შესაბამისად დაიწყო მსჯავრდებულთა რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესი.

მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის №70 ბრძანებით დამტკიცდა მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი.

დაინერგა კლასიფიკაციის ობიექტური სისტემა, რისკებისა და საჭიროებების შეფასების ჩათვლით. სისტემა განიხილავს მსჯავრდებულის ქცევას, დანაშაულს, ინსტიტუციურ და პირად ისტორიას. შესაბამისად, მსჯავრდებულები 4 სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში გადანაწილდებიან. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლასიფიცირებული იყო 105 მსჯავრდებული. დღეისათვის კლასიფიცირებულია 2400 მდე მსჯავრდებული. რისკის ინდივიდუალური შეფასებისა და მსჯავრდებულთა კლასიფიკაციის პროცესი 2016 წელს დასრულდება.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.2. პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და მათი შესაბამისად აღჭურვა

<u>ინდიკატორი:</u> გარემონტებულ და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ დაწესებულებათა რაოდენობა; სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის განმალობაში პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები: N3 დაწესებულებაში პირობების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა დაწესებულების საკნების გათბობა-გაგრილების სისტემის (კონდიციონერების) სამონტაჟო კაპიტალური სამუშაოები; N5 დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო კორპუსის „C“ ფლიგელში შესრულდა „ატლანტისის“ პროგრამის განხორციელებისათვის საკნების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ასევე, შესრულდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის სამედიცინო ნაწილის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთათვის საკნების მოწყობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები; N6 დაწესებულებას ჩაუტარდა სრული კაპიტალური რემონტი, ასევე კაპიტალური რემონტი ჩატარდა დაწესებულების სასადილოში და აღიჭურვა ახალი ტექნიკური საშუალებებით; N8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსებში პატიმართა პირობების გაუმჯობესების მიზნით, ეტაპობრივად ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; N9 დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; N12 დაწესებულებაში ჩატარდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის სამედიცინო ნაწილში აფთიაქისა და C ჰეპატიტის სამკურნალო ოთახების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. ასევე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და გამართულად ფუნქციონირებს სველი წერტილები; N14 დაწესებულებაში 2015 წლის მარტში დასრულდა რემონტი და თანამედროვე აღჭურვილობით მოეწყო დაწესებულების სამზარეულო, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებს. ასევე, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებში; N15 დაწესებულებაში სრული სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაწესებულების სამედიცინო ნაწილს. ასევე განახლდა და მოეწყო დაწესებულების აფთიაქი; N16 დაწესებულებაში სრულად დასრულდა სარემონტო-სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ასევე, სრულად მოეწყო და დასრულდა დაწესებულების საწარმოო ზონის სამშენებლო სამუშაოები; N17 დაწესებულებაში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. 2015 წელს თითოეულ დაწესებულებას საჭიროებების შესაბამისად გადაეცა გარკვეული სახის ინვენტარი.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.3 პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა კვების სტანდარტის პერიოდული შეფასება და შედეგებზე დაყრდნობით სტანდარტის განახლება

<u>ინდიკატორი:</u> პერიოდული შეფასება; სტანდარტის განახლება; ყველა პატიმრის უზრუნველყოფა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს N88-№01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით განისაზღვრა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომლებიც მოიცავს ყველა ტიპის/რისკის დაწესებულებებში მყოფ ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალი პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების მქონე ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის დღიურ რაციონში შემავალ პროდუქტების ჩამონათვალსა და ენერგეტიკულ ღირებულებას, ასევე ერთი პროდუქტის სხვა პროდუქტით ჩანაცვლების შესაძლებლობას (სულ 12 დანართი).

2015 წლის განმავლობაში პატიმართა კვებას უზრუნველყოფს კომპანია GMM-ი. პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან 3-ჯერადი კვებით, აგრეთვე მოქმედებს დიეტური მენიუ. დაწესებულებებში შექმნილია შიდა კომისიები, რომლებიც მკაცრ კონტროლს უწევენ მზა პროდუქტისა თუ ნედლეულის ხარისხსა და ვარგისიანობას.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.4. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფ პატიმართა რაოდენობა; სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით, რაც დარეგულირებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით. ქალ პატიმართათვის ჰიგიენური საშუალებების მიწოდების პრობლემა აღმოიფხვრა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა ქალთა N5 დაწესებულების დებულება, რომლითაც განისაზღვრა იმ ჰიგიენური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. ამასთანავე, დებულების 36-ე მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალებს მიეწოდებათ ჰიგიენური საფენები. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ნორმის აღსრულებას.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა

<u>ინდიკატორი:</u> გრძელვადიანი ვიზიტებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილ თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა; პრევენციის ეროვნული მექანიზმების ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N5 ქალთა პენიტენციური დაწესებულების გრძელვადიანი პაემანის 4 ნომრიანი სასტუმროს ტიპის შენობა. დღეის მდგომარეობით გრძელვადიანი პაემანების სერვისით სარგებლობენ N2, N3, N5, N6, N11, N12, N14, N15, N16 და N17 პენიტენციური დაწესებულებების მსჯავრდებულები/ბრალდებულები.

დაწესებულება	**გრძელვადიანი პაემნების რაოდენობა 2015 წელს**
N2	869
N3	44
N5	2
N6	167
N8	41
N11	26
N12	208
N14	1002
N15	1657
N16	26
N17	1790
სულ	**5832**

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.6 თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ადამიანთა რაოდენობა; საზოგადოებრივ მისაღებებში "შენიშვნათა ყუთის" განთავსება; ყუთში მოთავსებული კომენტარების ანალიზი.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი მისაღების შენობებით, დღეის მდგომარეობით N2, N3, N5, N6, N11, N15, N16 N17, N18 და N19 პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მისაღების შენობები, სადაც განთავსებულია "შენიშვნების ყუთი". უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ყველა პენიტენციური დაწესებულების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მისაღების შენობებით.

2015 წელს საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთათვის მომზადდა სასწავლო პროგრამა და დეკემბრის მეორე ნახევარში ერთი ჯგუფისათვის ჩატარდა ტრეინინგი, რომელიც სხვა თანამშრომელთათვის გაგრძელდება 2016 წელში.

2015 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მისაღებების მიერ გაწეული მომსახურების სტატისტიკა დაწესებულებების შესაბამისად:

დაწესებულება	**რაოდენობა**	
	<u>ყველა ღონისძიება</u>	<u>ამანათები</u>
№2	32210	22644

№3	2712	3454
№5	8866	3878
№6	4220	1698
№8	70086	49270
№18	5724	1640
№11	3007	638
№14	8472	11205
№15	23340	19766
№19	1625	1046
№16	934	374
№17	31735	25685
ჯამი	**192,931**	**141,298**

<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.7. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით

<u>ინდიკატორი:</u> პენიტენციურ სისტემაში სიკვდილიანობის სტანდარტული მაჩვენებელი; ინფექციურ დაავადებებზე (აივ/შიდსი, ტუბერკულოზი, C ჰეპატიტი) კონსულტირების, ტესტირების და მკურნალობის მაჩვენებელი, ასევე, გავრცელების მაჩვენებელი; სამედიცინო პერსონალის თანაფარდობა პატიმართა რაოდენობასთან; პირველადი ჯანდაცვისა და სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით (რეფერალი) მოცვის და უტილიზაციის მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს პენიტენციური ჯანდაცვის ბიუჯეტი გაიზარდა 13,650 მლნ. ლარამდე. სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო აღიჭურვა ტუბერკულოზის დიაგნოსტირების სწრაფად დამდგენი აპარატით (GeneXpert), რომელიც 24 სთ-ში ახდენს ტუბერკულოზის ფორმების იდენტიფიცირებას. ეს საშუალებას იძლევა, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს დაავადებული პირის მკურნალობა.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტროსა და ევროკავშირის და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის -- „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ თანამშრომლების ფარგლებში შემუშავდა და 2015 წლის 22 აპრილს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ №31 ბრძანებით დამტკიცდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების სტანდარტი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო რეკომენდაციებს, კონვენციებს, დირექტივებსა და წესებს, კლინიკურ პრაქტიკის რეკომენდაციებსა (გაიდლაინი) და ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამოცანებს.

ბრძანების პროექტი შეფასდა და მოწონებული იქნა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, წითელი ჯვრის კომიტეტისა და ევროკავშირის ექსპერტების მიერ.

პირველადი ჯანდაცვის მოდელი დაინერგა პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში და სამედიცინო მომსახურება ხორციელდება ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისად. შემუშავდა და მინისტრის მიერ დამტკიცდა სამედიცინო მომსახურების სტანდარტი, რომელიც დანერგვის პროცესშია. დაინერგა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ყოველთვიური სტატისტიკური მონაცემების სახელმწიფოში არსებული ერთიანი ფორმებით წარდგენა.

სამედიცინო დეპარტამენტის შუამდგომლობით, სამინისტროს მიერ დადებულ იქნა ხელშეკრულება ფარმაკოლოგიის დარგში შესაბამის სპეციალისტთან, რომლის მიერაც შესწავლილ იქნა პენიტენციურ დაწესებულებებში გასული 2 წლის განმავლობაში მედიკამენტების, მათ შორის, ხშირად გამოყენებადი სამკურნალო საშუალებების ხარჯვა, ამასთან, გათვალისწინებულ იქნა ლოჯისტიკის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შემავალი სამედიცინო ლოჯისტიკის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, რის საფუძველზეც განახლდა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხა, რომელიც ამ ეტაპზე გადაგზავნილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში ექსპერტიზაზე, რის შემდეგაც უახლოეს მომავალში მოხდება მისი დამტკიცება სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის მიერ.

C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებშიც 2015 წელს 5500 ბრალდებულს/მსჯავრდებულს ჩაუტარდა სკრინიგი. 2015 წელს 180 პაციენტმა წარმატებით დაასრულა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი. პენიტენციურ დაწესებულებაში, 2015 წელიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაიწყო ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული მსჯავრდებულების მკურნალობა ახალი პრეპარატით - „სოფოსბუვირი“, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი კრიტერიუმის მქონე ყველა მსჯავრდებულისთვის.

2015 წლის განმავლობაში აივ/შიდსი მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 18 ახალი პაციენტი. თითოეული ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომია აივ-ინფექცია/შიდსთან დაკავშირებით კონსულტირება და ტესტირება, ანტირეტროვირუსული მკურნალობა აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების შესაბამისად.

პენიტენციურ სისტემაში პირველადი ჯანდაცვის ერთი გუნდი (ექიმის და ექთნის შემადგენლობით) პატარა დაწესებულებებში, საშუალოდ, 50-დან 150-მდე პაციენტს ემსახურება, დიდ დაწესებულებებში კი - 300-დან 500-მდე. 2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სისტემაში 9716 ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა, ხოლო დასაქმებული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა შეადგენს 497 პერსონალს (189 ექიმი, მათ შორის 15 მთავარი ექიმი, 2 მთავარი ექიმის მოადგილე და 233 ექთანი). ასევე, გაფორმებულია ხელშეკრულება სხვადასხვა პროფილის 54 ექიმ-სპეციალისტთან. პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი პროფილის კონსულტანტთა ვიზიტი გეგმიურად ხორციელდება თვეში ორჯერ. დაწესებულების მთავარი ექიმის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროების წარმოშობისას ხორციელდება კონსულტანტთა არაგეგმიური ვიზიტებიც.

2015 წელს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით სამოქალაქო სექტორის კლინიკებში ისარგებლა 3992 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, პენიტენციური სისტემის ცენტრალურ საავადმყოფოში - 3206 ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა, პირველადი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა 15850 პატიმარს, ხოლო პირველადი ჯანდაცვის გუნდის მიერ ჩატარდა 94454 კონსულტაცია.

2015 წლის თებერვლის თვიდან დაიწყო და ყველა დაწესებულებაში ჩატარდა სამედიცინო პრევენციული გამოკვლევები. პატიმრობაში მყოფ პირებს, საჭიროებების გათვალისწინებით გაეწიათ სხვადასხვა პროფილის (კარდიოლოგი, ანგიოლოგი, ნევროლოგი, ტრავმატოლოგი, გასტროენტეროლოგი და ა.შ.) ექიმ-სპეციალისტების კვალიფიციური მომსახურება და დიაგნოსტიკური გამოკვლევები (გასტროსკოპია, ექოსკოპია და ა.შ.).

შემუშავდა სუიციდის პრევენციის პროგრამის ბრძანების პროექტი, რომელიც უკვე შეთანხმდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და უახლოეს დღეებში გადაიგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სამართლებრივი

დასკვნისათვის. აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ მოხდება მისი დამტკიცება ნორმატიულ დონეზე, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის მიერ.

სუიციდის პრევენციის პროგრამა ამჟამად ფუნქციონირებს პენიტენციური სისტემის 12 დაწესებულებაში და 2015 წელს პროგრამაში ჩართული არცერთი ბენეფიციარის სუიციდს ადგილი არ ჰქონია. ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, სუიციდის პრევენციის საკითხებზე თანამშრომლებისთვის (როგორც სამედიცინო, ისე არასამედიცინო) მიმდინარეობს ინტენსიური ტრენინგები.

სამედიცინო პერსონალი (ექიმები და ექთნები) მუდმივად გადის სხვადასხვა ტრენინგსა და გრძელვადიან პროგრამას, რაც ხელს უწყობს მათი განათლების განგრძობად ხასიათს და წარმატებით საქმიანობას.

2015 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების სისტემაში სულ 12 პატიმარი გარდაიცვალა. შესაბამისად, სიკვდილიანობის სტანდარტულმა მაჩვენებელმა, რომელიც ყოველ 10 000 პატიმარზე ითვლება (SMR), 12.3 შეადგინა.

> *<u>საქმიანობა:</u> 5.1.3.8. ქალთა, არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლება აღკვეთილთათვის სპეციალური პირობების შექმნა*

<u>ინდიკატორი:</u> საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის გაუმჯობესება; საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული პირების, არასრულწლოვნებისა და ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა სპეციფიკური საჭიროებების მეტად გამოსაკვეთად; შესწავლის შედეგად გამოვლენილ საჭიროებათა ეტაპობრივი გათვალისწინება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ 2015 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დროს მაქსიმალურად, შენობების სპეციფიკიდან გამომდინარე გათვალისწინებული იქნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური გარემოს შექმნა, შესაბამისი ადაპტირებული ინფრასტრუქტურა მოეწყო N5, N6, N8, N18, N16 და N17 პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ყველა პენიტენციური დაწესებულებაში ადაპტირებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და გონივრული მისადაგების მინიმალური სტანდარტი უზრუნველყოფილია ყველა დაწესებულებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის N18, N16, N6 და N5 დაწესებულებებში უზრუნველყოფილია სრულად ადაპტირებული გარემო, სადაც მინიმუმ ერთი საკანი მოეწყო "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისი სტანდარტებით.

N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრული დატვირთვით ფუნქციონირებს ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილება.

N5 ქალთა დაწესებულებაში სრულად არის უზრუნველყოფილი პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, კერძოდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოსვლისთანავე უტარდება

სხვადასხვა სახის სკრინინგი, მათ შორის: ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების, აივ-ინფექცია/შიდსის სკრინინგული კვლევა. პერიოდულად ტარდება ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგული გამოკვლევები.

ამჟამად მოქმედი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო N11 დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტების ნორმების შესაბამისად ფუნქციონირებს. დაწესებულება უზრუნველყოფილია სპორტული მოედნებით, ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემნების ოთახები. 2015 წლის განმავლობაში დაწესებულებაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, მოწესრიგდა შიდა ინფრასტრუქტურა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეიმუშავა 14-დან 21 წლამდე პირებისათვის დამოუკიდებელი დაწესებულების შექმნის კონცეფცია, პროექტი დამტკიცებულია და მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია. აღნიშნული დაწესებულების მშენებლობა შესაძლებელს გახდის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დაწესებულებაში განთავსდნენ. მოეწყობა მათთვის ადეკვატური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემო პირობები, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო თუ რესოციალიზაციის პროგრამების განსახორციელებლად სრულყოფილი ინფრასტრუქტურა.

ამოცანა: 5.4.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

<u>საქმიანობა:</u> 5.1.4.1. საწარმოო ზონების და მინი დასაქმების კერების შექმნა პატიმართა შრომითი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი საწარმოო ზონებისა და მინი დასაქმების კერების რაოდენობა; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინტენსიურად მუშაობს პატიმართა დასაქმების კუთხით, კერძოდ, 2015 წელს დასრულდა N16 დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულების საწარმოო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, N5 პენიტენციურ დაწესებულებაში გაკეთდა სილამაზის სალონი და მოეწყო სამკერვალო მინი ფაბრიკა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდა სულ 4 დასაქმების კერა.

2015 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო სულ 860 მსჯავრდებული. მათ შორის:

834 - სამეურნეო სამსახურში დასაქმებული;

5 - სილამაზის სალონებში დასაქმებული;

21 - სამკერვალო სალონში დასაქმებული.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემუშავდა კანონპროექტი „პატიმრობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის ინიცირებაც მთავრობამ მოახდინა 2015 წლის დეკემბერში და საგაზაფხულო სესიაზე მოხდება პარლამენტში განხილვა. საკანონმდებლო პაკეტი ასევე, მოიცავს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა დასაქმების მარეგულირებელი ნორმების გადახედვას.

ასევე, არსებობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულების მიერ დამზადებული საგნების რეალიზაციას ელექტრონულად, ონლაინ მაღაზიის მეშვეობით.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.4.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა

<u>ინდიკატორი:</u> დაწესებულებებში მიმდინარე საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვა სარეაბილიტაციო კურსები შესაბამისობაშია ეროვნულ სტანდარტებთან; საგანმანათლებლო, პროფესიულ და სხვა სარეაბილიტაციო კურსებში ჩართულ და სერთიფიცირებულ პატიმართა რაოდენობა.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

№11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის №2 და №8 დაწესებულებაში - ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობის პროგრამა.

ზოგადი განათლება არასრულწლოვანთათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს ქვეყანაში არსებული სტანდარტის შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით.

სკოლასთან და უმაღლესი განათლების დაწესებულებაში სწავლასთან დაკავშირებული გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა და მოსწრება 2015 წელს შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

აქტივობა	**მსჯავრდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა**
<u>ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდები</u>	
მონაწილეობის სურვილი განაცხადა	16
ჩააბარა	16
<u>სკოლის გამოსაშვები გამოცდები</u>	
მონაწილეობის სურვილი განაცხადა	9
ჩააბარა	5
<u>ერთიანი ეროვნული გამოცდები</u>	
მონაწილეობის სურვილი განაცხადა	12
ჩააბარა	5
<u>სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსები</u>	
სახელობო/პროფესიული სწავლება	302
კომპიუტერული სასწავლო პროგრამა	377
სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლება	775

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხელმისაწვდომია შემდეგი სახელობო/პროფესიული სწავლების კურსები: ხეზე კვეთის შემსწავლელი; ქარგვის შემსწავლელი; კოსმეტოლოგია; ჭრა-კერვის შემსწავლელი; თექის შემსწავლელი; მასაჟი; მინანქრის ტექნოლოგიის შემსწავლელი წრე; სტილისტის შემსწავლელი. სატრენინგო/საგანმანათლებლო სწავლების შემდეგი კურსები: ინგლისური ენის; ქართული ენის; მცირე ბიზნესის მწარმოებელი; გიდი (ტურიზმი); სასტუმროს პერსონალის მომზადება; გალობის შემსწავლელი კურსი; მართვის მოწმობის შემსწავლელი თეორიული კურსი; მედავითნეობის შემსწავლელი კურსი. ხელმისაწვდომია შემდეგი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები: კომპიუტერული საოფისე პროგრამები; კომპიუტერული გრაფიკა; ვებ დიზაინი; პროგრამა Access-ი.

სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, სასწავლო დაწესებულებებში განათლების მიღებისა და ალტერნატიული პროფესიის დაუფლების ხელშეწყობის მიზნით, სპეციალური მომზადება (ტრენერთა ტრენინგი) გაიარა პენიტენციური სისტემის 42-მა სოციალურმა მუშაკმა და ფსიქოლოგმა, რომლებიც

ჩართულნი არიან მსჯავრდებულთა საგანმანათლებლო პროგრამებში. ასევე, ტრენერთა ტრეინინგი კომპიუტერული სწავლების განხორციელების მიზნით გაიარა 19-მა ტრენერმა.

<u>საქმიანობა</u>: 5.1.4.3. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით ეფექტური სარეაბილიტაციო პროგრამების და სერვისების შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილ მსჯავრდებულთა რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წლის დასაწყისში სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების გაძლიერების სამუშაო ჯგუფი. სტანდარტიზებული და ხარისხიანი სერვისის მიწოდების მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შემუშავდა ფსიქო- სოციალური პროგრამები:

- "პენიტენციური სტრესის დაძლევის" სარეაბილიტაციო პროგრამა;
- "კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება - COSO";
- "ბრაზის მართვის პროგრამა";
- "სასარგებლო უნარების განვითარების ჯგუფი" - ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა;
- "ატლანტისი-12 ნაბიჯი" - სტაციონარული ტიპის სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის;
- სარეაბილიტაციო პროგრამა წამალდამოკიდებულთათვის;
- "EQUIP" - დანაშაულის გაცნობიერება, ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვნების სარეაბილიტაციო პროგრამა;
- არტ თერაპია;
- ბიბლიო თერაპია.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარებით შეიქმნა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა - **„პოზიტიური აზროვნების უნარების განვითარება (Thinking For a Change)“** მოდული, ბრიტანელი ექსპერტის ხელმძღვანელობითა და პენიტენციური დეპარტამენტის, პრობაციის სააგენტოს და პრევენციის ცენტრის თანამშრომლების რესურსით. სამივე სტრუქტურაში მიმდინარეობს პროგრამის პილოტი, რომლის დასრულების შემდგომაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში პროგრამის ჩასწორება და შემდგომი სრული იმპლემენტაცია.

პენიტენციური სისტემის სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რესურსით შეიქმნა 25 სესიიანი პროგრამა **"გათავისუფლებისთვის მზადება" (Re entry),** რომელიც პილოტს გადის 5 დაწესებულებაში და ამის შემდგომ დაინერგება ყველა დაწესებულებაში.

მიმდინარე წელს განხორციელდა 50-მდე ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის გადამზადება აღნიშნულ პროგრამებში, რომელთაც თავის მხრივ ამ პროგრამების იმპლემენტაცია მოახდინეს დაწესებულებებში.

მიმდინარე წელს ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში და პროგრამებში ჩართული იყო **1520 ბენეფიციარი:**

- ფსიქო-სოციალური ტრენინგები - **1113** მსჯავრდებული;
- არტ/ბიბლიო თერაპია - **255** მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალური პროგრამები /თერაპიები (სარეაბილიტაციო) - **152** მსჯავრდებული

<u>საქმიანობა:</u> 5.1.4.4. მსჯავრდებულებთან მიმართებაში სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომის მეთოდოლოგიის გამოყენება პილოტურ ი სახით რიგ დაწესებულებებში

<u>ინდიკატორი:</u> სასჯელის დაგეგმვის ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილ მსჯავრდებულთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის 29 აპრილის N33 ბრძანებით დამტკიცებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის მიხედვით ინდივიდუალური მიდგომა დაინერგა N16 დაწესებულებაში. N12 დაწესებულებაში ამჟამად სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პილოტირების პროცესია. N6 პენიტენციურ დაწესებულებაში მიდგომის დასანერგად გადამზადებულია მულტიდისციპლინური გუნდი. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვით 2015 წლის 31 დეკემბერს უზრუნველყოფილი იყო 131 მსჯავრდებული.

ამოცანა: 5.1.5. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი გაძლიერება

<u>საქმიანობა:</u> 5.1.5.1. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმის შემდგომი განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის გაზრდა; ქალი პატიმრებისთვის ადგილობრივი საბჭოს ჩამოყალიბება; სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების/კომისიის მიერ დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ადგილობრივი საბჭოების რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ მექანიზმის ეფექტურად საქმიანობას. კერძოდ: აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოს ნაცვლად შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს საქართველოს დედაქალაქის ქ. თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს; აღმოსავლეთ საქართველოს მეორე ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს თვითმმართველი ქალაქ რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე პენიტენციური დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულების საქმეებს და ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო, რომელიც განიხილავს სრულწლოვან ქალ მსჯავრდებულთა საქმეებს და ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭო (სულ 3 საბჭოს ნაცვლად შეიქმნა 5 ადგილობრივი საბჭო).

აღსანიშნავია, რომ მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმებით, ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების გადახედვის შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს გააჩნია, რაც მოცემული საბჭოების საქმიანობის გამჭვირვალობის, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და მიუკერძოებლობის ერთ-ერთი გარანტიაა. მოცემული საბჭოების შემდგომი განვითარებისათვის დაგეგმილია მათი საქმიანობის შესაძლო ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი კვლევა და საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

2015 წელს, სულ საბჭოების და კომისიის მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელის შეცვლა მოხდა 60 პირის მიმართ.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.5.2. ადგილობრივი საბჭოების და მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების დაფუძვნება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიაზე პილოტური დაწესებულებების შემთხვევებში

<u>ინდიკატორი:</u> მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა N11 და N5 დაწესებულებებში, რომლებშიც ხორციელდება სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, ასევე ხდება აღნიშნული გეგმის შედეგების გათვალისწინება ადგილობრივი საბჭოების მიერ მსჯავრდებულთა ვადამდე პირობით გათავისუფლების გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. მაგალითისთვის, 2015 წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 9 ქალმა, თუმცა, არც ერთი არ იყო გათავისუფლებული 2015 წელს. (მსგავსი სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის სხვა დაწესებულებებთან მიმართებაში, არამედ, ინდივიდუალურად უნდა მოხდეს პირთა იდენტიფიკაცია და მონაცემების დათვლა).

იმ დაწესებულებებში, რომლებშიც დაგეგმილია სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა, ასევე მოხდება აღნიშნული გეგმის შედეგების გათვალისწინება შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს მიერ.

ამოცანა: 5.1.6. პატიმართა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება

<u>საქმიანობა:</u> 5.1.6.1. პატიმართა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების შესახებ საჩივრების, დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ პროცედურებთან მიმართებაში

<u>ინდიკატორი:</u> დაბეჭდილი სხვადასხვა ენოვანი საინფორმაციო ბროშურების/პლაკატების რაოდენობა პატიმართა უფლებების შესახებ; მსჯავრდებულთათვის მოთხოვნის შესაბამისად გადაცემული ბროშურების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პატიმართა უფლებების შესახებ მომზადებულია და დაბეჭდილია ბროშურები:

- ✓ 5'000 ბროშურა სრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ქართულ ენაზე;
- ✓ -500 ბროშურა სრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ 5 ენაზე (აზერბაიჯანული, სომხური, თურქული, რუსული და ინგლისური);
- ✓ 100 ბროშურა არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ, ქართულ ენაზე;

სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ მომზადდა ტრენინგ მოდული ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ. პროგრამა დაინერგა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში და 2015 წლის განმავლობაში მასში ჩართული იყო 63 ბენეფიციარი.

<u>საქმიანობა:</u> 5.1.6.2. პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი:</u> მსჯავრდებულთათვის უზრუნველყოფილი სპეციალური საჩივრის კონვერტთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით სხვადასხვა ადრესატთან პატიმართა მიერ გაიგზავნა 7799 საჩივარი.

პენიტენციური რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, გამარტივდა საჩივრის განხილვის ადმინისტრაციული წარმოება და შემცირდა საჩივრის განხილვის ვადები. განცხადების/საჩივრის განხილვის ვადად განისაზღვრა 10 დღე და მისი გაზრდა განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ 10 დღით და დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

სპეციალური კონვერტები ანონიმური საჩივრებისთვის ხელმისაწვდომია ყველა მსჯავრდებულისთვის.

ამოცანა: 5.1.7 სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირება

<u>საქმიანობა:</u> 5.1.7.1. მონიტორინგის მექანიზმების მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწა და პრაქტიკაში იმპლემენტაცია

<u>ინდიკატორი:</u> განახლებული მეთოდოლოგია; შესაბამისი ტრეინინგების პრაქტიკაში დანერგვა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სისტემური მონიტორინგის სამმართველო შეიქმნა მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით. ამავე დღეს დამტკიცდა საშტატო ნუსხა. სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში სისტემური მონიტორინგის განხორციელებას, მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანგარიშის მომზადებას. აგრეთვე, სისტემური მონიტორინგის დროს აღმოჩენილი ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზსა და მათი აღმოფხვრის მიზნით მინისტრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენას.

2015 წლის სექტემბერ-დეკემბერში სამმართველომ ჩაატარა 3 მონიტორინგი:

1) N14 პენიტენციურ დაწესებულებაში - არაგეგმური სრული სისტემური მონიტორინგი;

2) N5 პენიტენციურ დაწესებულებებში - ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სოციალური უფლებების დაცვის მდგომარეობის არაგეგმური თემატური მონიტორინგი.

3) დეკემბერის თვეში არაგეგმური სრული სისტემური მონიტორინგი N17 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა.

ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, N14 პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა 7 პირს. მათ შორის 2 პირი (დაწესებულების დირექტორი და მოადგილე სამართლებრივი რეჟიმის დარგში) გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, 2 პირს გამოეცხადა საყვედური, 3 პირს დაეკისრა 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

ამოცანა: 5.1.8. სამინისტროსთან არსებული ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა

<u>საქმიანობა:</u> 5.1.8.1. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი მონიტორინგის საბჭოს ჩამოყალიბება

<u>ინდიკატორი:</u> შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებები ინიცირებულია; მონიტორინგის საბჭო ჩამოყალიბებულია, მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავებულია; მონიტორებს გავლილი აქვთ ყველა შესაბამისი ტრეინინგი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №139 ბრძანებით შეიქმნა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სათათბირო ორგანო – საკონსულტაციო საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. საბჭოს უფლებამოსილებებია: სასჯელაღსრულების სისტემის განვითარებასთან დაკავშირებით დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენა, სასჯელთა აღსრულების საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო უცხოური გამოცდილების შესწავლა და დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, სასჯელთა აღსრულების სფეროში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების და რეფორმების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება.

მიზანი: 5.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემა

ამოცანა: 5.2.1. სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.1. ინფრასტრუქტურის განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> პრობაციის ცენტრალური და თბილისის ბიუროს ახალ ოფისში გადასვლა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისი და თბილისის პრობაციის ბიურო ფუნქციონირებს ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ოფისში. თბილისის პრობაციის ბიუროს ახალ ოფისს აქვს ინდივიდუალური გასაუბრებების ოთახი, რაც პრობაციის ოფიცერს საშუალებას აძლევს, ინდივიდუალურად გაესაუბროს პირობით მსჯავრდებულს. ასევე, ფუნქციონირებს ჯგუფური თერაპიის ოთახები, რომელიც სოციალურ მუშაკსა და ფსიქოლოგს ეხმარება, უკეთ დაგეგმონ და განახორციელონ პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია. 2015 წელს გაიხსნა პრობაციის ბიუროები თეთრწყაროსა და ხაშურში. მიმდინარეობს რუსთავის პრობაციის ახალი ბიუროს მშენებლობა, რომლის გახსნაც 2016 წლის პირველ კვარტალშია დაგეგმილი.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.2. პრობაციის სამსახურის სტრუქტურის განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის ივლისის თვიდან წარმატებით ფუნქციონირებს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომელიც ამჟამად შედგება 51 თანამშრომლისგან. მითითებული სამსახურის თანამშრომელი წარმოდგენილია პრობაციის ყველა ბიუროში.

საქართველოს ყველა რეგიონში პირობით მსჯავრდებულებისთვის სერვისების მიწოდებას, პრობაციის ოფიცრებთან ერთად, ახორციელებდნენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეული- ელექტრონული მონიტორინგის სამმართველო, რომლის მიზანსაც წარმოადგენს არასრულწლოვანთა მიმართ შინაპატიმრობის - როგორც ალტერნატიული სასჯელის ეფექტური აღსრულება და მონიტორინგი.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.3. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება

<u>ინდიკატორი:</u> პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს პირობით მსჯავრდებულთა საქმეების საშუალო რაოდენობამ ერთ ოფიცერზე შეადგინა 113.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.4. ვიდეოპაემნის სერვისი

<u>ინდიკატორი:</u> ვიდეოპაემნის მომსახურების გაფართოება, დამატებით ერთი წერტილით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ვიდეოპაემანის სერვისის ქსელი ხელმისაწვდომი იყო პრობაციის 7 ბიუროში (თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ახალციხე, ზუგდიდი და თელავი), საიდანაც დაკავშირება ხდებოდა 4 პენიტენციურ დაწესებულებასთან. 2015 წელს ვიდეო-პაემნის სერვისით ჯამურად ისარგებლა 374 პირმა.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.5. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება

<u>ინდიკატორი:</u> თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გამართულად ფუნქციონირება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პრობაციის სისტემაში 2014 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს 100 მსჯავრდებულზე გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. დაწესებულებაში განთავსებულ პირებს, დღის განრიგის მიხედვით, არ აქვთ შეზღუდული ერთმანეთთან ურთიერთობისა და ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. მათ შეუძლიათ შაბათ-კვირას დატოვონ დაწესებულების ტერიტორია და წავიდნენ ოჯახებში. თავისუფლებაშეზღუდულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ და შესაბამისი ანაზღაურება მიღონ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა პროფილის საწარმოში. ამოქმედების დღიდან, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელი მოიხადა 99-მა მსჯავრდებულმა პირმა, ამჟამად სასჯელს იხდის 26 თავისუფლებაშეზღუდული პირი.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.1.6. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> პრობაციის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ამ დროისათვის პრობაციის ეროვნული სააგენტოში მუშაობს 392 (შტატიანი და შტატგარეშე) თანამშრომელი. ვინაიდან, წლის განმავლობაში ორგანიზებული 23 ტრეინინგი ეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, სხვადასხვა ტრეინინგი გაიარა ერთიდაიგივე თანამშრომელმა. შესაბამისად, წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამაში მონაწილეთა ჯამური რაოდენობაა 471 თანამშრომელი.

ამოცანა: 5.2.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება

<u>საქმიანობა:</u> 5.2.2.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული და ინიცირებული შესაბამისი ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის სექტემბრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელიც საქართველოს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით უნდა აღასრულოს. სასჯელის მოხდის ამ ალტერნატიული ფორმის დანერგვა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის გზაზე.

ამოცანა: 5.2.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 5.2.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება

<u>ინდიკატორი:</u> ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პირობით მსჯავრდებულთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა მაჩვენებელი შეადგენს 100 პროცენტს.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.3.2. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან

<u>ინდიკატორი:</u> რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სტატისტიკური მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მაჩვენებელი შეადგენს 87,7 პროცენტს (აღრიცხვაზე მყოფი 16 302 პრობაციონერიდან შეფასება გაუკეთდა 14297–ს).

ამოცანა 5.2.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება

<u>საქმიანობა:</u> 5.2.4.1. პრობაციონერთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება

<u>ინდიკატორი:</u> სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 8238–მა პირობით მსჯავრდებულმა, აღრიცხვაზე მყოფი პირობით მსჯავრდებულთა 42.8 პროცენტმა.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.4.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> დასაქმებულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, 2014 წლის განმავლობაში დასაქმდა 145 ხოლო, 2015 წლის პერიოდში 124 პირობით მსჯავრდებული.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.4.3. სპორტული აქტივობები

<u>ინდიკატორი:</u> სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში 2014 წლის განმავლობაში ჩართული იყო 89, ხოლო 2015 წლის პერიოდში 87 პირობით მსჯავრდებული.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.4.4. შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები

<u>ინდიკატორი:</u> შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებებში 2014 წელს ჩართული იყო 2275 ხოლო, 2015 წლის განმავლობაში 1145 პირობით მსჯავრდებული.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.4.5. საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციები

<u>ინდიკატორი:</u> საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ აქციებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ ღონისძიებებში ჩართული იყო 150–მდე პირობით მსჯავრდებული.

ამოცანა: 5.2.5 პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 5.2.5.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში

<u>ინდიკატორი</u>: პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პრობაციის სისტემის შესახებ ინფორმაციები საზოგადოებას მიეწოდებოდა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით: საინფორმაციო სააგენტოებით, ცენტრალური და რეგიონული ტელევიზიებით და პრესით, აგრეთვე პრობაციის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდით. ამავე ვებ-გვერდზე განთავსებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიშები. მომზადდა და ეროვნულ ტელეარხებზე გავიდა სოციალური რეკლამა ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების გამოყენებით შინაპატიმრობის აღსრულების შესახებ.

<u>საქმიანობა:</u> 5.2.5.2. საინფორმაციო ვიდეო რგოლების დამზადება, სხვადასხვა შინაარსის ფლაერებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა

<u>ინდიკატორი:</u> პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ, საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ფინანსური ხელშეწყობით, დაბეჭდა რამდენიმე სახის საინფორმაციო ბუკლეტი, კერძოდ:

- პირველ ბუკლეტში (რაოდენობა: 7500) განმარტებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციები და მიზნები, რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგია. მასში ასევე შევიდა ინფორმაცია ვიდეოპაემნის

სერვისის, ელექტრონული მონიტორინგისა და პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხების შესახებ.

- მეორე საინფორმაციო ბუკლეტი (რაოდენობა: 3000) შეიცავს ინფორმაციას სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს და ამ სტრუქტურაში დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ფუნქციების შესახებ.
- გამოიცა 4000–4000 ბუკლეტი საზოგადებისთვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შესახებ.
- დაიბეჭდა 2 სახის პოსტერიც (რაოდენობა 100–100 ეგზემპლარი) ელექტრონული მონიტორინგისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესახებ, რომლებიც სასამართლო შენობებში, თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკრა.

მიზანი: 5.3. ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში ადამიანის უფლებათა დაცვის საუკეთესო სტანდარტების გათვალისწინება

ამოცანა: 5.3.1 ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება

<u>საქმიანობა:</u> 5.3.1.1 საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

<u>ინდიკატორი</u>: მომზადებული და შექმნილია შესაბამისი დოკუმენტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, პენიტენციური დეპარტამენტის, სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ-დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ერთობლივად შემუშავებულ იქნა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა სტანდარტების და ერთიანი სარეაბილიტაციო მიდგომების ჩამოყალიბებას.

ამოცანა: 5.3.2. რეაბილიტაციის პროცესის უწყვეტობა

<u>საქმიანობა:</u> 5.3.2.1 გათავისუფლებამდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობის დაწყება, გათავისუფლებისთვის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> პროგრამაში ჩართული ყოფილ პატიმართა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულებთან მუშაობა იწყება გათავისუფლებამდე 1-3 თვით ადრე. სოციალური მუშაკების მიერ მსჯავრდებულებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამისა და იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი სთავაზობს.

2015 წელს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური მუშაკები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ინდივიდუალურად და ჯგუფურად შეხვდნენ 2649 მსჯავრდებულს. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას 2015 წლის განმავლობაში მომართა 896 ყოფილმა პატიმარმა, რომელთაგანაც პროგრამის მომსახურებით ისარგებლა 704 ყოფილმა პატიმარმა.

ამოცანა: 5.3.3. ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება

<u>საქმიანობა:</u> 5.3.3.1 ყოფილი პატიმრებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება

<u>ინდიკატორი:</u> სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის განმავლობაში სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის მომსახურებით ისარგებლა 704 ყოფილმა პატიმარმა. პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები და მათი ოჯახის წევრები ღებულობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას მათი სურვილის, ინტერესისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროების შესაბამისად.

ეს მომსახურებებია:

1. ფსიქო-სოციალური მომსახურება - სულ 92 ბენეფიციარი
   - პროგრამის ფსიქოლოგთან ფსიქოლოგიური კონსულტაცია გაიარა 57 ბენეფიციარმა;
   - გარე სერვისების გამოყენებით ფსიქოლოგის და ფსიქიატრის მომსახურეობა გაეწია 35 ბენეფიციარს.

2. იურიდიული დახმარება - სულ 218 ბენეფიციარი
   - პროგრამის იურისტის მიერ 2015 წელს 177-მა ბენეფიციარმა მიიღო იურიდიული კონსულტაცია;
   - გარე სერვისების გამოყენებით იურიდიული მომსახურება გაეწია 41 ბენეფიციარს (იურიდიული წარმომადგენლობით ისარგებლა 7-მა ბენეფიციარმა, ხოლო კონსულტაცია მიიღო 34-მა ბენეფიციარმა).

3. ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება - 329 ბენეფიციარი
   - სხვადასხვა ტიპის სამედიცინო ,მომსახურება გაეწია 263 ბენეფიციარს;
   - მედიკამენტების ვაუჩერი მიიღო 32-მა ბენეფიციარმა;
   - სტომატოლოგიური მომსახურება გაეწია 9 ბენეფიციარს;
   - სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი 10 დღიანი კურსი კურორტ საირმეში გაიარა 25-მა ბენეფიციარმა.

4. არაფორმალური განათლება/ტრეინინგები - სულ 328 ბენეფიციარი და მათი ოჯახი წევრები:
   - თემატური ტრენინგები ცენტრის ბაზაზე გაიარა 252-მა ბენეფიციარმა;
   - თემატური ტრენინგები მხარდამჭერ ორგანიზაციებში გაიარა 76-მა ბენეფიციარმა.

5. პროფესიული უნარების შეძენა - სულ 67 ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრები:
   - პროფესიული გადამზადების კურსში ჩაერთო 84 ბენეფიციარი, თუმცა კურსი სრულიად გაიარა 59 ბენეფიციარმა;
   - მართვის მოწმობის თეორიული კურსი გაიარა 8 ბენეფიციარმა.

6. ინგლისურის ენის კურსი - სულ 68 ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრები:
   - ინგლისური ენის კურსი სრულად გაიარა 29 ბენეფიციარმა და 39-მა ბენეფიციარის ოჯახის წევრმა.

7. სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო აქტივობები - სულ 305 ბენეფიციარი და ოჯახის წევრები:
   - სპორტულ მატჩებზე დასასწრებად დარიგდა 100 ბილეთი: 60 სარაგბო მატჩის ბილეთი, 40 საფეხბურთო მატჩის ბილეთი;

- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების 23-მა შვილმა დაისვენა და მონაწილეობა მიიღო "მომავლის ბანაკისა" და ახალგაზრდული კვირეულის რეკრეაციულ ღონისძიებებში;
- მოზარდმაყურებელთა თეატრის 9 სპექტაკლს დაესწრნენ ბენეფიციარები და მათი შვილები, ოჯახის წევრები. ჯამში 84 მონაწილე;
- სპორტულ საფეხბურთო გუნდში ჩაერთო 4 ბენეფიციარი;
- ცენტრის მიერ განხორციელებულ სპორტულ-საგანმანათლებლო აქტივობაში 62 მონაწილე;
- საახალწლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 31 ბენეფიციარმა.

8. დასაქმების ხელშეწყობა - სულ 111 ბენეფიციარი და ოჯახის წევრები:
   - 66 ბენეფიციარი დასაქმდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელშეწყობით;
   - ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 13-მა ბენეფიციარმა;
   - პროგრამაში ჩართულმა 47-მა ბენეფიციარმა მიიღო მცირე ბიზნესის ხელშემწყობი გრანტი, მათგან:
     - ✓ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში ჩართულმა 17-მა ბენეფიციარმა მიიღო ბიზნეს გრანტის დაფინანსება;
     - ✓ ცენტრის მხარდაჭერით, 30-მა ბენეფიციარმა გრანტი მოიპოვა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით.

2015 წლის განმავლობაში სამუშაო პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული სპეციალისტები გადამზადდნენ 11 თემატურ ტრეინინგში.

რეგულარულად ტარდება სოციალურ მუშაკთა ჯგუფური და ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობა.

<u>საქმიანობა:</u> 5.3.3.2 ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> დასაქმებულ ყოფილ პატიმართა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დასაქმების ხელშეწყობის ხელშეწყობის პროგრამაში სულ 111 ბენეფიციარი და ოჯახის წევრი იყო ჩართული, კერძოდ:

- ✓ 66 ბენეფიციარი დასაქმდა დანაშაულის პრევენციის ცენტრის ხელშეწყობით;
- ✓ ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 13-მა ბენეფიციარმა;
- ✓ პროგრამაში ჩართულმა 47-მა ბენეფიციარმა მიიღო მცირე ბიზნესის ხელშემწყობი გრანტი, მათგან:
  - დანაშაულის პრევენციის ცენტრის, მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამის ფარგლებში, პროგრამაში ჩართულმა 17-მა ბენეფიციარმა მიიღო ბიზნეს გრანტის დაფინანსება;
  - ცენტრის მხარდაჭერით, 30-მა ბენეფიციარმა გრანტი მოიპოვა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით.

<u>საქმიანობა</u>: 5.3.3.3. სპორტული აქტივობები

<u>ინდიკატორი:</u> სპორტულ აქტივობებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო სულ 189 ბენეფიციარი და ოჯახის წევრები, კერძოდ:

- ✓ სპორტულ მატჩებზე დასასწრებად დარიგდა 100 ბილეთი: 60 სარაგბო მატჩის ბილეთი, 40 საფეხბურთო მატჩის ბილეთი;
- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების 23-მა შვილმა დაისვენა და მონაწილეობა მიიღო "მომავლის ბანაკისა" და ახალგაზრდული კვირეულის რეკრეაციულ ღონისძიებებში;
- ✓ სპორტულ საფეხბურთო გუნდში ჩაერთო 4 ბენეფიციარი;
- ✓ ცენტრის მიერ განხორციელებულ სპორტულ-საგანმანათლებლო აქტივობაში ჩაერთო 62 მონაწილე.

<u>საქმიანობა:</u> 5.3.3.4 შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები

<u>ინდიკატორი:</u> შემეცნებით-კულტურული ღონისძიებებში ჩართულ ყოფილ პატიმართა და ოჯახის წევრთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებაში ჩართული იყო სულ 115 მონაწილე:

- ✓ მოზარდმაყურებელთა თეატრის 9 სპექტაკლს დაესწრნენ ბენეფიციარები და მათი ოჯახის წევრები. ჯამში 84 მონაწილე;
- ✓ საახალწლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 31 ბენეფიციარმა.

<u>საქმიანობა:</u> 5.3.3.5 ყოფილ პატიმრებთან მომუშავე თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის განმავლობაში სამუშაო პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული სპეციალისტები გადამზადდნენ 11 თემატურ ტრეინინგში.

რეგულარულად ტარდება სოციალურ მუშაკთა ჯგუფური და ინდივიდუალური პროფესიული ზედამხედველობა.

ამოცანა 5.3.4. ყოფილი პატიმრების პროფესიული გადამზადება.

<u>საქმიანობა</u>: 5.3.4.1 ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი</u>: პროფესიულ სწავლებაში ჩართული ყოფილ პატიმართა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პროფესიული გადამზადების სხვადასხვა კურსი სრულად გაიარა 67-მა ბენეფიციარმა და ოჯახის წევრმა. პროფესიული გადამზადების უფასო კურსები საქართველოს იუსტიციისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარეობდა. პროფესიული კურსები თბილისში, სხვადასხვა სახელმწიფო კოლეჯში ჩატარდა. პროგრამის ბენეფიციარები და მათი ოჯახის წევრები დაეუფლნენ ბუღალტერიის, ოფის-მენეჯერის, მზარეულის, ძრავის შემკეთებლის, კომპიუტერული ქსელების ტექნიკოსის, შემდუღებლის და სტილისტის სპეციალობებს. კურსები ჩატარდა გლდანის პროფესიულ გადამზადების ცენტრში, ასევე კოლეჯებში - „მერმისი“, „იკარუსი“ და „სპექტრი“.

აგრეთვე, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარებს შესაძლებლობა ეძლევათ, პროფესიული გადამზადებისა და სტაჟირების კურსები გაიარონ ჯანდაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დასაქმების ქვეპროგრამაში ,,worknet”-ი. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალ www.worknet.ge -ზე დარეგისტრირებულია 46 სამუშაოს მაძიებელი ბენეფიციარი.

ამოცანა: 5.3.5. საზოგადოების ინფორმირება და ჩართულობის გაზრდა

<u>საქმიანობა</u>: 5.3.5.1 დანაშაულის პრევენციის ცენტრის წლიური ანგარიში

<u>ინდიკატორი</u>: საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

გამოქვეყნდა სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 2014 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ჟურნალი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ შედეგებს.[2]

<u>საქმიანობა:</u> 5.3.5.2 საინფორმაციო ვიდეო რგოლი, სხვადასხვა შინაარსის ფლაერების, ბუკლეტების, პლაკატების დამზადება, სოციალური კამპანიის წარმოება

<u>ინდიკატორი</u>: საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ 2015 წლის 26 მაისისთვის დაიბეჭდა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამის სრული შედეგების შესახებ ერთგვერდიანი ფლაერი;
- ✓ 2015 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის მხარდამჭერი, კერძო და სახელმწიფო კომპანიების მიერ გაწეული დახმარებების შესახებ საზოგადოების ინფორმირება (საინფორმაციო მხარდაჭერა სატელევიზიო, რადიო, ბეჭდურ თუ ინტერნეტ მედიასაშუალებებით). ეს კომპანიებია: ბალნეოლოგიური კურორტი „საირმე“, სტომატოლოგიური მომსახურება, PSP, ავერსი, თბილისის მერია, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი, კინოცენტრი, იურიდიული მომსახურების სააგენტო, სპორტული ფედერაციები და სხვა.

[2] ჟურნალი ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://prevention.gov.ge/uploads/files/sajaro/angarishi2014a.pdf

- ✓ 2015 წლის 17 აპრილს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია "დანაშაულის პრევენცია", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. მიზანი იყო სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობის გაცნობა. ღონისძიებაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო რეაბილიტაციის პროგრამას. კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით გაეროს მუდმივი კოორდინატორი და გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში ნილს სკოტი დაესწრო. კონფერენცია სასტუმრო „რედისონში" გაიმართა.
- ✓ მიღწეულია შეთანხმება „ლიბერთი ბანკთან", რომ რეაბილიტაციის თემაზე დამზადებული საინფორმაციო გამოცემები მათ სერვის ქსელშიც გავრცელდეს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაიმართა სარეკლამო რგოლების ჩვენებები - „შეცვალე სცენარი", „ერთად ვიზრუნოთ ყოფილ პატიმარზე".
- ✓ 2015 წლის დეკემბრის თვეში ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ მომზადდა რადიოსთვის რეკლამა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად გადიოდა რადიოსადგურების - „იმედისა" და „მაესტროს" სარეკლამო ჭრებში.
- ✓ ყოფილ პატიმართა წარმატებული ბიზნესსაქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, საინფორმაციო პორტალმა „ინფო9"-მ 2015 წლის ოქტომბრიდან დაიწყო პროგრამის ბენეფიციარების ისტორიების ციკლის - „წარმატებული ისტორია" გადაღება და ინტერნეტ სივრცეში გავრცელება.
- ✓ დაიბეჭდა 2016 წლის კალენდარი, რომელშიც, ასევე რამდენიმე გვერდი ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამის შედეგებს დაეთმო.
- ✓ საანგარიშო პერიოდში სისტემატურად მზადდებოდა რეაბილიტაციის პროგრამის ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება საინფორმაციო სააგენტოების საშუალებით. აქტიურად ქვეყნდებოდა სიახლეები დანაშაულის პრევენციის ცენტრის Facebook-ის ოფიციალურ გვერდზე (ინფორმაცია, ფოტოგალერეა, ვიდეო).

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
48	44	2	2

6. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

მიზანი: 6. წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლა

ამოცანა: 6.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 6.1.1. შესაბამისი ღონისძიებების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეროვნულ გეგმაში ასახვა

<u>ინდიკატორი:</u> გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები; საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებების პაკეტი/მთავარი პროკურორის სახელმძღვანელო პრინციპები; საჯარო განცხადებები; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა და 2015 წლის 18 მაისს მიიღო ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის I თავი ეძღვნება არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას. თავში შესულია რამდენიმე აქტივობა, რომელიც, შესაბამისი თემატური მიმართულებების გათვალისწინებით ითვალისწინებს სამართლებრივი ბაზის ანალიზს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას.

> *<u>საქმიანობა:</u> 6.1.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკანონმდებლო ბაზისა და შიდაუწყებრივი აქტების გაანალიზება ეფექტურობისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.*

<u>ინდიკატორი:</u> გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები; საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებების პაკეტი/მთავარი პროკურორის სახელმძღვანელო პრინციპები; საჯარო განცხადებები; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

> *საქმიანობა: 6.1.3. ზემოთ მოცემული ღონისძიებაში მითითებული ანალიზის საფუძველზე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და წარდგენა, შიდაუწყებრივი აქტების გაუმჯობესება*

<u>ინდიკატორი:</u> გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების და წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები; საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებების პაკეტი/მთავარი პროკურორის სახელმძღვანელო პრინციპები; საჯარო განცხადებები; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მომუშავე ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის დროს წამებასთან და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლაში მოსამართლის როლის გაზრდას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა თანახმად, სასამართლოს სხდომის/განხილვის ნებისმერი სტადიაზე მოსამართლე, თუ მას გაუჩნდა ვარაუდი, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, ასევე არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, უფლებამოსილია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

2015 წელს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმის ფარგლებში ცვლილება შევიდა 41 კანონში

და დაიწერა 1 ახალი კანონი „სპეციალური წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან პენიტენციური სამსახურის შესახებ“; ბრძოლის მიზნით, 2015 წლის განმავლობაში გამოიცა შემდეგი ბრძანებები:

- „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის უფლების განხორციელების შესახებ“ 2015 წლის 2 ნოემბრის №157 ბრძანება;
- „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანება;
- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სათათბირო ორგანოს – საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №139 ბრძანება
- „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების, წახალისების წესისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანება;
- 2015 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან ერთად გამოიცა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ახალი, ერთობლივი ბრძანება - ,,ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების განსაზღვრის შესახებ“.

2015 წლის 3 ივლისს გამოიცა ნორმატიული აქტები:

- ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება მსჯავრდებულთა რისკების სახეები, რისკის შეფასების კრიტერიუმები, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესი და პირობები, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესი;
- ნორმატიული აქტი, რომლითაც რეგულირდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის შეფასება და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, წესი და ფორმა;

2015 წლის 26 აგვისტოს, დამტკიცდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანის წესი და პირობები.

ევროკავშირის გრანტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, 2015 წლის სექტემბერში, დაასრულა მუშაობა დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომელთა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შემუშავებაზე. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობაში ჩართული გახლდათ ბრიტანელი ექსპერტი ჯეიმს მერდოკი, რომელიც 2014 წელს იმყოფებოდა საქართველოში და დეტალურად შეისწავლა დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობა. ექსპერტმა დადებითად შეაფასა იზოლატორების ფუნქციონირება; დოკუმენტის დამტკიცება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უახლოეს მომავალში იგეგმება.

ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში, 2015 წლის ზაფხულში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს იზოლატორში პიროვნების მოთავსებისას შესავსები სამედიცინო შემოწმების ფორმის შემუშავებაზე. დოკუმენტის პირველადი ვერსია შემუშავებულია და იგი სრულად ეფუძნება სტამბულის პროტოკოლის პრინციპებს.

რაც შეეხება პროკურორის სახელმძღვანელო პრინციპებს, აღნიშნული საქმიანობის შესრულება დაგეგმილია 2016 წლის პერიოდში. მითითებული აქტივობა, ასევე, ასახულია 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში (იხილეთ 5.1.6.1 აქტივობა).

ამოცანა: 6.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და ინსტიტუციური მოპყრობის გაუმჯობესება

> *<u>საქმიანობა:</u> 6.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადეკვატური მატერიალური პირობების უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზისა და საჭირო ღონისძიებების გატარების გზით*

<u>ინდიკატორი:</u> საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი; ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ევროკავშირის დახმარებით, ქვეყნის მასშტაბით ყველა საკნისათვის შეძენილ იქნა ახალი ანტივანდალური ტიპის სანათები, რომლებიც უზრუნველყოფენ დღისა და ღამის განათებას. მათი მონტაჟი ეტაპობრივად მიმდინარეობს.

2014 წლის ივლისში დასრულდა სარემონტო სამუშაოები შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს კახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში (ქ. თელავი). იზოლატორი აღიჭურვა ახალი ინვენტარით, ხოლო საკნებში ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში მოხდა ახალი უსაფრთხო საწოლების, მაგიდებისა და სკამების მონტაჟი;

2015 წლის ზაფხულში ქვეყნის მასშტაბით დასრულდა საკნებში საწოლების გადაკეთება, უსაფრთხო მაგიდა-სკამებისა და განათებების მონტაჟი.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში ყველა დაკავებული უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის საშუალებებით, საკითხი მასალებით, მათ დღეში სამჯერ მიეწოდებათ ცხელი საკვები.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებები გთხოვთ, იხილოთ სამოქმედო გეგმის 5.1.3.2 და 5.1.3.8 საქმიანობების შესრულების ანგარიშში[3].

> *<u>საქმიანობა:</u> 6.2.2. რეაბილიტაციისა და მკურნალობისათვის ადეკვატური რეჟიმისა და უსაფრთხო გარემოს შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაბამისი დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობის გზით*

<u>ინდიკატორი:</u> ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები; საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებები, გთხოვთ, იხილოთ სამოქმედო გეგმის 5.1.3.7 საქმიანობის შესრულების ანგარიშში.[4]

ამოცანა: 6.3. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა (ინსპექტირების) და გარე მონიტორინგის გაუმჯობესება

---

[3] შესრულების ანგარიშის შესაბამისი გვერდი.
[4] შესრულების ანგარიშის შესაბამისი გვერდი.

<u>საქმიანობა:</u> 6.3.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მდგომარეობისა და მათ მიმართ მოპყრობის შიდა მონიტორინგის (ინსპექტირება) საქმიანობის გაუმჯობესება საკანონმდებლო და შიდაუწყებრივი რეგულირებით (პრო-აქტიური ინსპექტირების, დამოუკიდებლობის გაზრდის, ანგარიშგებისა და საჩივრების ეფექტური რეაგირების მექანიზმის დანერგვის ჩათვლით)

<u>ინდიკატორი:</u> ცვლილებები მარეგულირებელ კანონმდებლობაში; სახელმძღვანელო პრინციპები/ინსპექცია და ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტები; ადეკვატური საბიუჯეტო მხარდაჭერა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის 18 მაისს მიღებული ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის II თავი მთლიანად ეძღვნება არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოვლენასა და ყველა საჩივრის/ბრალდების დროულ, მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას. გარე და შიდა მონიტორინგის გაძლიერებაზე ორიენტირებული შესაბამისი აქტივობები გადასულია აღნიშნულ თავში და მათი იმპლემენტაციის პერიოდი ითვალისწინებს 2015-2016 წლებს. ზემოაღნიშნული თავი ფარავს არა მარტო სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე რისკის ჯგუფებს (ბრალდებული, მსჯავრდებული და თავისუფლებაშეზღუდული პირები), არამედ, ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა მდგომარეობის მონიტორინგის საკითხს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო უზრუნველყოფს დაკავებულთა დროებით შესახლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში (შემდეგში დმი), მათი უფლებების დაცვას, რეგისტრაციას, შემოწმებას, ასევე, დაკავებულთათვის საკვებისა და შესაბამისი სანიტარული პირობების უზრუნველყოფას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველო რეგულარულად ატარებს მუნიციპალური და რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორების შიდა მონიტორინგს. ამ მიზნით, მთავარი სამმართველოს ფარგლებში დაარსდა მონიტორინგის სამმართველო, რომელიც ახორციელებს მოულოდნელ ვიზიტებს დმი–ში მთელი საქართველოს მასშტაბით. მონიტორინგის პროცესი ფართომასშტაბიანია და მოიცავს:

- დაკავების პირობების მონიტორინგს – ტექნიკური და სანიტარიულ–ჰიგიენური პირობები, დაკავებულთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა, გასეირნების უფლება და სხვა.
- დმი–ს თანამშრომელთა მონიტორინგს – სამსახურში თანამშრომელთა ყოფნა, ფორმების, ბეჯის ტარების წესების დარღვევა; დაკავების ჩანაწერთა რეგისტრაცია, დაკავებულთათვის უფლებების წერილობითი განმარტება და სხვა.
- დმი–ში შესახლებულ პირთა მონიტორინგს – სხეულის დაზიანება, ადვოკატის და/ან ექიმის ხელმისაწვდომობა, დაკავებულთა საჩივრების რეგისტრაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდინარე რეფორმის ფარგლებში დმი–ს სისტემის, დაკავებულთა და ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ პირთა შეფასება დასრულდა; განხორციელდა ვიდეო კონტროლის სისტემების ინსტალაცია; სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების არსებული პრაქტიკა და რეკომენდაციები მხედველობაში იქნა მიღებული; ზემოაღნიშნულის შედეგად, მთავარმა სამმართველომ განახორციელა და ახლაც ახორციელებს ადამიანური რესურსების, ინფრასტრუქტურის და კანონმდებლობის სფეროში რიგ ცვლილებებს.

სტრუქტურული გაფართოება – წამების აღმოფხვრისა და დაკავებულთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მონიტორინგის განყოფილების შესაძლებლობები, თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ფუნქციური შესაძლებლობები გაიზარდა;

ვიდეო კამერები – დაკავებულთა უფლებებისა და მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ვიდეო კამერები დაინსტალირდა დმი–ს ყველა დაწესებულებაში.

დაკავებულთა უფლებების დაცვისა და მათი უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, გაიზარდა თანამშრომელთა, მათ შორის მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა.

<u>საჩივრებზე რეაგირების პროცედურა</u>

წამების ნებისმიერი ფაქტის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საჩივრებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების სისტემას: პოლიციის თანამშრომლისადმი ან დმი–ს პერსონალისადმი ნებისმიერი საჩივრის შემთხვევაში, დგება ინდივიდუალური აქტი; დმი–ს ხელმძღვანელობა უკავშირდება ზედამხედველ პროკურორს, ატყობინებს ინციდენტს და უგზავნის აქტს.

ამასთანავე, აღნიშნულ ფაქტთან ერთად, დმი–ს ხელმძღვანელობა უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს მონიტორინგის სამმართველოს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს და აწვდის გენერალურ ინსპექციას ინციდენტის შესახებ ინფორმაციას.

დროებითი მოთავსების იზოლატორში, დაკავებულს შეუძლია დაუკავშირდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს და მთავარ პროკურატურას, რათა თავისი დარღვეული უფლებების შესახებ განაცხადოს.

ამასთან, დაკავებულს აქვს შეუფერხებელი და შეუზღუდავი უფლება დაინიშნოს ადვოკატი ნებისმიერ დროს.

ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის გასაზრდელად და საზოგადოებისთვის ადეკვატური მომსახურების უზრუნველსაყოფად, გენერალურმა ინსპექციამ შექმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის მომსახურების „ცხელი ხაზი – 126". აღნიშნული ეხება სამართალდამცველთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას და სხვადასხვა უკანონო ქმედებებს. ყველა სატელეფონო საუბარი იწერება და ექვემდებარება მონიტორინგს. 24 საათის განმავლობაში სატელეფონო შეტყობინება რეგისტრირდება და მიეწოდება შესაბამის დანაყოფებს დაუყოვნებლივი რეაგირებისთვის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებები გთხოვთ, იხილოთ სამოქმედო გეგმის 5.1.7.1 საქმიანობის ანგარიშში[5].

> *<u>საქმიანობა:</u> 6.3.2. საპატიმრო და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ტექნიკური უზრუნველყოფის გაზრდა, მონაცემების შენახვის ხანგრძლივობისა და დაცულობის გაზრდა, საერთაშორისოდ აღიარებული პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების შესაბამისად)*

<u>ინდიკატორი:</u> ცვლილებები მარეგულირებელ კანონმდებლობაში; სახელმძღვანელო პრინციპები/ინსპექცია და ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის დოკუმენტები; ადექვატური საბიუჯეტო მხარდაჭერა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

[5] შესრულების ანგარიშის შესაბამისი გვერდი.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებით დამტკიცდა ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი. დაწესებულება ვალდებულია გააფრთხილოს ბრალდებული/მსჯავრდებული ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის ან/და აუდიო-ვიდეო ჩაწერის განხორციელების თაობაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასევე ბრძანების თანახმად, განსაზღვრულია მინიმალური ვადა, რა ვადითაც უნდა იყოს შენახული გადაღებული მასალა (არანაკლებ 24 საათი).

შესაბამის აქტივობა ასევე ასახულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში (აქტივობა 1.2.9.1.) და მისი შესრულების ვადად განსაზღვრულია 2016 წელი.

> *<u>საქმიანობა:</u> 6.3.3. თავისუფლებააღკვეთ პირთა მდგომარეობისა და მათი მოპყრობის გარე მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება (მათ შორის სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საკანონმდებლო აქტების მომზადების და წარდგენის, ასევე ინსტიტუციური თანამშრომლობის მექანიზმის გაუმჯობესება)*

<u>ინდიკატორი:</u> მონიტორინგის მექანიზმებზე რეაგირება და ანგარიშები; საკანონმდებლო აქტებში ცვლილებები; შიდაუწყებრივი აქტები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 16 ივნისს ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანიცაა პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება. აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობს სახალხო დამცველის აპარატი. 2015 წლის დასაწყისში სახალხო დამცველმა შეიმუშავა და სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინა „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ეხება სახალხო დამცველისათვის ან/და მისი თანხმობით სპეციალური პრევენციის ჯგუფის წევრებს პენიტენციურ დაწესებულებაში გარკვეული მოთხოვნების დაცვით ფოტოგადაღების უფლებას.

2015 წლის 1 მაისს, პატიმრობის კოდექსის მე-60 მუხლის ცვლილების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველს და პრევენციის ეროვნულ მექანიზმის წარმომადგენლებს მიენიჭათ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ფოტო გადაღების განხორციელების უფლება. კერძოდ, ზემოთაღნიშნულ პირებს უფლება ექნებათ, პატიმრების ნებართვით, გადაიღონ მსჯავრდებულები/ბრალდებულები, მათ თავისუფლების აღკვეთს პირობები (საკნის გარე აქტივობებისათვის გათვალისწინებული ადგილების ჩათვლით), სამედიცინო და სასადილო ოთახები, საშხაპეები, ტუალეტები და პაემნის ოთახები. ცვლილებები ძალაში შედის 2016 წლის 1 სექტემბერს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინსიტრო აქტიურად მუშაობს სახალხო დამცველის ოფისთან ფოტო გადაღების პროცედურების გაწერასთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო დმი–ში ადამიანის უფლებების დაცვის კონტროლი ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების მეშვეობით. სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლების წვდომა დმი–ებთან მთელი საქართველოს მასშტაბით, უზრუნველყოფილია ნებისმიერ დროს მონიტორინგის მიზნებისთვის. ეროვნული პრევენციის მექანიზმის გარდა, დმი–ს ხშირად სტუმრობენ საერთაშორისო ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიები. დროებითი მოთავსების

იზოლატორებში 2013-2015 წლებში სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და უცხოელი უფლებადამცველების მიერ 150-მდე ვიზიტი განხორციელდა.

ამოცანა: 6.4. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა არასათანადო მოპყრობისა და შესაბამისი რეაგირების სტატისტიკის სრულყოფა

<u>საქმიანობა:</u> 6.4.1. თავისუფლების აღკვეთის და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში პირთა მოთავსების, რეგისტრაციის და აღრიცხვის სისტემის შემდგომი დახვეწა

<u>ინდიკატორი:</u> გაუმჯობესებული აღრიცხვის სისტემა; წარმოებული სტატისტიკა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დაკავებულ პირთა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, პროკურატურის ტერიტორიული ორგანოები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ ინფორმაციას დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და საპატიმრო დაწესებულებებიდან სხეულის დაზიანებით შესახლებული პირების შესახებ.

პროკურორები ხვდებოდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ იმ პირებს, რომლებმაც დაკავებისას თუნდაც სხეულის მინიმალური სახის დაზიანება მიიღეს. 2014 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორი შეხვდა და გაესაუბრა 159 პირს, გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოძიება დაიწყო ათ სისხლის სამართლის საქმეზე. ხოლო, 2015 წელს შეხვდა და გაესაუბრა 107 პირს, გამოძიება შვიდ სისხლის სამართლის საქმეზე.

<u>საქმიანობა:</u> 6.4.2. არასათანადო მოპყრობის ფაქტების შემცირება-გაზრდის ანალიზის მიზნით, შესაბამისი სტატისტიკის წარმოება, სრულყოფა და სისტემატიზაცია

<u>ინდიკატორი:</u> სტატისტიკური მონაცემების ანალიზი; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 13 მარტის №382 ბრძანებაში (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში სტატისტიკის წარმოების წესების, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარდგენის ვადებისა და მისი განმახორციელებელი სამსახურების განსაზღვრის შესახებ) განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც ზემოხსენებულ ბრძანებას ემატება დანართი №38, ცხრილი №38-01 - *„ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაწესებულებებში“*. ზემოხსენებული სტატისტიკის წარმოებას ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველო დაიწყებს №382 ბრძანებაში ცვლილებების შეტანისთანავე.

2016 წლის 9 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით, გაიმართა ოფისის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია, რომელიც 2015 წლის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებს, გაცემულ რეკომენდაციებსა და მათ შესრულებას ეხებოდა. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ზოგადად, წამება-არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა არ გაზრდილა 2014 წელთან შედარებით. ამ შემთხვევაში საუბარია არა განცხადებებზე, არამედ ისეთ საჩივრებზე, რომლებსაც ერთვის გარკვეული მტკიცებულებები

(მაგალითად სამედიცინო ჩანაწერი, ან სხვა). სახალხო დამცველის განცხადებით, 2014 წელს მის ოფისში 28 მსგავსი ხასიათის საქმე შევიდა, ხოლო 2015 წელს - 15.

2015 წელს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გააუმჯობესა სტატისტიკის მოდული, რაც გულისხმობს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემების სრულყოფილ სტატისტიკურ აღრიცხვას. კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შემუშავებულ იქნა წამებისა და არასათანადო მოპყრობის დეტალური ცხრილი, რომლითაც გაიმიჯნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლებისა და კერძო პირების მიერ ჩადენილი წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების აღრიცხვა. აღნიშნული ცხრილი დაეგზავნა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებს, ქ .თბილისისა და თბილისის რაიონულ პროკურატურებს და საოლქო პროკურატურებს. მიმდინარეობს მიღებული სტატისტიკური მონაცემების სიღრმისეული ანალიზი.

სტატისტიკის სრულყოფის და დახვეწის მიზნით 2014 წლის დასაწყისიდან შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარ სამმართველოში სტატისტიკა ახალი ფორმით წარმოებს. მონიტორინგის სამმართველო ახორციელებს კონტროლს სტატისტიკური მონაცემების სისწორეზე, ასევე ამ მონაცემების ანალიზს. სტატისტიკა დეტალურ ინფორმაციას იძლევა შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ. (ხდება შემდეგი ინფორმაციის დამუშავება: რამდენ დაკავებულ პირს გააჩნია პრეტენზია პოლიციის თანამშრომელთა მიმართ, რამდენ დაკავებულ პირს ჰქონდა დაზიანებები დაკავებამდე, დაკავებისას ან დაკავების შემდეგ, როდის იქნა აღნიშნული დაზიანებები მიყენებული. დაზიანებები, რომლებიც მიყენებული იქნა დაკავებისას ან დაკავების შემდეგ ეგზავნება პროკურატურას, ხოლო დაკავებამდე მიღებული დაზიანებები ზოგ შემთხვევაში იგზავნება პროკურატურაში).

განახლებული სტატისტიკა სრულადაა მორგებული არსებულ საჭიროებებსა და ამოცანებზე. იგი იძლევა დეტალურ ინფორმაციას იზოლატორებში შესახლებულ პირთა შესახებ, მათ შორის ინფორმაციას არასრულწლოვნების, ქალების, დაზიანებების და გამოთქმული პრეტენზიების თაობაზე.

ამოცანა: 6.5 საჯარო მოსამსახურეთა განგრძობადი სწავლება და შესაძლებლობათა გაძლიერება წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების გაუმჯობესების მიზნით

> *<u>საქმიანობა:</u> 6.5.1. ტრენინგ-დაწესებულებების შესაძლებლობების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით; კოორდინაციის გაზრდა დაწესებულებებს შორის; სასწავლო სტანდარტების, მასალებისა და მეთოდების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად*

<u>ინდიკატორი:</u> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის ტრენინგ ცენტრის სრული ძალით ამოქმედება; სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში შესაძლებლობების გაზრდასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება; საჭიროებების შეფასების პერიოდული ანგარიშები; ცვლილებები/ახალი სასწავლო პროგრამებში; გაუმჯობესებული/ახალი ტრენინგ-მოდელები ანგარიშები ტრენინგების ჩატარების შესახებ; საჯარო მოხელეთა რაოდენობა, ვინც გაიარა განგრძობადი სწავლების პროგრამა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წელს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელდა სამუშაო შეხვედრა და ტრეინინგები.

სამუშაო შეხვედრას საქართველოს პროკურატურის, ასევე სასამართლო კორპუსის, სახალხო დამცველის, უფლება დამცველი ორგანიზაციების, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, ადვოკატთა ასოციაციისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პროექტის ფარგლებში განხილული იქნა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი და მოპყრობის ფაქტების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით კვალიფიკაციის საკითხები და გაანალიზდა ამ მიმართულებით არსებული სასამართლო პრაქტიკა.

ტრეინინგში პროკურორებთან ერთად, მოსამართლეებიც მონაწილეობდნენ. 2015 წელს აღნიშნულ მიმართულებით განხორციელდა 2 ტრეინინგი და გადამზადება 40-მა მონაწილემ (პროკურორები, პროკურატურის სისტემის გამომძიებლები) გაიარა. მათ შორის იყვნენ საშუალო რგოლის მენეჯერები.

წინამდებარე ღონისძიებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აქტივობის განხორციელება განსაზღვრულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით განსხვავებული ვადის ფარგლებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო. პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი.
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 1212 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 1030 მსმენელმა

ამოცანა: 6.6 წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება; დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნა; დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა

> *<u>საქმიანობა:</u> 6.6.1. ძალოვანი უწყებების ანგარიშვალდებულების და დემოკრატიული ზედამხედველობის გაზრდა. პოლიციელებისა და პროკურორების წინააღმდეგ მოითხოვს პროფესიონალურ, ეფექტურ მექანიზმს სანდო პასუხის გასაცემად. ამგვარი საქმეების შესასწავლად განხილულ იქნეს დამოუკიდებელი და ეფექტური მექანიზმის შექმნა; ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს ჩაუტარდეთ კომპლექსური პროფესიონალური ტრეინინგი ეთიკურ სტანდარტებსა და ადამიანის უფლებებზე*

<u>ინდიკატორი:</u> ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები სამართლებრივი/სისტემური ანალიზის დოკუმენტი; საკანონმდებლო და შიდაუწყებრივ აქტებში ცვლილებები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წლის 16 ივნისს ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამი თემატური სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის მიზანია - წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივრების დამოუკიდებელი განხილვისა და გამოძიების მექანიზმის შესაძლო მოდელების განხილვა. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ და საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს კანონის პროექტი „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ“.

აღსანიშნავია, რომ გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და ეფექტიანი საგამოძიებო მექანიზმის დაფუძნების პოლიტიკური ნება გამომდინარეობს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგიდან, ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიიდან და სამოქმედო გეგმიდან, რომლიც ასევე განმტკიცებულია ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სამოქმედო გეგმით.

2015 წლის 18 მაისის საბჭომ მიიღო გადაწვეტილება, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საკითხი და პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავდებოდა მექანიზმი გაანალიზდებოდა. შესაბამის უწყებებისაგან მოწოდებული შენიშვნები, შემოთავაზებები და კომენტარები ინტეგრირებულ და დამუშავებულ იქნა საბჭოს სამდივნოს მიერ. 2015 წლის 23 ოქტომბერს გაიმართა საბჭოს მომდევნო სხდომა, რომლის ფარგლებშიც ჩართულმა უწყებებმა იმსჯელეს, თუ როგორ განევითარებინათ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმთან დაკავშირებული საკითხი.

2015 წელს პროკურორებისათვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი, რომელიც მოიცავდა პროფესიული ეთიკის სტანდარტების სასწავლო მოდულს. მასში მონაწილეობა 36-მა პროკურორმა და გამომძიებელმა მიიღო. პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე შემუშავდა სასწავლო მოდული. 2016 წლიდან იგეგმება პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების ინტენსიური გადამზადება ამ მიმართულებით. დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის ევროპული სტანდარტის თემაზე განხორციელებული ტრენინგების ფარგლებში, სასწავლო მოდულში გამოყოფილი იყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი - წამების აკრძალვის თემაზე, რომლის ფარგლებშიც 2015 წელს გადამზადება პროკურატურის სისტემის 90-მა წარმომადგენელმა მიიღო.

აღნიშნული საკითხი განიხილება ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შემუშავებულია სასწავლო კურსები „ადამიანის უფლებები და პოლიცია“ და „პოლიციის ეთიკის კოდექსი და მოქალაქესთან ურთიერთობის სტანდარტები“, რომლებიც იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 2341 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 1953 მსმენელმა;

> *<u>საქმიანობა:</u> 6.6.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების ეფექტური გამოძიების მეთოდური და ტაქტიკური ინსტრუქციების ჩამოყალიბება და დანერგვა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით*

<u>ინდიკატორი:</u> ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები; მეთოდური და ტაქტიკური ინსტრუქციები; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი არ შესრულდა</u>

> *<u>საქმიანობა:</u> 6.6.3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების სისხლისსამართლებრივი დევნის პრიორიტეტიზაცია და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებში შესაბამისი პოლიტიკის სრულყოფილად ასახვა*

<u>ინდიკატორი:</u> ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები; საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები; სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპები; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, განსაზღვრულია სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც მითითებულია, რომ მიზანშეწონილია პროკურორმა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა თუ სახეზეა განსაკუთრებით საშიში დანაშაული - წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

ამოცანა: 6.7 წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია

<u>საქმიანობა:</u> 6.7.1 მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარების (მათ შორის, დაცვის ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო აუცილებელი ხარჯების გათვალისწინებით) უზრუნველყოფის გაუმჯობესება უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით

<u>ინდიკატორი:</u> ანგარიში-რეკომენდაციები; საკანონმდებლო და შიდაუწყებრივ აქტებში ცვლილებები; სახელმწიფო პროგრამის დოკუმენტი; თანამშრომლობის მემორანდუმი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 6.7.2 მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირება და ეფექტურობის უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> ანგარიში-რეკომენდაციები; საკანონმდებლო და შიდაუწყებრივ აქტებში ცვლილებები; სახელმწიფო პროგრამის დოკუმენტი; თანამშრომლობის მემორანდუმი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 6.7.3. მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხარდამჭერ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა

<u>ინდიკატორი:</u> ანგარიში-რეკომენდაციები; საკანონმდებლო და შიდაუწყებრივ აქტებში ცვლილებები; სახელმწიფო პროგრამის დოკუმენტი; თანამშრომლობის მემორანდუმი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

2015 წლის 18 მაისს მიღებული ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის III თავი მთლიანად ეძღვნება არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვას, კომპენსაციასა და რეაბილიტაციის საკითხს.

ამოცანა: 6.8 წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის, პრევენციისა და გამოძიების შესახებ საზოგადოების დროული და ეფექტური ინფორმირება

<u>საქმიანობა:</u> 6.8.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების აკრძალვის საინფორმაციო კამპანიების მხარდაჭერა

<u>საქმიანობა:</u> 6.8.2 წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების ზოგადი ტენდენციების შესახებ საზოგადოების პერიოდული აქტიური ინფორმირება

<u>ინდიკატორი:</u> პერიოდული საინფორმაციო გამოცემები; გეგმები/კამპანიები; მედია-მონიტორინგის ანგარიშები; სტატისტიკის მონაცემთა ბაზა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის ივნისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადამიანის უფლებათა დაცვის

სამმართველოს უფროსი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. შეხვედრაზე სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებისა და პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განაჩენის გამოტანის შესახებ საზოგადოებას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია პროკურატურის ვებ-გვერდის მეშვეობით.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
19	11	4	4

7. ადამიანით ვაჭრობასთან ბრძოლა

მიზანი: 7. .ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლა

ამოცანა: 7.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის პრევენცია

> *<u>საქმიანობა:</u> 7.1.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით*

<u>ინდიკატორი:</u> გავრცელებული საინფორმაციო მასალების რაოდენობა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის კონცეფციის შემუშავება; ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლიდან ტრეფიკინგის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში გაიზარდა სახელმწიფო კონტრიბუცია, როგორც ფინანსური, ისე ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. ერთი მხრივ, სახელმწიფო უწყებები თავად უზრუნველყოფდნენ საინფორმაციო შეხვედრების ფინანსურ მხარდაჭერას, მეორე მხრივ,

გამოყოფდნენ ფართს სახელმწიფო დაწესებულებებში საინფორმაციო შეხვედრებისათვის და ტრეფიკინგის საკითხზე მომუშავე საჯარო მოხელეები აწვდიდნენ ინფორმაციას მოსახლეობას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიონდნენ სამთავრობო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია, რომელიც კავკასიის რეგიონში უნიკალურია და სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკის დოკუმენტთა შორის არ ვხვდებით.

საინფორმაციო სტრატეგია მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდების სწორი საშუალებებისა და გზების შერჩევას.

საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, კამპანიის გეოგრაფიული არეალი, საინფორმაციო კამპანიის მეთოდოლოგია და რესურსები.

აღნიშნული საინფორმაციო სტრატეგიის ეფექტური განხორციელების მიზნით შემუშავდა სტრატეგიის იმპლემენტაციის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია დამტკიცდა საბჭოს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს.

2014-2015 წლებში ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, სსიპ იუსტიციის სახლის, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სახალხო დამცველის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის, ა/ო სამოქალაქო განვითარების სააგენტოს, ა/ო მიგრაციის ცენტრის, ა/ო სამოქალაქო ინიციატივების ახალგაზრდული ცენტრის, იმერეთის რეგიონული მედიის ასოციაციისა და სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების სხვადსხვა ღონისძიებები განხორციელდა:

- საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან საქართველოს ყველა რეგიონის 73 ქალაქში, დაბასა და სოფელში. საერთო ჯამში საინფორმაციო შეხვედრების პირდაპირი ბენეფიცირი იყო 5692 ადამიანი;
- ტრეფიკინგის თემაზე მომუშავე სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები (იუსტიციის სამინისტრო, შსს, ფონდი) სისტემატიურად მონაწილეობდნენ ტელე და რადიო გადაცემებში;
- ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის თაობაზე საინფორმაციო რეკლამები ტრიალებდა ტელე და რადიო სივრცეში, მათ შორის რეგიონულ დონეზე;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ბეჭდვური სახით ვრცელდებოდა ინფორმაცია ტრეფიკინგის საფრთხეებისა და მისგან თავის დაცვის საშუალებების შესახებ (www.migrant.ge/geo/publication/newsletter).
- საინფორმაციო ბროშურები შემუშავდა ქართულ, რუსულ, ინგლისურ, თურქულ და არაბულ ენებზე და გავრცელდა აეროპორტებში, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (ბაღები, სკვერები, მეტროები, სხვა), საინფორმაციო შეხვედრების მონაწილეებს შორის, იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში და სხვა;

- 2014-2015 წლებში იუსტიციის სამინისტრომ სამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასცა გრანტი (14 000 ლარი) ტრეფიკინგის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით. ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები განხორციელდა აჭარისა და იმერეთის რეგიონში. შემუშავდა 8000 საინფორმაციო ბროშურა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენაზე და ინფორმაცია მიეწოდა საინფორმაციო შეხვედრის 1000-მდე პირდაპირ ბენეფიციარს. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს იმერეთში განხორციელებული საგრანტო პროექტის ფარგლებში დამყარდა რეგიონული მედიის ასოციაციასთან მჭიდრო თანამშრომლობა და შეიქნა ჟურნალისტთა მჭიდრო ქსელი, რაც უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობას.
- 2014 წლის მარტი-მაისის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიცირებით ჩატარდა იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე. პროექტი განხორციელდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის, სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის, საქართველოს სახალხო დამცველის, ა/ო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და ა/ო სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) მხარდაჭერით. იმიტირებული სასამართლო პროცესების ტურნირში 40-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა თბილისის, გორისა და ქუთაისის 8 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრეფიკინგის საფრთხეებისა და თავდაცვის საშუალებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

ასევე, მოსახლეობის საკუთარი უფლებების ინფორმირების მიზნით, მუდმივად მიმდინარეობს როგორ ტელე, ასევე რადიო კამპანიები. დამატებით, ხორციელდება საჯარო დისკუსიები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტში.

შსს-ში ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი და საზოგადოების თითოეულ მოქალაქეს აქვს საშუალება, რომ მიიღოს შესაბამისი კონსულტაციები კვალიფიციური ოპერატორებისგან, გარდა აღნიშნულის ცხელი ხაზი ასევე ფუნქციონირებს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში.

სამინისტრო, ასევე მუდმივად იღებს მონაწილეობას ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების (ბროშურები/ლიფლეტები) დამზადებასა და გავრცელებაში.

საზოგადოებისთვის ტრეფიკინგის დანაშაულის საფრთხეების შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შსს-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.police.ge. აღნიშნული მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, თუ თითოეულმა პიროვნებამ როგორ უნდა შეძლოს ტრეფიკინგის შემთხვევების იდენტიფიცირება, როგორ დაიცვას თავი, რა უნდა იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ვის მიმართოს დასახმარებლად.

2015 წლის 01 მაისიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, რომლის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმების და კანონით გათვალისწინებული, მოქალაქეების უფლების შესახებ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით.

2015 წლის 1-14 მაისს და 18 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის

უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, მათ შორის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა შეხვედრა ჩაატარეს თბილისის საჯარო სკოლებში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში (აჭარა, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი). შსს-ს წარმომადგენლები მოსწავლეებს ესაუბრნენ ორგანიზებული დანაშაულის ფორმებზე, როგორიცაა: ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მისი პრევენცია.

2015 წლის 27-31 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები აჭარის რეგიონის 35 სოფელში, დაახლოებით 1000 ადგილობრივი მცხოვრები დაესწრო ჩატარებულ შეხვედრებს.

პრევენციული ღონისძიებების გატარების კუთხით ტრეფიკინგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილება მიიღეს შემდეგ გადაცემებში:

- 2015 წლის 27 თებერვალი - ტრეფიკინგის თემაზე მიძღვნილი გადაცემა ტელეარხზე - ქართული ;
- 2015 წლის 17 მარტი - რადიო1-ის ეთერში გასული გადაცემა მიგრაციის მარშუტები, რომლის თემა იყო არალეგალური მიგრაციის და ტრეფიკინგის საფრთხეები და მათი პრევენცია;
- 2015 წლის 10 აპრილი - რადიო „თავისუფლების“ ეთერში გასული გადაცემა სტუდია 10, თემა ეხებოდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას.
- 2015 წლის 19 დეკემბერი - ტელეარხი ,,სდასუ TV”-ის ეთერში გასული გადაცემა სამართლებრივი სივრცე, თემა ეხებოდა ტრეფიკინგის პრევენციასა და სამართლებრივ ასპექტებს.

,,სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის

- 2015 წელს ფონდის ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე საჯარო სკოლების (თბილისის #47 , #62, #64, ტყიბულის #6 და ქუთაისის #7) მე–9, მე–10 და მე–11 კლასის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან;
- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ფონდის წარმომადგენლებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ქ. ბათუმის #1 საჯარო სკოლის, თბილისის კერძო სკოლა "ალბიონის“ და სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნის უფროსი კლასის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან;
- 2015 წლის ოქტომბერში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით, ქ. ახალციხეში და ქ. ახალქალაქში, ჩატარდა საჯარო შეხვედრები ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის;
- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე ფონდის წარმომადგენლების მიერ საჯარო ლექციები ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის და თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტებთან. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას, გარდა სტუდენტებისა, ესწრებოდნენ ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

- 2015 წლის 10 მარტს ფონდის თანამშრომლების მიერ დევნილთა მისაღებ ცენტრში განთავსდა ფონდის მიერ დამზადებული ფლაერები (შემდგომში – საინფორმაციო ფლაერები) ფონდის სერვისების, საკონსულტაციო ცხელი ხაზისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- 2015 წლის აპრილ–მაისში ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ თბილისის #64–ე, #47–ე, #62–ე, ქ. ტყიბულის #6–ე და ქ. ქუთაისის #7–ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს;
- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ ქ. ბათუმის #1 საჯარო სკოლის, თბილისის კერძო სკოლა "ალბიონის“, სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშნისა და ქ.ახალციხისა და ქ. ახალქალაქის საჯარო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ფონდის წარმომადგენლების მიერ საინფორმაციო ფლაერები დაურიგდათ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

2015 წლის ივნისში ფონდის მიერ დამზადდა 5 000 ცალი სამენოვანი ბროშურა (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე), (შემდგომში – სამენოვანი ბროშურები), რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფონდის სერვისების, ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

- 2015 წლის 23 ივნისს ფონდის თანამშრომლების მიერ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საბაჟო გამშვები პუნქტის - სარფის საბაჟოს მიმდებარე ტერიტორიაზე დარიგდა სამენოვანი ბროშურები, ფონდის მიერ დამზადებული მაისურები და საზაფხულო ჩანთები ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით; სამენოვანი ბროშურები განთავსდა სარფის საბაჟოს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის საინფორმაციო მაგიდაზე;
- 2015 წლის 26 ივნისს ფონდის თანამშრომლების მიერ ქ. თბილისში, რუსთაველისა და დიდუბის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე დარიგდა სამენოვანი ბროშურები, ფონდის მიერ დამზადებული მაისურები და საზაფხულო ჩანთები ფონდის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით.;
- 2015 წლის ივლისში სამენოვანი ბროშურები (300–300 ცალი) გადაეცა საქართველოს დიასპორის სამინისტროს აპარატს, ქ. თბილისის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისისა და ქ. თელავის იუსტიციის სახლებს;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგთან) ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად 2015 წლის 30 ივლისს ფონდმა ქ. თბილისში, ბუკიის ბაღთან არსებულ სკვერში საინფორმაციო კამპანია გამართა. დარიგდა სამენოვანი ბროშურები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით.

ფონდის მიერ დამზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებული იქნა შემდეგ ტელეარხებზე:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ბ) მეორე არხი;

გ) აჭარის ტელევიზია.

საინფორმაციო ვიდეორგოლები ზემოაღნიშნულ ტელეარხებზე გადიოდა 3 თვის (მარტი, აპრილი, მაისი) განმავლობაში. თითოეულ არხზე საინფორმაციო ვიდეორგოლები გადიოდა დღეში რამდენჯერმე.

ფონდის მიერ დამზადებული საინფორმაციო რადიორგოლები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გაშვებული იქნა საზოგადოებრივი რადიოს და აჭარის რადიოს ეთერში.

საინფორმაციო რადიორგოლების გაშვება ხორციელდებოდა 3 თვის (მარტი, აპრილი, მაისი) განმავლობაში. საინფორმაციო ვიდეორგოლები გადიოდა დღეში რამდენჯერმე.

ფონდმა გააფორმა ხელშეკრულება საინფორმაციო ცენტრ 118 08–სთან, რომლის მიხედვით ცენტრის თითოეული აბონენტი ავტომატურად ხმოვანი შეტყობინებით იღებდა ინფორმაციას ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ. აღნიშნული კამპანია 2015 წლის 18, 21 და 23 აპრილს იყო აქტიური.

ამოცანა: 7.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა

<u>საქმიანობა:</u> 7.2.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების (თავშესაფრების) ეფექტური საქმიანობა

<u>ინდიკატორი:</u> მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა, რომელთაც ისარგებლეს სახელმწიფო ფონდის მომსახურებით; ფონდის მიერ გაწეული მომსახურების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი 2006 წლიდან ეფექტიანად ახორციელებს ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის, დაზარალებულთათვის და მათზე დამოკიდებული პირთათვის სათანადო მომსახურებების გაწევას, მიუხედავად მათი სქესის, ასაკისა და მოქალაქეობისა.

ფონდი ბენეფიციარებს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებებს:

- იურიდიული კონსულტაცია და სასამართლოში წარმომადგენლობა;
- ფსიქოლოგიური მომსახურება;
- სამედიცინო დახმარება;
- თავშესაფარი (თბილისსა და ბათუმში);
- ერთჯერადი კომპენსაცია (1000 ლარი);
- სარეაბილიტაციო სარეინტეგრაციო პროგრამები;
- ცხელი ხაზი.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა განახორციელა შემდეგი სახის მომსახურება:

თავშესაფრით სარგებლობა	**2014 წელი ბენეფიციარი**			**2015 წელი ბენეფიციარი**		
თბილისი, ბათუმი	**სრულწლოვანი მსხვერპლი/ დაზარალებული**	**არასრულწლოვანი**		**სრულწლოვანი მხვერპლი/ დაზარალებული**	**არასრულწლოვანი**	
	5	**მსხვერპლი/ დაზარალებული**	**დამოკიდებ. პირი**	6	**მსხვერპ ლი/ დაზარა ლებ.**	**დამოკი დებ. პირი**
		–	2		–	2

სხვა ტიპის მომსახურებები:

მომსახურების სახე	**2014 წელი**	**2015 წელი**
სამართლებრივი	15	25
სამედიცინო	6	5 (მათ შორის 2 დამოკიდებული პირი)
ფსიქოლოგიური	5	6
კომპენსაცია	9	18
პირადი კონსულტაცია	13	27
ცხელი ხაზით მომსახურება	121	189

<u>საქმიანობა:</u> 7.2.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარება, მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნება, დაბრუნებულთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> საკუთარი სურვილით მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა; მსხვერპლთა/დაზარალებულთა რაოდენობა რომლებსაც მიეცათ სპეციალური ბინადრობის ნებართვა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

<u>2014 წელს</u> თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა ***უცხო ქვეყნის სამმა მოქალაქემ,*** რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაზარალებულად იყვნენ ცნობილები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულში. ***სამივე მათგანს ფონდის მიერ გაეწიათ იურიდიული (სასამართლო წარმომადგენლობის ჩათვლით), ფსიქოლოგიური და სამედიცინო დახმარება. ორმა მათგანმა საკუთარი სურვილით დატოვა თავშესაფარი***, მას შემდეგ რაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დადასტურდა, რომ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას რაიმე სახის საფრთხე არ ემუქრებოდა.

<u>2015 წელს</u> თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა ***სამმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ,*** რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაზარალებულად იყვნენ ცნობილები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულში. სამივე მათგანს ფონდის მიერ გაეწია იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, ორ მათგანს კი – სამედიცინო დახმარება. ერთ–ერთი

დაზარალებული იყო ორსულად და მშობიარობასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯების დაფარვა განხორციელდა ფონდის მიერ. ასევე მისი ახალშობილი შვილიც განთავსდა თავშესაფარში და გაეწია სამედიცინო დახმარება. თავშესაფარი დატოვა სამივე დაზარალებულმა, მას შემდეგ რაც დადასტურდა, რომ მათ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა. ერთი მათგანი დამოკიდებულ პირთან ერთად, ფონდის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით დაბრუნდა საკუთარ სამშობლოში.

<u>2015 წელს</u> ერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე დაზარალებული ***(იურიდიული მომსახურება მიიღო 2014 წელს, ხოლო კომპენსაცია 2015 წელს)*** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით დაბრუნდა საკუთარ სამშობლოში.

2015 წელს გაიცა დროებითი ბინადრობის 7 ნებართვა უცხო ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის დაზარალებულებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დახმარებას უწევს კომპეტენტურ უწყებებს პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირის გამოვლენის შემთხვევაში მიმდინარეობს მისი რეფერირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში, რომელიც დაზარალებულს უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული სერვისებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობის მუშაობას საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით და საქართველოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების საშუალებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისთვის და მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ნებაყოფლობით და უსაფრთხოდ დაბრუნებაში ხელის შეწყობისთვის.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის/საკონსულო დაწესებულების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დახმარება და დაცვა, რაც გულისხმობს მათ საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო დაბრუნებაში ხელშეწყობას, საქართველოში დასაბრუნებლად განკუთვნილი შესაბამისი დოკუმენტებით უზრუნველყოფასა და ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ადგილსამყოფელი ქვეყნოს შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობას, რათა ტრეფიკინგის მსხვერპლი უზრუნველყოფილ იქნეს დროებითი თავშესაფრით და სხვა შესაძლო შეღავათებით.

ამოცანა: 7.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ეფექტური სისხლისამართლებრივი დევნა

<u>საქმიანობა:</u> 7.3.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების პროაქტიული გამოვლენა და ამ მიზნით შემოწმების ერთობლივი მობილური ჯგუფების ჩამოყალიბება

<u>ინდიკატორი:</u> შექმნილი შემოწმების მობილური ჯგუფების რაოდენობა; შემოწმების მობილური ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტებისა და წარმოებული გამოძიებების/სისხლისსამართლებრივი დევნის რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებას აგრძელებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფი, რომელთა რიცხვი გაიზარდა და ამჟამად ფუნქციონირებს შემოწმების ოთხი მობილური ჯგუფი. თითო მობილური ჯგუფი დაკომპლექტდა ორი სამართალდამცავისგან, რომელთა ძირითად მოვალეობას წარმოადგენს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) რისკ შემცველი დაწესებულებების, ადგილების გამოვლენა სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ფაქტებს, ასევე რისკ ჯგუფს მიკუთვნებულ პირთა გამოკითხვა მათ მიმართ შესაძლო განხორციელებული ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენის მიზნით.

გამოძიების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, შსს-ს ფარგლებში მოქმედი სპეციალური მობილური ჯგუფების მიერ სისტემატურად ხორციელდება რისკის შემცველი ადგილების შემოწმება (სასტუმროები, ბარები, კაზინოები და სხვ.). მობილური ჯგუფები ადგენენ აქვთ თუ არა პროსტიტუციაში ჩაბმულ პირებს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, იღებენ თუ არა ანაზღაურებას სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ და სხვა გარემოებებს;

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის მიზნით 24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის და სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის კონტროლი და სისტემატიურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება.

2015 წლის 13 აგვისტოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პირებმა ხელი მოაწერეს „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობის შესახებ“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის გაფორმების მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების და გამოვლენის ხელშეწყობა. მემორანდუმი ითვალისწინებს კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას, ასევე მხარეებს შორის გამოცდილების გაზიარებას, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი წარმოადგენს საქართველოს შესაბამისი უწყებების მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთ პროაქტიულ საშუალებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების პრევენციას და აღკვეთას.

2015 წელს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ, საქართველოს მასშტაბით განხორციელდა ტრეფიკინგის რისკ შემცველი ადგილების გამოვლენა–აღრიცხვა, გამოვლენილი იქნა რიგი დაწესებულებები, სადაც სისტემატიურად ადგილი ჰქონდა პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტს. აღნიშნულ დაწესებულებებში გატარებული ოპერატიულ–საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მობილური ჯგუფების მიერ გამოკითხული/დაკითხული იქნა დაწესებულებაში მომუშავე პროსტიტუციაში ჩართული 426–ზე მეტი ქალბატონი, მათ მიმართ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის გამოვლენის კუთხით. შემოწმდა 74 დაწესებულება.

24/7 ხდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის კონტროლი და სისტემატიურად მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ მოქალაქეებთან გასაუბრება. 2015 წლის იანვრიდან გამოკითხულია 1682-ზე მეტი პიროვნება.

მობილური ჯგუფის მიერ მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება არალეგალურად მუშაობის რისკების შესახებ და დანიშნულების ქვეყანაში ყოფნის და მუშაობის შესახებ არსებული ნორმების და მოთხოვნების გაცნობა;

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, პროაქტიული და პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების მიზნით შემოწმების მობილური ჯგუფების მიერ აქტიურად მიმდინარეობს იმ პირების და ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მობილური ჯგუფის მიერ ხდება ქ. თბილისის ორთაჭალის და დიდუბის ავტოსადგურებში არსებული ორგანიზაციების შესწავლა, რომლებიც ეწევიან მოქალაქეების საზღვარგარეთ გადაყვანას. ასევე არალეგალური მიგრაციის ხელშეწყობის, ყალბი დოკუმენტის დამზადებისა და ტრეფიკინგთან მათი თანამონაწილეობის ფაქტების დადგენის მიზნით ხორციელდება ტურისტული ფირმების საქმიანობის შესწავლა და იმ ორგანიზაციების და პირთა შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფენ საზღვარგარეთ წამსვლელ პირთათვის სავიზო მომსახურეობის გაწევას.

შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით 2015 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მობილური ჯგუფების მიერ პროაქტიულად გატარებული ღონისძიებების შედეგად დაიკითხა 105-ზე მეტი მოქალაქე, რომლებმაც ისარგებლეს დასაქმების სააგენტოს მომსახურებით და დასაქმებული იქნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მათ შორის, მაგალითად მოხდა იმ დასაქმების სააგენტოს შემოწმება, რომელიც სისტემატიურად უფორმებს ხელშეკრულებებს საქართველოს მოქალაქეებს და უზრუნველყოფს მათ გამგზავრებას ჩინეთში, სადაც ისინი მუშაობენ მოდელებად სხვადასხვა ქალაქში არსებულ ღამის კლუბებში. დასაქმების სააგენტოდან მოხდა მათ მიერ დასაქმებული მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის ამოღება და შესწავლის პროცესში იკითხება ყველა ის პირი, ვინც ისარგებლა მათი მომსახურებით.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენისა და ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების მხრივ მნიშვნელოვანია პროაქტიული მიდგომის განვითარება. საქართველოს კანონმდებლობა, ისევე როგორც სართაშორისო სამართლებრივი აქტები სახელმწიფოს ავალდებულებს გარკვეული ღონისძიებების პრაქტიკაში განხორციელებას. კანონის პრაქტიკაში ეფექტური განხორციელების ასევე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის წარმოების მიზნით, შსს-ს და პროკურატურის აქტიური ჩართულობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში 2014 წლის თებერვალში პროკურორებისა და გამომძიებლებისათვის შემუშავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც უფრო ნათელს ხდის სამართალდამცავი ორგანოებისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებს. დოკუმენტის მიზანია გაიდლაინების სახით დახმარება გაუწიოს სამართალდამცავებს ტრეფიკინგის დანაშაულის გამოძიების და სისხლისამართლებრივი დევნის პროცესში, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოვლენა, მისი დაცვა და ასევე ტრეფიკინგის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები. კერძოდ: ეფექტური, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულოობა/მიზანშეწონილობა; გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების

მოპოვება; პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდიკა. არასრულწლოვანთა დაკითხვისას/გამოკითხვის თავისებურებები; სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება.

2015 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული იქნა გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის შექმნილი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs), რომელიც პრაქტიკაში დანერგვის მიზნით გაეგზავნათ ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამართალდამცავებს, რომლებიც იყენებენ მას, როგორც სახელმძღვანელო ინსტრუქციას ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების მიზნით.

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, სადაც შედის შეტყობინებები სავარაუდო ტრეფიკინგის შესახებ.

2014 წლის 27 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიას შორის ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში სამართალდამცავი ორგანოების პროფესიონალიზმის ამაღლების სფეროში გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა და ფუნქციონირებს ე.წ. სპეციალისტების ჯგუფი (Task Force) რომელიც შედგება ტრეფიკინგის საქმეებზე მომუშავე მოქმედი 7 გამომძიებლისა და 5 პროკურორისგან, რათა პროაქტიულად გამოავლინონ, ეფექტურად გამოიძიონ და აწარმოონ სისხლისსამართლებრივი დევნა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულებზე. სპეციალისტების ჯგუფი კონცენტრირებულია აჭარის რეგიონზე. ამასთან, სპეციალისტების ჯგუფი უზრუნველყოფს თანამშრომლობას სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის და განავითარებს ტრეფიკინგის შემთხვევებზე მომუშავე სამართალდამცავი სტრუქტურების ქსელს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა პროკურორთა სპეციალიზაცია ტრეფიკინგის საქმეებზე. აღნიშნული პროკურორები საპროცესო ხელმძღვანელობას განახორციელებენ დასახელებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე.

2014 წელს გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 6 პირის მიმართ საკმაოდ მაღალი სანქციებით. კერძოდ, საქმეების ხანგრძლივი და რთული სასამართლო განხილვების შედეგად, სასჯელების სახით ტრეფიკიორებისთვის განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა მერყეობს 7 დან 14 წლამდე, აგრეთვე, ერთი ტრეფიკიორის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებულ იქნა უვადო თავისუფლების აღკვეთა. 2015 წელს გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის სამქეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 3 პირის მიმართ.

2014-2015 წლების სტატისტიკურ მონაცემები:

	2014	2015
გამოძიება	**13**	**18**
სისხლისსამართლებრივი დევნა (პირი)	**5**	**5**

სასამართლოში გაგზავნილი საქმე	**4**	**3**
განაჩენი	**4**	**3**
მსჯავრდებული	**6**	**3**

<u>საქმიანობა:</u> 7.3.2. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> *შემუშავებული და დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპები*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საგულისხმოა, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის, საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტური განხორციელების, პროაქტიული გამოძიებების წარმოების, „ტრეფიკიორთა“ მიმართ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნით გამომძიებლებისა და პროკურორებისათვის შემუშავდა სახელმძღვანელო პრინციპები. ამ მიზნით 2013 წლის ოქტომბერში ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ გამომძიებლები, პროკურორები და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის პროცესი მიმდინარეობდა როგორც ელექტრონულად, ისე შეხვედრების ფორმატში. აღსანიშნავია, რომ ჩატარდა სამუშაო ჯგუფის 2 გასვლითი შეხვედრა ბაზალეთსა (22-23 ნოემბერი, 2013) და იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში (25-26 იანვარი, 2014).

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები დამტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ 2014 წლის 12 თებერვალს საბჭოს სხდომაზე.

სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოებისათვის შიდა მოხმარების დოკუმენტს, შესაბამისად, არ მომხდარა მისი გასაჯაროება. გასაჯაროვდა მხოლოდ სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი მიმოხილვა http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/332.

სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივ ასპექტებს – ტრეფიკინგის ნორმის შემადგენლობის განმარტებას, ქმედებების, საშუალებებისა და მიზნის დეფინიციას სახელმძღვანელო პრინციპები აგებულია „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 143[1] მუხლის შენიშვნის ცვლილების გათვალისწინებით. შესაბამისად, სახელმძღვანელო პრინციპების ის ნაწილი, რომელიც ეხება „ექსპლუატაციის“ განმარტებას, ამოქმედდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან.

სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანით ვაჭრობის მომიჯნავე მუხლებით წარმოებული საქმეების განხილვისას ტრეფიკინგის ნიშნების გათვალისწინების აუცილებლობასაც, რომელიც ემსახურება პროაქტიული გამოძიების წარმოებას და მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო მსხვერპლთა იდენტიფიცირებას.

სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული ადამიანით ვაჭრობის

(ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები. კერძოდ:

- ეფექტური, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულოობა/მიზანშეწონილობა;
- გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება;
- პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდიკა;
- არასრულწლოვანთა დაკითხვისას/გამოკითხვის თავისებურებები;
- სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და
- სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება.

გარდა ამისა, (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში 2014 წელს შეიქმნა შსს-ს, მთავარი პროკურტურისა და საბჭოს სამდივნოს წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის სტანდარტული ოპერატიული პროცედურები (SOPs) გამომძიებლებისთვის, ოპერატიული მუშაკებისა და შემოწმების მობილური ჯგუფის წევრებისათვის. SOPs-ს IOM-ის მხარდაჭერით ჩაუტარდა საერთაშორისო ექსპერტიზა.

SOPs-ის საბოლო ვერსია დამტკიცდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით 2015 წლის იანვარში.

> *<u>საქმიანობა:</u> 7.3.3. სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება შესაბამისი ტრეინინგების გზით*

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრეინინგებისა და გადამზადებულ სამართლდამცავთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

რეგულარულად მიმდინარეობს სპეციალისტთა ჯგუფის წევრების გადამზადება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე.

- 2014 წლის 29 აპრილი - 2 მაისს, ქ. ბათუმში აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) პროექტის ფარგლებში სამართალდამცავებს ჩაუტარდათ ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტი. ასევე, პოტენციურ მსხვერპლთა იდენტიფიცირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სამართალდამავი უწყებების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები, 2014 წლის 10-11 ივლისს ქ. ბათუმში და 19-20 ივლისს ყვარლის რეგიონში. სულ გადამზადდა 36 სამართალდამცავი.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში შსს-ს აკადემიაში 2015 წელს ტრეფიკინგის თემაზე ჩატარდა შემდეგი მიზნობრივი ტრენინგები:

31.03 - 01.04.2015 მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ განხორციელებული და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტის „მიგრაციის მართვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში ტრენინგი „შერეული მიგრაციული ნაკადები" შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, შსს მიგრაციის დეპარტამენტისა და შსს აკადემიის წარმომადგენლებისთვის. სულ 19 მონაწილე. მათ შორის შსს აკადემიიდან სასაზღვრო ფაკულტეტის უფროსი ინსპექტორი გ.ვაშაყმაძე. თემატიკა: არალეგალი მიგრანტების, ტრეფიკინგის მსხვერპლების, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიცირება, ჩართული უწყებები და მათი ურთიერთთანამშრომლობა;

23.07.2015 - შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ტრეფიკინგის საკითხებზე (მონაწილეობდნენ შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები);

ასევე, აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო. პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 620 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 730 მსმენელმა;

შსს აკადემიაში რეგულარულად ტარდება მიზნობრივი (ე.წ. *ad hoc*) ტრენინგები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები უწევენ ორგანიზებას. აღნიშნული ტრენინგების მიზანია პოლიციის მოქმედი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით 2015 წელს განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

30.01-5.04.2015 - ტრენინგები დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებად. გადამზადდა 232 თანამშრომელი;

2-6.02.2015 - შშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ ორგანიზებული ტაქტიკური ტრენინგი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებაზე შსს ტაქტიკური მომზადების სამსახურის (5 თანამშრომელი), საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ დაცვის პოლიციის წარმომადგენლებისთვის. თემატიკა: ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, სამართლებრივი საკითები და უსაფრთხოების ზომები ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისას;

25-26.05.2015-დისკრიმინაციის დაუშვებლობის ტრეინინგი იზოლატორების თანამშრომლებისთვის (შსს-ს აკადეემიის 2 ინსტრუქტორი);

2015 წლის განმავლობაში შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) თემაზე საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში დაგეგმილ შემდეგ ღონისძიებებში:

1. 2015 წლის 23-27 თებერვალი - აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა INL-ის ორგანიზებით დაგეგმილი კურსი თემაზე ,,ფულის გათეთრების დაშაულის გამოძიება“. ტრენინგი ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში.

2015 წლის 31 მარტი-1 აპრილი - მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მიერ ორგანიზებული ტრეინიგი თემაზე „შერეული მიგრაციული ნაკადები“, რომელიც ჩატარდა შსს აკადემიაში.

2. 2015 წლის 21-22 აპრილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით და ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის (TAIEX) მხარდაჭერით სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ გამართული „სამართალდაცვით სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების“ თემაზე ორდღიანი სამუშაო შეხვედრა. ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის, უკრაინის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, კერძოდ, ავსტრიის, პოლონეთის, სლოვენიის და რუმინეთის სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებმა მიიღეს. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ერთობლივი საერთაშორისო ოპერაციების განსახორციელებლად არსებული სამართლებრივი ჩარჩოსა და პრაქტიკული მეთოდების განხილვა. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აღნიშნულ სფეროში მიღებული გამოცდილება, წარმატებული მაგალითები, განიხილეს არსებული გამოწვევები და თანამშრომლობის სამომავლო გეგმები. ღონისძიების ფარგლებში, კონფერენციის მონაწილეებმა ისაუბრეს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე სამართალდამცავ უწყებებს შორის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის მეთოდებზე, ევროპოლთან თანამშრომლობასა და სხვა საკითხებზე.
3. 2015 წლის 02-04 ივნისი - აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს INL-ის ორგანიზებით დაგეგმილი კურსი თემაზე ,,ფულის გათეთრების დაშაულის გამოძიება“. ტრენინგი ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში
4. 2015 წლის 01-02 ივლისი - პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრის და მიგრაციის მართვის სფეროში" ჩატარებული ტრენინგი თემაზე „მიგრანტთა უკანონო გადაყვანა“. კურსზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა უკანონო გადაყვანის/კონტრაბანდისა და ადამიანებით ვაჭრობის განსაზღვრებები და უკანონო საზღვრის კვეთისგან მათი განსხვავება; გამოძიება – ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობა; დამნაშავედ ცნობის ხელისშემშლელი ფაქტორები და სასამართლოს როლი და სხვა.
5. 2015 წლის 13-14 ივლისი - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი, რომლის თემა იყო ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენა, მტკიცებულებათა მოპოვება და საერთაშორისო თანამშრომლობა.
6. 2015 წლის 14-16 ივლისი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანიზებით არასრლწლოვანთა იძულებითი მათხოვრობის და ექსპლუატაციის თემაზე ტრენინგი;
7. 2015 წლის 06 აგვოსტო - საქართველოს მთავარ პროკურატურაში ჩატარებულ ტრენინგი თემაზე სტატისტიკის წარმოება და ანალიზი.
8. 2015 წლის 02-04 ნოემბერს - აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) და ჯორჯიის შტატის გამოძიების ფედერალური ბიუროს ორგანიზებით ადამიანით ვაჭრობის შესახებ ჩატარებული კურსი. კურსზე განხილული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადამიანით ვაჭრობის საფუძვლები, მსხვერპლის დახმარება, მსხვერპლის გამოკითხვა და სხვა.
9. 2015 წლის 16-20 ნოემბერი აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა INL-ის ორგანიზებით დაგეგმილი კურსი თემაზე ,,ფულის გათეთრების დაშაულის გამოძიება“. ტრენინგი ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში;
10. 2015 წლის 17–30 მაის - ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი) საერთაშორისო სამართალდამცავ აკადემიაში (ILEA) აშშ დიპლომატიური უსაფრთხოების სამსახურის ორგანიზებით მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ორკვირიანი სასწავლო კური ტრეფიკინგის

საკითხებზე. კურსზე მონაწილეობას მიიღეს საქართველოს, ყაზახეთისა და სერბეთის სამართალდამცავები. კურსის მიზანია სამართალდამცავთა შესაძლებლობების ზრდა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. ტრეინინგზე განხილულ იქნა შემდეგი თემები: სამართლებრივი საკითხები, ტრეფიკინგის მსხვერპლის აღმოჩენა/გამოვლენა, მსხვერპლთან თანამშრომლობა და ა.შ.

11. 2015 წლის 15-18 ივნისი - ქ. ზაგრებში (ხორვატიის რესპუბლიკა), საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის კოორდინაციის დანაყოფებისათვის (ILECUs) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე დაგეგმილი ტრენინგი;
12. 2015 წლის 10–13 აგვისტო - აშშ სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ორგანიზებით ქ. დალასში, აშშ-ში 27–ე წლიური კონფერენციას თემაზე „ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“;
13. 2015 წლის 06-11 დეკემბერ - ქ. ანკარაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე გამართული სასწავლო კურსი.

პროკურატურის თანამშრომლებისთვის :

- 2014 წლის 1-2 მარტს ოჯახში ძალადობასა და ტრეფიკინგის თემაზე გამართულ ტრენინგში მონაწილეობა მიიღო პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის 13-მა კოორდინატორმა. ღონისძიება ორგანიზებული იყო საქართველოს მთავარი პროკურატურის; ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის; აო „სახლისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მიერ;
- 2014 წლის 28-29 მარტს ტრეფიკინგის თემაზე ტრენინგი ჩაუტარდა თბილისისა და ბათუმის 24 სამართალდამცველს (6 სტაჟიორ-პროკურორი და პროკურორი, 18 გამომძიებელი). ტრენინგი ორგანიზებული იყო პოლიციის აკადემიის მიერ იუსტიციის სამინისტროსთან, საქართველოს მთავარ პროკურტურასა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- 2015 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარდა 2 კვირიანი სასწავლო კურსი ქ. ბუდაპეშტში, საერთაშორისო სამართალდამცავ აკადემიაში (ILEA), რომელშიც პროკურატურის სისტემის 4 წარმომადგენელი მონაწილეობდა;
- 2015 წლის 14-15-16 ივლისს, არასრულწლოვანთა შრომითი ტრეფიკინგის თემაზე, ჩატარდა ერთდღიანი ტრენინგები სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის. ტრენინგის ფარგლებში მოწვეული იყო რუმინელი ექსპერტი, პროექტი განხორციელდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით (უშუალოდ საქართველოს პროკურატურიდან ტრენინგებში მონაწილეობდა 9 წარმომადგენელი).
- 2015 წლის 6 აგვისტოს განხორციელდა ტრენინგი თემაზე - ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში ტრეფიკინგის სტატისტიკური მონაცემების წარმოებისა და ანალიზი. (უშუალოდ საქართველოს პროკურატურიდან მონაწილეობდა 4 წარმომადგენელი).
- განხორციელდა საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის თემაზე 2 ტრენინგი. სასწავლო პროგრამა ასევე მოიცავდა ადამიანით ვაჭრობის საკითხებს. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადება გაიარა 30-მა პროკურორმა.

გაიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე მომუშავე პროკურორებისა და მოსამართლეების სამუშაო შეხვედრა, რომელშიც პროკურატურიდან 6 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ამოცანა: 7.4. ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება

<u>საქმიანობა:</u> 7.4.1. სახელმწიფო უწყებების თანამშრომლობის გაღრმავება სამოქალაქო საზოგადოებასთან (არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან) და მათთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების განახლება ან/და გაფორმება

<u>ინდიკატორი:</u> ერთობლივად განხორციელებული პროექტები; გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო და სამთავრობო უწყებები მჭიდროდ თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორც კვალიფიკაციის ასამაღლებელი აქტივობების ორგანიზების, ასევე პრევენციულ ღონისძიებებში მონაწილეობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელწიფო ფონდმა 2014-2015 წლებში უზრუნველყო ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შესაბამისი მემორანდუმების განახლება სერვისების მიწოდების თაობაზე:

- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
- ა/ო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ა/ო ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი;
- კავშირი „ქალები მომავლისათვის“;
- ა/ო ქალთა საინფორმაციო ცენტრი;
- ა/ო თანადომა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში. სწორედ ამ მიზნით 2014-2015 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა ტრეფიკინგის პრევენციისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოებაზე საგრანტო კონკურსი.

საგრანტო პროგრამა გულისხმობს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას ადამიანით ვაჭრობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. საგრანტო პროგრამა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულობას ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების, მისგან თავის დაცვის საშუალებების, ტრეფიკინგთან ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის ან/და დაზარალებულთათვის განსაზღვრული სახელმწიფო სერვისების შესახებ, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასა და გაძლიერებას, რათა სამომავლოდ მათ დამოუკიდებლად შეძლონ ტრეფიკინგის მიმართულებით აქტიური მუშაობის გაგრძელება.

2014-2015 წლებში იუსტიციის სამინისტრომ 3 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასცა გრანტი (საერთო ჯამში 14 000 ლარი), რომელთაც აჭარისა და იმერეთის რეგიონებში ჩაატარეს ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. აღსანიშნავია, რომ საგრანტო კონკურსში მონაწილე ორგანიზაციები ინარჩუნებენ კავშირს საბჭოსთან და ერთობლივად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს. ასევე, 2015 წელს იმერეთის რეგიონში განხორციელებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მედიის წარმომადგენელთა კავშირი.

<u>საქმიანობა:</u> 7.4.2. პარტნიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოების, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება/მოლაპარაკებების დაწყება, მათ შორის, ტრანსნაციონალური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> სამთავრობოთაშორისო შეხვედრების რაოდენობა; გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 19 მარტს საქართველომ მოახდინა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2007 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის (ლანზაროტეს კონვენცია) რატიფიცირება, რომელიც საქართველოსთვის ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, 2014–2015 წლებში საქართველომ გააფორმა ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები გერმანიასთან და ესპანეთთან და მემორანდუმი გაერთიანებული სამეფოს დანაშაულთან ბრძოლის ეროვნულ სააგენტოსთან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ფართოდ ეხება, ასევე, ტრეფიკინგის საკითხებზე სამართალდამცავთა საერთაშორისო თანამშრომლობას.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებთან თანამშრომლობას. აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკასთან, სადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰყავს 2 ატაშე. თურქეთის რესპუბლიკას, ასევე, მეკავშირე ოფიცერი ჰყავს საქართველოში. მათი დახმარებით ხორციელდება ოპერატიული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და თანამშრომლობა ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის მიზნით. ასეთი სახით თანამშრომლობა მიმდინარეობს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 24-25 დეკემბერს თურქეთის რესპუბლიკაში ორმხრივი შეხვედრა გაიმართა საქართველოს მთავარი პროკურატურისა და თურქეთის იუსტიციის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებს შორის. სხვა საკითხებთან ერთად მათ განიხილეს ტრანსნაციონალურ დანაშაულის, მათ შორის ტრეფიკინგის, ფარგლებში ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების საკითხი.

ამასთან, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები საქართველოს გაფორმებული ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან (სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან).

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროპის შემდეგ ქვეყნებთან/ორგანიზაციებთან: ევროპოლი, კატარი, საბერძნეთი, საუდის არაბეთი, ყაზახეთი, ალბანეთი, ყირგიზეთი, ფილიპინები, ხოლო სამინისტროს მიერ ინიცირებულია თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები შემდეგ სახელმწიფოებთან: არაბთა გაერთ. საემიროები, ინდონეზია, ირლანდია, ისლანდია, კვიპროსი, ლიბია, ლუქსემბურგი, მაროკო, ნორვეგია, პორტუგალია, სლოვენია, ხორვატია.

2014–2015 წლებში სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული სამთავრობოთაშორისო შეხვედრები:

- 2014 წლის ივნისში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებთან.
- 2014 წლის ივნისში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა ავსტრიის კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებთან.
- 2014 წლის შემოდგომაზე შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავ უწყებებთან.

– 2015 წლის 6–8 მაისს თბილისში გაიმართა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასთან მეექვსე გაერთიანებული კომისიის შეხვედრა. მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია ტრეფიკინგთან დაკავშირებულ საქმეებზე, ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის გაძლიერებას.

– 2015 წლის მარტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები საქართველოს და შვედეთს, ფინეთსა და დანიას შორის, 2015 წლის მარტში – საქართველოსა და რუმინეთს შორის, 2015 წლის აპრილში – საქართველოსა და სლოვენიას შორის, 2015 წლის მაისში – საქართველოსა და იტალიას შორის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან თანამშრომლობით განაგრძობს საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისათვის მუშაობას. სამინისტრო ასევე ჩართული იყო შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებსა და მოლაპარაკებებში, რომლებიც უკავშირდებოდა ტრეფიკინგის საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებების გაფორმებას, კერძოდ კი:

1. შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
2. შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
3. შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
4. შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ბელორუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;
5. შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“;

ასევე, 2015 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია“.

2014 – 2015 წლებში საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ტრეფიკინგის თემაზე სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი დახმარების ფარგლებში შუამდგომლობები მიიღო თურქეთის რესპუბლიკიდან (10), უზბეკეთიდან (2) და აზერბაიჯანიდან (1). ამასთან, წინამდებარე საანგარიშო პერიოდში 2 ტრეფიკიორის ექსტრადირება განხორციელდა ჰოლანდიასა და მოლდოვაში.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საპოლიციო თანამშრომლობა პოლიციის ატაშეების ჩართულობით აქტიურად ხორციელდება საქართველოსა და პარტნიორ სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებს შორის.

2014	თურქეთი	შრომითი ექსპლუატაცია	5
2014	თურქეთი	სექსუალური ექსპლუატაცია	1
2015	თურქეთი	შრომითი ექსპლუატაცია	1
2015	თურქეთი	სექსუალური ექსპლუატაცია	2
2015	მოლდოვა	სექსუალური ექსპლუატაცია	1

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების	შესრულებული	ნაწილობრივ	შეუსრულებელი

რაოდენობა	საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	საქმიანობების რაოდენობა
8	8	0	0

8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მიზანი: 8. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა

ამოცანა: 8.1 საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

> *<u>საქმიანობა:</u> 8.1.1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება მთავრობისა და პარლამენტის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით*

<u>ინდიკატორი:</u> ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის ინდიკატორი პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით შესრულებულად არის შეფასებული ევროპის კავშირის შემფასებელი მისიის მიერ

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კანონმდებლობის პერსონალური მონაცემების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, მიიღო საკანონმდებლო ცვლილებებისა და დამატებების პაკეტი. ცვლილებები ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პარლამენტის მიერ არჩევას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროს გაფართოებას და მის სრულად გავრცელებას კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავებაზე, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების განადგურების კომისიის შექმნას. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე სასამართლო და საპარლამენტო კონტროლის გაზრდასთან ერთად, სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერაზე, ასევე, კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე 2015 წლის 31 მარტიდან კონტროლს ახორციელებს ინსპექტორიც.

ევროპის კავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი და მეორე ფაზის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებები პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით შესრულებულად არის შეფასებული ევროპის კავშირის მიერ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ 2015 წლის მეორე ნახევარში მომზადდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონისა და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. ცვლილებების მიზანია საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ევროჯასტისა და ევროპოლის რეკომენდაციების გათვალისწინება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და პროგრესული პრაქტიკის დამკვიდრება და ინსპექტორის აპარატის ეფექტური ფუნქციონირების სამართლებრივი გარანტიების შექმნა. ინსპექტორის აპარატმა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი 2015 წლის 18, 21 და 22

სექტემბერს საჯარო უწყებებს, საქართველოს პარლამენტს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მათი შეფასება. ექსპერტიზის შემდეგ იგეგმება ცვლილებათა პროექტის წარდგენა საკანონმდებლო წინადადების სახით საქართველოს პარლამენტში.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.1.2 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 2014 წლიდან სრულად ამოქმედების ინიცირება*

<u>ინდიკატორი:</u> პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი სრულად ამოქმედებულია 2014 წელს

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 ნოემბრიდან.

ამოცანა: 8.2 კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვის და დამუშავების სწორი პრაქტიკის დანერგვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით

> *<u>საქმიანობა:</u> 8.2.1 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიზნით შიდა ნორმატიული აქტების შემუშავება*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული შიდა ნორმატიული აქტები

<u>სტატუსი: შესრულებულია ნაწილობრივ</u>

“პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მიზნით საჯარო უწყებების ნაწილმა შეიმუშავა შიდა ნორმატიული აქტები. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა და სამინისტროებს დაეგზავნათ სახელმძღვანელო დოკუმენტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ, სადაც მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები და ინსტრუქციები, თუ როგორ და რის საფუძველზე უნდა მოხდეს შიდა პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და რა უნდა იყოს მასში ასახული. 2014-2015 წლებში მდგომარეობით, შესაბამისი შიდა ნორმატიული აქტები მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, საქართველოს სახალხო დამცველმა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან აქტიური კონსულტაციების შედეგად, მიღებული და დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის ბრალდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ერთობლივი ბრძანების პროექტი, არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოებათა შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე მინისტრის ბრძანების პროექტი.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.2.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ოფიციალური კომენტარების მომზადება, კანონის დებულებების სწორი ინტერპრეტაციისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით.*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

"პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის ოფიციალური კომენტარების მომზადება დაგეგმილია 2016 წელს დონორი ორგანიზაციების დახმარებით, რადგან კომენტარების შემუშავება საჭიროებს მნიშვნელოვან საექსპერტო და ფინანსურ რესურს. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან აღნიშნული აქტივობის დაფინანსების მიზნით.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.2.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს გაძლიერება და მისი სათანადო ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა.*

<u>ინდიკატორი:</u> გაზრდილია აპარატის დაფინანსება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველობას საქართველოში ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შეიცვალა ინსპექტორის არჩევის წესი. ცვლილებების თანახმად, მას სამი წლის ვადით ირჩევს პარლამენტი, რამაც მისი ლეგიტიმაციის ხარისხი უფრო მეტად გაზარდა.

ამავე ცვლილებებით, გაიზარდა ინსპექტორის დამოუკიდებლობის ხარისხი. კერძოდ, იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ თანამდებობის პირს და ორგანოს. მასზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით. განხორციელებული ცვლილებებით, ინსპექტორი ხელშეუხებელია და მას იცავს იმუნიტეტი.

ინსპექტორი თავის საქმიანობას ახორციელებს აპარატის საშუალებით. 2014 წელს ინსპექტორის აპარატი შედგებოდა ორი დეპარტამენტისგან: საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი და მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და ინსპექტირების დეპარტამენტი.

2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ინსპექტორის გაზრდილი მანდატის შედეგად, 2015 წელს აპარატის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდა და განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, შეიცვალა აპარატის სტრუქტურა და დეპარტამენტების რაოდენობა ოთხამდე გაიზარდა: იურიდიული დეპარტამენტი; ინსპექტირების დეპარტამენტი (რომელიც მოიცავს საჯარო და კერძო სექტორზე ზედამხედველობის სამმართველოსა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის სამმართველოს); საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი (აღნიშნული დეპარტამენტის შექმნა განაპირობა 2015 წლის 31 მარტიდან ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ინსპექტორის გარე კონტროლის მექანიზმის ამოქმედებამ). აპარატის სტრუქტურაში ასევე შედის ადმინისტრაციული სამმართველო, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ფინანსური და შესყიდვების სამსახურები. 2014 წელთან შედარებით, მაშინ როდესაც აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა 14 პირს შეადგენდა, 2016 წელს აღნიშნულმა რიცხვმა 43 ერთეულს მიაღწია. ინსპექტორის აპარატის გუნდი დაკომპლექტებულია იურისტებისგან, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობები, ფინანსების სფეროში სპეციალისტებისგან.

ინსპექტორის აპარატის 2014 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 600 000 ლარს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა, გაზრდილი მანდატისა და კერძო სექტორის მიმართ კანონის ძალაში

შესვლიდან გამომდინარე, 2015 წლის ბიუჯეტის გაზრდა მოითხოვა 1 450 000 ლარამდე. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 30 ნოემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლებიც ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის შექმნას, ინსპექტორის მოთხოვნის საფუძველზე, აპარატისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მოხდა 775 000 ლარის გამოყოფა. 2016 წელს ინსპექტორის აპარატის ბიუჯეტი 2 100 000 ლარით განისაზღვრა.

2015 წელს ინსპექტორის აპარატს საკუთრებაში გადაეცა დამოუკიდებელი საოფისე ფართი ქ. თბილისის ცენტრალურ უბანში, რომელიც აღჭურვილია ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ამასთან, აპარატის ადგილმდებარეობა ხელს უწყობს მის ხელმისაწვდომობას ფართო საზოგადოებისთვის.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.2.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების შემუშავება.*

<u>ინდიკატორი:</u> სახელმძღვანელოების და სარეკომენდაციო დოკუმენტების რაოდენობა.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია. მათ შორის, „შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“, „პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავების“ შესახებ, „ვიდეო თვალთვალის განხორციელების შესახებ“, ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების შესახებ, რეკომენდაციები ინტერნეტ მომხმარებლებისა და ინტერნეტ მომსახურების გამწევთათვის, ჯანდაცვის სექტორში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ რეკომენდაციები. ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის ბალანსის შესახებ რეკომენდაციაზე. დაგეგმილია რეკომენდაციების შემუშავება სადაზღვევო ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, ასევე საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.

2014 წლის 16 სექტემბერს ინსპექტორის #1 ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა - ე.წ. „თეთრი სია“ და განისაზღვრა ის სახელმწიფოები, სადაც მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები არსებობს და შესაძლებელია მონაცემთა გადაცემა ინსპექტორის წინასწარი ნებართვის გარეშე.

ასევე, შემუშავდა ფაილურ სისტემათა კატალოგების შესახებ, ბიომეტრული მონაცემების დამუშავების შესახებ და პერსონალურ მონაცემთა ტრანსასაზღვრო გადაცემის შესახებ შეტყობინების ფორმები და მათი შევსების შესახებ დეტალური ინსტრუქციები.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.2.5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და დაცვის საკითხებზე ტრეინინგების ორგანიზება საჯარო დაწესებულებების თანამშრომლებისათვის*

<u>ინდიკატორი:</u> საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა; ჩატარებული ტრეინინგებისა და ტრენინგში მონაწილე პირთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ინსპექტორის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საჯარო და კერძო სექტორის მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებით აპარატი

აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრთან, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიასთან და სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის პარტნიორ საგანმანათლებლო ორგანიზაციების რიცხვს 2015 წელს დაემატა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკების მართვის სკოლა, NIMD დემოკრატიის სკოლა, ფინანსთა სამინისტროს აკადემია.

პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე 2014 წელს ჩატარდა 47 ტრენინგი. ტრენინგი ჩაუტარდა საჯარო და კერძო დაწესებულებების 1404 წარმომადგენელს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; საქართველოს შინგან საქმეთა სამინისტრო და მის შემადგენლობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს პროკურატურა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო; იუსტიციის სახლი; საფინანსო პოლიცია; სამინისტროების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები და სხვა). 2015 წელს ტრენინგების რაოდენობა 60-მდე გაიზარდა და მოიცვა 1600 მონაწილე (როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურებიდან, მათ შორის საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო).

ტრენინგში მონაწილეობის მსურველთა გაზრდილი რაოდენობისა და ინტერესის გათვალისწინებით, 2015 წლის ოქტომბრიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ტრენინგზე ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა დანერგა, რომლის მეშვეობით თვეში ერთხელ ინსპექტორის აპარატში, რეგულარულად ტარდება უფასო ტრენინგები პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის. მსურველებს რეგისტრაცია http://app.pdp.ge/Training გვერდზე ელექტრონული ფორმით შეუძლიათ.

ამოცანა: 8.3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

<u>საქმიანობა:</u> 8.3.1. სამიზნე ჯგუფებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი ორიენტირებული იყო საჯარო სექტორის მონაცემთა დამმუშავებლების ცნობიერების ამაღლებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საჯარო სექტორის ორგანიზაციებს გაეწიათ 434 ზეპირი და 28 წერილობითი კონსულტაცია. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე ტრენინგი ჩაუტარდა 1200-ზე მეტ საჯარო მოსამსახურეს.

2015 წელს კონსულტაციების რიცხვმა 1215 შეადგინა. გაიცა როგორც სატელეფონო (56%), ისე ზეპირი (24%) და წერილობითი (20%) კონსულტაცია. მათი 34% გაცემულ იქნა ფიზიკურ პირებზე, 34% საჯარო უწყებებზე, ხოლო 32% კერძო ორგანიზაციებზე. კონსულტაციების ძირითად თემატიკას წარმოადგენდა მონაცემთა განსაჯაროებაზე/ხელმისაწვდომობა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პრინციპები და საფუძვლები, ბიომეტრიული და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, აუდიო-ვიდეო თვალთვალი, მონაცემთა ბაზებზე წვდომა, მონაცემთა საზღვარგარეთ გადაცემა, სუბიექტის

უფლებები და მონაცემთა უსაფრთხოება, პირდაპირი მარკეტინგი, ფაილური კატალოგები და სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება.

გარდა ამისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი რეგულარულად მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან და აწვდის ინფორმაციას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და აპარატის საქმიანობის შესახებ. მაგალითად, საინფორმაციო შეხვედრა მობილურ ოპერატორებთან, ინტერნეტ მომსახურების მომწოდებლებთან, ასევე ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრთან ერთად საინფორმაციო შეხვედრები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ექიმებისა და სტუდენტებისათვის; „ეიჩარ პროფესიონალთა გილდიასთან“ ერთად ორგანიზებული შეხვედრა კერძო კომპანიების ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების თანამშრომლებისათვის. დემოკრატიის სკოლების პროექტის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები ასევე ჩატარდა ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. გორსა და ქ. თელავში ადგილობრივი თვითმმართველობის, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის აპარატი ასევე თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მართავს შეხვედრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ წრეებთან. საერთო მაუწყებლობის მქონე ტელევიზიების, რადიოებისა და ონლაინ-მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა 2 დღიანი მედია-სემინარი, ასევე 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა სასამართლო კორპუსთან.

<u>საქმიანობა:</u> 8.3.2. საინფორმაციო ბროშურებისა და სხვა მასალის დამზადება/გავრცელება

<u>ინდიკატორი:</u> საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შეფასება სოციოლოგიური კვლევების ან გამოკითხვის შედეგად

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადდა საინფორმაციო ბროშურები მონაცემთა სუბიექტებისათვის, სადაც მოცემულია პერსონალური მონაცემების და მონაცემთა დამუშავების განმარტება, ასევე, ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილებებსა და ფუნქციების შესახებ. ასევე, მომზადდა საინფორმაციო ფურცლები მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირებისათვის, სადაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის დეფინიციის გარდა, ხაზგასმულია მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში და აღწერილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობა. აღნიშნული საინფორმაციო მასალა ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის მიერ ორგანიზებულ ყველა შეხვედრაზე, ტრენინგსა და ღონისძიებაზე. ასევე, მომზადდა ორენოვანი საინფორმაციო პლაკატი საზღვრის კვეთის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, რომელიც განთავსდა საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეიმუშავა გზამკვლევი მოქალაქეებისათვის პირდაპირი მარკეტინგის შესახებ, რომელიც მოქალაქეებს აცნობს მათ უფლებებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი და რჩევები მობილური აპლიკაციის გამოყენების წესების შესახებ და საინფორმაციო ბროშურა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მანდატისა და მისი აპარატის საქმიანობის შესახებ.

აღნიშნული მასალა ხელმისაწვდომია აპარატის ვებგვერდზე www.personaldata.ge. და მისი პოპულარიზაცია ხდება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის სოციალური ქსელების მეშვეობით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ აპარატის ვებგვერდის საშუალებით გავრცელდა მთელი რიგი განცხადებები პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რეკომენდაციებს მონაცემთა დამმუშავებლებისათვის, ასევე ინფორმაციას აპარატის საქმიანობის შესახებ.

2015 წელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას დაეთმო პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღე. კამპანიის ფარგლებში იუსტიციის სახლის თანამშრომლები ავრცელებდნენ მოქალაქეთა უფლებების შესახებ საინფორმაციო ბროშურებს.

2015 წლის 21 ნოემბერს აპარატმა პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე გამოაცხადა ფოტო, ვიდეო და პოსტერების კონკურსები - „დაიცავი შენი პერსონალური მონაცემები!“. კონკურსში გამარჯვებული მონაწილეები 2016 წლის 28 იანვარს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაჯილდოვდებიან.

გაზრდილი ცნობადობის შედეგად, ინსპექტორისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობის რაოდენობა გაიზარდა. კერძოდ, მაშინ როდესაც 2014 წელს ინსპექტორის აპარატში დაფიქსირდა 19 განცხადება, აღნიშნული რიცხვი 2015 წელს 119-მდე გაიზარდა.

2016 წელს, დონორი ორგანიზაციის დახმარებით, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შეფასების მიზნით, დაგეგმილია სოციოლოგიური კვლევის განხორციელება, რომლის შედეგებზეც იქნება დაფუძნებული ინსპექტორის აპარატის საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია.

> *<u>საქმიანობა:</u> 8.3.3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ სპეციალური ვიდეო-რგოლების დამზადება*

<u>ინდიკატორი:</u> საზოგადოების ინფორმირებულობის დონის შეფასება სოციოლოგიური კვლევების ან გამოკითხვის შედეგად

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აპარატის რესურსით 2014 წელს მომზადდა ვიდეო რგოლი „შვიდი რჩევა, როგორ დავიცვათ ჩვენი პერსონალური მონაცემები“ - რომელიც გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით და განთავსდა აპარატის ვებგვერდზე.

2015 წელს მომზადდა ფილმი ინსპექტორის აპარატის 2 წლის საქმიანობასთან დაკავშირებით და გავრცელდა სოციალურ სივრცეში. მომზადდა რადიო რეკლამები პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე. მომზადდა სოციალური ვიდეორგოლი მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, რომელიც განთავსდა **16** რეგიონულ და **9** საერთო მაუწყებლობის მქონე ტელევიზიაში.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
10	8	1	1

9. გამოხატვის თავისუფლება

მიზანი: 9. გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა

ამოცანა: 9.1. ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების აღკვეთა და პრევენცია

<u>საქმიანობა:</u> 9.1.1. საგამოძიებო ორგანოების მიერ ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის ანგარიშები; სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს დანაშაულზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. ამ მიზნით, შს სამინისტრო კანონის დაცვით და მის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ ფაქტების დროულ და ეფექტიან გამოძიებას, სადაც იკვეთება ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ნიშნები.

<u>საქმიანობა:</u> 9.1.2 პროკურატურის ორგანოების მიერ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის ანგარიშები; სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

<u>საქმიანობა:</u> 9.1.3. საგამოძიებო ორგანოებმა უნდა აწარმოონ სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის თაობაზე რეგისტრირებულ დანაშაულთა, ასევე მისი გახსნის მაჩვენებელს

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის ანგარიშები; სამართალდამცავი ორგანოების სტატისტიკა

<u>სტატუსი ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) გამოძიება დაიწყო 3 სისხლის სამართლის საქმეზე. ამათგან 1 სისხლის საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით. ორ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა.

2015 წელს ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსისი" ფოტორეპორტიორის მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამატყუნებელი განაჩენი.

- ს.ს N071040714005 საქმე, რომელზეც გამოძიება დაიწყო 04/07/2014 წელს ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოს მიერ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 154 მუხლის I ნაწილით, ,,2014 წლის 12 ივნისს ჟურნალისტ ია ბოჯგუასთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე". აღნიშნულ სს საქმეზე გამოძიება შეწყვეტილ იქნა სსსკ 105 მუხლის I ნაწილის ‘’ა’’ ქვეპუნქტით. აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.
- ს.ს N017100714001 საქმე, რომელზეც გამოძიება დაწყებულია 10/07/2014 წელს ახმეტის რაიონული სამმართველოს მიერ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 154 მუხლის I ნაწილით, ,,ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, ". საქმე შეწყვეტილია 31/07/2014 წელს სსკ-ის 105-ე მუხლის I ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით.

- ს.ს N44020914017 საქმე, რომელზეც გამოძიება დაიწყო 02/09/2014 წელს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს მიერ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 154 მუხლის II ნაწილით, ,,ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე ". აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

ამოცანა: 9.2 გამოხატვის თავისუფლების კუთხით არსებული საკანონმდებლო ბუნდოვანებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა.

> *<u>საქმიანობა:</u> 9.2.1 გამოხატვის თავისუფლებასთან კავშირში მყოფი კანონმდებლობის ხარვეზების იდენტიფიცირება; მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტისთვის საქმიანობაში ხელის შეშლის ცნების გადახედვა; ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებებისთვის საჭირო რეკომენდაციების და პროექტების მომზადება*

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული საკანონმდებლო აქტის ინიცირება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში მომზადებული და მიღებულია შემდეგი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები:

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 თებერვლის №208 განკარგულებით მოწონებული იქნა „ანალოგური მიწისზედა საეთერო მაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები“.
- 2014 წლის 20 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც დადგინდა სამართლებრივი საკითხები ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად.
- 2014 წლის 7 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლითაც ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში დარეგულირდა მაუწყებლების ლიცენზიების მოქმედების ვადების ამოწურვასთან დაკავშირებული საკითხები.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N214 დადგენილებით დამტკიცდა ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფის წესი, რომლითაც დადგინდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური დაცვის სააგენტოს“ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში 2014 წლის ნოემბრის მონაცემებით რეგისტრირებული 70 000 და მასზე ნაკლები სარეიტინგო ქულიანი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობებით (სეთ-თოფ-ბოქსი) უზრუნველყოფის პრინციპები და პროცესში მონაწილე ორგანიზაციების ვალდებულებები.
- 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლმაც ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ახლებურად დაარეგულირა მაუწყებლობასთან დაკავშირებული საკითხები.
- 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის

თაობაზე საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმად მიწისზედა ციფრულ საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ანალოგური საეთერო ტელემაუწყებლობის ეტაპობრივად გათიშვა უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული გრაფიკით.

- 2015 წლის 13 ივნისს ქ. თბილისში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივნისის N273 დადგენილებით დამტკიცდა საქართველოში ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ეტაპობრივად გათიშვის გრაფიკი, რომელიც 2015 წლის 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე პერიოდში განხორციელდა.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, 2015 წლის ოქტომბერში წარმატებით დასრულდა ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის ფართომაშტაბიანი სახელმწიფო რეფორმა, რომლითაც სახელმწიფომ შეასრულა საერთაშორისო ვალდებულებები, უზრუნველყო მისი სამაუწყებლო სივრცის საიმედო ფუნქციონირება და დაცვა, შექმნა მაუწყებლობის მდგრადი განვითარების პირობები, ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყო ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო პროგრამებთან უფასოდ წვდომის საშუალებით. რეფორმის ფარგლებში გაუქმდა ტელემაუწყებელთა ლიცენზირების რეჟიმი და დაინერგა ტელე-სამაუწყებლო ბაზარზე დაშვების გამარტივებული ფორმა (ტელემაუწყებელთა ავტორიზაციის წესი), რომელმაც საშუალება მისცა არსებულ ტელემაუწყებელს და ინვესტორებს, მის მიერ წარმოებული სატელევიზიო პროგრამა გაავრცელოს მისთვის სასურველი ფორმით, მათ შორის, ციფრული მიწისზედა ღია საეთერო ქსელით. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს მსგავსად, საქართველოში ღია საეთერო ტელემაუწყებლობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა.

2015 წლის 11 დეკემბერს გამოცემული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება №2639 ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ამოქმედების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილი დასახლებული პუნქტების ციფრული მაუწყებლობით უზრუნველყოფის შესახებ'', რომლის თანახმად 2016 წლის სექტემბრამდე ეტაპობრივად განხორციელდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები მოსახლეობის ციფრული მიწისზედა საეთერო მაუწყებლობით უზრუნველყოფა.

ამოცანა: 9.3 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 9.3.1 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი ცვლილებების პროექტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის სამინისტრომ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოსთან" ერთად არასამთავრობო ორგანიზაციების, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო პროცესი 2014 წლის 13 თებერვალს გაფართოებული მრგვალი მაგიდის ფარგლებში დაიწყო. ინფორმაციის თავისუფლების

კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში შეიქმნა 3 სამუშაო ჯგუფი შემდეგი სამუშაო თემატიკით:

- ჯგუფი I: საჯარო ინფორმაციის დეფინიცია, ინფორმაციის გაცემა და პროაქტიულად გამოქვეყნება;
- ჯგუფი II: გამონაკლისები და შეზღუდვები, ინფორმაციის თავისუფლების მიმართება სახელმწიფო, კომერციულ, პერსონალურ და პროფესიულ საიდუმლოებასთან;
- ჯგუფი III: საჯარო ინფორმაციის დავები, საზედამხედველო ორგანო, გასაჩივრება ადმინისტრაციული და სასამართლო წესით.

ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის განხილვის მიზნით არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა ექპერტებთან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან, მოსამართლეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და აკადემიური წრის წარმომადგენლებთან. საერთაშორისო ექსპერტმა (კევინ დუნიონი, შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების ცენტრის დირექტორი) მოამზადა პირველადი დასკვნა და რეკომენდაციები, რაც ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის სამართალშემოქმედების ჯგუფმა ასახა კანონპროექტში და კანონპროექტის პირველადი ვერსია იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის აგვისტოში წარუდგინა.

იუსტიციის სამინისტრო განაგრძობს კანონპროექტზე მუშაობას. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ 2015 წლის მარტს საერთაშორისო ექსპერტის დამატებითი (მეორე) დასკვნა მიიღო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს წარმოდგენილი კანონპროექტის დამუშავება ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე. კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენა 2016 წელს იგეგმება.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
5	**2**	**3**	**0**

10. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება

მიზანი: 10. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა.

ამოცანა: 10.1 შეკრებისა და მანიფესტაციების უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის უფრო მეტად დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.

<u>საქმიანობა:</u> 10.1.1. ვენეციის კომისიის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის და სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება და პარლამენტისათვის წარდგენა

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული საკანონმდებლო აქტის ინიცირება

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ვინაიდან, საანგარიშო პერიოდში აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა, მისი გათვალისწინება მოხდა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 9.1.1.1. საქმიანობაში.

ამოცანა: 10.2 შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და უფლების დარღვევის პრევენცია

> *<u>საქმიანობა:</u> 10.2.1. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სწრაფი და ეფექტიანი გამოძიება და უფლების დარღვევის პრევენცია, სამართალდამცავი სტრუქტურების ქვედანაყოფების მომზადების გაუმჯობესებით მასების მართვის/კონტროლის სფეროში*

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული სწავლების შესახებ მონაცემები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 24-27 თებერვალს შსს-ს აკადემიაში განხორციელდა ტრეინინგი მასების მართვის შესახებ, რომელიც ლატვია–საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სწავლებას უძღვებოდნენ ლატვიის სახელმწიფო პოლიციის კოლეჯის ლექტორები, ექსპერტები: ვალდისვოინსი; ალექსანდრე ბუკევიჩი. სწავლების დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: მასების მართვის სამართლებრივი საფუძვლები (ნორმატიული აქტები), ორგანიზატორების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, პოლიციის მუშაობის სპეციფიკა, ეთიკის ნორმები და ადამიანის უფლებების დაცვა, პოლიციის როლი სექსუალური უმცირესობების (ლგბტ) მიერ გამართული მანიფესტაციების დროს და სხვა.

მომზადება გაიარეს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტემენტის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა. სულ 30 მონაწილემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 246 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 406 მსმენელმა;

> *<u>საქმიანობა:</u> 10.2.2. სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება შსს-ს შესაბამისი ქვედანაყოფებისთვის*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული დოკუმენტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანებით დამტკიცდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია".

აღნიშნული ინსტრუქცია მოიცავს და არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: კანონიერი შეკრებისა და მანიფესტაციის დროს შსს მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ეფექტიანი განხორციელება, შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიანად წარმართვა და მონაწილეთა უფლებების დაცვა.

აღნიშნული ინსტრუქციის შემუშავების პროცესში, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა, გაანალიზებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციათა, ეუთოს სახელმძღვანელო დებულებები მშვიდობიანი შეკრების შესახებ, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, ამნესტი ინტერნეიშენალის ადამიანის უფლებათა დაცვის 10 ძირითადი პრინციპი სამართალდამცავთათვის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები. ასევე, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საქართველოს კანონმდებლობა – საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, პოლიციის შესახებ კანონი და პოლიციის ეთიკის კოდექსი.

<u>საქმიანობა:</u> 10.2.3. ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა/გაზიარება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული ნორმატიული ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 10.2.2 საქმიანობით გათვალისწინებული ინსტრუქციის შემუშავების პროცესში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და პრაქტიკა, კერძოდ, მოძიებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს, ლიტვის, გერმანიისა და ავსტრიის სახელმწიფოთა საკანონმდებლო რეგულაციები.

<u>საქმიანობა:</u> 10.2.4. აღნიშნულ თემატიკაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის კურიკულუმებში შესაბამისი ტრეინინგების ინტეგრირება

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ასახულია სასწავლო კურსი **„ადამიანის უფლებები და პოლიცია“.** სასწავლო კურსში ინტეგრირებულია შემდეგი საკითხები: შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლების არსი და განმარტება ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად; კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები შეკრებებისა და მანიფესტაციების მიმართ; ძალის გამოყენება შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს; თავისუფალი მიმოსვლის უფლების არსი; დასაშვები შეზღუდვები თავისუფალი მიმოსვლის უფლების მიმართ; საკუთრების უფლების არსი; საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული საფუძვლები; 1990 წლის გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ; დაკავებულის ან პატიმრის მიმართ ძალის გამოყენების პრინციპები.

აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

- პატრულ ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურსგავლილ პირთა გადამზადების პროგრამა.
- სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოებზე მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა.
- ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების სპეციალური მომზადების კურსი

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები 2014 წელს გაიარა 976, ხოლო 2015 წელს 1844 მსმენელმა.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
5	4	0	1

11. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების დაცვა

მიზანი: 11. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა სრულფასოვანი ინტეგრაციის, დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა

ამოცანა: 11.1.დისკრიმინაციული მოპყრობისაგან ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 11.1.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ყოვლისმომცველი კანონის ინიცირება

<u>ინდიკატორი:</u> მიღებული კანონი თანასწორობის შესახებ

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 02 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საქართველოს კანონს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ასევე მოიცავს ეროვნული/ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ დებულებებს.

<u>საქმიანობა:</u> 11.1.2. საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგ/სემინარების რაოდენობა და მსმენელთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

წინამდებარე აქტივობასთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ სსიპ იუტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე შემუშავდა სპეციალური ტრენინგ პროგრამა. ტრენერებმა გაიარეს გადამზადება. ძირითადი მიზნობრივი ჯგუფი ტრენიგნების ჩატარების ადგილის შესაბამისად იდენტიფიცირებულია. ტრენინგების განრიგი შედგენილია. ტრენინგების ჩატარება განისაზღვრა 2016 წლისთვის.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში განხორციელდა საჯარო მოსამსახურეთა მომზადება სხვადასხვა სასწავლო პროგრამებით, მათ შორის „მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა, სუიციდის პრევენცია“; „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ და სხვა. 2015 წლის განმავლობაში ჩატარდა 23 ტრენინგი, რომლის ფარგლებში 419 მსმენელს მიეწოდა ინფორმაცია როგორც ეთნიკური უმცირესებების, ასევე სხვა საკითხებზე.

შსს აკადემიაში პოლიციის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრეინინგები დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ მთავარი პროკურატურისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.
შსს აკადემიაში მოქმედებს სხვადსხვა პროგრამები, რომლებშიც გათვალისწინებულია შემდეგი სასწავლო კურსები: ადამიანის უფლებები („დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი); პოლიცია მრავალეთნიკურ საზოგადოებაში; საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია.

<u>საქმიანობა:</u> 11.1.3. უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით შსს თანამშრომელთა და შსს აკადემიის მსმენელთა ცნობიერების ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგ/სემინარების რაოდენობა და მსმენელთა რაოდენობა; სალექციო კურიკულუმი და სალექციო საათების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში განხორციელებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, ასახულია სასწავლო კურსი „ *საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია, დანაშაულის პრევენცია*”.

სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის არსი;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიმართულებები და პრინციპები;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სირთულეები;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციელის მახასიათებლები;
- დანაშაულის კომპონენტების მნიშვნელობა პრევენციის დროს.

აღნიშნული საკითხებიიკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- პატრულ ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 444 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 665 მსმენელმა;

გარდა ზემოთაღნიშნულისა, უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასა და სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სასწავლო კურსი *„პოლიციელის სამსახური მრავალეთნიკურ საზოგადოებაში“* . მისი ხანგრძლივობა არის ორი საათი და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელი საკითხები;
- ეროვნულ უმცირესობებს შორის წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრის ეფექტური საშუალებები;
- კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის მიღება;
- ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის გაუმჯობესების პირობები.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 322 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 515 მსმენელმა;

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შსს აკადემიის მიერ ენის დონის განმსაზღვრელი ტესტირების შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი სამიზნე ჯგუფებისათვის შემუშავდება ენის შემსწავლელი პროგრამა ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. პროგრამის ფარგლებში მომზადებულ კანდიდატებს შესაძლებლობა მიეცემათ წარმატებულად გაიარონ ტესტირება/გასაუბრება და ჩაირიცხონ შსს აკადემიაში არსებულ სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

აგრეთვე შსს აკადემიის მიერ ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის განათლების სამინისტროსთან ერთობლივად აკადემიის ბაზაზე ეწყობა და გაგრძელდება გაცნობითი ხასიათის ტურები, რაც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში ცნობიერების ამაღლებას და კანონმორჩილი მოქალაქის აღზრდას.

2015 წელს შსს აკადემიაში შემუშავდა და აკრედიტაციას გადის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა“, რომლიც შედგება 60 კრედიტისგან (ერთი წელი). საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, საქართველოს სახელმწიფო ენა - ქართული ენა - B1+ დონეზე შეასწავლოს საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს,

რომლებიც ვერ ფლობენ მას და, ასევე - ქართული ენის არმცოდნე სხვა პირებს. პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლებათ:

- სალიტერატურო ქართულ ენაზე ზეპირი და წერითი კომუნიკაცია;

- სწავლის გაგრძელება ბაკალავრიატში არჩეული სპეციალობის მიხედვით: ლექციების მოსმენა და სემინარების მომზადება;

- ინფორმაციის ინტენსიურად მიღება და დამუშავება;

- უნივერსიტეტის გარემოსა და ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირება, რათა თავი იგრძნოს მის აქტიურ წევრად;

- სწავლების პროცესში განვლილი მასალის შესაბამისად, ქართული ეროვნულ-კულტურული ღირებულებების შესწავლა და დაცვა.

პროგრამა ორიენტირებულია ისეთი ტიპის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაზე, რომელიც განაპირობებს არა მარტო სახელმწიფო ენის ფლობას, არამედ სახელმწიფო სამსახურში დაუბრკოლებლად, ენობრივი ბარიერის გადალახვის გარეშე მუშაობას არჩეული სპეციალური საუნივერსიტეტო (საბაკალავრო) განათლების მიღების შემდეგ.

2015 წელს შსს აკადემიაში შეიქმნა ენის ცენტრი, რომლის ფუნქციებშიც შედის:

- სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კანდიდატების (ეთნიკური უმცირესობების) ქართულ ენაში მომზადება;
- აკადემიაში ეთნიკური უმცირესობების (მსმენელების) ქართული ენის ცოდნის დონის შესაბამისად, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათი მომზადების პროცესის ორგანიზება;

2014 წლის 16 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრი შსს-ს აკადემიაში შეხვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ახალქალაქის კოლეჯ „ცოდნის“ მოსწავლეებს, ქვემოქართლის რამდენიმე სკოლის უფროსკლასელებს და მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს.

მინისტრმა და ახალგაზრდებმა შეხვედრაზე ასევე, ისაუბრეს სამართალდამცავ სტრუქტურებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მუშაობის მნიშვნელობაზე. ღონისძიების ფარგლებში, შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა სტუდენტებსა და მოსწავლეებს აკადემიის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები აკადემიის ინფრასტრუქტურას გაეცნენ, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, საცურაო აუზი, იმიტირებული ტირი და ბიბლიოთეკა დაათვალიერეს.

შსს აკადემიასა და სახალხო დამცველის ოფისს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ხორციელდება სახალხო დამცველის შეხვედრა აკადემიის მსმენელებთან, რომლის ფარგლებშიც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების საკითხთან დაკავშირებით.

ამოცანა: 11.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ინტეგრაციის უზრუნველყოფა საზოგადოებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 11.2.1. სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში; ასევე, სპეციალური, არაფორმალური საგანმანათლებლო და მოხალისეობრივი პროგრამების განხორციელება ზრდასრულთათვის

<u>ინდიკატორი:</u> ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა, პროგრამის კურიკულუმი, მასწავლებელთა რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია; მოსწავლეთა ცოდნის დონე;
უმაღლეს სასწავლებლებში შესაბამისი პროგრამების არსებობა; სპეციალური პროგრამების მეშვეობით გადამზადებულ პირთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლების მონაწილეობით მარნეულში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა აბიტურიენტებთან; მათ მიეწოდათ ინფორმაცია "1 + 4" პროგრამის შესახებ და ასევე, ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით არსებულ სიახლეებზე;

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი“ დაარსა. პროექტის მიზანი იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სხავადსხვა ეთნიკური წარმომავლობის სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ამაღლება, სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური და ეფექტური ჩართულობის ხელშეწყობა. პროექტი 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი 40 ახალგაზრდა, მათ შორის "1+4" პროგრამით ჩარიცხული სტუდენტები მონაწილეობდნენ. პროექტის ფარგლებში 7 ლექცია-სემინარი გაიმართა;

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მივლენილ იქნა 86 სერტიფიცირებული კონსულტანტ-მასწავლებელი და 198 დამხმარე მასწავლებელი.

2015 წლის სექტემბრიდან პროგრამაში ჩართული იყო 95 ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებელი და 115 დამხმარე მასწავლებელი, მათ შორის 11 ორენოვანი (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი) დამხმარე მასწავლებელი, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან და, ერთენოვანი დამხმარე მასწავლებლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმის ნებისმიერ სასკოლო დისციპლინაში.

პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილეები სკოლებში განაწილებამდე გადიან მოსამზადებელ ტრენინგს შემდეგ მოდულებში:

- პროფესიული უნარები;
- „მასწავლებლის კომპეტენციები და კურიკულუმის მოთხოვნები“;
- ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება;
- ინკლუზიური განათლება.

ინკლუზიური განათლების სპეციალური მოდულები:

- „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო კლასში - ინკლუზიური განათლება“ – 7 ჯგუფი, 143 მსმენელი;
- „აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა ეფექტური სწავლების ძირითადი პრინციპები" – 16 მსმენელი;

„სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი" – 237 მსმენელი;

ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, მოქმედებს სპეციალური, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს აკრედიტებულ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოცდის (მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტები) შედეგების საფუძველზე და რომლითაც ხორციელდება ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენა იმ დონეზე, რომ შემდგომში პირმა შეძლოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება. ყოველწლიურად პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსებას მოიპოვებს 100 აზერბაიჯანულენოვანი და 100 სომხურენოვანი სტუდენტი. აღნიშნული დაფინანსება გულისხმობს სწავლის დაფინანსებას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის განმავლობაში და ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებას ოთხი წლის განმავლობაში. 2014 წელს პროგრამით ისარგებლა 456 აზერბაიჯანულენოვანმა და 217 სომხურენოვანმა სტუდენტმა, ხოლო 2015 წელს - 522 აზერბაიჯანულენოვანმა და 219 სომხურენოვანმა სტუდენტმა.

2014 - 2015 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელა პროექტი ქართული ენის ელექტრონული დისტანციური სწავლება ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისთვის. პროგრამაში მონაწილეობა მიიღო - 500-მდე ახალგაზრდამ.

<u>საქმიანობა:</u> 11.2.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა, აგრეთვე არაფორმალური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული და დანერგილი პროგრამები, მათ შორის, არაფორმალური განათლების პროგრამები; იმ დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილ იქნა პროგრამა; სახელმძღვანელოები და მათი რაოდენობა; სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას. სამინისტროს შემუშავებული აქვს ადაპტირებული სახელმძღვანელოები, რომელიც ყველა მოსწავლეს ყოველწლიურად ურიგდება.

2015 წელს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიმუშავა და დაამტკიცა „ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მხარდაჭერის პროგრამა“. პროგრამას მიზნად განესაზღვრა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“, და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ბენეფიციართა მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომობა და კვალიფიკაციის ამაღლება.

პროგრამის ფარგლებში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

- ✓ ითარგმნა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- ✓ ითარგმნა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის I ნაწილი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- ✓ ითარგმნა მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

- ✓ ითარგმნა ქართული ენის ცოდნის თვითშეფასების ტაბულა.
- ✓ დაიბეჭდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა (დოკუმენტების კრებული) აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- ✓ დაიბეჭდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის I ნაწილი.
- საგნობრივი ტრენინგ-მოდულების და საკითხავი მასალის შემუშავება-დამტკიცება-თარგმნა:
- ✓ არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისათვის შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ტრენინგ პროგრამები და მასთან დაკავშირებული სატრენინგო მასალა, რომელიც სატენდერო პროცედურების გავლით გაგზავნილია სათარგმნელად აზერბაიჯანულ, რუსულ და სომხურ ენებზე.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე www.tpdc.ge ელექტორნულად ხელმსაწვდომია:
- ✓ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა (აზერბაიჯანული, რუსული და სომხური) ვერსიები;
- ✓ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევის I ნაწილი (აზერბაიჯანული, რუსული და სომხური) ვერსიები;
- ✓ მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი (აზერბაიჯანული, რუსული და სომხური) ვერსიები;

- ✓ პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში 2014-2015 სასწავლო წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის 85 არაქართულენოვან სკოლაში მივლენილი იყო 86 სერტიფიცირებული ქართულის, როგორც მეორე ენის ტრენერ-მასწავლებელი. 2015 წლის სექტემბრიდან აღნიშნული რეგიონების 92 არაქართულენოვან სკოლაში განაწილდა 95 ტრენერ-მასწავლებელი.
  რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით სკოლათა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაღრმავების (კომუნიკაციის გაუმჯობესების, ერთობლივი პროექტების

  ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების გარდა, ტრენერ-მასწავლებლები ადგილობრივ მასწავლებლებს უტარებდნენ ქართული ენის კურსს.

  2015 წელს მოეწყო ინტეგრირებული საზაფხულო ბანაკი, რომელშიც ჩართული იყო 150 არაქართულენოვანი მოსწავლე. საზაფხულო ბანაკის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები მიზნად ისახავდა სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მოსწავლეებს შორის ჰარმონიული თანაცხოვრების უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას, მიმღებლობას განსხვავებული კულტურების მიმართ.

  დაგეგმვისა და განხორციელების, კარგი გამოცდილების გაზიარების, თემთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გაცვლა-გაზიარების) ხელშესაწყობად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ამოქმედდა „სასკოლო ქსელების “ პროგრამა, რომელშიც პროგრამაში მონაწილეობის სურვილის მქონე სკოლების განაცხადების საფუძველზე ჩამოყალიბდა 90 სასკოლო ქსელი 352 სკოლითა და 17000-მდე მონაწილით (თითოეული სკოლიდან 5 მონაწილე: სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, 3 მასწავლებელი). მათ შორისაა 2 სომხური, 1 აზერბაიჯანული, 2 რუსული და 6 ქართულ-რუსული საჯარო სკოლა. 2015 წელს ქსელების სკოლებთან ჩატარდა 2 სატრენინგო და 2 საკონსულტაციო შეხვედრა, ერთი თეორიული კონფერენცია .

<u>საქმიანობა:</u> 11.2.3. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი</u>: შემუშავებული კურსის კურიკულუმი; სკოლების რაოდენობა, სადაც დანერგილ იქნა კურსი; გრანტის მიმღები აბიტურიენტების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი, სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სოციალური პროგრამა კატეგორიის სტუდენტებთან ერთად ითვალისწინებს იმ სტუდენტების სწავლის დაფინანსებას სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ან სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, სოციალური პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იმ სტუდენტების სწავლის დაფინანსება, რომლებიც სწავლობდნენ ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში(ეთნიკური ქისტებით მჭიდროდ დასახლებული პანკისის ხეობის სკოლები). პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014 სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა ერთმა სტუდენტმა, რომელმაც დაასრულა სწავლა სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და 8 სტუდენტმა, რომლებმაც დაასრულეს სწავლა პანკისის ხეობაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ხოლო 2015 წელს - სამმა სტუდენტმა, რომელმაც დაასრულა სწავლა აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და 14 სტუდენტმა, რომლებმაც დაასრულეს სწავლა პანკისის ხეობაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში,

2. ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების და უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს სპეციალური, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს აკრედიტებულ სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზე ჩარიცხვაც ხორციელდება მხოლოდ ერთი გამოცდის (მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი ტესტები) შედეგების საფუძველზე და რომლითაც ხორციელდება ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა იმ დონეზე, რომ შემდგომში პირმა შეძლოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება. ყოველწლიურად პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსებას მოიპოვებს 100 აზერბაიჯანულენოვანი და 100 სომხურენოვანი სტუდენტი. აღნიშნული დაფინანსება გულისხმობს სწავლის დაფინანსებას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი წლის განმავლობაში და ბაკალავრიატის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაფინანსებას ოთხი წლის განმავლობაში. 2014 წელს პროგრამით ისარგებლა 456 აზერბაიჯანულენოვანმა და 217 სომხურენოვანმა სტუდენტმა, ხოლო 2015 წელს - 522 აზერბაიჯანულენოვანმა და 219 სომხურენოვანმა სტუდენტმა.

<u>საქმიანობა:</u> 11.2.4. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენებზე, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის სატელევიზიო სეზონის პერიოდში გაგძელდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“-ს ეთნიკური უმცირესობების 5 ენაზე (აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და რუსული) ტრანსლირება საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-2 არხზე პირდაპირ ეთერში. გადაცემა ასევე რეგიონული ტელესადგურების („ბოლნელი ტვ“, ტვ „ფარვანა“, „ევრიკა+“, ტვ „ოდიში“) ეთერითაც გადიოდა. ასევე გაგრძელდა ეთნიკური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა „პირველი რადიოს“ ეთერით. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება რადიოპროგრამა ქურთულ ენაზე.

მე-2 არხის ეთერში გადაიცემოდა ასევე ყოველდღიური რუსულენოვანი სატელევიზიო საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა - "ნამდვილი დრო" («Настоящее время»), რაც

წარმოადგენს რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა და ამერიკის ხმის ერთობლივ პროექტს. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში გადიოდა ყოველკვირეული გადაცემა "ჩვენი ეზო".

სახელმწიფო აფინანსებდა სომხურ- და აზერბაიჯანულენოვან გაზეთებს „ვრასტანი“ და „გურჯისტანი“.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრობაში მყოფი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთების „ვრასტანი“, „გურჯისტანი“ და რეგიონ პრესს“ გავრცელება.

გამოიცა, „სვობოდნაია გრუზია“ (12 ნომერი) და ,,ვეჩერნი ტბილისი“ (22 ნომერი) სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი გაზეთები: „ვრასტანი“ (12 ნომერი), ,,გურჯისტანი“ (გამოიცა 12 ნომერი).

ქართულ და ოსურ ენებზე გამოიცა კლასიკოსი ოსი მწერლის ნაფი ჯუსოითის ორენოვანი ლექსების კრებული ,,მთები აკვანი ჩემი“.

აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა წიგნი ,,ასი დიდი ქართველი“, სადაც ისტორიული მნიშვნელობის ასი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებაა მოთხრობილი
გამოსაცემად მომზადდა კატალოგი ,,ვეინახური ხელოვნება. აღნიშნულ კატალოგში ვეინახური კულტურის ტრადიციები და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებია თავმოყრილი.

კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრ ,,ჰაირტუნის“ ინიციატივით გამოსაცემად მომზადდა ორი ალბომი სახელწოდებით, ,,საქართველოს სომეხი მხატვრები მე-20 საუკუნის II ნახ.“ და ,,ძველი თბილისის ილუსტრაციები“, აღნიშნულ ალბომებში საქართველოში მცხოვრებ ქართველ სომეხ მხატვართა მიერ შესრულებული ფერწერული ტილოებია თავმოყრილი
ებრაულ ენაზე მხატვარ ქეთი მატაბლის ილუსტრაციებით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“ (ბ. გაპონოვის თარგმანი) .

გამოიცა თანამედროვე ებრაული დრამატურგია.

სსიპ დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის მიერ გამოიცა წიგნები ქართულ და ებრაულ ენებზე:
- საბავშვო წიგნი „მოთხრობები საქართველოს შესახებ“,
-ჯემალ აჯიაშვილის „სონეტები“,
-ელდარ მამისთვალაშვილის მონოგრაფია „საქართველოს ებრაელთა ისტორია და ქართულ-ებრაული ურთიერთობები“
- ჰერცელ ჩაჩაშვილი - სამეცნიერო მოღვაწეობა,
-მუზეუმის შრომების სამტომეული
-ბორის გაპონოვის ცხოვრება და შემოქმედება
-„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის თავისებურებები“
-დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა მუზეუმის კატალოგი.

სსიპ საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მიერ გამოიცა წიგნი „საქართველოში მცხოვრები ქართველ-ებრაელთა ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები“.

გამოცემის „მრავალეროვანი საქართველო-გერმანელი მხატვრები საქართველოში“ ხელშეწყობა (სსიპ კინოს, თეატრის, მუსიკის და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი).

შეხვედრები მწერლებთან, კინოჩვენება, ელექტრონული მეგათამაშების „მრავალფეროვანი საქართველო“ პრეზენტაცია (ნინოწმინდა-ბოლნისი), სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

კოსტა ხეთაგუროვის ლექსების ოსურ-ქართულენოვანი კრებულის გამოცემისა და პრეზენტაციის ხელშეწყობა (ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“).

> *<u>საქმიანობა:</u> 11.2.5. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში თვითმმართველობის წარმომადგენელთა გადამზადება ტოლერანტობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე*

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; გადამზადებული პირების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შერეულ ფორმატში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად გაიმართა საინფორმაციო სემინარი/შეხვედრები უფლებების შესახებ (ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენცია, ასევე რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია). 7 შეხვედრა გაიმართა (მარნეულში, წალკაში, ახალქალაქში, ბოლნისში, ქანდაში, ბათუმში, თბილისში); მონაწილეთა რაოდენობა-200.

ამოცანა: 11.3. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

> *<u>საქმიანობა:</u> 11.3.1. ეროვნულ/ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია და ეროვნული უმცირესობების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის გაცნობა*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ახალი დოკუმენტი; შეხვედრების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

წლის განმავლობაში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობდა ახალ სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიისა და მომავალი წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, მათ შორის, ეროვნული/ეთნიკურ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაციაზე. პროცესი იყო გახსნილი და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს და ორგანიზაციას. ახალი დოკუმენტი (სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგია), დამტკიცებამდე ფართოდ იყო განხილული. განხილვებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და დაინტერესებული დეპუტატები; პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები; ადგილობრივი ხელისუფლება; არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, ასევე უშუალოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები. დოკუმენტის განხილვა მიმდინარეობდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში (მარნეული, დმანისი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ბათუმი). დოკუმენტს საერთაშორისო ექსპერტიზა ჩაუტარა ეროვნული უმცირესობების საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისრის ოფისმა. 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის და 2015 – 2020 წწ. სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი ითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; მომზადდა პუბლიკაცია.

ამოცანა: 11.4. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 11.4.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> განხორციელებული პროექტები - რეაბილიტირებული და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2014 – 2015 წლებში განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ქვემო ქართლი

რუსთავი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 14 პროექტი ჯამური ღირებულებით 6,196,000 ლარი.

რუსთავი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 15 პროექტი ჯამური ღირებულებით 6,757,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „შიდაკვარტალური ეზოების ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაციის“ პროექტები რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 3,592,000 ლარს. აგრეთვე „ქალაქ რუსთავში საბავშვო გასართობი კუთხეების მოწყობის“ პროექტები რომლის ღირებულებაც 715,260 ლარია.

ბოლნისი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტი ჯამური ღირებულებით 462,000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 75 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,266,940 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ბოლნისის ქუჩების სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია (27/05/2014-26/09/2014), ღირებულებით 117,996,55 ლარი.

ბოლნისი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,554,500 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „ქ. ბოლნისის ქუჩების სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოების“ პროექტები რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 557,000 ლარს. აგრეთვე ბოლნისის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის პროექტები რომლის ღირებულებაც 997,000 ლარია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 4 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 60 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,259,243 ლარი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს პროექტი, ქ. ბოლნისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (9/15/2014-3/14/2016), ღირებულებით 4 782 170,57 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ბოლნისის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის

კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (1/20/2015-29/05/2015), ღირებულებით 317,600 ლარი.

გარდაბანი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 18 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,576,774 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 54 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,572,313 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 2 პროექტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (24/04/2012-11/04/2014), ღირებულებით 2 274 269,20 ლარი და ქ. გარდაბანში გზის ორივე მხარეს ტროტუარების მოწყობა და სოფ. ლემშვენიერაში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები (25/10/2013- 11/02/2014) ღირებულებით 824,000 ლარი.

გარდაბანი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 18 პროექტი ჯამური ღირებულებით 3,540,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „ქ. გარდაბანში შიდა გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 341,000 ლარს. აგრეთვე გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წლის სისტემის შიდა ქსელების, რეაბილიტაციის პროექტები რომლის ღირებულებაც 548,350 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 62 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,553,587 ლარი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 1 პროექტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხროვანის შიდა გზების რეაბილიტაცია (25/12/2014-5/18/2015), ღირებულებით 685 869,54 ლარი.

დმანისი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 8 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,358,349 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 83 პროექტი, ჯამური ღირებულებით 662,445 ლარი.

დმანისი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,647,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „დ.დმანისი–დმანისი–გომარეთის სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან სოფ იფმნარი–კიზლაჯოს მისასვლელი გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 600,000 ლარს. აგრეთვე „სოფ. გომარეთის მთის წყლის სათავე ნაგებობისა და 6 კმ მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციის“ პროექტები რომლის ღირებულებაც 175,000 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 92 პროექტი, ჯამური ღირებულებით 659,778 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. დმანისის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (05/08/2015-18/10/2015), ღირებულებით 161,058 ლარი;

თეთრიწყარო: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 14 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,334,000

ლარი. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ თეთრიწყაროს ქუჩების მოასფალტების სამუშაოები რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 979,767 ლარს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 90 პროექტი, ჯამური ღირებულებით 713,109 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა სოფლების ქვემო და ზემო წყლულეთის გზის რეაბილიტაციის საპროექტო მომსახურება და ქ. თეთრიწყაროში შიდა გზებისა და საავტომობილო ხიდების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა ჯამური ღირებულებით 136,000 ლარი.

თეთრიწყარო: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 8 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,334,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ თეთრიწყაროს ქუჩების მოასფალტების სამუშაოები რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 931,700 ლარს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 89 პროექტი, ჯამური ღირებულებით 714,804 ლარი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 2 პროექტი, თეთრიწყაროს შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაცია (01/05/2015-15/01/2016) ჯამური ღირებულებით 2 252 541,89 და ქ. თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (17/04/2015-17/03/2016) ღურებულებით 3 259 841,40 ორივე პროექტის ჯამური ღირებულება - 5 512 383,29 ლარი.

მარნეული: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,313,993 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 103 პროექტი, ჯამური ღირებულებით 2,008,275 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. მარნეულის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (27/08/2014-30/12/2014), ღირებულებით 529,422 ლარი.

მარნეული: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 8 პროექტი ჯამური ღირებულებით 4,461,800 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „სოფ. სადახლოს სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 779,000 ლარს. აგრეთვე „სოფ. თამარისის შიდა გზების რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ღირებულებაც 593,700 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 95 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,999,451 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 1 პროექტი, ქ. მარნეულში, 26 მაისის სახ. ქუჩაზე N3 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (03/09/2015-03/06/2016), ღირებულებით 449,776,94 ლარი.

შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 1 პროექტი, სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, ცენტრალური სადაწნეო მაგისტრალური მილისა და შიდა საქალაქო გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია (3/09/2014-25/02/2015), ღირებულებით 684,862 ლარი.

წალკა: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,309,016 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს წალკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 58 პროექტი, ჯამური ღირებულებით 528,640 ლარი.

წალკა: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,467,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ავრანლოს წყალსადენის რეაბილიტაცია და ჭაბურღილების მოწყობის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 807,700 ლარს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს წალკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 53 პროექტი, ჯამური ღირებულებით 532,806 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ წალკის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 1 პროექტი, ქ. წალკის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (5/28/2015-11/18/2016), ღირებულებით 3,746,188,61 ლარი.

სამცხე-ჯავახეთი

ახალციხე: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 3,005,000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 56 პროექტი, ჯამური ღირებულებით 654,047 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ახალციხის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (05/11/2013-22/01/2014), ღირებულებით 433,000 ლარი.

ახალციხე: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 11 პროექტი ჯამური ღირებულებით 3,527,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „წყრუთი-ჭვინთა-ელიაწმინდის 2,7 კმ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 588,875 ლარს. აგრეთვე ქალაქ ახალციხის ქუჩებს რეაბილიტაციის პროექტი რომლის ღირებულებაც 1,549,000 ლარია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ქ. ახალცხიეში 12 ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხები და დაიგო ასფალტობეტონის საფარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 2015 წელს ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 55 პროექტი, ჯამური ღირებულებით 650,590 ლარი

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 1 პროექტი, ახალციხისა და ასპინძის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია (13/10/2014-3/03/2016), ღირებულებით 2 345 280,70 ლარი.

ახალქალაქი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 9 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,869,862 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 146 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,075,928 ლარი.

ახალქალაქი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,594,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „ახალქალაქი-სოფ. დილისკის 1,75 კმ სიგრძის საავტომობილო გზის ასფალტო-ბეტონით დაფარვა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 868,374 ლარს. აგრეთვე „სოფ. სულდა-დადეში-ბოზალი-მიასნიკიანი სასმელი წყლის ახალი ქსელის მოწყობის“ პროექტი რომლის ღირებულებაც 594,743 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 137 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,067,602 ლარი.

ადიგენი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,291,000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 72 პროექტი, ჯამური ღირებულებით 547,067 ლარი.

ადიგენი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 5 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,887,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „კურცხანის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 639,600 ლარს. აგრეთვე „სოფ. პატარა სმადის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“ რომლის ღირებულებაც 390,000 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ადიგენის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 80 პროექტი, ჯამური ღირებულებით 545,017 ლარი.

ასპინძა: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,259,000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 35 პროექტი, ჯამური ღირებულებით 279,000 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 2 პროექტი, ხანდოს წყაროებიდან წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია ქალაქ ასპინძაში, სოფელ ნიჯგორსა და აწყვიტაში (25/07/2012-20/03/2014) პროექტის ღირებულება 1 414 024,28 და ქ. ასპინძაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შენობის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (24/12/2013-13/11/2014), პროექტის ღირებულება 4 276 291,97 ჯამური ღირებულებით 5,690,316,25 ლარი.

ასპინძა: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,658,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „სოფლებში: ორგორა, საყუდაბელი, ძველი, ჭობარეთის მისასვლელი 2,6 კმ სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 580,380 ლარს. აგრეთვე „დაბა ასპინძაში აღმაშენებლის, ფალიაშვილის, არაყიშვილის ქუჩების რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ღირებულებაც 405,460 ლარია.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ასპინძის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (05/08/2015-18/10/2015), ღირებულებით 122,372 ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 29 პროექტი, ჯამური ღირებულებით 277,262 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 2 პროექტი, ასპინძის N1 და N2 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია (12/03/2015-1/04/2016) პროექტის ღირებულება 1 019 793,11 და ვანის ქვაბთა მამათა მონასტერსა და წუნდის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია (15/09/2015-28/12/2015), პროექტის ღირებულება 344 859,79. ჯამური ღირებულებით 1,364,652,9 ლარი.

ნინოწმინდა: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 4 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,179,044 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში2014 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 44 პროექტი, ჯამური ღირებულებით 547,130 ლარი.

ნინოწმინდა: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 3 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,488,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „სოფ.განძის 1,0 კმ სიგრძის საავტომობილო გზის მოასფალტების“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 520,000 ლარს.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 40 პროექტი, ჯამური ღირებულებით 543,087 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ნინოწმინდას საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (20/1/2015-24/06/2015), ღირებულებით 319,135 ლარი.

ბორჯომი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 11 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,448,700 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 43 პროექტი, ჯამური ღირებულებით 430,600 ლარი.

ბორჯომი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,664,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „დაბა ბაკურიანის საავტომობილო გზების რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 629,900 ლარს. აგრეთვე „სოფელ ყვიბისის სასმელი წყლის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ღირებულებაც 531,190 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 46 პროექტი, ჯამური ღირებულებით 428,866 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და განხორციელდა 1 პროექტი, ლიკანისა და წაღვერის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია (28/04/2015-28/04/2016), ღირებულებით 3 193 280,63 ლარი.

კახეთი

ახმეტა: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,587,208 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 118 პროექტი, ჯამური ღირებულებით 763,923 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 1 პროექტი, შენობების რესტავრაცია და ტურისტული ზონის მოწყობა სოფელ დართლოში (07/08/2012-28/02/2014) ჯამური ღირებულებით 1,314,814,55 ლარი.

ახმეტა: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 11 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,024,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „სოფელ ხორბალოში არსებული ზემო ალვანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალის მოწყობის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 337,700 ლარს. აგრეთვე „სოფელ მატნის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ღირებულებაც 380,200 ლარია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 118 პროექტი, ჯამური ღირებულებით 762,786 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ახმეტის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 3 პროექტი, თუშეთის გზის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება (09/01/2015-28/10/2015), პროექტის ღირებულება 1 218 590,49 ქ. ახმეტის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (10/06/2015-10/06/2017) პროექტის ღირებულება 8 571 129,90 და საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია სოფ. დართლოში - ფაზა 2 (02/09/2014-02/12/2015) პროექტის ღირებულება 1 344 102,12. ჯამური ღირებულებით 11,133,822,51 ლარი.

ლაგოდეხი: 2014 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 6 პროექტი ჯამური ღირებულებით 1,852,180 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ლაგოდეხისს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 78 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,087,870 ლარი.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 1 პროექტი, ქ. ლაგოდეხის საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (02/09/2014 -30/12/2014), ღირებულებით 228,947 ლარი.

ლაგოდეხი: 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 13 პროექტი ჯამური ღირებულებით 2,320,000 ლარი. მათ შორის აღსანიშნავია „სოფელ ლელიანის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის“ პროექტი რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 676,000 ლარს. აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესების პროექტები რომლის ღირებულებაც 331,800 ლარია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 4 სოფელში განხორციელდა ახალი ჭაბურღილების მოწყობის და სასმელი წყლის მაგისტრალების რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2015 წელს ლაგოდეხისს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 74 პროექტი, ჯამური ღირებულებით 1,087,812 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და მიმდინარეობს 1 პროექტი, ქ. ლაგოდეხის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია (11/05/2015-11/11/2016) ღირებულებით 9 406 501,55 ლარი.

<u>საქმიანობა:</u> 11.4.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> განხორციელებული პროექტები; პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

2015 წელს თბილისში რადიო AGFM-ში, აზერბაიჯანულ ენაზე მიმდინარეობს 4 თვიანი პროექტი რადიო ჟურნალისტიკა და მასობრივ კომუნიკაციაში. სასწავლო ტრენინგ-კურსი ითვალისწინებს რადიო ჟურნალისტიკის პროფესიით დაინტერესებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის თეორიულ და პრაქტიკული განათლების დაუფლებას და მიზნად ისახავს ისეთი კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია საინფორმაციო ხასიათის აუდიო-რადიო პროდუქციის მომზადებისათვის. პროექტში მონაწილეობა მიიღო ხუთმა ახალგაზრდამ.

2015 წელს მუშაობა დაიწყო ეთნიკური უმცირესობების პროფესიულ განათლებაში ჩართვის ღონისძიებებზე. დაგეგმილია ქართული ენის კურსების შეთავაზება, როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში. სამუშაო შეხვედრების ფორმატში განისაზღვრა კონკრეტული ნაბიჯები. 2016 წლიდან ქართული ენის მოდული კოლეჯებშიც ხელმისაწვდომია ეთნიკური უმცირესობებისათვის. ამასთან, დასრულდა პროფესიული ტესტების ეთნიკური უმცირესობების ენაზე თარგმნის პროცესი (სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენაზე) და 2016 წლის საგაზაფხულო მიღებაზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ეძლევათ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში პროფესიული ტესტირება გაიარონ მშობლიურ ენაზე.

ამოცანა: 11.5. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 11.5.1. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება

<u>ინდიკატორი:</u> განხორციელებული პროექტები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ეთნიკური უმცირესობების კულტურის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები:

- ქ. მარნეულში გაიმართა მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი "ერთი ცის ქვეშ", რომელშიც მონაწილება მიიღეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სახელოვნებო სკოლებისა და კულტურის ცენტრებთან არსებული ეთნიკური უმცირესობების წამომადგენლების მუსიკალურმა კოლექტივებმა;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ქ. ახალქალაქის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების, ქ. ახალგორისა და ქისტი ახალგაზრდების ხელოვნების ნიმუშების გამოფენა და ასევე კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდები თბილისიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ქვემო და შიდა ქართლიდან, კახეთიდან;
- მარნეულის რაიონის საჯარო სკოლების 50 აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლე დაესწრო თოჯინების ოპერის თეატრის სპექტაკლს „სეველიელი დალაქი“;
- ქალთა საერთაშორისო დღისადმი გამართულ მიღებაზე მიწვეულ იყვნენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებიდან, ასევე თბილისიდან;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა გამართა სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა ბავშვებმა ქართველი მწერლების ნაწარმოებები, ასევე ქართულ ენაზე ნათარგმნი ლექსები წაიკითხეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანიის ჩატარებას სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნიკური უმცირესობების უფლებების, უმაღლესი და პროფესიული განათლების და სხვა საკითხებზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერას ახორციელებს სსიპ-ის ფორმით დაფუძნებული სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის:

1. სსიპ დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ- ეთნოგრაფიული მუზეუმი:
   განხორციელდა ებრაული კულტურის , ისტორიის პოპულარიზაცია და განვითარება. მუზეუმში დასაქმებულია 12 ადამიანი. გაიმართა 12 ღონისძიება მიძღვნილი ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების 26 საუკუნოვანი მეგობრობისადმი. გაიმართა 12 ღონისძიება, 1 საქველმოქმედო აქცია. მუზეუმში დასაქმებულია 12 ადამიანი.

2. სსიპ მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი:
   განხორციელდა აზერბაიჯანული კულტურის ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება-ხელშეწყობა. მუზეუმში დასაქმებულია 7 ადამიანი. გაიმართა 20 ღონისძიება (გამოფენები, კონცერტები, შემოქმედებითი საღამოები). მუზეუმში დასაქმებულია 7 ადამიანი. გაიმართა 6 შეხვედრა, 1 სემინარი, 8 ღონისძიება, 5 გამოფენა, 3 გამოცემის პრეზენტაცია.
3. სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი:
   განხორციელდა სომხური კულტურისა და თეატრალური ტრადიციების პოპულარიზაცია და განვითარება. დასაქმებულია 107 ადამიანი. გასტროლი -1, სპექტაკლების რაოდენობა 30, პრემიერა-3; მაყურებელთა რაოდენობა -3923. გაიმართა 9 სპექტაკლი, მათ შორის, 5 პრემიერა, 1 გასტროლი. მაყურებელთა რაოდენობა 1144.
4. სსიპ ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი:
   განხორციელდა აზერბაიჯანული კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა. დასაქმებულია 31 ადამიანი. გასტროლი-1, მაყურებელთა რაოდენობა -450. დასაქმებულია 31 ადამიანი. 2 საგასტროლო (თურქეთი, ლიტვა), 5 საქველმოქმედო, დაესწრო 2 210 მაყურებელი.
5. სსიპ ალ.გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრი;
   განხორციელდა რუსული კულტურისა და თეატრალური ტრადიციების განვითარება-ხელშეწყობა. დასაქმებულია 152 ადამიანი. გასტროლი -3, სპექტაკლების რაოდენობა -118, ახალი სპექტაკლები -3, მაყურებელთა რაოდენობა -23454. თეატრმა გამართა 121 სპექტაკლი, მათ შორის, 3 პრემიერა, დაესწრო 39 853 მაყურებელი. გასტროლებზე წარსდგა 12 სპექტაკლით, რომელსაც დაესწრო 7 662 მაყურებელი. თეატრმა აღნიშნა დაარსებიდან 170 წლის იუბილე.

მულტიეთნიკური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“:
ხელი შეეწყო კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებას და ახალგაზრდებში პოპულარიზაციას, მონაწილეობდა 150 მოზარდი.

ყოველწლიური 21 მაისის გამოფენა, მიძღვნილი -კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი, რომელზეც ხელი შეეწყო მულტიეთნიკური კულტურული ურთიერთობების განვითარებას. საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მრავალფეროვნების, ტრადიციების გამოვლენა/ხელშეწყობა/პოპულარიზაციას.

გამოსაცემად მომზადდა კატალოგი ,,ვეინახური ხელოვნება. აღნიშნულ კატალოგში ვეინახური კულტურის ტრადიციები და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშებია თავმოყრილი.

ჩატარდა კავკასიური ჯაზ-ფესტივალი, რომელშიც 4 ქვეყნიდან ჩამოსული 30-მდე მუსიკოსი იღებდა მონაწილეობას, გაიმართა 4 კონცერტი.

ა(ა)იპ საქართველოს იეზიდთა სახლის მიერ განხორციელდა პროექტი „ქურთული ცეკვის აღორძინების ხელშეწყობა“.

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ცენტრის მიერ შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „26 საუკუნე ერთად“. ასევე, ელექტრონული ლინკის სახით მომზადდა პროექტი „ 26 საუკუნე“, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხთა შორის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების ამსახველ ყველა ღირშესანიშნავ მოვლენას წარმოაჩენდა.

„კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“ - ინტერკულტურულ ვორკშოპში მონაწილეობდნენ ქართველი, აფხაზი, რუსი და უკრაინელი სტუდენტები და პროფესორები. პროექტში ასევე ჩაერთო იტალიური ასოციაცია „რონდინე - მშვიდობის ციტადელი“, რომელიც სხავდასხვა ეროვნების სტუდენტებით იყო წარმოდგენილი, მათ შორის იყვევ სტუდენტები აფხაზეთიდან.

გამოფენა სახელწოდებით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - აფხაზეთი“, სადაც წარმოდგენილი იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, აფხაზეთიდან დევნილი ქართველი კალიგრაფის ნამუშევრები, რაც მიზნად ისახავდა ქართული დამწერლობის პოპულარიზაციას. ასევე გაიმართა ქართულ-აფხაზური სამზარეულოს პრეზენტაცია.

> *<u>საქმიანობა:</u> 11.5.2. ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად*

<u>ინდიკატორი:</u> რესტავრირებული ძეგლები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ქ.თბილისში არსებული საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაციისა და მათი საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასების პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა: 2 სინაგოგა; 1 მეჩეთი; 1 ათეშგა (ზოროასტრული კულტის ტაძარი); 2 კათოლიკური; და 8 მონოფიზიტური ეკლესია. ასევე, განხორციელდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ორ სოფელში-სავანეთსა და ჭაფალაში არსებული აზერბაიჯანული მავზოლეუმების ინვენტარიზაცია და აზერბაიჯანული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო დუკუმენტის მომზადება. განხორციელდა თბილისში მდებარე სომხური მემკვიდრეობის ძეგლის - სურბნიშანის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ - „ საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ გიორგი ჩიტაიას სახელობის ღია ცის ქვეშ მუზეუმში ოსური სახლის რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოიყო 24 294 ლარი.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
13	12	0	1

12. რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა

მიზანი: 12. რელიგიური შემწყნარებლობის დამკვიდრება და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ამოცანა: 12.1. რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაციისგან დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნა

<u>საქმიანობა:</u> 12.1.1. რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" ყოვლისმომცველი კანონის ინიცირება

<u>ინდიკატორი:</u> მიღებული კანონი თანასწორობის შესახებ

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის 2 მაისს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი, წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურულ ერთეულს

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს სახალხო დამცველის ხელშეწყობა "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;
ბ) საქართველოში თანასწორობის დაცვის სფეროში არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგის განხორციელება;
გ) რასის, კანოს ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეწყობა;
დ) დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრაზე მონიტორინგის განხორციელება.

დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სახალხო დამცველის აპარატში შემოსული თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;
ბ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საკონსტიტუციო სარჩელის პროექტების მომზადება;
გ) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისი ნაწილების პროექტების მომზადება;
ე) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;
ვ) ადამიანის თანასწორობის დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ზ) მის კომპეტენციაში შემავალი სფეროების მიხედვით კანონმდებლობის და კანონპროექტების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება; თ) სხვა ფუნქციების შესრულება, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკიდან.

> *<u>საქმიანობა:</u> 12.1.2. რელიგიური–საკულტო დანიშნულების შენობა–ნაგებობების მშენებლობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების თაობაზე სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება*

<u>*ინდიკატორი:*</u> *შემუშავებულია რეკომენდაციები*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესწავლის შედეგად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შემუშავებულ იქნა ორი რეკომენდაცია. რელიგიური–საკულტო დანიშნულების შენობა–ნაგებობების მშენებლობის საკანონმდებლო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

1. ***საქართველოში არსებული საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ.***

სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევებისა და საქართველოში არსებულ რელიგიური გაერთიანებებთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ გააჩნიათ ამომწურავი სია იმ საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც მათ რელიგიურ მიმდინარეობას განეკუთვნება. გარდა აღნიშნულისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრის ამონაწერში, საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებს არ უფიქსირდებათ სპეციალური - „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის“ სტატუსი. ამასთანავე, საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე ვრცელდება სამშენებლო ნებართვის გაცემის ზოგადი წესი და ზოგადი სანებართვო პირობები.

2. ***საჯარო სკოლებისა და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზე საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესახებ.***

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს „რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის“ მიერ ჩატარებული სხდომების ფარგლებში განხილულ შუამდგომლობები საკულტო-რელიგიური დანიშნულების ნაგებობების მშენებლობისა და მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესახებ. განხილული შუამდგომლობებიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საჯარო სკოლებისა და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზე რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობის საკითხს.

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებს (მუხ. 3.1), რომელთა მისაღწევადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან (მუხ. 3.2.„გ“) და კრძალავს სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციისთვის გამოყენებას (მუხ. 13.2), ხოლო, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არ უნდა ემსახურებოდეს არააკადემიურ მიზნებს (მუხ. 18.3). აღნიშნული ნორმები წარმოადგენს

საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, რელიგიური ზეგავლენისგან თავისუფალი განათლების უზრუნველყოფის გარანტიას.

შესაბამისად, სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიქმნას რეგულირებისა და კონტროლის სათანადო სამართლებრივი მექანიზმები, რათა მომავალში აიკრძალოს საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა საჯარო სკოლებისა და ამათ მომიჯნავე ტერიტორიაზე.

ამოცანა: 12.2. რელიგიური სიძულვილით/შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების პრევენცია და ეფექტური გამოძიება

> *<u>საქმიანობა:</u> 12.2.1 შესაბამისი საგამოძიებო ორგანოების მიერ რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულისთვის სათანადო კვალიფიკაციის მინიჭების უზრუნველყოფა, დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება*

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავარი პროკურატურა და მისი ტერიტორიული დანაყოფები რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ფაქტებზე მიმდინარე გამოძიებებზე ახორციელებენ აქტიურ საპროცესო ზედამხედველობას და საჭიროების შემთხვევაში აძლევენ საგამოძიებო ორგანოებს მითითებებს, რათა დროულად მოხდეს დამნაშავე პირთა იდენტიფიცირება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა.

2014 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 19 სისხლის სამართლის საქმეზე. ყველა საქმე ეხება ,,იეჰოვას მოწმეების" მიმართ რელიგიური მოტივით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებს. 2014 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პირის მიმართ. ყველა ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

2015 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე საქართველოს პროკურატურაში გამოძიება დაიწყო 21 სისხლის სამართლის საქმეზე. 2015 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ. ხუთივე ბრალდებულის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს დანაშაულზე დროული და ეფექტიანი რეაგირება. ამ მიზნით, შს სამინისტრო კანონის დაცვით და მის შესაბამისად, უზრუნველყოფს იმ ფაქტების დროულ და ეფექტიან გამოძიებას, სადაც იკვეთება რელიგიური დაპირისპირების ნიშნები. 2014-2015 წლებში შს სამინისტრო ახორციელებდა რელიგიური ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. რიგ შემთხვევებში, ფაქტები არ შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.

> *<u>საქმიანობა:</u> 12.2.2. საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული და ინიცირებული ცვლილებები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს საგადასახადო კოდექსი (საქართველოს კანონი N3591 (17/09/2010)) რელიგიურ ორგანიზაციებს საგადასახადო ურთიერთობების ნაწილში ადგენს განსხვავებულ რეგულაციებს. კერძოდ, საგადასახადო კოდექსი მოგების გადასახადისგან და დღგ-ისგან ათავისუფლებს საქართველოს საპატრიარქოს. 99-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად „მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება“, ხოლო 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ ჯვრის, სანთლის, ხატის, წიგნის, კალენდრისა და სხვა საღვთისმსახურო საგნების მიწოდება, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რელიგიური მიზნით“.

თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, რელიგიური საქმიანობის საერთო, არაკომერციული ხასიათის გათვალისწინებით, სამართლებრივ სახელმწიფოში თანაბარი სამართლებრივი ფორმების მქონე კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებები უნდა სარგებლობდნენ თანაბარი საგადასახადო პირობებით.

მოცემული რეკომენდაცია სააგენტოს მიერ განხილულ იქნა რელიგიური გაერთიანებების ინტერრელიგიური სათათბიროს ფარგლებში და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების გზით მოხდეს რელიგიური გაერთიანებების გათანაბრება საგადასახადო კუთხით.

> *<u>საქმიანობა:</u> 12.2.3. გადამზადდეს შსს-სა და პროკურატურის შესაბამისი პირები, დისკრიმინაციული საფუძვლით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად.*

<u>ინდიკატორი:</u> გადამზადებულ პირთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის თემაზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის სისტემის 90 წარმომადგენელი გადამზადდა. მათი ნაწილი შსს-თან თანამშრომლობით განხორციელდა და შედეგად პროკურორებსა და გამომძიებლებს ერთობლივი ტრენინგები ჩაუტარდათ. განხორციელებული პროექტების ფარგლებში, ტრენერად მოწვეული იყო სახალხო დამცველის აპარატის წრამომადგენელიც.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრმა დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის ევროპულ სტანდარტებზე დაიწყო პროკურორებისათვის სპეციალური სასწავლო პროგრამის შემუშავება და სისტემის ტრენერების გადამზადება. ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით ტრენერთა ტრენინგის პირველი ეტაპი მიმდინარე წელს განხორციელდა.

ტრენერთა ტრენინგის შემდგომი ეტაპი 2016 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება. პროცესის დასრულების შემდეგ, პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისათვის შემუშავდება შესაბამისი სასწავლო პროგრამა, მასალები და სისტემის ყველა პროკურორი და გამომძიებელი გადამზადებას ეტაპობრივად გაივლის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- უბნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 791 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 746 მსმენელმა;

<u>საქმიანობა:</u> 12.2.4. საჯარო რელიგიური რიტუალების დაცვის უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში.

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის შესაბამისი შეფასებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საჯარო რელიგიური რიტუალების დაცვის საჭიროება საანგარიშო პერიოდში არ დამდგარა. შს სამინისტროს უმთავრესი მიზანია მოქალაქეთა მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, მათი უფლებების დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვა, სამინისტრო თავისი ფუნქციების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საჯარო რელიგიური რიტუალების დაცვას.

ამოცანა: 12.3. საჯარო სამსახურში სეკულარიზმის პრინციპის განმტკიცება

<u>საქმიანობა:</u> 12.3.1 საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

„საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“ პროექტი ითვალისწინებს სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიის, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან საქართველოს მთელი მასშტაბით. სამუშაო შეხვედრები - რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი, მოიცავს სასემინარო და სადისკუსიო ფორმატს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ტოლერანტობის კონცეფციისა და სეკულარიზმის კონცეფციის ირგვლივ.

საანგარიშო პერიოდში შედგა სამი სამუშაო შეხვედრა: 21-22 ივნისი (კაჭრეთი), 16-18 ოქტომბერი (ბათუმი) და 5-6 დეკემბერი (თბილისი).

21-22 ივნისის სამუშაო შეხვედრა გათვალისწინებული იყო, როგორც საპილოტე შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები შეირჩა იმ მუნიციპალიტეტებიდან, სადაც არსებობდა რელიგიის საკითხებისადმი მაღალი ინტერესი და ადგილი ჰქონდა გარკვეულ ინციდენტებს. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ცხრა მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს

წარმომადგენელმა: ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია - გუბერნია ახმეტა, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, თეთრიწყარო, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი, ქ. გორი, სულ თვრამეტი მონაწილე.

16-18 ოქტომბრის სამუშაო შეხვედრა დაიგეგმა რეგიონალური პრინციპით და მასში მონაწილეობა მიიღეს აჭარის ა/რ-ისა და სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა: აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი, აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო, ხულოს, ქედის, შუახევის, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და ქ. ბათუმის მერია, გამგეობა და საკრებულო, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია - გუბერნია, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ადიგენის, ნინოწმინდის, ბორჯომისა და ქ. ახალციხის მერია, გამგეობა და საკრებულო, სულ ოცდაათი მონაწილე.

5-6 დეკემბრის სამუშაო შეხვედრა მთლიანად დაეთმო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, გამგეობებისა და საკრებულოს სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებს: ქ. თბილისის საკრებულო, ქ. თბილისის მერია, საბურთალოს, დიდუბის, ვაკის, მთაწმინდის, ნაძალადევის, ჩუღურეთის, ისნის, სამგორის, კრწანისის, გლდანის გამგეობები, სულ ოცდათექვსმეტი მონაწილე.

საანგარიშო პერიოდში სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სულ ოთხმოცდაოთხმა საჯარო მოხელემ.

სამუშაო შეხვედრების სასემინარო ნაწილი დაეთმო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, ტოლერანტობის კონცეფციისა და სეკულარიზმის კონცეფციის ძირითად საკითხებს, კერძოდ: სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის საყრდენები და მოდელები დემოკრატიულ საზოგადოებაში; სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები; რელიგიისა და რწმენის თავისუფლება; სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო; დისკრიმინაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით; ტოლერანტობისა და სეკულარიზმის კონცეფციების გაგება; ტოლერანტული და არატოლერანტული საზოგადოებები; სეკულარული და არასეკულარული სახელწიფოები; შეუწყნარებლობა, ქსენოფობია, თეოკრატია და კლერიკალიზმი; სახელმწიფოს და ერთი საჯარო მოხელის როლი სეკულარული და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებაში.

სამუშაო შეხვედრების სადისკუსიო ნაწილი დაეთმო რელიგიის სფეროში წარმოშობილი პრობლემების ზოგადი სტრუქტურის გააზრებას: სახელმწიფო და რელიგიური კონფესია; სახელმწიფო და რელიგიურ კონფესიებს შორის წარმოშობილი პრობლემები; კანონმდებლობა და რელიგიური მგრძნობელობა; სამართლებრივი და სოციალურ-ყოფითი საკითხების ერთობლივი გააზრება; პრევენციული პოლიტიკა; პრობლემის შინაარსის დადგენა და ამოცანის გამოკვეთა; პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა და ჩართულობა; ხელისუფლების პოლიტიკის თანმიმდევრულობა; შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილება; საჯარო მოხელე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი.

პროექტის ფარგლებში სასემინარო და სადისკუსიო მუშაობას, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, უძღვებოდნენ მოწვეული ექსპერტები პროფ. ზაზა ფირალიშვილი და ლევან აბაშიძე.

პროექტი დასრულდება 2016 წელს და მოიცავს საქართველოს ყველა ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და სამხარეო ადმინისტრაციას - გუბერნიას.

პროექტის დასკვნით ეტაპზე მომზადდება და გამოიცემა პუბლიკაცია **„საჯარო მოხელის სახელმძღვანელო - სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო უწყებაში“.**

ამოცანა: 12.4. რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

<u>საქმიანობა:</u> 12.4.1. რელიგიური ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალის განსაზღვრის და მისი ნაწილობრივი ანაზღაურების საკითხის გადახედვა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ

<u>ინდიკატორი:</u> რელიგიურმა ორგანიზაციებმა მიიღეს შესაბამისი ანაზღაურება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილებით განისაზღვრა საბჭოთა პერიოდში საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობებისთვის მიყენებული ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის წესი. სახელმწიფოს მხრიდან ინიცირებული ფინანსური მხარდაჭერა განპირობებულია საქართველოში არსებული რელიგიური თემებისთვის იმ მდგომარეობის გამოსწორებაში ხელშეწყობის პოლიტიკური ნებით, რომელიც მათ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს განცდილი რელიგიური დევნის შედეგად თანამედროვე პერიოდში უდგათ. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობა რელიგიური თემების მიმართ არ იცნობს ზიანის რესტიტუციის კლასიკურ სამართლებრივ ვალდებულებას და განცდილი ზიანის ზუსტი ოდენობა უცნობია, ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება დევნის შედეგებთან დაკავშირებული მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე.

2014 წელთან შედარებით 2015 წელს სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებებისთვის განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერა გაორმაგდა და შეადგინა 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების თანახმად ფინანსური მხარდაჭერის ბენეფიციარები არიან საქართველოში ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებულ ისლამური, იუდეური, რომაულ–კათოლიკური და სომხური სამოციქულო აღმსარებლობის მქონე რელიგიური გაერთიანებები.

2015 წელს განსაზღვრული ფინანსური მხარდაჭერა ბენეფიციარ რელიგიურ თემებზე შემდეგი ოდენობით განაწილდა: საქართველოს მუსლიმი თემი - 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარი; საქართველოს სომეხთა სამოციქულო ქრისტიანული თემი - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი; საქართველოს რომაულ-კათოლიკეთა ქრისტიანული თემი- 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი; საქართველოს იუდეური თემი - 300 000 (სამასი ათასი) ლარი.

რელიგიური თემებისთვის გაწეული ფინანსური მხარდაჭერა, მათი მიმდინარე საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე ხმარდება რელიგიური თემის ღვთისმსახურთა სახელფასო და რელიგიური საქმიანობის გახორციელებას; საკულტო და რელიგიური შენობა-ნაგებობების რესტავრაციასა და მოვლა-პატრონობას; რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას; რელიგიური გაერთიანების მიმდინარე საყოფაცხოვრებო ხარჯებს; კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობას.

<u>საქმიანობა:</u> 12.4.2. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თანაბრად გაითვალისწინოს რელიგიური ორგანიზაციების საკულტო ნაგებობების შენარჩუნებისა და რესტავრირების საჭიროება

<u>ინდიკატორი:</u> კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიშები; სახალხო დამცველის შესაბამისი შეფასებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ქ.თბილისში არსებული საკულტო ნაგებობების ინვენტარიზაციისა და მათი საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასების პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა: 2 სინაგოგა; 1 მეჩეთი; 1 ათეშგა (ზოროასტრული კულტის ტაძარი); 2 კათოლიკური; და 8 მონოფიზიტური ეკლესია. სამუშაოებზე დაიხარჯა 20 000 ლარი.

განხორციელდა თბილისში მდებარე მონოფიზიტური მემკვიდრეობის ძეგლის - ნორაშენის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი, რომელზეც დაიხარჯა **55 000 ლარი**. ასევე, ქობულეთში მდებარე მუსლიმური მემკვიდრეობის ძეგლის - კვირიკეს ჯამეს სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა **17 922 ლარი**.

<u>საქმიანობა:</u> 12.4.3. რელიგიური დანიშნულების შენობა ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეობის განსაზღვრის საკითხის შესწავლა.

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია შესაბამისი რეკომენდაციები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სააგენტოს მიერ განხორციელებული კვლევებისა და საქართველოში არსებულ რელიგიური გაერთიანებებთან გავლილი კონსულტაციების საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ გააჩნიათ ამომწურავი სია იმ საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც მათ რელიგიურ მიმდინარეობას განეკუთვნება. გარდა აღნიშნულისა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრის ამონაწერში, საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებს არ უფიქსირდებათ სპეციალური - „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის“ სტატუსი. ამასთანავე, საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობებზე ვრცელდება სამშენებლო ნებართვის გაცემის ზოგადი წესი და ზოგადი სანებართვო პირობები.

შესაბამისად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოხდეს საქართველოში არსებული ყველა საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის აღწერა, ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრის მიერ მომზადდეს ცვლილება და ყველა საკულტო-რელიგიური დანიშნულების უძრავი ქონების სტატუსად საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებში მიეთითოს შესაბამისი სტატუსი - „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა“.

<u>საქმიანობა:</u> 12.4.4. საკულტო ნაგებობების ლეგალიზაციის, რეგისტრაციის და რესტავრაციის საკანონმდებლო რეგულაციის მომზადება. საკანონმდებლო რეგულაციის მომზადებამდე და ამოქმედებამდე მორატორიუმის გამოცხადება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები და საკანონმდებლო ინიციატივები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მომზადდა შემდეგი რეკომენდაცია : მოხდეს საქართველოში არსებული ყველა საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობის აღწერა, ასევე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრის მიერ მომზადდეს ცვლილება და ყველა საკულტო-რელიგიური დანიშნულების უძრავი ქონების ლეგალიზაციისას საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებში სტატუსად მიეთითოს შესაბამისი სტატუსი - „საკულტო-რელიგიური დანიშნულების შენობა-ნაგებობა“.

ამოცანა: 12.5. განათლების სისტემაში რელიგიური თანასწორობის პრინციპების დანერგვა

<u>საქმიანობა:</u> 12.5.1. სახელმძღვანელოების მოწესრიგება (სასწავლო სახელმძღვანელოების გრიფირების კრიტერიუმში ჩაიდოს მოთხოვნა, რომ "სახელმძღვანელოს შინაარსი ითვალისწინებს საქართველოს მოსწავლეთა მრავალფეროვნებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მიხედვით. "სახელმძღვანელო ხელს უწყობს არასტერეოტიპული, მრავალმხრივი აზროვნებისა და შეხედულებების განვითარებას მოსწავლეებში")

<u>ინდიკატორი:</u> სახელმძღვანელოები გრიფირების კრიტერიუმებში მოცემულია შესაბამისი მოთხოვნა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოსთვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების წესთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავების მიზნით, 2015 წლის 6 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 11 უწყების წარმომადგენლის მონაწილეობით შეიქმნა (ბრძანება N1205, 06.11.2015წ.) უწყებათაშორისი კომისია. აღნიშნული კომისიის განსახილველ საკითხებს შორის გახლდათ სახელმძღვანელოს/სერიის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმები. კომისია ინფორმირებული იყო რასის,კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის,პოლიტიკური და სხვა შეხედულებების,ეროვნული, ეთნიკური და სოციალურიკუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის, რელიგიური და გენდერული თანასწორობის შესახებ კრიტერიუმების შექმნის აუცილებლობაზე, რასთან დაკავშირებითაც განხორციელებული აქტივობის შედეგად სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების ჩართულობით შეიქმნა ეს კრიტერიუმები. ამ ეტაპზე მათზე მუშაობა დასრულებულია. უახლოეს მომავალში კრიტერიუმების პროექტი სამართლებრივი ფორმალიზებისათვის წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

<u>საქმიანობა:</u> 12.5.2. სკოლის დირექტორის სტანდარტში აისახოს მოთხოვნა სკოლის დირექტორის მიერ მრავალფეროვნების მართვისა და ინტერკულტურული განათლების ცოდნის ფლობის შესახებ

<u>ინდიკატორი:</u> სკოლის დირექტორების სტანდარტებში ასახულია შესაბამისი მოთხოვნა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სკოლის დირექტორების სტანდარტებში ასახულია შესაბამისი მოთხოვნა - 2014 წელს სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრში სამუშაო ჯგუფი მუშაობდა რეკომენდაციებზე თუ რა ცვლილებები უნდა შესულიყო დირექტორის სტანდარტში.

შეიცვალა დირექტორის სტანდარტის სტრუქტურა და ინდიკატორები, რომლითაც უნდა შეფასდეს დირექტორის საქმიანობა სკოლაში.

1. სტანდარტის სტრუქტურაში შევიდა ცვლილება, კერძოდ: „პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას" დაემატა ადამიანური რესურსების მართვის მიმართულება და ნაცვლად „პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვისა" დაერქვა: „ადამიანური რესურსების მართვა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;"
2. შეფასების ინდიკატორებში ამოღებული იქნა მენტორ-მაძიებლობის პროგრამა, კერძოდ: „საჯარო სკოლაში მოქმედებს მენტორ-მაძიებლობის პროგრამა; მასწავლებლებს შორის გამოცდილების, ცოდნისა და უნარების ურთიერთგაზიარება." ეს ინდიკატორი ჩანაცვლდა შემდეგნაირად: „დირექტორი ხელს უწყობს დამწყები მასწავლებლების სოციალიზაციას სკოლაში და მასწავლებლებს შორის გამოცდილების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაზიარებას." ამავე თავში

დირექტორის სტანდარტის ახალ ვერსიაში დირექტორის მოვალეობას დაემატა სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. კერძოდ: „მუხლი 6. დირექტორისა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა“

3. მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის თავი გაიყო ორ ნაწილად: მშობლებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა. თუმცა ორივე მიმართულება გაერთიანდა ერთი თავის ქვეშ „მშობლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა“
4. შეიცვალა ინდიკატორების ფორმულირება. ძველ ვერსიაში შემოწმების ინდიკატორები საშუალებას იძლეოდა მხოლოდ სკოლის შემოწმების შედეგად დადგენილიყო, სტანდარტის შესრულება. ამჯერად კი ინდიკატორები მიმართულია უშუალოდ დირექტორის საქმიანობის შეფასებასთან.
5. სკოლის დირექტორის სტანდარტის ახალ ვერსიაში ამოღებული იქნა სკოლის დირექტორისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების ბლოკი.

საანგარიშო პერიოიდის პერიოდის განმავლობაში აღნიშნული სტანდარტის დამტკიცება არ მომხდარა. სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აგრძელებს მუშაობას ზემოაღნიშნული ბრძანების ცვლილების პროექტზე.

<u>საქმიანობა:</u> 12.5.3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში ჩაიდოს ინტერკონფესიური/ ინტერკულტურული განათლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ პროფესიული განვითარების კომპონენტი

<u>ინდიკატორი:</u> მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში ჩადებულია შესაბამისი კომპონენტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მასშტაბით მასწავლებელთა გადამზადების ყველა პროგრამაში ინტერკულტურული განათლების მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებსაკითხები გამჭოლი თემაა.

2015 წელს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მომზადებულია მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი, რომელიც ნათარგმნია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნულ კითხვარში ჩადებულია საკითხები მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესის მართვის დროს მოსწავლის მიმართ ტოლერანტობის გრძნობის წახალისება, მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, ეთნიკური, რელიგიური რწმენის მრავალფეროვნების და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით. ზოგადად ასახულია და მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, გამჭოლი კომპეტენციების სახით, სამოქალაქო განათლების სხვადასხვა ტრენინგ მოდულებში.

2014 წელს 726 მასწავლებელმა გაიარა ტრენინგის გრძელვადიანი კურსი სამოქალაქო განათლების ძირითადი მიმართულებების და მიდგომების შესახებ, რომელშიც განიხილებოდა ადამიანის უფლებების სწავლება და მოიცავდა ოთხ სხვადასხვა მოდულს(მოსწავლეთა შეფასება სამოქალაქო განათლებაში, სამოქალაქო განათლების დანიშნულება და საფუძვლები, სამოქალაქო განათლების მიმართულებები და კომპონენტები, სამოქალაქო განათლების ძირითადი მეთოდები და რესურსები), დამატებით 335 მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგმოდულში: მოქალაქეობრივი სწავლება დოკუმენტური ფილმების დახმარებით.

2015 წელს 198 მასწავლებელმა გაიარა აღნიშნული გრძელვადიანი კურსის ძირითადი მეთოდების და რესურსების მოდული.

ამოცანა: 12.6. ცნობიერების ამაღლება

<u>საქმიანობა:</u> 12.6.1. საზოგადოებაში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანიის წარმოება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საზოგადოებაში ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანია სისტემატიურად მიმდინარეობს.

2014-2015 სასწავლო წელს „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისათვის მოეწყო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით თემატური კონკურსები.

2015 წლის მაისში „სასკოლო კონკურსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, ჩატარდა ვიდეორგოლების კონკურსი „ევროპა ჩემს ობიექტივში“, მოზარდებმა გამოხატეს საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ევროპული ფასეულობებისადმი: გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია, ტოლერანტობა, ოჯახში ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა, ადრეული ქორწინება, ბულინგი და სხვა თემები.

2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად გამოაცხადა ესეების კონკურსი „ახალგაზრდა უფლებადამცველი“.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 ოქტომბრის N146/ნ ბრძანებით დამტკიცდა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე მოსწავლეთა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადები, პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაფინანსების წესი. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სსიპ ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლაში, სადაც ქართულ ენას 68 ბენეფიციარს ასწავლიან კვალიფიციური პედაგოგები.

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები, ლექცია-სემინარები და დისკუსიები სამოქალაქო ინტეგრაციის, ტოლერანტობისა და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებზე ქვემო ქართლისა და კახეთის ახალგაზრდებთან. გაიმართა ფოტოკონკურსი „ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლო“, რომლის გამარჯვებულებსაც გადაეცათ პრიზები და სიგელები.

ქვემო ქართლში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები გოგონათა უფლებების შესახებ; შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე უფროსკლასელმა, ასევე მათ მშობლებმა და პედაგოგებმა

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
15	11	3	1

13. ბავშვთა უფლებების დაცვა

მიზანი: 13.1 ბავშვის უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერება

ამოცანა: 13.1.1. საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა და ამოქმედება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.1.1.1. პრემიერ მინისტრის აპარატში ადამიანის უფლებათა დაცვის საკოორდინაციო საბჭოს ფორმატში ბავშვთა უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება*

<u>ინდიკატორი:</u> სამუშაო ჯგუფი/საკოორდინაციო მექანიზმი შექმნილია; სამუშაო ჯგუფის/საკოორდინაციო მექანიზმის წევრების ფუნქციები და უფლებამოსილება განსაზღვრულია; შეხვედრები ტარდება კვარტალურად; სამუშაო ჯგუფის/საკოორდინაციო მექანიზმის მიერ ხდება ბავშვის უფლებათა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის N445 დადგენილების შესაბამისად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) დამტკიცებასთან ერთად შეიქმნა, სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა მისი დებულება. საბჭო დებულების თანახმად, უფლებამოსილია შექმნას საბჭოს წევრებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ეფექტიან განხორციელებას შეუწყობს ხელს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სამოქმედო გეგმის ბავშვთა უფლებების დაცვის თავის შესრულების ეფექტიანი პროცესის წარმართვის მიზნით, არ შექმნილა საბჭოს დებულებით გათვალისწინებული ფორმალიზებული სამუშაო ჯგუფი. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ინიციატივით შეიქმნა, არაფორმალური სამუშაო ჯგუფი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ, ბავშვთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 3 ჯგუფის შეხვედრა, რომლებზეც განხილულ იქნა სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა 2015 წლის თებერვლის თვეში. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი არ წარმოადგენდა საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ფორმალიზებულ სამუშაო ჯგუფს და მისი ფუნქციები არ იყო რეგლამენტირებული და გაწერილი რომელიმე სამართლებრივ აქტში.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.1.1.2. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპის ინტეგრირება სახელმწიფო პროგრამებში, პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და სამოქმედო გეგმებში*

<u>ინდიკატორი:</u> 2014-2015 წლებში შემუშავებულ ყველა სახელმწიფო პროგრამა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმები ასახავს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპს

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტები ბავშვთა უფლებათა დაცვის კუთხით გახლდათ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესაბამისი თავი (ბავშვთა უფლებების დაცვა) და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის N762 განკარგულებით დამტკიცებული ბავშვთა

კეთილდღეობის დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად იყო გაწერილი ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. მოცემული სამოქმედო გეგმები განსაზღვრავდა სახელმწიფო უწყებების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებებს ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. ამასთან, შესაბამისი სამთავრობო უწყებების სამოქმედო გეგმებში, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული საქმიანობები, გამომდინარეობდა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტებში გაწერილი პრიორიტეტული მიმართულებებიდან, რომლებიც თავის მხრივ შესაბამისობაში მოდიოდა ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებთან.

ამოცანა: 13.1.2. ბავშვის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება

<u>საქმიანობა:</u> 13.1.2.1. სახალხო დამცველის აპარატისა და შესაბამისი არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის შესაძლებლობის გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> ბავშვის უფლებათა მონიტორინგის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შემუშავებულია; სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის ადამიანური რესურსი გაზრდილია; სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა ცენტრის და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების პროფესიონალების შესაძლებლობები გაზრდილია; გადამზადებულ პროფესიონალთა რაოდენობა; რეგულარულად მიმდინარეობს ბავშვთა მომსახურებების და სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) დახმარებით შემუშავდა, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის 2014–2017 წლების სტრატეგია, რომლის თანახმადაც განისაზღვრა ცენტრის შემდეგი 4 ძირითადი მიმართულება: 1. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების შესრულების სისტემური მონიტორინგი; 2. სახალხო დამცველის რეგიონალური წარმომადგენლობების შესაძლებლობის გაძლიერება ბავშვის უფლებათა ინდივიდუალურ დარღვევებზე რეაგირების გაუმჯობესების მიზნით; 3. ბავშვების და ახალგაზრდების სისტემური მონაწილეობის უზრუნველყოფა; 4. ომბუდსმენთა ევროპული ქსელის სრულუფლებიანი წევრობისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ 2015 წელს განხორციელდა;

- „სოციალური დაცვისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების მონიტორინგი საქართველოს ყველა რეგიონის თითოეულ რაიონში;
- არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეგულარული მონიტორინგი – ზოგად გეგმიური და თემატურ გეგმიური;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის სრული მონიტორინგი (დღის ცენტრები, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრები, ტრანზიტული ცენტრები, მობილური ჯგუფები);
- საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლების მონიტორინგი;
- მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების follow up მონიტორინგი (სრული მონიტორინგი განხორციელდა 2014 წელს NPM –ის ექსპერტებთან ერთად);
- დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მონიტორინგი (SOS ბავშვთა სოფელი);
- აფხაზეთის საჯარო სკოლების მონიტორინგი.

2015 წელს სახალხო დამცველმა 3 რეკომენდაციით და წინადადებებით მიმართა სამთავრობო უწყებებს, რომლებიც ეხებოდა მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების, სექსუალური ძალადობისა და სქესობრივი ხელშეუხებლობისგან ბავშვთა დაცვის და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დაცვისთვის გასატარებელ ღონისძიებებს. ამასთან, 2015 წლის 26 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გაითვალისწინა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) წერილი და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაუშვებლად მიიჩნია მზრუნველობამოკლებულ ბენეფიციართა სააღმზრდელო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობა.

2015 წელს ბავშვის უფლებების ცენტრმა იმუშავა ბავშვის უფლებების დარღვევის 381 საქმეზე. საქმისწარმოებაში ბავშვის უფლებების დარღვევები თემატიკის მიხედვით შემდეგი სახით გადანაწილდა: სიღარიბე, განათლების უფლება, და ბავშვთა მიმართ ძალადობა.

2016-2017 წლებში ევროკავშირის მიზნობრივი დახმარების პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის ადამიანური და ფინანსური რესურსების გაზრდა.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.1.2.2. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესაძლებლობის განხილვა*

<u>ინდიკატორი:</u> რატიფიცირების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მომზადებულია შესაბამისი უწყებების დასკვნები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის სავალდებულოდ აღიარების პროცედურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო 2014 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმართვის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესაბამისი წინადადებების საქართველოს პარლამენტში წარდგენა არ მომხდარა, რადგან ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება სამთავრობო უწყებებს შორის. მოცემულ ეტაპზე საქართველოს მთავრობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციები შეჯერებულია და შესაბამისი წინადადებები საქართველოს პარლამენტს წარედგინება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გავლის შემდეგ.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.1.2.3. ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირების შესაძლებლობის განხილვა*

<u>ინდიკატორი:</u> რატიფიცირების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მომზადებულია შესაბამისი უწყებების დასკვნები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2014 წლის ოქტომბერში ხელახლა დაიწყო პროცედურები "ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის" სავალდებულოდ აღიარების მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება საქართველოს მთავრობაში, შესაბამისად კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებული წინადადების წარდგენა საქართველოს პარლამენტისადმი არ მომხდარა.

<u>საქმიანობა:</u> 13.1.2.4. იძულებით გაუჩინარებულ პირთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირების შესაძლებლობის განხილვა

<u>ინდიკატორი:</u> რატიფიცირების შესაძლებლობასთან დაკავშირებით მომზადებულია შესაბამისი უწყებების დასკვნები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნული კონვენციის სავალდებულოდ აღიარებისათვის საჭირო პროცედურები ხელახლა დაიწყო 2014 წლის აგვისტოს თვეში, საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 1 აგვისტოს N 2652-რს დადგენილების საფუძველზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ საკითხზე ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება საქართველოს მთავრობაში, შესაბამისად კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებული წინადადების წარდგენა საქართველოს პარლამენტისადმი არ მომხდარა.

მიზანი: 13.2. ბავშვთა დაცვისა და დახმარების სისტემის გაუმჯობესება

ამოცანა: 13.2.1.საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 13.2.1.1. ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ცვლილებებისა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის სრულყოფა

<u>ინდიკატორი:</u> საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია;
ცვლილებების შესაბამისი ნორმატიული აქტები მიღებულია შესაბამისი საჯარო უწყებების მიერ

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წლის 17 ოქტომბერს, ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული ცვლილებებში აისახა ძალადობის კიდევ ერთი ფორმა, კერძოდ უგულებელყოფა, როგორც – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე. ამასთან, უგულებელყოფის და ძალადობის სხვა ფორმის გამოვლენისას, სოციალურ მუშაკს მიენიჭა მოძალადე მშობლებისთვის მშობლის უფლების შეზღუდვის და მათგან ბავშვის განცალკევების უფლებამოსილება. ცვლილებების თანახმად კანონს დაემატა ახალი 14[1] მუხლი - არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენა, რომლის თანახმადაც არასრულწლოვნის (ბავშვის) მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იდენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებებს, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს. ამავე მუხლით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის, (UNICEF) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა, მთავრობის დადგენილების პროექტი ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების" შესახებ. მთავრობის დადგენილებით აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება მოითხოვს ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა ,,სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც სათანადო პროცედურების გავლის შემდეგ გადაიგზავნება საქართველოს პარლამენტში განსახილველად.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.2.1.2. სახელმწიფო ზრუნვაში ბავშვთა შედინების პრევენციის, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის სრულყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> მინდობის აღზრდის სტანდარტები მიღებულია;
რეინტეგრაციისა და მინდობის აღზრდის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა შექმნილია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 20 მარტის №01-20/ნ ბრძანებით დამტკიცდა, ,,რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები".

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა ,,მინდობის აღზრდის სტანდარტების" პროექტი. პროექტის დამტკიცება მოხდება ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ. ,,შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება საქართველოს პარლამენტში იგეგმება 2016 წლის განმავლობაში.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.2.1.3. ბავშვზე ზრუნვაში ჩართული სხვადასხვა უწყების მიერ ინფორმაციის გაცვლის პროცედურების გამარტივება*

<u>ინდიკატორი:</u> სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ხელთ არსებული ინფორმაცია ბავშვის შესახებ ხელმისაწვდომია დაინტერესებული უწყებებისათვის;
კონფიდენციალობის პრინციპი დაცულია ინფორმაციის მიმოცვლის დროს

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სახელმწიფო უწყებებს შორის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის ბავშვთა შესახებ ინფორმაციის გაცვლა მიმდინარეობს შეუფერხებლად, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის მიხედვით.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ახორციელებს სააგენტოს ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის მიმოცვლას კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

ამოცანა: 13.2.2. ბავშვთა დაცვის სისტემის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.2.2.1. ტრენინგების ჩატარება პროფესიულ ჯგუფებში (მოსამართლეები, მასწავლებლები, ადვოკატები, სამედიცინო პერსონალი, სოც მუშაკები და აგენტები, სკოლის ადმინისტრაცია, ბავშვთა დაცვის ოფიცრები, და სხვა) ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე.*

<u>ინდიკატორი:</u> ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხების სწავლება ინსტიტუციონალიზირებულია და წარმოადგენს პროფესიონალთა განათლების და მიმდინარე სატრენინგო პროგრამების ნაწილს

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელთა მომზადების კურიკულუმი რომლის შეთანხმებაც ხდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მოიცავს სწავლებას ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

სოციალური მუშაკების სამაგისტრე და საბაკალავრე პროგრამები მოიცავს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებს.

2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების მართვის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, ახალი ტრენინგ-მოდული „კონფლიქტი და ძალადობა სკოლაში“ სკოლის დირექტორებისათვის, მოადგილეებისა და რესურს ცენტრების წარმომადგენლებისათვის. ტრენინგ-მოდულის თემატიკაში გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხები: კონფლიქტისა და ძალადობის განსაზღვრება და არსი, სკოლაში უსაფრთხო გარემოს არსებობის მნიშვნელობა, კონფლიქტისა და ძალადობის სახეები, ქართული და საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტები კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ, ხედვისა და სტრატეგიების შემუშავება უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის, სასკოლო გარემოში კონფლიქტისა და ძალადობის პოტენციური წყაროებისა და ფაქტების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების/პროგრამების/ღონისძიებების შემუშავება და სკოლის უსაფრთხოების დაცვაში ჩართულ სხვადასხვა აქტორებთან თანამშრომლობის მექანიზმები. (მანდატურის სამსახური, დისციპლინარული კომიტეტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, მასწავლებლები, მშობლები, რესურს ცენტრები და სხვა).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების პროგრამაში. ფსიქოლოგების მიერ, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის თანამდებობაზე დანიშვნამდე, ტარდება ტრენინგ-კურსი შემდეგ თემებზე:

1. ბავშვის განვითარების ეტაპები;
2. კომუნიკაცია;
3. კონფლიქტების მართვა და მედიაცია;
4. ფსიქიკური ჯანმრთელობა;
5. სტრესი, ფსიქოლოგიური ტრავმა და ძალადობა;
6. ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლობის შედეგად, 2015 წელს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე 12 მოსამართლეს ჩაუტარდა შესაბამისი ტრეინინგი.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.2.2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული პროფესიონალების ტრენინგი ბავშვთა მიმართ ძალადობის ბიო–ფსიქო–სოციალურ და იურიდიულ საკითხებზე

<u>ინდიკატორი:</u> ბავშვთა მიმართ ძალადობის ბიო–ფსიქო–სოციალურ და იურიდიულ საკითხების სწავლება ინსტიტუციონიზირებულია და წარმოადგენს პროფესიონალთა მიმდინარე სატრენინგო პროგრამების ნაწილს

> *<u>საქმიანობა:</u> 13.2.2.3. ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის საკითხების ჩართვა პროფესიონალთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სასწავლო პროგრამებში*

<u>ინდიკატორი:</u> პროგრამები შემუშავებულია და ჩართულია პროფესიონალთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და სასწავლო გეგმებში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

მასწავლებლების, მანდატურების, ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნებში გათვალისწინებულია ბავშვთა დაცვის საკითხები. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, გათვალისწინებულია ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხი, კონფლიქტების მართვის საკითხი და ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და შემდგომი რეაგირების საკითხი. ეს საკითხები ჩართულია მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში, როგორც გამჭოლი პრიორიტეტი. ბავშვის უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება განსაზღვრული აქვს მასწავლებელს პროფესიული სტანდარტით და სკოლის შინაგანაწესით და მასწავლებლის ეთიკის კოდექსით. (როგორც ფიზიკური, ასევე, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა).

დამატებით სპეციალურ კურსს გადიან მანდატურები და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების - თბილისისა და 6 რეგიონული ცენტრის თანამშრომლები, სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, რომლებიც ჩართულები არიან სამართლებრივი კულტურის სწავლებაში. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდისა და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის მიერ ხორციელდება მანდატურების გადამზადება ბავშვთა უსაფრთხოების მართვის საკითხებში.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, 2015 წლის მარტიდან, ახორციელებს პროგრამას „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“. სატრენინგო კურსი მოიცავს თეორიულ მასალას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ჯგუფთან მუშაობის პრინციპებს, თემატურად დაკავშირებულ ღონისძიებებს და სხვა აქტივობებს. სამიზნე ჯგუფებს (ბენეფიციარებს) წარმოადგენენ მანდატურები მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო ისეთ სკოლებში, სადაც არ ჰყავთ მანდატურები, გადამზადების პროცესში ჩართულია სკოლიდან ერთი წარმომადგენელი (დირექტორი/დირექტორის მოადგილე/მასწავლებელი). 2015 წელს პროგრამის ფარგლებში გადამზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მანდატური და მიმდინარეობს სკოლის წარმომადგენლების გადამზადების პროცესი.

სააღმზრდელო დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადების კურიკულუმი, რომლის შეთანხმებაც ხდება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან მოიცავს, სწავლებას ძალადობის საკითხებზე (მოქმედი კანონმდებლობა, ბენეფიციართა ქცევის მართვის მეთოდები, ბიო–ფსიქო–სოციალური მიდგომები).

როგორც საქმიანობა 13.2.2.1-ის ანგარიშში არის ასახული, სოციალური მუშაკების სამაგისტრე და საბაკალავრე პროგრამები მოიცავს სწავლებას ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებზე. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 19 თემატური ტრენინგი, სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის საკითხებზე პასუხისმგებელი სოციალური მუშაკებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წელს გაიარა 768 მსმენელმა;
- 2015 წელს გაიარა 746 მსმენელმა.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.2.4. ძალადობის შეტყობინებაზე რეაგირების მექანიზმის დახვეწა

<u>ინდიკატორი:</u> ძალადობის ყველა შეტყობინებაზე ხდება დროული და ადექვატური რეაგირება; შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს აქვს დამტკიცებული წესი შეტყობინებისა ბავშვთა მიმართ ძალადობის ეჭვის აღებისას

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სახელმწიფოში ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი 2309 903, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 15 05, სადაც ძალადობის გამოვლენის შემთხვევაში შედის შეტყობინება, რომლის შედეგად ხორციელდება რეფერირება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსადმი, ან შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის.
,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებით N 152/ნ – N496 – N45/ნ დამტკიცებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიმართვის ფორმა, რომელიც მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტების მიერ ივსება ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში.

2014 წელს ძალადობის შემთხვევებზე მიმართვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში განხორციელდა 362 ბავშვზე. მათ შორის 172 მამრობითი და 190 მდედრობითი სქესის ბავშვზე. ძალადობის ფაქტი დადასტურებულია 211 ბავშვის შემთხვევაში.

ძალადობის სახეები ძირითადად კომპლექსური ხასიათისაა, მათ შორის:

- ფიზიკური – 93;
- ფსიქოლოგიური –101;
- უგულებელყოფა – 84;
- სექსუალური ძალადობა/გარყვნილი ქმედება – 26;

- ძალადობა ოჯახში – 11;
- მიტოვება – 28;
- ეკონომიკური ძალადობა – 4;
- შრომითი ექსპლუატაცია – 15

ძალადობის შეტყობინებიდან 306 შემთხვევაში მოძალადე მშობელი ან ოჯახის სხვა წევრია; 15 შემთხვევაში - ოჯახის მეგობარი, მეზობელი, ნათესავი; 12 შემთხვევაში - ბაღის პედაგოგი, აღმზრდელი, ძიძა; 9 შემთხვევაში - სკოლის დირექტორი, პედაგოგი; 10 შემთხვევაში - თანატოლი; 2 შემთხვევაში - უცხო პირი; 7 შემთხვევაში დაუდგენელია მოძალადის ვინაობა.

ალტერნატიულ სერვისებში გადაყვანილ იქნა, 69 ბავშვი - მინდობით აღზრდაში; 9 ბავშვი - მცირე საოჯახო ტიპის სახლში; 7 ბავშვი – თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში; 6 ბავშვი - ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდის თავშესაფარში; 3 ბავშვი -კრიზისულ ცენტში; 26 ბავშვი - მესამე პირთან (ნათესავის ოჯახი). (სულ **120 ბავშვი).**

2015 წელს, ძალადობის შემთხვევებზე მიმართვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში განხორციელდა 694 ბავშვზე. მათ შორის 321 მამრობითი და 373 მდედრობითი სქესის ბავშვზე. ძალადობის ფაქტი დადასტურებულია 421 ბავშვის შემთხვევაში.

160 შემთხვევაში გაცემულ იქნა შემაკავებელი და 9 შემთხვევაში დამცავი ორდერი. მშობლის უფლების შეზღუდვა მოხდა 20 შემთხვევაში.

ძალადობის სახეები ძირითადად კომპლექსური ხასიათისაა, მათ შორის:

- ფიზიკური – 130;
- ფსიქოლოგიური – 198;
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური - 46;
- უგულებელყოფა – 133;
- სექსუალური ძალადობა/გარყვნილი ქმედება – 61;
- ძალადობა ოჯახში – 19;
- მიტოვება – 29;
- ეკონომიკური ძალადობა – 14;
- შრომითი ექსპლუატაცია – 7;
- ადრეული ქორწინება - 53;
- განათლების მიუღებლობა -3;
- ბულინგი -1

ძალადობის შეტყობინებიდან 547 შემთხვევაში მოძალადე მშობელი ან ოჯახის სხვა წევრია.

ალტერნატიულ სერვისებში გადაყვანილი იქნა, 64 ბავშვი - მინდობით აღზრდაში; 10 ბავშვი - მცირე საოჯახო ტიპის სახლში; 3 ბავშვი – თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში; 13 ბავშვი - ტრეფიკინგის სახელმწიფო ფონდის თავშესაფარში; 5 ბავშვი - ტრანზიტულ ცენტრში; 2 ბავშვი - დედათა და ბავშვთა თავშესაფარში. (სულ **97 ბავშვი)**

ამასთან, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მაისის სამი მინისტრის ერთობლივი ბრძანების საფუძველზე საჯარო სკოლების მიერ შემუშავებულია ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესები, რომლის თანახმადაც, ძალადობის/სავარაუდო ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლის გადამისამართება, რეფერირების პროცედურაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს მანდატური, ხოლო იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან დირექტორი ან დირექტორის მოადგილე.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.2.5. სოციალური აგენტებისათვის ბავშვის შეფასების და რეფერირების მექანიზმის შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> მექანიზმი შემუშავებულია და დამტკიცებულია;
სოციალური მუშაკები იღებენ შეტყობინებებს სოც. აგენტებისაგან ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის საეჭვო შემთხვევებზე

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური დახმარების შედეგად მომზადდა, სოციალურ აგენტებსა და სოციალურ მუშაკებს შორის რეფერირების ახალი ელექტრონული მოდული, ოჯახში მცხოვრები ბავშვების (0-18) დეკლარაცია და შეფასების წესი/ინსტრუქცია (ბავშვის შეფასების სკრინინგ ინსტრუმენტი). აღნიშნული სკრინინგ ინსტრუმენტის მიზანია მეტი ინფორმაციის მოპოვება ბავშვიანი ოჯახების შესახებ, რათა შეფასდეს მათი საჭიროებები და დროულად განხორციელდეს სოციალური მუშაკების ჩართვა შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად. 2016 წელს იგეგმება აღნიშნული ინსტრუმენტის პილოტირება (რომელიც მოიცავს საველე სამუშაოებს, სოციალური აგენტების და სოციალური მუშაკების ტრენინგს, შედეგების ანალიზს და სხვა აქტივობებს). პილოტირების დასრულების შემდეგ შეფასდება ინსტრუმენტის ეფექტურობა, მომზადდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და მოხდება მისი პრაქტიკაში დანერგვა.

ამოცანა: 13.2.3. მოწყვლადი ბავშვებისათვის მომსახურებების განვითარება

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.1. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერის, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის მომსახურებების გაფართოება, არაფორმალური განათლების პროგრამების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს რეგიონებში არსებობს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერის, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის მომსახურების ცენტრების საჭირო რაოდენობა ბიუჯეტით გათვალისწინებულია სათანადო დაფინანსება

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მხარდაჭერის, კონსულტირებისა და რეაბილიტაციის მომსახურებისთვის არ არსებობს დამოუკიდებელი ცენტრები. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონულ ცენტრებში დასაქმებული ფსიქოლოგების მეშვეობით (ერთი ფსიქოლოგი თითოეულ რეგიონში).

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რეაბილიტაციის განმახორციელებელი მომსახურებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 13.2.3.3.-ის შესრულების ანგარიშში.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.2. ცხელი ხაზის ამოქმედება

<u>ინდიკატორი:</u> ფუნქციონირებს ბავშვთა დახმარების 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომელიც ცნობადი და უფასოა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

სახელმწიფოში ფუნქციონირებს ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზი 2309 903, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 24 საათიანი ცხელი ხაზი – 15 05. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფო ვერ ხედავს დამოუკიდებელი ბავშვთა დახმარების 24 საათიანი ცხელი ხაზის არსებობის აუცილებლობას.

ამასთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 20 ოქტომბრის №625/15 გადაწყვეტილებით სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს მიენიჭა „საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსი (ევრონომერი)“ – **116 006**, რის შედეგადაც 2015 წლის დეკემბრიდან უზრუნველყოფილია ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეროვნული ცხელი ხაზის **(116 006)** უფასო და უწყვეტი ფუნქციონირება მთელი ქვეყნის მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნომრის პოპულარიზაციამდე, პარალელურ რეჟიმში კვლავ ფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“ **–2 309 903**.“.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.3. ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მომსახურებების განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> მომსახურებები ამოქმედებულია თბილისსა და ქუთაისში; შემუშავებულია საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში მომსახურებების განვითარების სახელმწიფო გეგმა; ბიუჯეტით გათვალისწინებულია სათანადო დაფინანსება; ახალგაზრდული ცენტრები, სახლების სერვისების ხელმისაწვდომობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამის ფარგლებში, 2014 წელს თბილისში ამოქმედდა და ფუნქციონირება დაიწყო შემდეგმა მომსახურებებმა: 3 მობილური ჯგუფი, 2 დღის ცენტრი (41 ბენეფიციარის მომსახურების შესაძლებლობით), 2 კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარი (20 ბენეფიციარის მომსახურების შესაძლებლობით) და 2 ტრანზიტული ცენტრი (35 ბენეფიციარის მომსახურების შესაძლებლობით), აქედან ერთი ქალაქ რუსთავში. 2015 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში თბილისში ამოქმედდა დღის ცენტრი, ხოლო ქუთაისში - 1 მობილური ჯგუფი და დღის ცენტრი.

2014 წლის მონაცემებით, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად:

• კონტაქტი დამყარდა 380-მდე ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთან;

• მომსახურებით ისარგებლა - 103 ბავშვმა;

• დოკუმენტაცია მოუწესრიგდა - 32 ბავშვს და მათი ოჯახის წევრებს;

• განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შეფასდა - 9 ბენეფიციარი;

• სკოლაში ჩაირიცხა - 7 ბენეფიციარი;

• მინდობით აღზრდაში განთავსდა - 5 ბავშვი;

• მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსდა - 2 ბავშვი;

• რეინტეგრირებულ იქნა - 2 ბავშვი.

2015 წლის მონაცემებით:

მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის მობილური ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, თბილისის და ქუთაისის მასშტაბით კონტაქტი დამყარდა 254 ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთან, დღის ცენტრის, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის და ტრანზიტული მომსახურებით ისარგებლა 232 ბენეფიციარმა, 64 ბენეფიციარი გადამისამართდა სხვადასხვა მიზნობრივ მომსახურებებში.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.4. სახელმწიფო ზრუნვიდან გამავალი ახალგაზრდების მომსახურების დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> ზრუნვიდან გამავალი ახალგაზრდების მომსახურების კონცეფცია შემუშავებულია და დამტკიცებულია; მომსახურება პილოტირებულია; ბიუჯეტით გათვალისწინებულია სათანადო დაფინანსება

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მხარდამჭერი მომსახურების სტანდარტის“ პროექტი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა აღნიშნული სტანდარტის დამტკიცება.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.5. შშმ ბავშვთა ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების მომსახურების გაფართოება

<u>ინდიკატორი:</u> პროგრამების ბენეფიციარი ბავშვების რაოდენობა გაზრდილია, მათ შორის სახელმწიფო დაფინანსებების მიმღებთა; დღის ცენტრების და ადრეული განვითარების მომსახურება გეოგრაფიული მოცვა გაზრდილია

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების არეალი გაფართოვდა და აღნიშნული მომსახურების მიღება შესაძლებელი გახდა ქალაქ გორში, ხოლო 2015 წელს შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: ქალაქ ბათუმში, ქალაქ ზუგდიდში, დაბა ჩხოროწყუსა და ქალაქ ლაგოდეხში.
2014 წელს ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების მიმღები პირების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 180 ერთეულით, ხოლო 2015 წელს დამატებით 65 ერთეულით.
2014 წელს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა გაიზარდა 49 ერთეულით, ხოლო 2015 წელს 19 ერთეულით.
2014 წელს შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურების მიწოდება წინა წელთან შედარებით შესაძლებელი გახდა დამატებით 2 ტერიტორიულ ერთეულში - ჩოხატაურის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ხოლო 2015 წელს დამატებით ერთ ტერიტორიულ ერთეულში, ქალაქ წნორში.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.3.6. შშმ ბავშვთა შინ მოვლის მომსახურების დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> შშმ ბავშვთა შინ მოვლის კონცეფცია შემუშავებულია და დამტკიცებულია ბიუჯეტით გათვალისწინებულია შესაბამისი დაფინანსება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებაში 2015 წლის 2 სექტემბრის N452 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლითაც დაინერგა მძიმე

და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან ქალაქ თბილისში მცხოვრები 7–დან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ სხვა პირის მუდმივ დახმარებას და არ შეუძლიათ დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა. ქვეპროგრამის ფარგლებში მიწოდებული მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად გამოიყენება პროგრამის ფარგლებში ბინაზე მოვლის დაფინანსებული მომსახურების ლიმიტი, რაც ერთი ბენეფიციარისთვის თვეში ითვალისწინებს მომვლელის – 36 საათის, განვითარების სპეციალისტის – 5 საათის და მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტის (ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, პედიატრი, სოციალური მუშაკი) – თვეში 3 საათის მომსახურებას, სულ – არაუმეტეს 44 საათისა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, 2015 წელს მომსახურება მიეწოდა 26 ბავშვს.

ამოცანა: 13.2.4. ინფორმაციული მართვის სისტემის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 13.2.4.1. სხვადასხვა სახის მომსახურების ბენეფიციართა მონაცემთა ბაზის შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული ბენეფიციართა მონაცემთა ბაზა და ხდება მისი პერიოდული განახლება

<u>საქმიანობა:</u> 13.2.4.2. ქვეყანაში არსებული ბავშვთა მომსახურებების ბაზის ფორმირება და სისტემატური განახლება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია ბავშვთა სხვადასხვა მომსახურებების ბაზა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმღებ ბავშვთა მონაცემთა ბაზის წარმოებას.

<u>საქმიანობა:</u> 13.2.4.3. მობილური სარეგისტრაციო ცენტრების განვითარება მოწყვლადი, მათ შორის ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების რეგისტრაციისთვის

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების დროებითი რეგისტრაციის წესი; მობილური რეგისტრაციის ცენტრები ამოქმედებულია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დამტკიცებულია მაძიებლის ანკეტის სტანდარტული ფორმა, რომლის საფუძველზე სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი სოციალური მუშაკი) მიერ ხორციელდება ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ,,მიუსაფარ ბავშვად“ იდენტიფიცირება.

ამასთან, 2015 წლის 23 დეკემბერს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭომ მხარი დაუჭირა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების საკითხთან დაკავშირებით საბჭოს ფარგლებში შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს.

საკანონმდებლო ცვლილებების პროექტებზე მუშაობა დაიწყო 2014 წლის ნოემბრიდან, რომელშიც ჩართულები იყვნენ შესაბამისი სამთავრობო უწყებების, სახალხო დამცველის აპარატის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო პაკეტის მიზანს წარმოადგენს, ერთი მხრივ, მიუსაფარი ბავშვებისათვის პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება, ხოლო მეორე მხრივ,

არასრულწლოვანზე ნებისმიერ ფორმით განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, ბავშვის მოძალადისაგან განცალკევების პროცესში სოციალური მუშაკის როლის გაზრდა.

საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, ასევე, ითვალისწინებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ბავშვთა ძალადობის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურაში, რომელიც 2010 წელს დამტკიცდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ მიუსაფარ ბავშვებზე საიდენტიფიკაციო დოკუმენტები გაიცემა უსასყიდლოდ.

ამოცანა: 13.2.5. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.2.5.1. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიის შემუშავება და განხორციელება შემდეგ თემებზე: შშმ ბავშვებისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესება, ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის აღმოფხვრა, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მიმართ დამოკიდებულების ცვლილება და სხვა*

<u>ინდიკატორი:</u> ამოქმედებულია რეგულარული კამპანია მასმედიის საშუალებების რათა დაიძლიოს სტიგმა შშმ ბავშვების, ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების მიმართ და შეიცვალოს დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის საკითხებზე

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები“ ფარგლებში, 2014-2015 წლებში საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები: სოციალური რეკლამები, სამუშაო სემინარები/დისკუსიები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, ასევე, ჩატარდა პრესკონფერენცია ,,ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების თემატიკაზე.

მიზანი: 13.3. ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრა

ამოცანა: 13.3.1. ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.3.1.1. მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა ბავშვთა საჭიროებების უკეთ ასახვისათვის*

<u>ინდიკატორი:</u> მიზნობრივი სოციალური დახმარების გაცემის წესი გაუმჯობესებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები ასახულია მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემაში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №758 დადგენილებით დამტკიცდა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია“, რომლიც ძალაში შევიდა 2015 წლიდან. მეთოდოლოგიის შემუშავება განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით. ახალი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის თანახმად, შემოღებულ იქნა ბავშვთა დანამატი, რომელიც გულისხმობს თითოეულ ბავშვზე 10 ლარის ოდენობით დამატებით ფულად დახმარებას იმ ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 100 000 ქულას.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კვლევის თანახმად („საქართველოში ბავშვთა სიღარიბის შემცირება: სამომავლო გზა (2014)“) ახალი მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის შედეგად ნავარაუდებია, როგორც ზოგადი სიღარიბის, ისე უკიდურესი სიღარიბის შემცირება, კერძოდ, მოსახლეობის ზოგადი სიღარიბის შემცირება 24.9%-დან 23.4%-მდე, უკიდურესი სიღარიბის 4.5%-დან 3.4%-მდე, ხოლო ბავშვების ზოგადი სიღარიბის - 30.4%-დან 26.9%-მდე და უკიდურესი სიღარიბის - 7.15%-დან 3.3%-მდე.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 მაისის N01-153/ო ბრძანებით დამტკიცდა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების გრაფიკი, რომლის თანახმადაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ყველა ოჯახის (მიუხედავად სარეიტინგო ქულის ოდენობისა) გადამოწმება მოხდება 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით.

მიზანი: 13.4. ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელშეწყობა

ამოცანა: 13.4.1. დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება პერინატალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებით

> *<u>საქმიანობა:</u> 13.4.1.1. დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის სისტემის განახლება და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება*

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებულია დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის სისტემის რეფორმირებისათვის საჭირო რეგულატორული ცვლილებების პაკეტი; დაწესებულებების დონეზე ახალი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ფორმები, ისევე როგორც სტატისტიკური ანგარიშგების მოთხოვნები განახლებულია და ინტეგრირებულია სისტემაში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2013 წლის თებერვალში შეიქმნა დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემსწავლელი ინტერსექტორული საბჭო. დედათა და ბავშვთა გარდაცვალებისა და მკვდრადშობადობის აღრიცხვიანობის, გარდაცვალების მიზეზების განსაზღვრისა და ანალიზის გასაუმჯობესებლად მოხდა სავალდებულო შეტყობინების სისტემის დანერგვა და აქტიური ზედამხედველობის მექანიზმების ჩართვა. მუდმივად მიმდინარეობს მუშაობა სისტემის დახვეწის მიმართულებით.

2015 წელს დასრულდა, ახალი ელექტრონული საინფორმაციო სისტემის შემუშავება „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის რეგისტრი“, რომელმაც 2016 წლიდან დაიწყო მუშობა, "სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ", შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის N01-2/ნ ბრძანების საფუძველზე. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ბაზისურ ინდიკატორებთან ერთად ელექტრონული საინფორმაციო სისტემა ახდენს 200-ზე მეტი ინდიკატორის მოწოდებას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს პარალელური კვლევების საჭიროებას.

ამასთან, მომზადებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომელიც ეხება დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან დაბადებისა და

გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის გაცემის წესს. 2016 წლის განმავლობაში დაგეგმილია აღნიშნული ბრძანების დამტკიცება.

<u>საქმიანობა:</u> 13.4.1.2. ქვეყნის მასშტაბით სამშობიარო სახლების დონეებად დაყოფა და ამ დონეებს შორის დედათა და ახალშობილთა ტრანსფერისათვის ახალი პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> პერინატალური მოვლის დონეების განმსაზღვრელი მოთხოვნები ამოქმედებულია; სატრანსპორტო პროგრამის კომპონენტები და პასუხისმგებლობები განახლებულია და ამოქმედებულია

<u>საქმიანობა:</u> 13.4.1.3. პერინატალური სერვისების აკრედიტაციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება და ნებაყოფლობითი აკრედიტაციის დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია პერინატალური სერვისების აკრედიტაციის პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები

<u>საქმიანობა:</u> 13.4.1.4. ანტე და პერინატალური სერვისის მიმწოდებელთა გადამზადება და მათი პროფესიული განვითარების მექანიზმების შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რაიონებში მომუშავე ნეონატოლოგთა და ანტენატალური სერვისის მიმწოდებელთა პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმს, შემუშავებულია და ამოქმედებულია; გადამზადებულ პროფესიონალთა (გინეკოლოგები, ნეონატოლოგები) რაოდენობა და % პერინატალურ სერვისებში მომუშავე საერთო რაოდენობიდან

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ნორმატიული ბრძანების პროექტი, რომლის დამტკიცებაც იგეგმება 2016 წელს.

პროექტი მოიცავს, პერინატალური სერვისების რეგიონალიზაციის დონეების განსაზღვრას და ეფუძნება ორსულთა, დედათა და ახალშობილთა პერინატალური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების კლასიფიკაციას მათი სიმძლავრეების მიხედვით, ქვეყნის საჭიროებებსა და რეალობაზე მორგებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

პერინატალური მოვლის სისტემა იყოფა სამ დონედ: მოვლის საბაზისო (I), მოვლის სპეციალიზებული (II), მოვლის სუბსპეციალიზებული (III) დონე. ასევე, განსაზღვრულია თითოეული დონის საქმიანობის მოცულობა და მის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, პაციენტების რეფერალის კრიტერიუმები და გათვალისწინებულია სხვადასხვა დონეებს შორის ფუნქციური კავშირების დადგენის მექანიზმი.

პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასებისა და პილოტური პროექტის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის მიერ დაწესებულებათა შეფასებისა და რეგიონალიზაციის შესაბამისი დონის მინიჭების მიზნით, განახორციელდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ელექტრონულ პორტალზე ,,პასპორტიზაციის მოდულში“ დაწესებულებების მიერ ატვირთული „პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულების საპასპორტო მონაცემების“ დამუშავებისა და ადგილზე შემოწმების სამუშაოები. განისაზღვრა იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომლებსაც

აქვთ მე-2 და მე-3 დონის სერვისის მიწოდების რესურსი. თითოეული დაწესებულებისთვის მომზადდა სერვისის გასაუმჯობესებელი რეკომენდაციები, რომელთა შესრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის პირველი მაისი.

2015 წლის პირველი მაისიდან დაიწყო „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით განსაზღვრული, რეფერალის სქემის ფუნქციონირება იმერეთის რეგიონში და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი „პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეების შეფასებისა და პილოტური პროექტის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის“ უშუალო კოორდინაციით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეფასდა პერინატალური სერვისის მიმწოდებელი 20 დაწესებულება, რომელთაც მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები სასურველ დონესთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
- იმერეთის რეგიონში მე-2 დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელ კლინიკებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღჭურვილობა (ჯამში შეძენილია 100 000$-ს ღირებულების სამედიცინო აღჭურვილობა);
- დაწესებულებებისთვის შეფასების პროცესში მიცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების შედეგების საფუძველზე განისაზღვრა თითოეული მათგანის რეგიონალიზაციის დონე;
- შემუშავდა რეგიონალიზაციის პროცესის მონიტორინგის მექანიზმი;
- პროექტში მონაწილე 1-ლი და მე-2 დონის კლინიკებიდან გადამზადებულია 60 მეანი, 65 ნეონატოლოგი, 55 ანტენატალური მომსახურების მიმწოდებელი მეან-გინეკოლოგი, 37 ექთანი (ბებიაქალი, სამეანო და ნეონატალური ექთნები). მე-2 დონის პერინატალური სერვისის მიმწოდებელი კლინიკების მეან-გინეკოლოგებმა და ნეონატოლოგებმა კლინიკური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით სწავლება გაიარეს სიმულაციურ ცენტრში და მე-3 დონის ნეონატალურ დაწესებულებებში;
- გადამზადდა საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის როგორც ცენტრალური აპარატის, ასევე, რეგიონის თანამშრომლები, რათა შეუფერხებლად მოხდეს კომუნიკაცია პაციენტთა ადეკვატური რეფერალის განსახორციელებლად;
- ყოველკვირეულად მიმდინარეობს რეფერირებული პაციენტების შესახებ ინფორმაციის დამუშავება და მზადდება სათანადო ანალიზი;
- პროცესის სწორი წარმართვისა და მონიტორინგის მიზნით შემუშავდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის №01-289/ო ბრძანებით დამტკიცდა „პერინატალური რეგიონალიზაციის მონიტორინგის ფორმა“, რომლის მიხედვითაც პილოტური პროექტის ფარგლებში პერინატალური სერვისის მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს დონის შესაბამისი მომსახურების მიწოდება და ყოველთვიურად წარადგინოს სამინისტროში შესაბამისი ფორმით განსაზღვრული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით და ადგილზე განხორციელებული მონიტორინგის საშუალებით ხდება პილოტური პროექტის მიმდინარეობის და ზოგადად პროცესის ეფექტურობის შეფასება;
- მომზადდა საპილოტე პროექტის მონიტორინგის 6 თვის შედეგების ანგარიში.

რეგიონალიზაციის პილოტური პროექტის დასრულების შემდეგ (2016 წელი) დაიწყება პროექტის შემდგომი გაფართოება და ქვეყნის მასშტაბით გავრცელება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პერინატალური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას და დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას.

ამოცანა: 13.4.2. პირველადი ჯანდაცვის რგოლში ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების ხარისხის გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 13.4.2.1. პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელთა შესაძლებლობების გაძლიერება 0-6 წლამდე ბავშვთა ზრდისა და განვითარების მონიტორინგის კუთხით

<u>ინდიკატორი:</u> პირველადი ჯანდაცვის სერვისის რგოლისათვის 0-6 წლამდე ბავშვთა ზრდისა და განვითარების მეთვალყურეობის ინსტრუმენტებისა და მონიტორინგის სისტემა გაუმჯობესებულია; გადამზადებულ პჯდ ექიმთა რაოდენობა % სოფლად და ქალაქად მომუშავე პჯდ კადრის საერთო რაოდენობიდან

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პირველადი ჯანდაცვის ცენტრებიდან მიღებული მონაცემებით, 2014 წელს 6 წლამდე ბავშვების 0.04%-ს აღენიშნებოდა სმენის, ხოლო 0.46%-ს მხედველობის დაქვეითება. ტანადობის დარღვევა აღმოაჩნდა ბავშვთა 0.14%-ს, ხოლო გონებრივი განვითარების შეფერხება კი 0.1%-ს.

პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში რუტინულად მიმდინარეობს 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების და სკოლისათვის მზადყოფნის შეფასება, განვითარების და ქცევის პრობლემების მქონე პაციენტთა ადრეული იდენტიფიკაცია, მშობლის კონსულტაცია ბავშვის განვითარების ხელშეწყობის, მოვლის, კვების საკითხების შესახებ (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გეგმიური ამბულატორიული კომპონენტი, სოფლის ექიმის პროგრამა).

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედებს 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის კომპონენტი, რომელიც მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელშეწყობით სახელმწიფო გეგმავს ბინაზე ვიზიტების მოდელის პილოტირებას 3 წლამდე ასაკის ბავშვებში განვითარების შეფერხების ადრეული გამოვლენის და მათი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში დროული გადამისამართების უზრუნველსაყოფად. 2015 წელს დაიწყო პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ექთნების გადამზადების პროცესი და გადამზადდა 377 ექთანი იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.

<u>საქმიანობა:</u> 13.4.2.2. ბავშვებში ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისების განვითარების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროტოკოლების/სტანდარტებისა და მონიტორინგის მექანიზმები გაუმჯობესებულია; ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გეოგრაფიული მოცვა გაზრდილია

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2013 წელს დამტკიცდა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფცია (საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის N1741-Iს დადგენილება), ხოლო 2014 წლის დეკემბერში კი ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და

2015-2020 წლის სამოქმედო გეგმა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილება).

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული სერვისების (ბავშვთა და მოზარდთა ჩათვლით) სათემო სერვისებად გარდაქმნას და ამ სერვისების გაფართოებას, მულტიდისციპლინური გუნდების შექმნას და სათემო სერვისებისთვის დაფარვის ზონების/მოცვის არეალის განსაზღვრას. ამასთან, დაგეგმილია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სამსახურის განვითარება, ფსიქო-სოციალური დახმარების დიფერენცირებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება, როგორც მოზრდილთათვის ასევე ბავშვებისთვის.

სახელმწიფოში ფუნქციონირებს დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა, რომელიც მოიცავს ბავშვის მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, ექსპრესიული და რეცეპტული მეტყველების, კომუნიკაციის, შემეცნებითი უნარების, თვითმომსახურების სფეროების შეფასებას, ბავშვის ფსიქიკური განვითარების ასაკობრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენას, დიაგნოსტირებულ ბავშვებში ინტერვენციისა და განვითარების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს ფსიქიატრიულ ამბულატორიულ მომსახურებას (ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის ან ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულების მიმართვით გადაგზავნილი, აღრიცხვაზე აყვანილი და თვითდინებით მისული (დიაგნოზის დადასტურების შემდეგ) პაციენტების მომსახურება) და ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპეციალური კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის პაციენტების მდგომარეობის შესწავლას/დიაგნოსტიკას დღის სტაციონარის პირობებში, რომელთაც აღენიშნებათ ფსიქიკური მდგომარეობის და ქცევის ცვლილება, სოციალური ფუნქციონირების გაუარესება და დეზადაპტაცია.

ამასთან, შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრისა“ და ა(ა)იპ „მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრის“ ბაზაზე 2015 წელს ფუნქციონირება დაიწყო თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურებამ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის, რომლებიც ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, ხოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს.

ევროსაბჭოს ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, 2015 წელს მუშაობა დაიწყო ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ განათლების და ცნობიერების ამაღლების 2015-2020 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დამტკიცდება 2016 წელს.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევრობიუროს ფინანსური ხელშეწყობით 2015 სექტემბერ-დეკემბრის თვეში წელს განხორციელდა თბილისის პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების 120 ოჯახის ექიმების გადამზადება ფსიქიკური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მართვის საკითხებში.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.4.2.3. მალნუტრიციის შემცირება ფორტიფიცირებულ პროდუქტებზე და მიკროელემენტების შემცველ მრავალკომპონენტიან საკვებ დანამატებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის გზით*

<u>ინდიკატორი:</u> ფქვილის სავალდებულო ფორტიფიცირების კანონი ინიცირებულია და დამტკიცებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების დასკვნების გათვალისწინებით; მოსახლეობის ცოდნის დონე ფორტიფიკაციის დადებით მხარეებზე ამაღლებულია, მათ შორის

მარილის იოდიზაციასა და პურის ფქვილის ფორტიფიცირების საკითხებზე; მოსახლეობის ცოდნის დონე ამაღლებულია 6-24 ასაკის ბავშვებისთვის საჭირო მიკროელემენტების შემცველ საკვებ დანამატებზე სახლებში ფორტიფიცირებისა და ბავშვთა კვების გამდიდრებასთან დაკავშირებით

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებელი</u>

სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2014 წელს, ბავშვთა პროფილაქტიკური გასინჯვებისას, ნაკლები წონა (<10 პერცენტილი) აღენიშნებოდა 0-1 წლამდე ბავშვების 0.03%-ს, ხოლო 1-6 წლამდე ასაკის ბავშვების - 0.03%-ს.

დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის, რკინადეფიციტურ ანემიასთან დაკავშირებული პერინატალური სიკვდილიანობის, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების რისკის შემცირების მიზნით, 2014 წლის მაისიდან მიმდინარეობს ფოლიუმის მჟავით ორსულთა მთელი კონტინგენტის, ხოლო რკინის პრეპარატებით - რკინადეფიციტური ანემიის მქონე ორსულთა უზრუნველყოფა.

სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2015 წელს შემუშავდა ნუტრიციული ზედამხედველობის და მონიტორინგის ეროვნული სისტემის ფორმირების პროექტი (პროექტი მხარდაჭერილია აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ) რომლის განხორციელება იგეგმება 2016 წლიდან. ზედამხედველობის სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით მოხდება მიკრონუტრიენტთა დეფიციტის იდენტიფიცირების და საკვები პროდუქტების (ფქვილის) ფორტიფიცირების საჭიროებების შეფასება და საჭიროებიდან გამომდინარე, 2017 წელს განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და სხვა საჭირო აქტივობების დაგეგმვა.

ამოცანა: 13.4.3. აივ-ინფექცია/ შიდსის პრევენციული სერვისების გაუმჯობესება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.4.3.1. აივ-ინფექცია/შიდსის საკითხების ინტეგრირება სკოლის სასწავლო პროგრამაში და მასწავლებლების აღჭურვა შესაბამისი დამხმარე სახელმძღვანელოებითა და ცოდნით ეროვნულ დონეზე*

<u>ინდიკატორი:</u> აივ-ინფექცია/შიდსის შესახებ სწავლება ინტეგრირებულია სკოლის სასწავლო ეროვნულ პროგრამაში; ქვეყნის მასშტაბით აივ-ინფექცია/შიდსის საკითხებში გადამზადებულ მასწავლებელთა რაოდენობა და %

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

აივ-ინფექცია/შიდსის შესახებ ინფორმაცია ინტეგრირებულია ბიოლოგიის საგნის ანატომიის მოდულში სახელწოდებით "ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია" (10 საათი). 2014 წელს აღნიშნულ მოდულში ტრენინგი გაიარა 28 მასწავლებელმა თბილისის და შიდა ქართლის რეგიონებიდან. დამხმარე რესურსების სახით ინტერნეტგაზეთი და ჟურნალი „მასწავლებელი" მუდმივად აქვეყნებს სტატიებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობასა და აივ/შიდსის შესახებ ცოდნის დონის ამაღლების მიზნით. აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებული საკითხები ასევე, ასახულია მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნის – სამოქალაქო განათლების პროგრამაში.

სკოლებში პრევენციული სწავლების უზრუნველსაყოფად და პედაგოგების მეთოდოლოგიის დასახვეწად მომზადდა მასწავლებლის გზამკვლევი „ჯანსაღი ცხოვრების წესი", რომელშიც ასახულია ალკოჰოლის, ნიკოტინის, ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებული

საინფორმაციო მასალა, ასევე საგანმანათლებლო აქტივობები და მეთოდოლოგიური ნაწილი. გზამკვლევის ელექტრონული ვერსია ასევე, განთავსებულია ეროვნული სასწავლო გეგმების ვებპორტალზე.

<u>საქმიანობა:</u> 13.4.3.2. მაღალი რისკის მქონე მოზარდებში აივ-ინფექცია შიდსის პრევენციის სერვისების მიწოდების საკითხებში არასამთავრობო სექტორის როლის გაძლიერება და რეგულირების ბარიერების მოხსნა

<u>ინდიკატორი:</u> აივ-ინფექციასთან მიმართებაში კონფიდენციალური კონსულტაციებისა და ტესტირების გამოყენების ასაკის 14 წლამდე დაწევასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები ინიცირებულია; მაღალი რისკის ჯგუფის მოსახლეობაში (მაღალი რისკის მოზარდების ჩათვლით), აივ-ინფექციის ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და ტესტირებისათვის ბარიერების მოხსნის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები გაკეთებულია

<u>სტატუსი: შესრულებელი</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაღალი რისკის ჯგუფის მოზარდებში აივ ტესტირების სერვისებით მოცვის გაზრდის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ განხორციელდა ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელთა სწავლება ტესტირების და კონსულტირების ტექნიკის საკითხებში. 195 ახალგაზრდა თანასწორთა განმანათლებელი მომზადდა აივ/შიდსის პრევენციის საკითხებში.

ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავდა ინტეგრირებული კომპიუტერზე ადაპტირებული ტრენინგის ინსტრუმენტი (იკატი) "აივ კონსულტირება და ტესტირება მოზარდებსა და ახალგაზრდებში" სამედიცინო პერსონალისათვის, რომლებიც ჩართული არიან მოზარდებისა და ახალგაზრდების აივ ტესტირებასა და კონსულტირების სერვისის მიწოდებაში. აღნიშნული ინსტრუმენტი აიტვირთა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. ამასთან, საქართველოს 5 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ზუგდიდი, რუსთავი და თელავი) 5 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, 5035 ახალგაზრდას ჩაუტარდა ტესტირება და კონსულტირება აივ-ინფექციის შესახებ.

2015 წლის სექტემბერში ცვლილებები შევიდა „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებების თანახმად 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანების თანხმობის გარეშე აღარ ხდება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება აივ ინფექციაზე პაციენტის ნებაყოფლობითი კონსულტირებასა და ტესტირებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ დიაგნოსტიკის შედეგად პაციენტს აღმოაჩნდა დადებითი შედეგი, 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მშობელს ან კანონირ წარმომადგენელს აღნიშნულის შესახებ ეცნობება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა ან პაციენტი უარს აცხადებს მკურნალობის ჩატარებაზე.

ამასთან, მოსახლეობაში გავრცელებული სტიგმისა და სამართლებრივი დევნის რეალური საშიშროების გამო, მაღალი რისკის (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი სქესობრივი პარტნიორები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ სქესობრივი კავშირი რაიმე სახის ანაზღაურების მიღების მიზნით და მათი კლიენტები) მქონე პირთა აივ ინფექცია შიდსის სახელმწიფო პროგრამით მაქსიმალურად მოცვის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლიდან პროგრამაში მათი იდენტიფიცირება ხდება 15-ნიშნა დაშიფრული კოდით (კოდირების წესი განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N217/ო ბრძანებით).

ამოცანა: 13.4.4. სპორტული სერვისების გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 13.4.4.1. ფიზიკურად არაჯანმრთელი ბავშვების გაჯანსაღებისა და რეაბილიტაციის მიზნით სპორტული დარბაზებისა და მოედნების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> სპორტულ/ფიზიკურ აქტივობებში გაჯანსაღების მიზნით ჩართული ბავშვების რაოდენობა და მიღწეული შედეგების პროცენტული მაჩვენებელი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014-2015 წლების განმავლობაში საქართველოს მასშტაბით აშენდა 29 სპორტული ობიექტი, მათ შორის „საწყლოსნო კომპლექსი“ - რომელშიც შესაძლებელია წყალბურთის, ცურვის, სინქრონული ცურვის და წყალში ხტომის ტურნირების ჩატარება და „ახალი სპორტის სასახლე“ - რომელშიც ორი დარბაზი (დიდი დარბაზი 3600 გულშემატკივარს, მცირე არენა კი 600 გულშემატკივარს იტევს) მოეწყო, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ორგანიზება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში.

ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დამონტაჟდა 20-მდე გარე სავარჯიშო მოწყობილობები. პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს გადაეცათ სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, 2013 წლის შემდეგ სპორტულ აქტივობებში ჩართული ბავშვების რაოდენობა გაიზარდა 30%-ით. მონაცემები დათვლილია სპორტული ფედერაციების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე.

მიზანი: 13.5. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება

ამოცანა: 13.5.1. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა (კანონთან კონფლიქტში მყოფი, მოწმე და დაზარალებული, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ბავშვები)

<u>საქმიანობა:</u> 13.5.1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება/ამოქმედება

<u>ინდიკატორი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მომზადებულია 2014 წელს; კოდექსის ამოქმედებისათვის საჭირო სამუშაოები შესრულებულია (2015); კოდექსი ამოქმედებულია (2015)</u>

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014-2015 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), ასევე, ქართველი და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შეიმუშავა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი. კოდექსის შემუშავება მოხდა იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილების შექმნილ სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, გაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე

2014 წლის აგვისტოს თვეში. 2014 წლის სექტემბერში მოხდა ექსპერტიზის შედეგად მიღებული კომენტარების კოდექსის პროექტში ასახვა. ამასთან, გაიმართა 2 დღიანი გასვლითი შეხვედრა იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და მთავარი პროკურატურის წარმომადგენელების მონაწილეობით, სადაც დეტალურად იქნა განხილული კოდექსის პროექტი.

2015 წლის 20 იანვარს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-14 სხდომაზე საბჭოს წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს წარედგინათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი.

2015 წლის 12 მარტს საქართველოს მთავრობამ მოიწონა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი.

2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ერთ საკანონმდებლო აქტში გააერთიანა არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის სისხლის სამართლის პროცესის, სასჯელაღსრულების და სხვა საკითხების მარეგულირებელი ნორმები, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა კანონმდებლობის სიმარტივეს და სიცხადეს. კოდექსი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი, მოწმე და დაზარალებული არასრულწლოვნების უფლებათა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის დამატებით გარანტიებს, მოსამართლის უფლებამოსილების გაფართოებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, სასჯელთა მრავალფეროვან სპექტრს და სხვა საკითხებს. კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს ახორციელებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები. სპეციალიზაცია სავალდებულო მოთხოვნაა ყველა იმ პირისთვის, რომელიც მუშაობს კანონთან კონფლიქტში მყოფ, მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთან.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.5.1.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად*

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი დასრულებულია და გამოკვეთილია ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობის პრობლემები; საქართველოს სამოქალაქო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილებები; კანონქვემდებარე აქტებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

აღნიშნული საქმიანობის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 13.2.4.3-ის შესრულების ანგარიშში.

ამოცანა: 13.5.2. მართლმსაჯულების სისტემის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

> *<u>საქმიანობა:</u> 13.5.2.1. მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალების (მოსამართლეები (სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული), პროკურორები, ადვოკატები, პოლიციის თანამშრომლები) სპეციალიზაცია*

<u>ინდიკატორი:</u> სისტემის სპეციალიზაციის მოდელი შემუშავებულია (2014); სპეციალიზირებულ პროფესიონალთა სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია; სპეციალიზირებული პროფესიონალები დანიშნულები არიან სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა

სამინისტროს და იურიდიული დახმარების სამსახურში; სპეციალიზირებულ პროფესიონალთა რაოდენობა

<u>საქმიანობა:</u> 13.5.2.3. სპეციალიზირებულ პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია სატრენინგო მასალა სპეციალიზირებული გამომძიებლებისათვის, პროკურორებისთვის, მოსამართლეების და ადვოკატებისთვის (2014); სატრენინგო მასალები დანერგილია იუსტიციის სასწავლო ცენტრის, პროკურატურის სასწავლო ცენტრის, იუსტიციის უმაღლესი სკოლის და პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამაში (2014); სპეციალიზირებულ პროფესიონალთა 100% გავლილი აქვს მომზადება შემუშავებული სასწავლო პროგრამის მიხედვით (2015);

<u>სტატუსი; ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წლის 20 იანვარს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით მე-14 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შექმნის მიზანი გახლდათ, სისხლის სამართლის რეფორმაში ჩართული უწყებების თანამშრომელთა გადამზადების პროცესის სისტემურად, კოორდინირებულად და გონივრულად გაწერილ ვადებში წარმართვა. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შესაბამისი უწყებების მიერ განსაზღვრულმა ექსპერტებმა გაიარეს ტრენერთა ტრენინგი (ToT), რომლებიც უზრუნველყოფენ უწყებების შიგნით სხვა თანამშრომელთა გადამზადებას.

ტრენერთა გადამზადების პროგრამის კონცეფცია შემუშავდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში და საბჭოს მიერ დამტკიცდა 2015 წლის 18 ივლისს.

ტრენერთა ტრენინგი შედგებოდა 6 მოდულისგან:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი;
- საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები;
- ანტისოციალური ქცევის ფსიქოლოგიური ასპექტები;
- ძალადობა ბავშვზე და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე;
- დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა (პროტოკოლი);
- ტრენერთა ტრენინგი, ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია.

2015 წლის ივლისის და სექტემბრის თვეში იუსტიციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა სპეციალიზაციის პირველი ეტაპი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტრენერთა გადამზადების 8-დღიანი (56 სთ) კურსი გაიარა 9 სხვადასხვა უწყების 71 ტრენერმა ქვემოთ მითითებული მონაცემების მიხედვით:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო - 17
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - 9
- დანაშაულის პრევენციის ცენტრი - 2
- იურიდიული დახმარების სამსახური - 5
- იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 3
- იუსტიციის სასწავლო ცენტრი - 2
- სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტრო - 11
- უზენაესი სასამართლო - 4
- მთავარი პროკურატურა - 18

სპეციალიზაციის მეორე ეტაპის ფარგლებში გადამზადებული ტრენერ-ექსპერტების მიერ გადამზადნენ შესაბამის უწყებების თანამშრომლები. ასევე, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაში ჩართული უწყებების მიერ არასრულწლოვანთა კოდექსის მიხედვით შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები/კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ყველა ტერიტორიულ ერთეულში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე განისაზღვრნენ სპეციალიზებული პროკურორები, რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით გადამზადდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. ტრენინგი საქართველოს კანონმდებლობის გაცნობასთან ერთად, მოიცავდა საერთაშორისო სტანდარტებს, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და დაკითხვის ტექნიკებს. 2014 წელს ამ მიმართულებით ტრენინგი გაიარა 34-მა პროკურორმა.

2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით განხორციელდა პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების გადამზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებში.

2014 წელს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის თემაზე განხორციელდა სამუშაო შეხვედრები საქართველოს მთავარი პროკურატურის სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოებიდან წარმოდგენილი პროკურორებისათვის, სადაც, ასევე, განხილული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებები და საერთაშორისო სტანდარტები. სამუშაო შეხვედრები საქართველოს პროკურატურისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა. აღნიშნულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობდა 35 პროკურორი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის ბოლოს სასწავლო აქტივობები კომპლექსურად განხორციელდა. პირველ ეტაპზე შემუშავდა სასწავლო პროგრამა, მომზადდა მასალები როგორც სამართლებრივ, ასევე ფსიქოლოგიურ ნაწილსა და შესაბამისი პროფესიული უნარების განვითარების მიზნით. განხორციელდა ტრენერთა ტრენინგი, რომელიც პროკურატურის სისტემის 18-მა წარმომადგენელმა წარმატებით გაიარა. შემდეგ ეტაპზე, პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებელთა სპეციალიზაციის მიზნით, შესაბამისი სწავლება სისტემის ყველა ტერიტორიული ორგანოდან ჯამში 188 წარმომადგენელმა გაიარა, მათ შორის არიან პროკურატურის სისტემის მენეჯერებიც. ამასთან, წლის პირველ ნახევარში განხორციელდა ტრენინგები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და განრიდება-მედიაციის მიმართულებებით, რომელშიც ჯამში 54 პროკურორი მონაწილეობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელ სპეციალიზებულ პოლიციელთა და გამომძიებელთა მომზადების პროგრამა. 2015 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 327 პოლიციელის/გამომძიებლის სპეციალიზაცია.

2014 წლის განმავლობაში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ქვეყნის მასშტაბით გადამზადდა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 30 ადვოკატი. 2015 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ დამატებით განხორციელდა 23 ადვოკატის გადამზადება. ამასთან, 2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებების საკითხებზე გადამზადდა, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის 58 ადვოკატი.

2015 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ფსიქოლოგია, არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა" სისტემის იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც სამსახურეობრივი შეხება აქვთ არასრულწლოვან ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან. კურსის მიზანი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირთა კვალიფიკაციის ამაღლება არასრულწლოვნებთან მუშაობის/ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. სპეციალიზებული პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს და აღნიშნულ სამ დღიან ტრენინგს უძღვებოდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ტრენერთა ტრენინგის მონაწილე პირები. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში მომზადება გაიარა პენიტენციური დაწესებულებებისა და საგამოძიებო დეპარტამენტის 104-მა თანამშრომელმა.

2015 წელს იუსტიციის უმაღლესის სკოლის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდთან და ორგანიზაცია Human Dynamics-თან თანამშრომლობით ჩატარდა მოსამართლეთა 6 ტრენინგი სპეციალიზაციის მიხედვით. 5 ტრენინგი განხორციელდა სისხლის სამართლის მიმართულებით, რომელსაც დაესწრო 110 მოსამართლე, ხოლო 1 ტრენინგი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25-მა მოსამართლემ.

<u>საქმიანობა:</u> 13.5.2.2. ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია კონცეფცია ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესახებ

<u>საქმიანობა:</u> 13.5.2.4. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა მართლმსაჯულების სიტემაში

<u>ინდიკატორი:</u> ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები შემუშავებულია და დანერგილია როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის სტადიაზე; შემუშავებულია დაზარალებულ და მოწმე ბავშვთა დაკითხვის/გამოკითხვის მეთოდოლოგია; ბავშვზე ორიენტირებული მიდგომები დანერგილია სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შემუშავებული იქნა არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდოლოგია (სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ნაწილი) და გადამზადდა ყველა ის პროკურორი, რომელიც ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. ამასთან, არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდოლოგიაზე მომზადებულია სახელმძღვანელო, რომლითაც ხელმძღვანელობენ პროკურორები.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის საბაზისო სავალდებულო კურსი ითვალისწინებს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებული/დანერგილი „არასრულწლოვანთა დაკითხვის მეთოდის სწავლებას".

ამოცანა: 13.5.3. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზა

<u>საქმიანობა:</u> 13.5.3.1 მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბაზა

<u>ინდიკატორი:</u> შესაბამისი სტატისტიკური მოდულები და ინდიკატორები შემუშავებულია და დანერგილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს,

პროკურატურის, განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საინფორმაციო სისტემებში; შესაბამისი უწყებების საინფორმაციო სისტემები დაკავშირებულია ერთმანეთთან და შექმნილია ინტეგრირებული სისტემა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავარი პროკურატურა აწარმოებს არასრულწლოვანი დანაშაულის ჩამდენი პირების შესახებ სრულყოფილ სტატისტიკურ მონაცემებს. 2016 წლის 1 იანვრიდან დაიხვეწა და გაიზარდა იმ პარამეტრების (სტატისტიკური მონაცემების) რაოდენობა, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ანალიზი.

2016 წლის 1 იანვრიდან სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და შეგროვება ხდება არა მხოლოდ გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, არამედ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალური მუშაკის მიერ შედგენილი ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მზადდება პროკურორის ინიციატივით.

სტატისტიკური მონაცემები მოიცავს ისეთ ინფორმაციას არასრულწლოვნის შესახებ, როგორიცაა, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, კატეგორია, სხვა (სრულწლოვანი) პირების გავლენა დანაშაულის ჩადენისას, არასრულწლოვნის ნასამართლობა, არასრულწლოვნის სქესი, ასაკი, მშობლები, (მათი ნასამართლობა, ბავშვზე ზრუნვა), განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება, ნარკოტიკთან/თამბაქოსთან/აზარტულ თამაშებთან დამოკიდებულები და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

2015 წელს დაინერგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა (eSchool), რომლის შექმნის მთავარი მიზანია განათლების სისტემაში, კერძოდ სკოლებში, მიმდინარე პროცესების ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ზუსტი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, ონლაინ რეჟიმში განახლებასა და ანგარიშგებას. ზემოაღნიშნულ სისტემაში ასახულია იმ მსჯავრდებულთა შესახებ მონაცემები, რომლებიც იღებენ ზოგად განათლებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს სტატისტიკას, სადაც თავმოყრილია გამოძიების საწყის ეტაპზე არსებული ინფორმაცია.

2015 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N180 „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“. ბრძანება არეგულირებს სასჯელაღსრულების სისტემაში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საქმეების შენახვის ვადებს, მათი გაცნობის და განადგურების წესებს. აღნიშნული ბრძანების შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, ღია საზოგადოება საქართველოს მიერ დაფინანსებული პროექტის „პენიტენციურ სისტემაში ბავშვთა პერსონალურ მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარვეზების დაძლევა ადვოკატირების გზით“ ფარგლებში.

ამოცანა: 13.5.4. არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევების პრევენცია

<u>საქმიანობა:</u> 13.5.4.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის უწყებათაშორისი მექანიზმის გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია (2014); უწყებათაშორისი კოორდინაცია დამყარებულია მართლმსაჯულების, სოციალური დაცვისა და განათლების სექტორებს შორის (2014); უწყებათაშორისი ჯგუფის სამუშაო აღწერილობა და წევრთა ფუნქციები განსაზღვრულია (2014); პრობლემური ქცევის ბავშვებთან და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვთა გადამისამართების კრიტერიუმები განსაზღვრულია და პროცედურები დამტკიცებულია შესაბამისი უწყებების მიერ (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა)

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია შემუშავებულია. მისი საბოლოო ვერსიის შექმნა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფმა გადადო არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ კვლევის დასრულებამდე. აღნიშნული საპილოტე კვლევა დასრულდა დეკემბერში, ამიტომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა განახლდა 2015 წლის 24 დეკემბერს.

დანაშაულის ჩადენის რისკ-ჯგუფს მიკუთვნებული არასრულწლოვნების გადამისამართების ინსტრუმენტი შექმნილია და დამტკიცებულია სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ. საპილოტე რეჟიმში მოხდა აღნიშნული დოკუმენტის მეშვეობით ბენეფიციართა გადმომისამართება ცენტრში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოსგან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა მემორანდუმები შესაბამის უწყებებთან, რომელთა მეშვეობით 2016 წელს მოხდება რეფერირების მექანიზმის დახვეწა.

ამოცანა: 13.5.5. მართლმსაჯულების ლიბერალური პრინციპების გაძლიერება

<u>საქმიანობა:</u> 13.5.5.1. განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულში ბრალდებულ ბავშვთა განრიდების მაჩვენებლის ზრდა; განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საკოორდინაციო მექანიზმი გაძლიერებულია; განრიდების პროგრამის სასამართლო დონეზე განვრცობის კონცეფცია შემუშავებულია (2014); საკანონმდებლო ცვლილებები მომზადებულია განრიდების პროგრამის სასამართლო დონეზე განვრცობასთან დაკავშირებით (2015)

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ მიერ მომზადდა ცვლილებებისა და რეკომენდაციების პაკეტი, რომლის განხილვაც მოხდა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სამუშაო ჯგუფის შესაბამის ქვეჯგუფში. შედეგად, 2014 წლის ნოემბერში ძალაში შევიდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მარეგულირებელი იუსტიციის მინისტრის, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის ბრძანების ცვლილებები. ცვლილებებით განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გავრცელდა თითქმის ყველა მძიმე კატეგორიის დანაშაულზეც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ვრცელდება ყველა კატეგორიის ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე. კოდექსთან შესაბამისობაშია მოსული პროგრამის მარეგულირებელი შესაბამისი ბრძანებებიც.

2014 წლის ნოემბერში ამოქმედებული განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მარეგულირებელი ბრძანებების ცვლილებების თანხმად, დაიხვეწა და შეიცვალა უწყებებს შორის კომუნიკაციის წესები, დაწესდა პროფესიონალების ვადები და სამუშაო დოკუმენტების შაბლონები.

2014 წელს დაიწყო მუშაობა და მსჯელობა განრიდების პროგრამის სასამართლო დონეზე გავრცელების შესახებ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განრიდების პროგრამა ვრცელდება სასამრთლო დონეზეც. მოსამართლეს ენიჭება უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემების თანახმად, 2014 წელს განრიდებულ იქნა 204 არასრულწლოვანი, ხოლო 2015 წელს – 296 არასრულწლოვანი.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.5.5.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდების სტანდარტების დამტკიცება*

<u>ინდიკატორი:</u> კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის მომსახურების მიწოდების სტანდარტები დასრულებულია და დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭომ, 2014 წლის 8 ივლისის სხდომაზე დაამტკიცა სტანდარტები, ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლები.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.5.5.3. ინდივიდუალური მიდგომის, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის და პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაძლიერება.*

<u>ინდიკატორი:</u> *დასრულებულია და პრაქტიკაში სრულად დანერგილია წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში ინდივიდუალური მუშაობის ინსტრუმენტები; გაძლიერებულია კოორდინაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, პრევენციის ცენტრის, განათლების და სოციალური დაცვის სისტემებს შორის; დასრულებულია და მიღებულია არასრულწლოვანთა დაწესებულებების და არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პენიტენციურ სისტემაში 2009 წელს დაინერგა არასრულწლოვანთათვის სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც მეტად იყო ორიენტირებული არასრულწლოვნის საჭიროებებზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა არასრულწლოვანთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას, მისი ქცევის კორექციას. 2015 წელს მოხდა არსებული ინსტრუმენტის გადახედვა. განახლებული ინსტრუმენტი შედგება შემდეგი ორი ძირითადი

კომპონენტისგან: არასრულწლოვანთა საჭიროებები და არასრულწლოვანთან დაკავშირებული რისკები. პირველი კომპონენტი მიზნად ისახავს, დაწესებულებაში მოხვედრილი არასრულწლოვნის საჭიროებების შესწავლას და შესაბამისი სერვისების შეთავაზებას, მათ შორის, განათლების მიღების შესაძლებლობას, ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, გათავისუფლებისათვის მომზადებას, ხელობის დაუფლებაში დახმარებას და სხვა საკითხებს. მეორე კომპონენტი მიზნად ისახავს, არასრულწლოვანთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას და მათი ქცევის კორექციას. განახლებულმა ინსტრუმენტმა პილოტირება გაიარა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა, სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის განახლებული ბრძანების პროექტი, რომლის გამოცემაც იგეგმება 2016 წელს.

არასრულწლოვანთა გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესისა და უწყებებს შორის გარდამავალი მენეჯმენტის გამართვის მიზნით, თანამშრომლობა წარმატებით ხორციელდება სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის. 2015 წლის 3 ივნისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N68-ე ბრძანებით დამტკიცდა "მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და სსიპ– არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის წესი“. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, პენიტენციური დაწესებულებებიდან მსჯავრდებულების გათავისუფლებისთვის მომზადების პროცესში საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დეპარტამენტსა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს შორის კოორდინირებული საქმიანობის საფუძვლებს, პირობებსა და პროცედურებს. აღნიშნული ბრძანების უფლებამოსილება ვრცელდება N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებასა და N5 ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე. ამასთან, დაგეგმილია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სამსახურს შორის კოორდინაციის გაძლიერება, რაც შეამცირებს არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას.

პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმის გაძლიერების მიზნით, ეფექტურად მუშაობს არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭო, უმეტეს შემთხვევებში, ხდება ზეპირი მოსმენით სხდომების ჩატარება, რაც პროცესის გამჭვირვალობასა და ნდობის მოპოვებას უწყობს ხელს. 2014 წელს პირობით ვადამდე გათავისუფლდა 21 არასრულწლოვანი, ხოლო 2015 წელს 28 არასრულწლოვანი.

მიზანი: 13.6. ხარისხიანი და ინკლუზიური განათლება ყველა ბავშვისათვის

ამოცანა: 13.6.1.ადრეული ასაკის სწავლებისა და სკოლამდელი განათლების მაჩვენებლების გაზრდა 52%–დან 100%–მდე

> *<u>საქმიანობა:</u> 13.6.1.1. სკოლამდელი განათლების კანონის შემუშავება, მიღება და იმპლემენტაცია*

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია სკოლამდელი განათლების კანონის პროექტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის კოორდინაციით მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი "ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის შესახებ". კანონპროექტზე მუშაობის პროცესში

ჩართულები იყვნენ სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი ხელისუფლების, საერთაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. კანონპროექტზე მუშაობა დასრულებულია და 2016 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმება მისი საქართველოს პარლამენტში განხილვა.

<u>საქმიანობა:</u> 13.6.1.2. სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისათვის უნივერსიტეტებში მოსამზადებელი და გადამზადების პროგრამების დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> *მომზადებული და დამტკიცებულია სასწავლო მოდულები და სამოქმედო გეგმა; გადამზადებულია სკოლამდელი განათლების სისტემის თანამშრომლების 30%-ზე მეტი*

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების დამტკიცება იგეგმება "ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის დამტკიცების შემდეგ. სტანდარტების მიღების საფუძველზე შესაძლებელი გახდება სკოლამდელი განათლების სპეციალისტებისთვის უნივერსიტეტებში მოსამზადებელი პროგრამების დანერგვა და სისტემის სპეციალისტების გადამზადება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დამტკიცდა "სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი", რომლის საფუძველზეც მომზადდა ტრენერთა, მეთოდისტთა/აღმზრდელთა სატრენინგო მოდულები და მუნიციპალიტეტების თანამონაწილეობით გადამზადდა 10000-მდე სკოლამდელი განათლების სისტემის სპეციალისტი.

<u>საქმიანობა:</u> 13.6.1.3. სკოლამდელი დაწესებულებებისათვის (საბავშვო ბაღებისა და ალტერნატიული ცენტრებისათვის) სანიტარულ-ჰიგიენური და კვების სავალდებულო მინიმალური სტანდარტების შემუშავდება და დანერგვა; სკოლამდელ განათლებაში (საბავშვო ბაღებისა და ალტერნატიული ცენტრებისათვის) ეროვნული სასწავლო პროგრამის შემუშავება, დამტკიცება და დაფინანსება

<u>ინდიკატორი:</u> *შემუშავებული და დანერგილია სანიტარულ-ჰიგიენური და კვების სავალდებულო მინიმალური სტანდარტები სკოლამდელი დაწესებულებებისათვის; შემუშავებული და დაფინანსებულია ეროვნული სასწავლო პროგრამა სკოლამდელ განათლებაში*

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვარის N78 დადგენილებით დამტკიცდა ,,ტექნიკური რეგლამენტი კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში“.

"ადრეული და სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად კანონის მიღების შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვალდებული იქნება შეიმუშავოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტები, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა სავალდებულო იქნება მუნიციპალიტეტებისათვის. ამასთან, კანონის პროექტის თანახმად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეკისრება ვალდებულება მოამზადოს საგანმანათლებლო რესურსების სია და მეთოდოლოგიური რესურსები ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოს ამ რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის ხელმისაწვდომობა.

ამოცანა: 13.6.2. ხარისხიანი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

<u>საქმიანობა:</u> 13.6.2.1. მასწავლებლებისათვის მოსამზადებელი/საუნივერსიტეტო (ბაკალავრიატი და სამაგისტრო) ტრენინგების პროგრამის დახვეწა

<u>ინდიკატორი:</u> *განახლებული ტრენინგ–მასალები და მოდულები მასწავლებელთათვის; მასწავლებელთა რაოდენობა, რომელთაც აქვთ გავლილი გადამზადების ტრენინგი*

<u>სტატუსი: შეუსრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა, მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება და შესაბამისი პროექტი. დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების და კომენტარების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებების შეტანა აღნიშნულ პროექტში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა ტრენინგ-მოდულების აკრედიტაციის პროექტის დამტკიცება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აღნიშნული პროექტის დამტკიცება სავარაუდოდ მოხდება 2016 წლის განმავლობაში.

<u>საქმიანობა:</u> 13.6.2.2. დაუცველი და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების (მათ შორის სპეციალური შესაძლებლობების მქონე, ეთნიკური უმცირესობები და სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები) ზოგად საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვების ჩართულობისათვის და სწავლებისათვის; სკოლებში ჩართული ბავშვების რაოდენობა; ინკლუზიური სკოლების რაოდენობა; ბავშვთა სწავლების მონიტორინგის და შეფასების სისტემების დანერგვის სტატუსი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართვის მიზნით, 2015 წლის სექტემბრის თვიდან დაიწყო საპილოტე პროექტის ,,განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში“ განხორციელება. პროგრამის მიზანია, სხვადასხვა მიზეზით საგანმანათლებლო სივრცის მიღმა აღმოჩენილ ბავშვთა განათლების უფლების უზრუნველყოფა, სისტემური მიდგომებით ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობა.

საპილოტე პროექტი განხორციელდა ქალაქ თბილისში მდებარე 2 დღის ცენტრში, 1 კრიზისულ და 2 ტრანზიტული ინტერვენციის ცენტრში, რომელთა ბენეფიციარებიც არიან ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები. პროექტში ჩართული იყო 23 ბავშვი. 3 თვის განმავლობაში განმავლობაში სკოლაში დამატებით ჩაირიცხა 3 ბავშვი, 3 ბენეფიციარს აღუდგა მოსწავლის სტატუსი.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბოშა მოზარდების განათლების ხელმისაწვდომობისა და სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით, ასევე მათი სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციისათვის ,,სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში განახლდა ბოშა მოზარდების მონაცემთა ბაზა, დადგინდა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოზარდები.

2014-2015 სასწავლო წელს, საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად საჯარო სკოლებში განათლებას იღებდა 88 ბოშა მოსწავლე, 2015-2016 სასწავლო წელს საჯარო სკოლებში სწავლობს 186 ბოშა მოზარდი: თბილისში (13), რუსთავში (21), ზუგდიდში (9), ფოთში (8), ქუთაისში (33), დედოფლისწყაროში (7), სოფელ ხორნაბუჯში (7), ქობულეთში (65),

სამტრედიაში (3), სოფელ ეწერში (3), ოზურგეთში (7), სოფელ კურდღელაურში (7) და სოფელ ვაზიანში (3).

ამასთან, 2014 წელს 914 საჯარო სკოლაში ირიცხებოდა 3898 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლე, ხოლო 2015 წელს 1136 საჯარო სკოლაში განათლებას იღებდა 5268 სსსმ მოსწავლე.

<u>საქმიანობა:</u> 13.6.2.3. განათლების ხარისხისა და რელევანტურობის გაზრდა

<u>ინდიკატორი:</u> მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სქემების და სტანდარტების განხორციელების სტატუსი; გადამზადებული კადრების რაოდენობა; წარმატებული მოსწავლეების რაოდენობა; ბავშვთა აკადემიური მაჩვენებლების შეფასების ინტენსივობა სკოლებში, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებზე

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, რომელშიც ჩაერთო ყველა საჯარო სკოლა და კერძო სკოლების ნაწილი. სქემის ფარგლებში განისაზღვრა მასწავლებლის შემდეგი სტატუსები: 1. პრაქტიკოსი მასწავლებელი; 2. უფროსი მასწავლებელი; 3. წამყვანი მასწავლებელი; 4: მენტორი. სქემის ეფექტური მუშაობისათვის შეიქმნა შესაბამისი რესურსები, მომზადდა სამართლებრივი რეგულაციები და სტანდარტიზებული ინსტრუმენტები. 2015 წლის სექტემბრიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. ამასთან, გადამზადდა სკოლების მიერ არჩეული 3700 ფასილიტატორი.

„წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში 2014-2015 წლების განმავლობაში წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცა 1150 ოქროს და 960 ვერცხლის მედალი.

ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით სასწავლო პროცესში გამოიყენება 2 ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი (ქულა) და განმავითარებელი (ქულის გარეშე, შეიძლება იყოს კომენტარი). განმსაზღვრელი შეფასებით V-XII კლასებში მოსწავლეები ფასდებიან 3 კომპონენტის მიხედვით: ა) საშინაო დავალება; ბ) საკლასო დავალება; გ) შემაჯამებელი დავალება.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური ოდენობები საგნებისა და კლასების მიხედვით. საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად მოსწავლეს თითოეულ საგანში უნდა ჰქონდეს შეფასება 5.0 დამრგვალების შემდეგ, ხოლო სრული ზოგადი ატესტატის მისაღებად მოსწავლეს დაძლეული უნდა ჰქონდეს საშუალო საფეხური და სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე მიღებული უნდა ჰქონდეს დადებითი შეფასება.

<u>საქმიანობა:</u> 13.6.2.4. განათლების ხარისხის მართვის საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესება სკოლაში ჩარიცხვის, მოსწავლეთა დასწრების და მიღწევების რეგულარული მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და ანგარიშგების მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> სკოლის მიღმა დარჩენილი და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მონიტორინგის შესაბამისად, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სკოლაში ჩარიცხვის, დასწრების და მიღწევების რეგულარული მონაცემების აღნუსხვა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის წელს დაინერგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ახალი საინფორმაციო სისტემა (eSchool), რომლის შექმნის მთავარი მიზანია განათლების სისტემაში,

კერძოდ სკოლებში, მიმდინარე პროცესების ეფექტური მენეჯმენტის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ზუსტი მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, ონლაინ რეჟიმში განახლებასა და ანგარიშგებას.

ზემოაღნიშნული სისტემის შემადგენელი, ერთ-ერთი მთავარი მოდულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული ჟურნალი, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების მონიტორინგი, როგორც ცალკეული სკოლის, ასევე რაიონის, რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით.

ელექტრონული ჟურნალის დანერგვა განხორციელდება ეტაპობრივად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი ICT ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად. აღნიშნული გულისხმობს აპარატურულ უზრუნველყოფასთან ერთად, სკოლებში საკლასო ოთახებისა და კლას-კაბინეტების ლოკალური ქსელით უზრუნველყოფას.

ელექტრონული ჟურნალის დანერგვით უფრო ეფექტურად მოხდება მოსწავლეთა ყოველდღიური მოსწრებისა და დასწრების აღრიცხვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სკოლის მიღმა დარჩენის რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების იდენტიფიკაციას, რადგან გაცდენების მაჩვენებელი და ცუდი აკადემიური მოსწრება სკოლის მიღმა დარჩენის რისკის მთავარი ინდიკატორია.

> *<u>საქმიანობა:</u> 13.6.2.5. გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება*

<u>ინდიკატორი:</u> გენდერულად სენსიტიური და ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების პოლიტიკა და სტრატეგიული გეგმა ხორციელდება გმს-ის მიერ

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წელს ფონდმა ღია საზოგადოება - საქართველომ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შეიმუშავა ადრეული და სკოლამდელი განათლების და განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და მისი შესრულებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა, ასევე, საჭირო ხარჯების პროგნოზირებული ბიუჯეტი. აღნიშნული დოკუმენტები გაეგზავნა, როგორც არასამთავრობო ასევე სამთავრობო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მისი შემდგომი კომენტირების მიზნით. მიმდინარეობს დოკუმენტების საბოლოო ვერსიაზე მუშაობა.

აღნიშნული დოკუმენტები ითვალისწინებს ბავშვის ადრეულ და სკოლამდელ ასაკში მომზადების და განვითარების პროცესში ინკლუზიური პრინციპების გათვალისწინებას, ასევე, გენდერული თანასწორობის საკითხებს. გადამუშავებული და მომზადებულია დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელშიც გაძლიერებულია საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლება. კერძოდ, გადამუშავდა V-VI კლასების საგნის სტანდარტი "ჩვენი საქართველო". აგრეთვე შემუშავდა ახალი საგნის „მე და საზოგადოების" სტანდარტი III-IV კლასებში. ორივე საგნის სტანდარტებში ასახულია გენდერული თანასწორობის საკითხები. საგნის სტანდარტის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, მათ შორის, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), რომლებმაც უზრუნველყვეს ექსპერტების ჩართულობა გენდერის კომპონენტის სტანდარტში ასახვის მიზნით.

ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში გამოსაყენებელი სპეციალური კრიტერიუმი, რომლითაც შეფასდება სახელმძღვანელოში რამდენად არის დაცული გენდერული თანასწორობის საკითხები. 2014 წელს აღნიშნული კრიტერიუმი გამოყენებულ იქნა "მეწარმეობის საფუძვლების" საგნის საპილოტე სასწავლო რესურსის შეფასებისას.

ამოცანა: 13.6.3. არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობა

<u>საქმიანობა:</u> 13.6.3.1. ხელი შეეწყოს არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების გაძლიერების მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და „საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციასთან“ ერთად 4-დან 9 აგვისტოს ჩათვლით სოფელ ვარციხეში განხორციელდა საზაფხულო სკაუტური ბანაკი, რომელშიც სამინისტროს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო 18-დან 26 წლამდე ასაკის 7 რეგიონის (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი) 42 მუნიციპალიტეტის - 126-მა მონაწილემ. (თითო მუნიციპალიტეტიდან სამი მონაწილე).

2015 წლის მაისი-ივნისის თვეში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდებისთვის განხორციელდა 2 თვიანი სატრენინგო სწავლება „აქტიური ახალგაზრდობა თავისუფალი სივრცე“. პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, არაფორმალური განათლების გზით ცოდნისა და გამოცდილების შეძენა. ტრენინგში ჩართული იყო 20 ახალგაზრდა. ამასთან, 2015 წლის აგვისტოს თვეში კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისათვის მოეწყო ტრენინგები. ხუთდღიანი პროექტი მოიცავდა ტრენინგებს გუნდური მუშაობის, ტოლერანტობის, პროექტის წერის, მოხალისეობრივი საქმიანობის და კულტურული მრავალფეროვნების საკითხებს. პროექტში ჩართული იყო 30 ახალგაზრდა.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
55	21	30	4

14. გენდერული თანასწორობა, ქალთა გაძლიერება და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლა

მიზანი: 14.1. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალთა გაძლიერება

ამოცანა: 14.1.1. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა და გაძლიერება, კანონმდებლობის შექმნა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით

<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.1. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> პარლამენტის აპარატში გენდერული თანასწორობის სპეციალისტის საშტატო ერთეული დამტკიცებულია და შევსებულია; პარლამენტის გენდერული აუდიტის რეკომენდაციები შემუშავებულია და გათვალისწინებულია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ყველა სფეროში გენდერული საკითხების ინტეგრირების (მეინსტრიმინგის) მიზნით ტექნიკური დახმარების კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ასევე, საქართველოს მიერ გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების სფეროში საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საქართველოში 2012 წლის ნოემბერში დანერგა „თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის“ (PGA) მეთოდოლოგია და გადაწყვიტა, რომ საქართველოს პარლამენტში განხორციელებულიყო თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი.

თანამონაწილეობით გენდერული აუდიტის წარმატებული შედეგების მისაღწევად, საქართველოს პარლამენტმა და პარლამენტში არსებულმა გენდერული თანასწორობის საბჭომ გამოხატა სრული მხარდაჭერა. გენდერული აუდიტის შესრულებისთვის შემოთავაზებული ინიციატივის მიზანი მდგომარეობდა პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს პოზიციის გაძლიერებასა და მუშაობაში წვლილი შეიტანაში და ამასთანავე, გენდერული თანასწორობის საბჭოს აქტიურ ჩართვაში მთავრობის აღმასრულებელ შტოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტერაქციაში.

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ერთი საერთაშორისო და ორი ადგილობრივი კონსულტანტის მიერ დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ ჩატარდა.

მიუხედავად გამოწვევებისა, ჯგუფმა შეძლო შესაბამისი მოქნილობითა და სირთულეებისათვის სიტუაციის მორგებით პროცესის ბოლომდე მიყვანა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

შემუშავებულ რეკომენდაციათაგან ერთ-ერთი, კანონპროექტების გენდერული ანალიზის მიზნით კომიტეტის თანამშრომლების ტრენინგი იყო.

2014 წლის ზაფხულში გაეროს განვითარების პროექტის ორგანიზებით მომზადდა სამ დღიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც ეხებოდა გენდერული ბიუჯეტირების საკითხებს. ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტირებაზე გაიარეს როგორც პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრებმა, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებმა და საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლებმა.

ტრენინგზე მიღებული გამოცდილებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა დოკუმენტი, სადაც მოცემულია ოფისის მოსაზრებები და რეკომენდაციები საქართველოს 2015 წლის, შემდგომ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გენდერული ანალიზის შესახებ.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.2. სასამართლო სისტემაში დასაქმების პროცესში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება და სტატისტიკის წარმოება გენდერულ ჭრილში*

<u>ინდიკატორი:</u> სასამართლო სისტემაში განსახორციელებელ ტესტირების თუ საგამოცდო პროგრამებში გენდერული პრინციპების გათვალისწინება; გენდერული სტატისტიკის წარმოება: მოსამართლეთა, სასამართლოს თავმჯდომარეთა, სასამართლოს მოხელეთა და მენეჯერულ პოზიციებზე დანიშნულს პირთა შორის; სასამართლოში მოსარჩელეთა გენდერული სტატისტიკის წარმოება; მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის თაობაზე ჩატარებულ ტრენინგთა რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

აღსანიშნავია რომ სასამართლო სისტემაში დაიწყო გენდერული სტატისტიკის წარმოება და შესაბამისად, ხელმისაწვდომია მონაცემები სასამართლოს თავჯდომარეთა, სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა სასამართლო მოხელეთა და მენეჯერულ პოზიციებზე დანიშნულ პირთა რაოდენობის შესახებ. აღნიშნული მონაცემები 2014-2015 წლებისათვის ასე გამოიყურება.

2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით სასამართლოში თავჯდომარეთა რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა 1 ქალი და 28 კაცი. ამავე წელს უზენაესს სასამართლოში მოსამართლის პოზიციას 4 ქალი და 12 კაცი იკავებდა, ხოლო სასამართლოს მოხელეთა შორის 68 იყო ქალი და 48 კაცი (მათ შორის მენეჯერულ თანამდებობას 0 ქალი და 11 კაცი იკავებდა). 2014 წელს თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შორის 28 იყო ქალი და 27 კაცი, ხოლო საქალაქო/რაიონულ სასამართლოში 93 ქალი და 92 კაცი. ამავე წელს სააპელაციო/საქალაქო/რაიონულ სასამართლოში სასამართლოს მოხელის პოზიციაზე 620 ქალი და 432 მოხელე კაცი იკავებდა.

2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციას 2 ქალი და 27 კაცი იკავებს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შორის 6 ქალი და 10 კაცია, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოხელე 82 ქალსა და 54 კაცს შორის მენეჯერულ პოზიციას 4 ქალი და 7 კაცი იკავებდა. ამავე წელს სააპელაციო/საქალაქო/რაიონული სასამართლო მოსამართლე 122 იყო ქალი და 108 კაცი. რაც შეეხება სასამართლო მოხელეებს მათ შორის 720 იყო ქალი და 462 კაცი.

აღსანიშნავია ასევე რომ 2014-2015 და ასევე 2016 წლის დასაწყისში იუსტიციის უმაღლესი სკოლა ატარებს ტრენინგს მოსამართლეთა და სასამართლოს მოხელეთათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის თაობაზე. ტრენინგების ციკლის ფარგლებში 2014 წელს ჩატარდა 1 საპილოტე ტრენინგი, რომელიც გაიარა 9 მოსამართლემ. 2015 წელს ტრენინგების რაოდენობამ 4 შეადგინა, რის შედეგადაც გადამზადდა 47 მოსამართლე. რაც შეეხება 2016 წელს, ამ დრომდე განხორციელებულია 2 ტრენინგი და მათ შედეგად გადამზადებულია 20 მოსამართლე და 14 მოსამართლის თანაშემწე.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.3. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის შექმნა*

<u>ინდიკატორი:</u> გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია შექმნილია; მთავრობის ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის მრჩევლის პოზიცია დამტკიცებულია და შევსებულია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს მთავრობის ადმინისტრაციაში გაჩნდა პრემიერ-მინისტრის მრჩევლის პოზიცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, 2014 წლის ნოემბერში აღნიშნული პოზიციაზე მყოფ პირს შეეთავსა დამატებითი ფუნქცია, კერძოდ ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოს თავმჯდომარეობა. საბჭოს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს, ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლთა დახმარებაზე მომუშავე, სახელწიფო ორგანოებისთვის განსაზღვრული ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში ხელის შეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინაცია. ამასთან წინადადებების შემუშავება ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და მასზე ბრძოლის საკითხებზე და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2016 წელს დაგეგმილია გენდერული თანასწორობის, ქალთა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საუწყებათაშორისო კომისიის შექმნა, რომელიც

იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების მექანიზმი, გენდერული თანასწორობის ქალთა გაძლიერების, ქალთა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 და თანმდევი რეზოლუციების შესრულების საკითხებზე.

2016 წლის მაისში გაეროს სააგენტოების მხარდაჭერით შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც, კომისიის ამოცანა აღნიშნულ საკითხებზე სახელმწიფო სტრატეგიისა და სამუშაო გეგმების შემუშავება, აღმასრულებელ ხელისუფლების ორგანოებში გენდერული „მეინსტრიმინგის" განხორციელება, და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების დამკვიდრების ხელშეწყობაა. დამატებით გენდერული თანასწორობის, ქალთა და ოჯახში ძალადობის, ქალთა გაძლიერების სფეროში არსებული მდგომარეობის და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მონიტორინგია.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.4. საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან*

<u>ინდიკატორი:</u> კანონპროექტების რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ გენდერული ანალიზი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014-2015 წლის განმავლობაში გენდერული ანალიზი, კანონმდებლობის, ევროპის საბჭოს კონვენციასთან, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ" (შემდგომაში სტამბოლის კონვენცია) ჰარმონიზაციის მიზნით ჩაუტარდა რიგ საკანონმდებლო აქტებსა და რეგულაციებს.[6]

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2016 წლის 28 აპრილს მესამე მოსმენით მხარი დაუჭირა „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კონონსა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტის, პლენარულ სხდომაზე გატანას.

„გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონში ცვლილებები[7] ეხება კანონის მე-12 და მე-13 მუხლებს რაც ითვალისწინებს, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ სტრატეგიების შემუშავების ვალდებულებას. ახალი რედაქციით საბჭოს აღარ ექნება უფლებამოსილება შეიმუშავოს სამოქმედო გეგმები რაც თავისთავად აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს. ამასთან, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტს აკისრებს ვალდებულებას შექმნას მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭო და განსაზღვროს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

რაც შეეხება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" ცვლილებას[8] იგი მოიცავს დამატებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაში შექმნას მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, დაამტკიცოს პერსონალური შემადგენლობა, დებულება და ასევე განახორციელოს მათში ცვლილებები.

---

[6] გთხოვთ იხ. საქმიანობა *14.2.1.2*
[7] http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/118912
[8] http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/118913

<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.5. ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> სამინისტროების მიერ შემუშავებული ბიუჯეტების პროექტებით გათვალისწინებულ პროგრამებში, საჭიროების შემთხვევაში ასახულია გენდერული ასპექტები; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პრიორიტეტებსა და პროგრამებში, საჭიროების შემთხვევაში ასახულია გენდერული ასპექტები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს განხორციელდა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების მეთოდოლოგიის განახლება („პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №265 ბრძანება), რომელიც ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკის მიხედვით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან მიმართებაში შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად გენდერული მაჩვენებლის მითითებას. 2016 წლის ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.6. საჯარო სამსახურის რეფორმაში გენდერული პარამეტრების გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> საჯარო სამსახურის კანონმდებლობა გენდერულ პარამეტრებს ითვალისწინებს

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

„საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №627 დადგენილებით დამტკიცებული კონცეფცია ერთ-ერთ მიმართულებად ითვალისწინებს საჯარო სამსახურში მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 27 ოქტომბერს მიიღო, განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები და მოხდა მათი განმარტება, მათ შორის დეტალურად განიმარტა თანასწორობის პრინციპი საჯარო სამსახურში. დამატებით, SIGMA-ს (OECD) ექსპერტების რეკომენდაციით, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები სამუშაო პროცესში, გენდერთან დაკავშირებული საკითხის რეგულირება საჯარო სამსახურში გრძელდება სხვა მიმართულებებითაც.

ამ მიზნით, საჯარო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულები მომავალში განისაზღვრებიან გენდერსა და თანასწორობაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ დანაყოფებად. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო ზრუნავს აღნიშნულ ერთეულებში დასაქმებული პირების შესაბამისი უნარებით აღჭურვაზე, რა მიზნითაც თითოეული სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი გენდერის საკითხებზე. ბიურო, ასევე, სისტემატიურად ატარებს ტრენინგებს საჯარო სამსახურში ეთიკის საკითხებზე, რა დროსაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გენდერისა და თანასწორობის საკითხების ტრენინგის მონაწილეებთან განხილვას.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.1.7. გენდერული სტატისტიკის მონაცემთა ბაზების განახლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე

<u>ინდიკატორი:</u> საჯარო სექტორში დასაქმებულთა ყოველწლიური გენდერული სტატისტიკა; გენდერული სტატისტიკის დამახასიათებელი ძირითადი ინდიკატორების განახლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზებში: მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, შინამეურნეობების, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლების და ხარჯების, ბიზნეს სექტორის, სოფლის მეურნეობის, სამართალდარღვევების სფეროებში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდში საქსტატის ვებ. გვერდზე განახლდა გენდერული სტატისტიკის მონაცემები. ამასთან 2015 წელს გამოიცა ახალი პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში 2015“;

დასაქმებულთა (დაქირავებული და თვითდასაქმებული) განაწილება სექტორების და სქესის მიხედვით, 2014 ათასი ადამიანი			
	სულ	**ქალი**	**კაცი**
სულ	**1745.2**	**823.6**	**921.6**
სახელწიფო სექტორი	251.2	134.5	116.7
არასახელმწიფო სექტორი	1494.0	689.1	804.9
2015 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება ა. წ. 27 მაისს.			
წყარო: შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა.			

ამოცანა: 14.1.2. განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება და საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.1. განათლების სფეროში მოქმედ ძირითად კანონებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება*

<u>ინდიკატორი:</u> განათლების სფეროში ძირითად კანონებში გენდერული ანალიზის საფუძველზე, საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი ან შესაბამისი დასკვნა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ანალიზის საფუძველზე დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოების გრიფირების წესისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებზე.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.2. ზოგადი განათლების სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> სკოლის პედაგოგებში გენდერული ბალანსის მისაღწევად ჩატარებული ანალიზის საფუძველზე განხორციელებული საქმიანობა; სასკოლო სახელმძღვანელოს შეფასების განახლებული კრიტერიუმები; მამაკაცი პედაგოგების რაოდენობა; ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებელთა პროფესიული და საგნობრივი სტანდარტის, მასწავლებლის პროფესიული გადამზადების ტრენინგ-მოდულების, დირექტორის პროფესიული მომზადების ტრენინგ-მოდულების, ანალიზის შედეგები, შემუშავებული რეკომენდაციები და მათში გათვალისწინებული გენდერული პარამეტრები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოსთვის/სერიისათვის გრიფის მინიჭების წესთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავების მიზნით, 2015 წლის 6 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 11 უწყების წარმომადგენლის მონაწილეობით შეიქმნა (ბრძანება N1205, 06.11.2015წ.) უწყებათაშორისი კომისია. აღნიშნული კომისიის განსახილველ საკითხებს შორის გახლდათ სახელმძღვანელოს/სერიის შინაარსობრივი შეფასების კრიტერიუმები. კომისია ინფორმირებული იყო რელიგიური და გენდერული თანასწორობის შესახებ კრიტერიუმების შექმნის აუცილებლობაზე, რასთან დაკავშირებითაც განხორციელებული აქტივობის შედეგად სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების ჩართულობით შეიქმნა ეს კრიტერიუმები. ამ ეტაპზე მათზე მუშაობა დასრულებულია. უახლოეს მომავალში კრიტერიუმების პროექტი სამართლებრივი ფორმალიზებისათვის წარედგინება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.3. ტექნიკური მიმართულებით (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების ხელშეწყობა პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში*

<u>ინდიკატორი:</u> ტექნიკური მიმართულებების პროფესიული პროგრამების ანალიზისა და რეკომენდაციების დოკუმენტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით, კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტთან (IPM-Research) თანამშრომლობით, „მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიებში მონაწილეობის ბარიერებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების კვლევა“[9] განხორციელდა. აღნიშნული კვლევა დაიწყო 2013 წლის ივლისში და მონაცემების მოპოვება და დამუშავება ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2014 წლის დასაწყისში უკვე ხელმისაწვდომი გახდა კვლევის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ განათლების პროცესში, რომელიც სკოლიდან იწყება, ვითარდება და აღწევს დასაქმების ეტაპს, გოგონების აკადემიური მოსწრება და მიღწევები STEM-ის საგნებში დაბალია, ან უსწრებს ბიჭების აკადემიურ მოსწრებას და მიღწევებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ბიჭებთან შედარებით, უფრო ნაკლები გოგონა აგრძელებს კარიერას STEM პროფესიებში. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია განისაზღვროს პრაქტიკული გზები იმისა, თუ როგორ შეუძლია ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას შექმნან, ამ მოთხოვნად სფეროებში, ქალების შესაძლებლობების ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევისთვის საჭირო ხელსაყრელი გარემო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში განხორციელდა სტრატეგიული ინვესტირება როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქალებისა და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობაზე STEM საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიებში.

რაც შეეხება პროფესიული სტუდენტების რაოდენობას გენდერულ ჭრილში, 2014-2015 წლებში სახელმწიფოს მიერ ან/და მონაწილოებით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 20008 პირი, საიდანაც 11 506 არის კაცი, ხოლო 8 502 არის ქალი.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.4 ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის გაზრდა საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე არაფორმალური განათლების გზით*

[9] http://mcageorgia.ge/cms/kcfinder/upload/files/Final_Report_2014%2016%2001%20modified%2027Feb2014.pdf

<u>ინდიკატორი:</u> არაფორმალური განათლების მონაწილეთა რაოდენობა სქესის ნიშნით

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით 2014 წლის ოქტომბერ-დეკემბერში საქართველოს 20 მუნიციპალიტეტში (რუსთავი, მცხეთა, საგარეჯო, დუშეთი, თელავი, გურჯაანი, დმანისი, ახმეტა, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, მარნეული, ბოლნისი, ახალგორი, თიანეთი, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური.) ჩატარდა რეგიონული სემინარების ციკლი ადამიანის უფლებებისა და ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ. სემინარებში მონაწილეობა 600-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო. სემინარი ევროსაბჭოს ინიცირებული პროექტის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ფარგლებში მოეწყო, რომლის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებისთვის ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ ცნობიერების ამაღლება; ახალგაზრდების მხარდაჭერა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, როგორც ონლაინ სივრცეში ასევე მის გარეთ; ინტერნეტში სიძულვილის ენისადმი შემწყნარებლობის შემცირება; ახალგაზრდების მობილიზება, სწავლება და ახალგაზრდული ინტერნეტ-აქტივისტების ქსელის შექმნა ადამიანის უფლებათა დასაცავად; ახალგაზრდების ჩართულობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება ინტერნეტში.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.5. გენდერული სტერეოტიპების და გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა ცნობიერების ამაღლების გზით*

<u>ინდიკატორი:</u> გენდერულ თანასწორობაზე აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების ტრენინგებისა და მონაწილეთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.6. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის პრინციპებზე*

<u>ინდიკატორი:</u> მედია მონიტორინგის შედეგები; გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული პროგრამების და პროექტების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საზოგადოებრივი მაუწყებელი ორიენტირებულია აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება და ინფორმირებულობის დონე ქალთა უფლებების დაცვის და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა ტელე და რადიო არხი მაქსიმალურად აშუქებს აღნიშნულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს, ამზადებს გადაცემებს, თოქ-შოუებს და სატელევიზიო ფილმებს.

2015 წლის განმავლობაში პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა **„მოამბე“** პერმანენტულად გადასცემდა ეთერში ინფორმაციას გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების შესახებ სიახლეებსა და აქტივობებს.

თემები გადაცემიდან **„კომუნიკატორი“**: „მუქარა, გადაკიდება" დასჯადი ხდება“, „ახალი ვიდეო რგოლი, რომელიც 3 მაისის მარათონს ეძღვნება“, „როგორ ებრძოდნენ ქალები ძალადობას 70 წლის წინ“, „რა პრობლემები ახლავს ნაადრევ ქორწინებას“, „ნაადრევი ქორწინება“, „კონკურსი გენდერული თანასწორობის პრიზისთვის“, “ფემინიზმის ისტორია”, „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში“, "მეტი ქალი პარლამენტში" - ქალების კვოტირების საკითხი“, „LGBT-პირებთან დაკავშირებული გამოფენა“, „ქალები საზღვრისპირა რეგიონებში“.

გადაცემა **„რეალური სივრცე“:** „გენდერული არითმეტიკა პარლამენტში“, „ქალი პატიმრები რუსთაველის თეატრის სცენაზე“, „ახალი კამპანია დაიწყო ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ“, „ნაადრევი ქორწინება“, „ბავშვების, დედების და ძიძების ცხოვრება“, „დიასახლისებად ქცეული ბავშვების ცხოვრება - ქორწინება ადრეულ ასაკში“, „ძალადობა ქალებზე“.

„**ტელებლოგი**“: „შვიდი ქალი და რაგბის სიყვარული", „მშვიდობის ელჩები“ , "შუშის ჭერი", "გამქრალი გოგონა", "ანაბეჭდის გარეშე" - სოფლად მცხოვრები ქალები“, „ცხოვრება, როგორც თამაში".

დილის ეთერში გაშუქებული საკითხები: „ემიგრანტი ქალები და უდედოდ გაზრდილი ბავშვები“, „დედობის უფლების შეზღუდვა“, „მორაგბეების საქველმოქმედო აქცია დედის დღესთან დაკავშირებით“, „ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვები“, „ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის უფლებები“, "მეტი ქალი პარლამენტში"' - 8 მარტის მსვლელობა ქალთა უფლებებისთვის“, „ცნობილი ქართველი ქალების სახელები თბილისის ქუჩებს დაერქმევა“, „ორსულთა შრომითი უფლებები“, "რძის სუნი" - ქალების გამოფენა ქალებზე“.

გადაცემა **„სამოთხის ვაშლები“:** „რა რჩება ქალს განქორწინების შემდეგ“, „ქორწინება ადრეულ ასაკში“, „ქალთა ფორუმი“, „მეწარმე ქალები“.

მეორე არხის გადაცემაში **„არგუმენტების დრო“** გაშუქებული საკითხები: „ქალთა უფლებები“; „ქალი და პოლიტიკური ცხოვრება“.



საზოგადოებრივი რადიოს გადაცემაში **„პიკის საათი“** გაშუქებული საკითხები: „როგორია ქართველი ქალის სამოსის ისტორია?“; „ქალი საპასუხისმგებლო პოსტზე“, „"ლგბტ" თემის უფლებები და "უმცირესობის უმცირესობა"; გადაცემა **„ ღია სტუდია“:** „ქალი მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“; „ქალი და არასრულწლოვანი პატიმრები“; „პატიმარ ქალთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრირება“; გადაცემა **„განსხვავებული აზრი“:** „ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ადამიანები და მათი დაცვა“; გადაცემა „ **მიგრაციის მარშრუტები“:** „ქართველი ქალი ემიგრაციაში“.



საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჯამში აღნიშნული თემის გაშუქებას 2015 წლის განმავლობაში 313 საათი დაუთმო.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.9. უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> გენდერული თანასწორობის საკითხებზე გაზეთებში „ვრასტანი“, „გურჯისტანი“, „სვობოდნაია გრუზია“ მასალები გამოქვეყნებულია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წელს გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ნაადრევ ქორწინებასა და ქალთა ძალადობის შესახებ ჩატარებული შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა გაზეთების „ვრასტანისა“ და „გურჯისტანის“ მიერ. 2015 წლის იანვრიდან 2016 წლის თებერვლამდე გაზეთ „გურჯისტანში“ მთლიანად 2 გვერდი მიეძღვნა ზემოთ აღნიშნულ საკითხებს, გარდა ამისა, გაზეთ „გურჯისტანში„ ამ პერიოდში განთავსდა 14 მასალა - საინფორმაციო და ანალიტიკური გენდერული თანასწორობის, ნაადრევი ქორწინებასა და ძალადობის საკითხებზე.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.2.10. გენდერული თანასწორობის საკითხების მიწოდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლთათვის

<u>ინდიკატორი:</u> გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი მაუწყებლის არაქართულენოვან "მოამბეში" რეპორტაჟები მომზადებულია; გენდერული თანასწორობის საკითხები გაშუქებულია რეგიონული მედიის თოქ-შოუებში/გადაცემებში.

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014-2015 წლის სატელევიზიო სეზონის პერიოდში მაუწყებელმა განაგრძო რამდენიმე პროექტის წარმოება რომელიც **უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას** უწყობს ხელს. „მოამბე“ მე -2 არხზე (ახალი ამბები აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე), ამ ტელეგადაცემის რადიოვერსია, ყოველკვირეული რადიომაუწყებლობა ქურთულ ენაზე და ტელეპროგრამა „ჩვენი ეზო“. ასევე ყოველ დღე 23.00 საათზე მე -2 არხის

ეთერშია რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა - "ნამდვილი დრო". საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა „ნამდვილი დრო“ წარმოადგენს რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა და ამერიკის ხმის ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით. გადაცემა დაფუძნებულია მიუკერძოებელ ჟურნალისტიკაზე და აუდიტორიას სთავაზობს საინტერესო ანალიზს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ამ გადაცემას აქტიურად უყურებენ ეროვნული უმცირესობები, რადგანაც ის არის მათთვის გასაგებ ენაზე. ამ პროექტის კურირება და ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობა დაევალა მე-2 არხის ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობას. მე 2 არხის გუნდი ასევე ამზადებს ამ გადაცემისთვის სიუჟეტებს.

საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ მე 2 არხზე - ეროვნული უმცირესობების ენებზე

2014-2015 წელს ყოველდღე მზადდებოდა 5 ენოვანი საინფორმაციო გამოშვება „ცოცხალი ეთერის“ ფორმატში. რედაქციები ამზადებდნენ გამოშვებას, რომელიც 12-13 მნიშვნელოვან ამბავს მოიცავდა. თემების შერჩევა ხდებოდა ძირითადად ქართულენოვანი „მოამბი“ ს მასალებზე დაყრდნობით. თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 1 წუთს შეადგენს. ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 10-12 წუთს გრძელდება. ეროვნული უმცირესობების რედაქციებს ქონდათ შესაძლებლობა თავად გადაეღოთ რეპორტაჟები მათთვის საინტერესო თემებზე, რაც 2015 წელს არაერთხელ განახორციელეს. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, როგორც წინა წლებში, გასულ სატელევიზიო სეზონშიც შესთავაზა მაყურებელს თავის პროდუქცია არა მარტო საკუთარი ეთერის მეშვეობით, არამედ რეგიონალური ტელესადგურების ეთერითაც, რისთვისაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ჩაატარა ტენდერი და მის შედეგად შეიძინა 2014-2015 წწ. სატელევიზიო სეზონისთვის ჯავახეთის და ქვემო ქართლის ტელეკომპანიების საუკეთესო საეთერო დრო (ე. წ. „პრაიმ თაიმი“ 20:00 სთ-დან- 23:00-სთ-მდე). ბოლნისის „ბოლნელ“-ს მიეწოდება აზერბაიჯანულენოვანი „მოამბე“. ნინოწმინდის ტვ ,,ფარვანას“ და ახალქალაქის „ATV 12“ კი სომხურენოვანი „მოამბე“. ასევე ზუგდიდის „ოდიშის“ ეთერით გადის აფხაზურენოვანი „მოამბე“. ამ პროდუქციას პარტნიორი ტელევიზიები უშვებენ პირდაპირ ეთერში. ადგილობრივ სადგურებს აქვთ გადაცემების განმეორებითი ტრანსლირების საშუალება დილისა და საღამოს საათებში, ასევე რეკლამის განთავსების უფლება გამოშვების წინ ან დამთავრების შემდეგ.

რადიომაუწყებლობა

2014-2015 წელს ასევე გაგრძელდა ეროვნული უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა „პირველი რადიოს“ ეთერით. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოეთერში გადის „მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიო ვერსია ეროვნული უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება ასევე რადიოპროგრამა ქურთულ ენაზეც.

თოქშოუ "ჩვენი ეზო"

ყოველკვირეული გადაცემა "ჩვენი ეზო" საზ. მაუწყებლის ეთერში გადიოდა ყოველ შაბათს 17 .00 საათზე.

2015 წლის განმავლობაში გადაცემას ქონდა ტელეჟურნალის სახე, თემატიკა - ეთნიკური უმცირესობები, კულტურა , ტრადიცია , პრობლემები

გადაცემების ჩამონათვალი:

მაგალითად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეთნიკურ უმცირესობებზე გამოყოფილი დრო 2015 წ შეადგენდა :

გენდერული თანასწორობის საკითხების მიწოდება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლთათვის ხდება რეგულარულად სოციალური რეკლამების სახით, რომელიც ითარგმნება მაუწყებლის რედაქციის მიერ უმცირესობების ენებზე. მათი სისტემატური ტრანსლირება ხდება 'სარეკლამო ჭრების' დროს. ამ სოციალურ რეკლამებს საზ. მაუწყებელს აწვდიან გენდერულ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები და უცხოური ფონდები. ასევე ამ პრობლემატიკას უთმობენ დროს მაუწყებლის რედაქციები და ამზადებენ სიუჟეტებს .

- 2015 წლის 15 დეკემბერი, ქვემო ქართლში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელის მიერ გამოქვეყნებულ იქნა სტატია[10] ნაადრევ ქორწინებასა და ბავშვებზე ძალადობის თემაზე.
- 2015 წელს ჩატარდა შეხვედრები ბოლნისისა და დმანისის 4 სკოლაში_თემაზე - "ადრეული ქორწინება და ახალი საკანონმდებლო ინიციატივები". ამავე წელს განხორციელდა 3 თვიანი პროექტი „ახალგაზრდა ლიდერთა კლუბი" „4+1" პროგრამის მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისათვის, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს სხვა საკითხებთან ერთად ჩაუტარდათ სემინარები თემზე: გენდერული თანასწორობა, ქალის როლი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სემინარებში სულ მონაწილეობა მიიღო 40-მა ახალგაზრდამ, მათ შორის იყო 20 გოგონა. აღნიშნული შეხვედრების შესახებ ინფომრაცია გავრცელდა როგორც თბილისის აზერბაიჯანულენოვანი რადიოს მიერ ასევე მარნეულის რადიოს მიერ, აღნიშნულ ღონისძიებებს სიუჟეტი მიუძღვნა ბოლნისის ტელევიზიამ.
- 2015 წელს დამზადდა ვიდეორგოლი მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამის" (PITA) ფარგლებში გაეროს ასოციაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანასური დახმარებით <u>არა ნაადრევ ქორწინებას!</u>[11]
- 2014 წლის ოქტომბერში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ორგანიზაციასთან „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის" ერთად გამართა შეხვედრები გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქვემო ქართლის რეგიონში. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოსა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერში. გამართულ შეხვედრებში მონაწილე უფროსკლასელ გოგონებს და მათ მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვთა უფლებების შესახებ. გაიმართა საუბარი ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ამ მიმართულებით არსებულ სტატისტიკასა და ახალ საკანონმდებლო რეგულაციებზე. სადახლოსა და ტალავერში გამართულ შეხვედრებში 350 უფროსკლასელი გოგონა და მათი მშობლები მონაწილეობდნენ.

ამოცანა:14.1.3. ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა ეკონომიკის სფეროში

[10] http://analytics.women-peace.net/zaur-dargaly-rannie-braki-nasilie-v-otnoshenie-detej/
[11] https://www.facebook.com/marneuliyouthcenter/videos/1075972919104294/
https://www.youtube.com/watch?v=a9FKY6J27Go

<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.1. ეკონომიკურ პოლიტიკასა და დასაქმებაში გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმების გენდერული ანალიზი და შემუშავებული რეკომენდაციები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2015 წელს ჩატარდა საყოველთაო აღწერა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს ინდიკატორში მითითებული ანალიზი. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება 2016 წლის ბოლოს.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.2. ქალთა ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებში მონაწილე ქალთა და კაცთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით საქართველოს ეკონომიკურად მოწყვლად რეგიონებში მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვას, მიკრო და მცირე მეწარმე სუბიექტების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას, მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობას. პროგრამა ასევე მოიცავს ტექნიკურ დახმარებას ტრენინგების, სტაჟირებების და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ასევე ითვალისწინებს ინოვაციურ, მომსახურებაზე ორიენტირებულ მიკრო და მცირე ბიზნესების შექმნა/განვითარებასა და **ქალების მიერ** ბიზნესის წამოწყებას. პროექტის შეფასებისა და დამტკიცებისას ხდება სხვადასხვა სახის პირობების გათვალისწინება, მათ შორის ქალთა მიერ ბიზნესის წამოწყება. 2015 წლისათვის მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის გამოიყო 4 მლნ. ლარი. პროგრამის ბენეფიციართა 30% ქალი მეწარმეები წარმოადგენენ. 2016 წლისათვის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარ ქალთა რაოდენობა 40%-მდე გაიზრდება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი ს.ს.ი.პ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია საფინანსო და ბიზნეს-სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და მეწარმეების მიერ ინოვაციური პროექტებისა და დამწყები ბიზნესის დაფინანსების წახალისებისთვის.

2015 წლისათვის სააგენტოს მიერ გამოიყო 3 მლნ. ლარი. პროგრამის ბენეფიციართა 3% ქალი მეწარმეები არაინ. 2016 წლისათვის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარ ქალთა რაოდენობა 40%-მდე გაიზრდება.

2015 წელს „აწარმოე საქართველოს” პროგრამის ფარგლებში განმცხადებელთა რაოდენობამ შეადგინა სულ 11 878 ადამიანი, მათ შორის 4 272 ქალი - მთლიანი განმცხადებლის 36%. პროგრამის ფარგლებში ტრენინგი გაეწია 3 118 ადამიანს, რომელთა შორის დატრენინგებულ

ქალთა რაოდენობამ შეადგინა 1 118 - სულ 36%. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა სულ 1 624 ადამიანი, მათ შორის 582 ქალი - მთლიანი დაფინანსებულ ბენეფიციართა 36%.

რეგიონების მიხედვით, განმცხადებელ ქალთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება: იმერეთი- 17%; ქვემო ქართლი - 14%; სამეგრელო, ზემო სვანეთი - 14%; კახეთი - 13%; შიდა ქართლი - 10%; სამცხე-ჯავახეთი - 9%; აჭარა - 7%; გურია - 6%; რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 6%.
რეგიონების მიხედვით, დატრენინგებულ ქალთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება: სამეგრელო, ზემო სვანეთი - 25%; გურია- 15%; აჭარა- 14%; სამცხე-ჯავახეთი - 9%; კახეთი - 9%; შიდა ქართლი - 8%; იმერეთი - 8%; ქვემო ქართლი - 7%; მცხეთა-მთიანეთი - 4%; რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 2%.
რეგიონების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციართა ქალთა წილი შემდეგნაირად ნაწილდება: სამეგრელო, ზემო სვანეთი - 17%; იმერეთი- 15%; სამცხე-ჯავახეთი - 15%; კახეთი - 10%; გურია - 9%; შიდა ქართლი - 9%; ქვემო ქართლი - 7%; %; რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი - 6%; აჭარა- 5%; მცხეთა-მთიანეთი - 5%;

<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.3. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ/დაინტერესებულ ქალთა ცოდნის დონის და კვალიფიკაციის ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საჭიროებების გამოსავლენად ჩატარებული კვლევის შედეგები; საჭიროების შემთხვევაში - შემუშავებული რეკომენდაციები, განხორციელებული პროგრამები; ქალთა ბიზნეს განათლებისა და ეკონომიკური პოტენციალის გასაძლიერებლად ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების - კაცების, ისევე ქალების - იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

პროექტის ფარგლებში აგრო კრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს - როგორც კაცს, ისევე ქალს - აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია და კონსულტაციები „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული კომერციული ბანკების მეშვეობით.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.4. აგრობიზნესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის კონსულტაციების მიმღებთა რაოდენობა და სქესი; დანერგილი შეღავათიანი საკრედიტო პროგრამა; გაცემული კრედიტების რაოდენობა (ჯამური თანხა)

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში ფიქსირდებოდა 15,643 ფიზიკური პირი ბენეფიციარი (იურიდიული პირების გარდა ვინაიდან სადამფუძნებლო სტრუქტურაში რთულია სქესის მიხედვით მათი იდენტიფიცირება), საიდანაც მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 1115 ბენეფიციარი.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, სულ გაცემულია 24,250 სესხი 681,808,919 ლარის ოდენობით და 1,424 სესხი და ლიზინგი 198,622,656 აშშ დოლარის ოდენობით. ჯამში გაცემული სესხების რაოდენობა შეადგენს 25,674.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.5. ქალთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და განვითარებაში*

<u>ინდიკატორი:</u> ქალთა ჯგუფებთან კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციების/შეხვედრების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მნიშვნელობის / საჭიროების შესახებ; ქალთა აქტიურობით შექმნილი კოოპერატივების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2016 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მეპაიე ქალთა რაოდენობა შეადგენს 2571. შექმნილია 44 ქალთა კოოპერატივი. 163 კოოპერატივში გამგეობის თავმჯდომარე ქალია.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით 2015 წლის 7 აპრილს ჩატარა ღონისძიება „დიალოგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა როლის გაძლიერებისათვის“, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ატაშე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლები. შედეგად შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლად მცხოვრებ ქალთა გააქტიურებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ჩართულობით ქალთა საინფორმაციო ცენტრის პროექტის „ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის“ ფარგლებში შექმნილი თვითდახმარების ჯგუფების, რესურს ცენტრებისა და კოოპერატივების წარმომადგენლების უნარების გასაძლიერებლად საზაფხულო ბანაკი „კოოპერატივები და სათემო ცენტრები გაძლიერებული თემისთვის“ ჩაქვში ჩატარდა.

„თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისათვის ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო, რომ განმცხადებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ან/და მეპაიე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა 31%-ს უნდა შეადგენდნენ ქალები, ახალგაზრდები ან/და მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „დარჩელის თხილის“ მეპაიე ქალები 34% შეადგენს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ქალთა ჩართულობის შესახებ მომზადდა გადაცემები, სტატიები.

2016 წელს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს მიერ დაგეგმილია მიზნობრივ პროგრამებში ქალთა ჩართულობის სტიმულირების ხელშეწყობა, პროგრამებში მონაწილეობისათვის სპეციალური კრიტერიუმების შემუშავების გზით .

<u>საქმიანობა:</u> 14.1.3.6. ენერგიის წყაროების დივერსიფიცირება პროდუქტიულობის გაზრდის, დამატებითი შემოსავლებისა და შრომატევადობის შემცირების მიზნით

<u>ინდიკატორი:</u> გაზიფიცირებული სოფლების რაოდენობა; განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების ათვისების ახალი პროექტების რაოდენობა; ენერგოეფექტურობის შესახებ შეხვედრების, საინფორმაციო საშუალებებში განთავსებული ინფორმაციის რაოდენობა; ენერგეტიკის სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ოჯახებისთვის ენერგიის წყაროების ხელმისაწვდომობის გაზრდა

რეგიონების გაზიფიცირების პროგრამა - გრძელდება გაზიფიცირების პროგრამა რეგიონებში, სადაც მოსახლეობას ბუნებრივი აირი წლების განმავლობაში არ მიეწოდებოდა. 2014 წლის განმავლობაში ბუნებრივი გაზი კიდევ 30 ათასამდე პოტენციური აბონენტისათვის გახდა ხელმისაწვდომი. ამას გარდა მიმდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე ყველა სოფლის გაზიფიცირების პროექტი, რომელიც 2014 წლის მარტში დაიწყო და დასასრულს უახლოვდება. წლის ბოლომდე 58 სოფლის 13,000 ოჯახი მიიღებს ბუნებრივ აირს. ამ მიზნით მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 19 მლნ. ლარი. გაზიფიცირებულ სოფლებში ქსელზე მიერთების საფასური შემცირდა 600-დან 400 ლარამდე. მოსახლეობას ამ თანხის ეტაპობრივი გადახდის შესაძლებლობა აქვს ყოველთვიურად 25 ლარის ოდენობით.

უშუქო სოფლების ელექტროფიკაციის პროექტი - გრძელდება სამუშაოები იმ სოფლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველსაყოფად, რომლებიც წლების მანძილზე უშუქოდ იყო დარჩენილი. მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ნაწილი დასრულდება 2014 წლის ბოლოსათვის, ნაწილი - 2015 წლის გაზაფხულისათვის.

ეს სოფლებია: გურჯაანის მუნიციპალიტეტი - სოფელი ჭერემი, კასპის მუნიციპალიტეტი- სოფელი ცხავები, დმანისის მუნიციპალიტეტი - სოფელი სოგუთლო, ქარელის მუნიციპალიტეტი - სოფელი ოქროსოფელი, დუშეთის მუნიციპალიტეტი - სოფლები კაწალხევი, ნოჯა, კოშკასყელი, ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალი, მცხეთის მუნიციპალიტეტი - სოფლები ლელუბანი და კარსანი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - სოფელი შროშაშა, საჩხერის მუნიციპალიტეტი - სოფელი ჩონთო, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - სოფელი ნატანების მიმდებარე „მოლიანის დასახლება“, გორის მუნიციპალიტეტი - სოფელი გაგლოანთუბანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტი - სოფლები მანანაური, ცხუმალდი და ბავარი.

ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამა - 2014 წლის იანვრიდან დღემდე ელექტროენერგიის მოხმარების ქსელში ინდივიდუალურად ჩაერთო 58 ათასზე მეტი აბონენტი.

განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების ათვისების ხელშეწყობა გარემოს და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

გარემოს გაუმჯობესებისა და საწვავის წვის შედეგად წარმოქმნილი მავნე აირების შემცირების მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება განახლებადი და სუფთა ენერგიის წყაროების გამოვლენასა და ათვისებას.

ამ კუთხით, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ჰიდრორესურსების რაციონალური ათვისება რჩება ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად. 2014 წლის იანვრიდან დღემდე გაფორმებულია 14 მემორანდუმი 22 პროექტის განხორციელების მიზნით. საანგარიშო პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა 3 ჰიდროელექტროსადგური და ელექტროსისტემას დაემატა განახლებადი ენერგიის 102მგვტ დადგმული სიმძლავრე (ახმეტა ჰესი - 9,1მგვტ), ყაზბეგი ჰესი - 6მგვტ და ფარავანი ჰესი - 87მგვტ). მიმდინარეობს 13 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარების მიზნით ენერგეტიკის სამინისტრომ „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდთან“ ერთად დაიწყო ქარის სადგურების მშენებლობა. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“ პირველი საპილოტე პროექტია, რომელსაც სახელმწიფო საკუთარი სახსრებით ააშენებს და რომლის საინვესტიციო ღირებულება 30 მილიონი აშშ დოლარს შეადგენს. მშენებლობის დაწყება 2015 წელს იგეგმება.

გარდა ამისა, სამინისტრო მუშაობს მზისა და გეოთერმული ენერგიების პოტენციალის ათვისების შესაძლებლობებზე.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება საშუალებას იძლევა ოპტიმალურად იქნას გამოყენებული ქვეყანაში არსებული ენერგორესურსები და შერბილდეს გარემოზე და სოციალური ზემოქმედება, რაც თავის მხრივ მოსახლეობაზე აისახება როგორც დანახარჯების შემცირების, ასევე ჯანსაღი გარემოს შექმნის კუთხითაც.

მუშაობა ენერგოეფექტიანობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით

აღნიშნული მიმართულებით ენერგეტიკის სამინისტრო ჩართულია ორ საერთაშორისო პროექტში: „მერების შეთანხმება“ და „დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება სუფთა ენერგიის პროგრამა (LEDS)“.

„მერების შეთანხმებას“, რომელსაც საქართველო 2010 წელს შეუერთდა, არის ევროკომისიის ფართომასშტაბიანი ინიციატივა. იგი აერთიანებს ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას გაზარდონ ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება მათ დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიებზე. შეთანხმების ხელმომწერნი მიზნად ისახავენ 2020 წლისათვის შეამცირონ CO_2-ის ემისიები მინიმუმ 20%-ით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ მწვანე ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის. დღეისათვის პროექტის მონაწილე მსოფლიოს 5460 მუნიციპალიტეტია, მათ შორის საქართველოს 7 ქალაქი - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ბათუმი. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის 30 იანვარს. რის საფუძველზეც ენერგეტიკის სამინისტრო გახდა კოორდინატორი.

„დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა გაძლიერება სუფთა ენერგიის პროგრამა (LEDS)“ - მიმდინარეობს USAID-ის დაფინანსებით, შემსრულებელია - Winrock International Georgia, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრო უწევს კოორდინაციას. პროექტი შედგება სამი კომპონენტისგან: ენერგოეფექტური ღონისძიებები საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის; მწვანე შენობების შეფასებისა და სერტიფიცირების სისტემა და სამთავრობო დაბალემისიებიანი სტრატეგიის შემუშავების სამუშაო ჯგუფისათვის საკონსულტაციო დახმარების უზრუნველყოფა. პროგრამა 2018 წლის ბოლოს დასრულდება.

ენერგეტიკულ სექტორში სამუშაო ადგილების შექმნისა და ქალის როლის დამკვიდრების ხელშეწყობა

ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შტატში რიცხული 87 თანამშრომლიდან 46 ქალია, მათ შორის - 6 მენეჯერულ პოზიციაზე (13 მამაკაცი).

2014 წლის განმავლობაში მიღებული 13 თანამშრომლიდან 10 ქალია. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმრავლესობა მამაკაცებია, თუმცა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა გულისხმობს ქალების დასაქმებასაც.

მიმდინარე და სამომავლო პროექტები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დასაქმების შესაძლებლობის ზრდასთან ერთად, გაიზრდება ქალების, როგორც სპეციალისტების როლი ენერგეტიკულ სექტორში, დარგში შემდგომი კარიერული ზრდის პერსპექტივებით.

ამოცანა: 14.1.4. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება

<u>საქმიანობა:</u> 14.1.4.1. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი

<u>ინდიკატორი:</u> ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის გენდერული ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი უზრუნველყოფს სხვა საფუძვლებთან ერთად სქესისა და სექსუალური ორიენტაციის საუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვას, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება და გეგმავს ჯანმრთელობისა დაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის ჩატარებას 2016 წელს.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.4.2. ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა გენდერული დისკრიმინაციის გარეშე

<u>ინდიკატორი:</u> ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამებში გათვალისწინებულია MDG -ის ინდიკატორები და გენდერული პარამეტრები, შესაბამისად, ასახულია ანგარიშებში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს კონსტიტუციით და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონით განსხვავება ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაში მამაკაცსა და ქალს შორის დაუშვებელია. ჯანდაცვისა და სამედიცინო სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც ქალებისთვის, ისევე მამაკაცებისთვის.

ამასთან, 2013 წელს ამოქმედებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ხდება მშობიარობისა და საკეისრო კვეთების დაფინანსება. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამა სრულიად ორიენტირებულია დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირებაზე, ნაადრევი მშობიარობების რიცხვისა და თანდაყოლილი ანომალიების განვითარების შემცირებაზე.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.4.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ გათვითცნობიერებული მედია, არასამთავრობო სექტორი; *შესაბამისი გადაცემებისა და ღონისძიებების რაოდენობა*

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

გაეროს მოსახლეობის ფონდი სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ჩემი უფლებები“, რომლის ფარგლებში ქ. თბილისისა და კახეთის სკოლებში ჩატარდა სწავლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპების, აივ-შიდსისა და სქესობრივად გადამდები დაავადებების

საკითხებზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს „მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამას“, რომლის ფარგლებში ტარდება ადრეული ქორწინების რისკების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს იმ რეგიონების მშობლებთან, სადაც ხშირად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. 2015 წელს ჩატარდა 10 შეხვედრა ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სოფლებში. განათლების სამინისტრო დაინტერესდა აღნიშნული პროექტით და 2015-2016 სასწავლო წლიდან აღნიშნული საკითხები ჩართული იქნა ფორმალური განათლების პროგრამებში, კერძოდ, გაეროს მოსახლეობის ფონდს უკვე გაეგზავნა ოფიციალური თანხმობა მათი ექსპერტის/ექსპერტების ჩართულობის თაობაზე საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის გადამუშავების პროცესში, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანსაღი ცხოვრების წესთან (მათ შორის, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან) დაკავშირებული საკითხების სათანადოდ ასახვა სასწავლო გეგმებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჯამში რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემის გაშუქებას 2015 წლის განმავლობაში 5 საათი დაეთმო.



<u>საქმიანობა:</u> 14.1.4.4. დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვეული ბალანსის შესწავლა და შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრა

<u>ინდიკატორი:</u> დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვეული ბალანსის შესასწავლად ჩატარებული კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები; შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის დარღვეული ბალანსის შესახებ

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ 2014 წელს ჩატარდა კვლევა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის ბალანსის დარღვევის მიზეზების შესწავლასთან დაკავშირებით. 2015 წ. მაისში მოხდა კვლევის შედეგების ანგარიშის პრეზენტაცია. საქართველოში სქესთა დარღვეული ბალანსი 90-იანი წლებიდან აღინიშნება (112-114 მამრობითი სქესის ბავშვი ყოველ 100 მდედრობითი სქესის ბავშვზე). 2016-2017 წლებისათვის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამიანისტრო, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით გეგმავს განახორციელოს, გენდერული ნიშნით ნაყოფის სქესის სელექციის პრევენციის მიზნით

საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები, პირველადი ჯანდაცვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიმწოდებელთათვის.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.4.5. ჯანდაცვის პერსონალის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> ჯანდაცვის პერსონალის დიპლომამდელი დადიპლომისშემდგომი განათლების კურიკულუმებში გენდერული ასპექტები გათვალისწინებულია

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

დიპლომამდელი განათლების საკითხები რეგულირდება განათლების სამინისტროს მიერ. სამინისტრო 2014-2015 წლებში ცდილობდა დონორული დახმარების მოძიებას ჯანდაცვის პერსონალის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების კურიკულუმების გადახედვის მიზნით, თუმცა ასეთი სახსრების მოძიება ვერ შეძლო. 2016 წელს, საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით მუშაობა დაიწყო ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიაზე, მისი ერთ-ერთი მიმართულება იქნება გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების კოორდინაციის დაწყება სამინისტროს რესურსებით.

ამოცანა: 14.1.5. ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინება

<u>საქმიანობა:</u> 14.1.5.1 ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დროს გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშემწყობის მექანიზმები და რეკომენდაციები შემუშავებულია; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარმოდგენილ ქალთათვის ჩატარებული ტრენინგებისა და დამსწრეთა რაოდენობა; მუნიციპალური გენდერულ მრჩეველთა რაოდენობა და მათთვის ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა; საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმისთვის სხვადასხვა საკითხზე ჩატარებული ტრეინინგების რაოდენობა; გამოვლენილ ლიდერ და აქტიურ ქალთა რაოდენობა; ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებში მონაწილე გოგონებისა და ბიჭების თანაბარი რაოდენობა;

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.1.5.2 სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ადგილობრივ დონეზე

<u>ინდიკატორი:</u> სკოლამდელი აღზრდის შემუშავებული პოლიტიკა, რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული პარამეტრები; ჩატარებულ ტრენინგთა და გადამზადებულ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა რაოდენობა; განსაზღვრულია საქმიანობები, რომლებიც სკოლამდელი განათლების საფეხურზე გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინებას ისახავს მიზნად; მეთოდოლოგიურ მასალებში ასახულია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები; სკოლამდელი აღზრდის სტანდარტები დამტკიცებულია; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა, რომელთა ინფრასტრუქტურა გაუმჯობესდა.

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელთა ტრენინგი 2015 წლის სექტემბერში თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმოდგენილი სიის მიხედვით გაიარა ქალაქ თბილისის 170-მა მეთოდისტმა და აღმზრდელმა.

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დაგეგმილი ჰქონდა ტრენინგის მეორე ეტაპი, როდესაც გადამზადებული მეთოდისტები/აღმზრდელები ჩაუტარებდნენ ტრენინგს/სამუშაო შეხვედრებს იმ აღმზრდელებს, რომელთაც მოუხდებოდათ მუშაობა სასკოლო მზაობის ჯგუფებში.

2015 წელს შემუშავდა სასკოლო მზაობის პროგრამა (აღმზრდელის სახელმძღვანელო და აქტივობების კრებული), რომელიც 2015-2016 სააღმზრდელო წელს დაინერგა თბილისისა და რეგიონალური მუნიციპალიტეტების საბავშვო ბაღებში. სასკოლო მზაობის პროგრამაში გათვალისწინებული და ასახულია გენდერული თანასწორობის საკითხები და პრინციპები.

სასკოლო მზაობის პროგრამა გათვალისწინებულია იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულდათ 5 წელი და მომდევნო წლის სექტემბერში სკოლის პირველ კლასში მოუწევთ სწავლის დაწყება.

,,სასკოლო მზაობის აღმზრდელთა სატრენინგო მოდული„ 25 საკონტაქტო საათს მოიცავდა. აღნიშნული ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: სასკოლო მზაობის პროგრამა და მისი შემადგენელი კომპონენტები; თამაშის როლი ბავშვის სწავლასა და განვითარებაში; სასკოლო მზაობის ჯგუფის დღის განრიგი; სასკოლო მზაობის სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი; აღმზრდელის სახელმძღვანელოს ძირითადი საფუძვლები; აღმზრდელის სახელმძღვანელოს თემატური მიმართულები; თემატური მიმართულებების შიგნით არსებული საქმიანობები; სასკოლო მზაობის ჯგუფის ფიზიკური გარემო და რესურსები; დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება - არაფორმალური შეფასება; მშობლებთან კომუნიკაცია; ბავშვის პორტფოლიო; აქტივობათა წიგნში არსებული აქტივობები; სამუშაო დღის, კვირის დაგეგმვა.

ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა - 7 ჯგუფი;

გადამზადებულ სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა რაოდენობა - 171 მსმენელი;

ამოცანა: 14.1.6. გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 14.1.6.1. პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგებისა და შეხვედრების რაოდენობა, პარტიის პროგრამებში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.1.6.2. ქალის მონაწილეობის გაზრდა არჩევით ორგანოებში

<u>ინდიკატორი:</u> არჩეული საკრებულოს წევრი ქალების რაოდენობა; არჩეული პარლამენტის წევრი ქალების რაოდენობა; ამომრჩეველთა რაოდენობა სქესის მიხედვით

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.1.6.3. გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა სამინისტროებსა და სხვა უწყებებში

<u>ინდიკატორი:</u> გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელის შემშლელი ფაქტორების ანალიზის შედეგები და დაგეგმილი შესაბამისი ღონისძიებები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ამოცანა: 14.1.7. გარემოს დაცვის საკითხებში ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 14.1.7.1. გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გენდერული ბალანსის დაცვა

<u>ინდიკატორი:</u> გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილე ქალთა და მამაკაცთა თანაბარი რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატში უზრუნველყოფილია, გარემოს დაცვის საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე (განყოფილების უფროსები, დეპარტამენტის უფროსები მათი მოადგილეები მინისტრი და მისი მოადგილეები, სამსახურის უფროსები) ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა. 2016 წლის 7 აპრილის მდგომარეობით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულია 17 მამრობითი და 25 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.7.2. გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება გენდერული ბალანსის დაცვით

<u>ინდიკატორი:</u> გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

გარემოსდაცვითი ინფორმაცია თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი სქესის წარმომადგენლისათვის. ასევე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების მიერ ორგანიზებულ საჯარო ლექციებსა და ტრენინგებზე, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფილია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი დასწრება. 2014-2016 წლების განმავლობაში, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში (მათ შორის 46 ტრენინგში და 117 ლექცია/სემინარში) მონაწილეობდა 6250 ადამიანი, რომელთაგან 3012 იყო მდედრობითი, ხოლო 3238 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ამასთანავე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ჰყავს 1098 ელექტრონული ხელმომწერი, რომელთაც პერიოდულად მიეწოდებათ ინფორმაცია გარემოსდაცვით სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. აღნიშნულ პირთაგან 561 არის მდედრობითი, ხოლო 537 მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

ამოცანა: 14.1.8. სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფეროში გენდერული ასპექტების გათვალისწინება

<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.1. შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა წარმომადგენლობისა და როლის გაზრდა

<u>ინდიკატორი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეულ დანაყოფებში დასაქმებულ ქალთა გაზრდილი პროცენტული მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გენდერული თანასწორობის შესახებ ჩატარებული კამპანიების რაოდენობა; შსს-ს ხელმძღვანელ პირებთან ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

შსს-ს აკადემიაში, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) ორგანიზებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებისთვის გენდერული თანასწორობის თემაზე 2015 წელს საპილოტე ტრენინგები დაიწყო. პროგრამა გაიარა უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - 109 მსმენელმა და პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - 89 მსმენელმა. აღნიშნული მოდული პატრულ-ინსპექტორთა და უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებშია შესული. ოთხი საპილოტო ტრენინგის ჩატარების შემდეგ, შსს-ს აკადემია საკუთარი რესურსებით გააგრძელებს ამ სასწავლო კურსის განხორციელებას. სწავლების მიზანია საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი აქტების გაცნობის საფუძველზე, კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობის შესახებ მომავალი პოლიციელების ცოდნის გაღრმავება.

2014 წლის განმავლობაში, შსს აკადემიის მომზადება-გადამზადების პროგრამაში გათვალისწინებული ოჯახში ძალადობისა, გენდერული საკითებისა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და ადმინისტრაციული მექანიზმის სასწავლო კურსი, წარმატებით დაასრულა 2244 –მა სამართალდამცავმა.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.3. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების შემდგომი გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობებით უზრუნველყოფილი ქალთა საპატიმრო; ინდივიდუალური მიდგომით უზრუნველყოფილი პატიმარი ქალები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სასჯელაღსრულების N5-ე დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო კორპუსის „C“ ფლიგელში შესრულდა „ატლანტისის“ პროგრამის განხორციელებისათვის საკნების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ასევე შესრულდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის სამედიცინო ნაწილის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთათვის საკნების მოწყობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა ქალთა N5-ე დაწესებულების დებულება, რომლითაც განისაზღვრა იმ ჰიგიენური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. ამასთანავე, დებულების 36-ე მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალებს მიეწოდებათ აუცილებელი ჰიგიენური საშუალებები. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ნორმის აღსრულებას.

<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.4. მცირე დასაქმების კერების ჩამოყალიბება ქალთა დაწესებულების ტერიტორიაზე

<u>ინდიკატორი:</u> დასაქმებულ მსჯავრდებულ ქალთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულების N5-ე ქალთა დაწესებულებაში მსჯავრდებულების რეაბილიტაციისა და დასაქმების ახალი შესაძლებლობები გაჩნდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პატიმარ, პრობაციონერ და ყოფილ მსჯავრდებულ ქალთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა კანონმორჩილი ცხოვრებისათვის“ ფარგლებში, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“-ს ხელშეწყობით გაიხსნა სამკერვალო საწარმო, სადაც დასაქმდა 21 მსჯავრდებული ქალი, რომლებმაც დაწესებულებაში ჭრა-კერვის პროფესიული კურსები გაიარეს და მკერავის პროფესიას დაეუფლნენ. გაიხსნა სილამაზის სალონი, სადაც დასაქმებულია 2 სტილისტი.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.5. პატიმარ ქალთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის მიდგომების შემდგომი დახვეწა*

<u>ინდიკატორი:</u> ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამაგავლილ მსჯავრდებულ ქალთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობდა 579 ქალი მსჯავრდებული. აქედან:

- კულტურულ, ინტელექტუალურ და შემეცნებით პროგრამებში-155 ქალი მსჯავრდებული;
- საგანმანათლებლო და სახელობო-პროფესიული პროგრამებში - 350 ქალი მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ და რეკრეაციული პროგრამებში - 74 მსჯავრდებული ქალი;

2015 წელს ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობდა 466 ქალი მსჯავრდებული. აქედან:

- საგანმანათლებლო/კომპიუტერულ და სახელობო/პროფესიული პროგრამებში- 346 ქალი მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ პროგრამებში და არტ/მუსიკალურ თერაპიაში - 107 მსჯავრდებული ქალი;

აქტიურად ფუნქციონირებს თეატრალური დასი - მონაწილეობს 13 მსჯავრდებული ქალი.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.6. პატიმარ ქალთა მოპყრობის მინიმალური სტანდარტებისა და თავისებურებების განსაზღვრა „ბანგკოკის წესების“ მიხედვით*

<u>ინდიკატორი:</u> „ბანგკოკის წესების“ საკითხებზე გადამზადებული ტრენერების რაოდენობა; „ბანგკოკის წესების“ საკითხებზე გავლილი ტრენინგის შედეგად სერთიფიცირებული თანამშრომლების რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასაწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა საბაზისო სასწავლო პროგრამაში შეიტანა სესია პატიმარ ქალთა მოპყრობის სტანდარტებზე „ბანგკოკის წესების“ მიხედვით, რომელსაც გადის სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის ყოველი ახალ მიღებული თანამშრომელი, მათ შორის ქალთა დაწესებულების თანამშრომლები.

2014 წელს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსის ფარგლებში გადამზადდა 24 თანამშრომელი, პირველდაწყებითი საბაზისო სწავლება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების (რეჟიმი) 120 თანამშრომელი. გაეროს, ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების წესები შესახებ (ბანგკოკის წესები) გადამზადდა 40 თანამშრომელი.

2015 წელს, პენიტენციური დაწესებულებების სამართლებრივი რეჟიმის სამსხურების თანამშრომელთა გადამზადების სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 68 თანამშრომელი. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების თანამშრომელთა მომზადების გრძელვადიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, გადამზადდა 25 თანამშრომელი, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ (ბანგკოკის წესები) გადამზადდა 15 თანამშრომელი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და ბიზნესის“ ორგანიზებით ქალ მსჯავრდებულებს ჩაუტარდათ ტრენინგი „ბანგკოკის წესების“ მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 24-მა მსმენელმა.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.1.8.7. გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა, ეფექტიანი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა*

<u>ინდიკატორი:</u> გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხებზე გადამზადებულ პროკურორთა და სტაჟიორ-პროკურორთა რაოდენობა; სამართალდამცველი ორგანოებისათვის მიმართვიანობის გაზრდა; სქესობრივი დანაშაულების მსხვერპლთა დაკითხვის და გამოძიების ტექნიკებზე გადამზადებული სამართალდამცავების რაოდენობა (შინაგან საქმეთა მინისტრო); პროკურორთათვის შემუშავებული სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპები ქალთა საკითხების გასათვალისწინებლად

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს, საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის, საინფორმაციო ცენტრი აწარმოებს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების აღრიცხვას, რომლის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ 2014 წლიდან 1 კალენდარული წლის განმავლობაში პოლიციისადმი მიმართვიანობა და სამართალდამცავების მხრიდან რეაგირების მაჩვენებელი გაზრდილია. რასაც ცხადყოფს დაწყებული გამოძიებების და გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა, კერძოდ:

2014 წელს შსს თანამშრომელთა მიერ გამოცემული იქნა 817 შემაკავებელი ორდერი;

2015 წელს შსს თანამშრომელთა მიერ გამოცემული იქნა 2598 შემაკავებელი ორდერი;

2015 წელს სსსკ–ის 126[1] მუხლით 760 ფაქტზე დაიწყო გამოძიება ხოლო სსსკ–ის 11[1] მუხლზე მითითებით 168 ფაქტზე.[12]

საქართველოს შს სამინისტროს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) თანამშრომლობის ფარგლებში, ყოველწლიურად იმართება ოთხდღიანი კონფერენცია „ქალები პოლიციაში“, რომელიც უკვე მეხუთე წელია საქართველოში ტარდება. კონფერენციის მთავარი თემაა

[12] http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/sxvadasxva%20statistika/2015/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202015%E1%83%AC..pdf

სამართალდამცველების კვალიფიკაციის ამაღლება და პოლიციაში ქალის როლის წარმოჩენა. განხილული საკითხებიდან დიდი ყურადღება ეთმობა სქესობრივი დანაშაულების გამოძიების ტექნიკის სწავლებას და თავდაცვის უნარების შესწავლას. აღნიშნულ კონფერენციას 2014 წელს 80, ხოლო 2015 წელს 60 ქართველი სამართალდამცავი ქალი დაესწრო.

2015 წელს ქართველი პოლიციელი ქალებისთვის ლიდერის უნარების განვითარების კურსები გაიხსნა. აღნიშნული კურსები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ არის დაფინანსებული და აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიურო ახორციელებს. კურსები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ცენტრალურ და რეგიონულ სამართალდამცავ სტრუქტურებში პოლიციელ ქალთა ჩართულობასა და კარიერულ ზრდას.

2014 წლის 29 სექტემბერს გაერო–ს ქალთა ორგანიზაციასა (UN Women) და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, 2015 წელ სამინისტროში ჩატარდა თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი. აუდიტის ჩასატარებლად სხვადასხვა ეტაპზე განხორციელდა, ინფორმაციისა და მონაცემების საფუძვლიანად დამუშავება (იგულისხმება სამინისტროს სტრატეგია და სხვა საჯარო დოკუმენტები, მათ შორის ვებგვერდი); ინტერვიუები სამინისტროს თანამშრომლებთან ყველა იერარქიულ დონეზე; 1 დღიანი სემინარი შს სამინისტროს თანამშრომლებისათვის. აღნიშნული ეტაპების განხორციელების შემდეგ, აუდიტის განმახორციელებელი ექსპერტების მიერ შემუშავდა დასკვნა, რომელიც ასახავს სამინისტროს მიერ მიღწეულ შედეგებს, გამოვლენილ ხარვეზებსა და გამოწვევებს, ასევე ამ გამოწვევებთან გამკლავების საშუალებებსა და რეკომენდაციებს. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებისა და თავისი საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, გენდერული აუდიტის ანგარიში გაასაჯაროა.

შსს აკადემიის სავალდებულო საბაზისო სწავლების სასწავლო კურიკულუმი, ითვალისწინებს საგნის „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“, რომლის სასწავლო მოდულით განსაზღვრულია სქესობრივი დანაშაულების გამოვლენის და სქესობრივი დანაშაულების სავარაუდო მსხვერპლების დაკითხვა/გამოკითხვის ტექნიკის სწავლება. აღნიშნული საგანი სწავლება გათვალისწინებული საპატრულო და უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეტექტივების დაწინაურების პროგრამაში.

ჩამოთვლილ კურსებს ყოველწლიურად **ასობით** მსმენელი და მოქმედი სამართალდამცავი ესწრება.

2015 წლის 3–7 ნოემბერს ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთში), აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე „ოჯახში ძალადობა და გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულები“, სადაც FBI–ის ინსტრუქტორებმა, სხვადასხვა ქვეყნების სამართალდამცავებს შეასწავლეს: ოჯახში ძალადობის საქმეების გამოძიება, სექსუალური ძალადობის გამოძიების ტექნიკა, ადამიანებით ვაჭრობა და სხვა. სასწავლო კურსზე წარმოდგენილი იქნებიან საქართველოს, სომხეთისა და მაკედონიის შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. კურსს საქართველოდან დაესწრო 14 სამართალდამცავი.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაფინანსებით და არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2013-2014 წლებში განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც თბილისის, კახეთის და სამეგრელოს რეგიონებში ჩამოყალიბდა ე.წ. „სპეციალისტთა ჯგუფები“. აღნიშნული სპეციალისტთა ჯგუფის წევრები არიან გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაზე სპეციალურად გადამზადებული სამართალდამცავები, რომლებიც ერთის მხრივ ჩართულნი არიან სქესობრივი დანაშაულის გამოძიების პროცესში და მეორეს მხრივ, მენტორულ მხარდაჭერას უწევენ კოლეგებს მსგავსი

დანაშაულების გამოძიებისას. ჯგუფებში შემავალი სამართალდამცავების რაოდენობა შეადგენს 46–ს.

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიჩნეულია ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაღრმავება რა მიზნითაც პერიოდულად პროკურატურა განსაზღვრავს ტრენინგ-საჭიროებებს საქმიანობის შესრულების ხარისხის შეფასების შედეგებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით და ასევე საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე. ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა საქართველოს პროკურატურისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

2014 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, პროკურორების და მოსამართლეების მონაწილეობით. ამასთან პრაქტიკაში არსებული ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლის მიზნით ჩატარდა კვლება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70-მა პროკურორმა. დამატებით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხზე სასწავლო მომზადება გაიარა პროკურატურის სტაჟიორებმა და პროკურორებმა. ჯამში, 2014 წელს გადამზადდა 94 პროკურორი და მოწმის და დაზარალებულის 14 კოორდინატორი.

2015 წლის იანვარში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, პროკურორებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა. ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკა, საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩო, რეფერალის გამოყენების, მუშაობის სქემები და მულტისექტორული მონაწილეობის მექანიზმები, სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანი განხორციელება და მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესი. ტრენინგს უძღვებოდა ბრიტანელი ექსპერტი.

2015 წლის აპრილში პროკურორებისთვის ჩატარდა ტრენინგი ოჯახში ძალადობის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ოჯახში ძალადობის სპეციფიკა დანაშაულის ჩადენის გავრცელების მოტივები მათ შორის გენდერული ნიშნით ჩადენილი. ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერები, გამოწვევები ოჯახში ძალადობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი რეგულირების გამიჯვნის მხრივ. ამასთან, ბავშვთა დაცვა ოჯახში ძალადობისგან ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეფერირების პროცედურები გამოყენების საკითხები, ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური მხარეები.

2015 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე სულ გადამზადდა 75 პროკურორი საქართველოს პროკურატურის ყველა ტერიტორიული ორგანოს დაფარვით. შესაბამისი მიმართულების პროკურორებთან ერთად, გადამზადება გაიარა საშუალო რგოლის მენეჯერებმაც.

2015 წლის 23 იანვარს, ძალადობრივი და ოჯახური დანაშაულის საქმეების შესწავლის შედეგად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, პროკურორებისთვის შემუშავდა ორი რეკომენდაცია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 და 126^1 მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე და 125-ე მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება

აღნიშნული რეკომენდაციებში ასახულია გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრის და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების პრინციპები და გამოძიების დროს გასათვალისწინებელი სპეციფიკური საკითხები.

მიზანი: 14.2. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა

ამოცანა: 14.2.1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

> *<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვისა და რეაბილიტაციის სამოქმედო ინსტრუქციის (შემდგომში-ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> ეროვნული რეფერალური მექანიზმის ბენეფიციართა რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდგომში – ფონდი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს/დაზარალებულებს უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებებით:

- სამედიცინო დახმარება;
- იურიდული (სასამართლოში წარმომადგენლობის ჩათვლით) დახმარება;
- ფსიქოლოგიური დახმარება;
- სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა;
- თავშესაფრით მომსახურება;
- ცხელი ხაზის მომსახურება.

სამედიცინო დახმარება

სამედიცინო დახმარება მოიცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლების/დაზარალებულების ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო საჭიროებების დადგენას, პირველად სამედიცინო შემოწმებას, სასწრაფო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, თავშესაფრის მკვიდრთა ბაზისური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

იურიდიული დახმარება

იურიდიული დახმარება მოიცავს ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციას, საჭიროების შემთხვევაში განცხადების/სარჩელის მომზადებას და სასამართლო წარმომადგენლობას/ადვოკატირებას.

ფსიქოლოგიური დახმარება

ფსიქოლოგიური დახმარება მოიცავს ფსიქოლოგიურ კონსულტაციასა და რეაბილიტაციას, კრიზისულ ინტერვენციას, ემოციონალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ფსიქოგანათლებას, ჯგუფურ რეაბილიტაციას, ოჯახში ძალადობის, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გათვითცნობიერებას, დახმარებას მომავლის პერსპექტივების განსაზღვრასა და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის აღდგენაში.

სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა

სოციალური პრობლემების მოგვარებაში მხარდაჭერა მოიცავს სოციალური დახმარების სფეროში არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ამ ინფორმაციის ბენეფიციარისათვის მიწოდებას, განათლების მიღების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ბენეფიციარის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამსახურებთან, სპეციალისტებთან დაკავშირებასა და მომსახურების კოორდინაციას, რეფერირებას, დასაქმებაში ხელშეწყობას.

თავშესაფრით მომსახურება

თავშესაფარში მიიღებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობებისა, საცხოვრებელი ადგილისა.

თავშესაფარი ბენეფიციარებს და მათზე დამოკიდებულ პირ(ებ)ს უზრუნველყოფს შემდეგი სახის უფასო 24–საათიანი, სადღეღამისო, მომსახურებით:

- ღირსეული არსებობისათვის შესაფერისი, უსაფრთხო საცხოვრებელი ადგილი;
- საკვები და ტანსაცმელი;
- სამედიცინო დახმარება (ბაზისური მედიკამენტებით მკურნალობის ჩათვლით);
- ფსიქოლოგიური კონსულტაცია/რეაბილიტაცია;
- იურიდიული დახმარება (სასამართლო წარმომადგენლობის ჩათვლით);
- მსხვერპლისათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურება;
- რეაბილიტაციის ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობა (პროფესიული სწავლება, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა, ხელშეწყობა დასაქმებაში).

2015 წლისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა სამი თავშესაფარი. თავშესაფრებში მომსახურებები მორგებულია, ასევე, არასრულწლოვანთა მოთხოვნებს და სერვისების მიწოდება ხორციელდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. თავშესაფრებში ხორციელდება არასრულწლოვანთათვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა.

ფონდი მუდმივად, გარკვეული პერიოდულობით, ახორციელებს თავშესაფრების საქმიანობის მონიტორინგს, რაც გამოიხატება ფონდის ცენტრალური აპარატის ბაზაზე შექმნილი მონიტორინგის სამსახურის მიერ თავშესაფრების ადგილზე შემოწმებაში.

სახელმწიფო ფონდმა 2015 წელს ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა ეფექტიანი დაცვისა და დახმარების მიზნით მემორანდუმები განაახლა შემდეგ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან:

- ქალთა საკონსულტაციო ცენტრი ,,სახლი“
- საქართველოს ახალგაზრდა იურისთა ასოციაცია
- ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი
- ქალთა დასაქმების ხელშემწყობი ასოციაცია „ამაგდარი“

<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სამართლებრივი ბაზის დახვეწა/სრულყოფა; კანონმდებლობის ჰარმონიზება ოჯახში ძალადობის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან, მათთან მიერთების მიზნით

<u>*ინდიკატორი:*</u> კანონმდებლობის შეფასების დოკუმენტი; მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 19 ივნისს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ხელი მოაწერა "ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, 2014 წლის მეორე ნახევარში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო სტამბოლის კონვენციის სარატიფიკაციო პაკეტზე მუშაობა. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესი იყო ინკლუზიური და ღია, იმდენად, რამდენადაც მასში ჩართულნი იყვნენ ყველა რელევანტური სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე, დაინტერესებული პირები.

სტამბოლის კონვენციის რატიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდა შემდეგ აქტებში:

- „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი";
- „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
- „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი;
- „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „პატიმრობის კოდექსი";
- „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონი;
- „საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი";
- „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი;
- „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი";
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი".

მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტებთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციები დაიწყო 2015 წლის 17 ივნისს. შემდგომ მოჰყვა მეორე შეხვედრა 2015 წლის 5 აგვისტოს, რომელიც სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც სამთავრობო უწყებების, ისე სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები დაინტერესებულ მხარეთა მიერ წარმოდგენილი შემოთავაზებებისა და შენიშვნების მიხედვით გადაიხედა და შესაბამისი რეკომენდაციები აისახა ცვლილებათა პაკეტის საბოლოო ვერსიაში. ცვლილებათა პაკეტის პარლამენტში განხილვა, რასაც სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება მოყვება 2016 წელს მოხდება.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების პრეზენტაციასა და საჯარო განხილვას სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან აქტიურად ახორციელებს სამინისტრო. 2015 წლის 9 ოქტომბერს ბათუმის იუსტიციის სახლში გამართული საჯარო შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის მინისტრმა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს

წარუდგინა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. დამატებით, 2015 წლის 25 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისა და 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან ჩაატარა საჯარო ლექცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, სადაც წარდგენილ და განხილულ იქნა სამინისტროს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

ამასთან, 2015 წლის 4 დეკემბერს თელავის იუსტიციის სახლში იუსტიციის მინისტრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სტამბულის კონვენციის სარატიფიკაციო თანმდევი პაკეტი განიხილა. შეხვედრას 30-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ თელავიდან, გურჯაანიდან, საგარეჯოდან, ყვარლიდან, ახმეტიდან, პანკისის ხეობიდან.

იუსტიციის მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს დეტალურად აუხსნა, თუ რა სიახლეებს ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. მან განსაკუთრებული ყურადღება ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლისა მოწმის დაცვის მექანიზმებზე გაამახვილა. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ ცვლილებების მთავარი მიზანი ძალადობისაგან დაცული ადამიანი და საზოგადოებაა.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.3. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება*

<u>ინდიკატორი:</u> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმოწერა; აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წლის 19 ივნისს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმოწერის შემდგომ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით მომზადებული ცვლილებების[13] წარმოადგენს კონვენციის კონვენციის რატიფიკაციისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს რაც ხელს შეუწყობს პროცესის დაჩქარებულად წარმართვას.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.4. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მუშაკების ჩაბმის უზრუნველყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> სოციალური მუშაკის როლის განმსაზღვრელი კონცეფცია; სოციალური მუშაკებისათვის ოჯახში ძალადობის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

USAID ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, 2015 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო პროექტის – „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“– განხორციელება. სოციალური მუშაკების მომზადების ნაწილში, სატრენინგო მოდულის შექმნის

[13] ინფორმაცია ვრცლად ცვლილებების შესახებ იხ. საქმიანობა 14.2.1.2

მიზნით, უკვე დასრულებულია საერთაშორისო ექსპერტის მოძიებისა და 2 ადგილობრივი ექსპერტის შერჩევის/აყვანის პროცედურები, ასევე სატრენინგო მოდულის პროგრამა.

<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.5. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოების მდგრადობის უზრუნველყოფა

<u>*ინდიკატორი:*</u> ოჯახში ძალადობის შემთხვევების ერთიანი სტანდარტით წარმოებული სტატისტიკისა დამტკიცებული დოკუმენტი; თავშესაფრებში განთავსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის პროგრამის უწყვეტი ფუნქციონირება.

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ფონდი, კომპეტენციის ფარგლებში, ყოველწლიურად აწარმოებს ერთიან სტატისტიკას იმ ბენეფიციარებისა, რომლებმაც ისარგებლეს ფონდის სერვისებით.
შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სტატისტიკური მონაცემების სეგრეგირებულ აღრიცხვას, კერძოდ: გამოცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერები, ტერიტორიული მაჩვენებლები, მოძალადეთა და მსხვერპლთა რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით, შევსებული კონფლიქტის აღრიცხვის ბარათები და კონფლიქტში მონაწილე სუბიექტები, სსკ—ის 126 [1] მუხლით და 11[1] მუხლზე მითითებით დაწყებული გამოძიებები.

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ 2015 წლის ივნისიდან ყოველი თვის ბოლოს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს აწვდის ინფორმაციას დევნადაწყებული პირებისა და დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებული პირების რაოდენობისა და სქესის შესახებ. ასევე, ყველა საგამოძიებო ორგანო მუშაობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ელექტრონულ პროგრამაში. შესაბამისად, ყველა სისხლის სამართლის საქმეზე (მათ შორის ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე) გამოძიება წარმოებს ელექტრონულად. სტატისტიკის ელექტრონული მოდული იძლევა მონაცემებს ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირებისა და ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების რაოდებისა და სქესის შესახებ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სრულად დამოკიდებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულ ადმინისტრაციულ მონაცემებზე. შესაბამისად, საქსტატი დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობას. ამასთან, ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია საქსტატის მონაცემთა ბაზებში (Pc Axic) და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის.

სახელმწიფო ფონდი აწარმოებს ყოველწლიურად იმ მსხვერპლების ერთიან სტატისტიკას, რომლებმაც ისარგებლეს ფონდის სერვისებით. ამასთან, პირის ოჯახში ძალადობის აღკვეთის უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფის სამდივნოს მიერ ხორციელდება განმცხადებელთა სტატისტიკის წარმოება. სტატისტიკა პირისათვის სატატუსის მინიჭებისა ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ასევე მიეწოდება სახელმწიფო ფონდს.

წლების მანძილზე არ არსებობდა სისტემატიზირებული მონაცემები სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ. ამჟამად, ყველა სკოლა ვალდებულია აწარმოოს რეესტრი ყველა იმ მოსწავლისა, რომელმაც ადრეულ ასაკში მიატოვა სკოლა, სკოლის მიტოვების მიზეზის მითითებით. 2014 წლიდან კი მიტოვების მიზეზებს დაემატა გრაფა, სადაც ფიქსირდება ადრეული ქორწინების მიზეზით სკოლის მიტოვება. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა აწარმოებს განათლების მიღების შეწყვეტის მიზეზების სტატისტიკას საფეხურებისა და სქესის მიხედვით.

<u>საქმიანობა:</u> 14.2.1.6. ოჯახში ძალადობის შესახებ კვლევის ჩატარება

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული კვლევა ოჯახში ძალადობის შესახებ

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2013 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ იქნა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღქმის კვლევა[14] თბილისში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ამოცანა: 14.2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.

<u>საქმიანობა:</u> 14.2.2.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმების გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი</u> ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის სტრატეგიის დოკუმენტი; რეაბილიტაციის პროგრამაში ჩაბმული პირების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში სახელმწიფო ფონდი) დირექტორის 2014 წლის 4 აპრილის №07–59/ო ბრძანებით დამტკიცდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებში (თავშესაფარი) ბენეფიციართა პირადი საქმეების წარმოებისათვის საჭირო ფორმები, რომელთაგან დანართი #6 წარმოადგენს „შემთხვევის მართვის გეგმას“. გეგმა შედგება შემდეგი ექვსი მიზნისაგან:

- ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სამართლებრივი დახმარება;
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება;
- სოციალური საკითხების მოგვარებაში მხარდაჭერა;
- ოჯახში რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- სხვა.

აღნიშნული გეგმის შემუშავებაში ჩართულია თავშესაფრის პერსონალი: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, იურისტი და თავად ბენეფიციარი. თითოეულ მიზანს აქვს ქვე–მიზანი დამოკიდებულ პირთან დაკავშირებით. გეგმის მიხედვით, უნდა მოხდეს კონკრეტული მიზნის აღწერა და გაიწეროს მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები და შესრულები ვადა. შემთხვევის მართვის გეგმის შემუშავების შემდეგ იწყება ზრუნვა მის განხორციელებაზე.
სახელმწიფო ფონდის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების დანართი #7 წარმოადგენს „შემთხვევის მართვის გეგმის გადასინჯვა/შეფასებას“, რომელშიც აღიწერება „შემთხვევის მართვის გეგმაში“ (დანართი #6) გაწერილი ღონისძიებების შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მიეთითება კონკრეტული მიზეზი. ასევე, შემთხვევი მართვის გეგმის განხორციელების პროცესში შესაძლებელია მოხდეს მისი გადასინჯვა, რაც გულისხმობს ბენეფიციართან ერთად გეგმაში გაწერილი აქტივობების გადახედვას და საჭირო ცვლილებების შეტანას.

<u>საქმიანობა:</u> 14.2.2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განვითარება

[14] http://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2014/11/perception-of-violence-against-women-and-domestic-violence-in-tbilisi

<u>ინდიკატორი</u> ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისათვის (შემდგომში სახელმწიფო ფონდი) გათვალისწინებულ ასიგნებებში თავშესაფრების გათვალისწინება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2010 წელს თბილისსა და გორში გაიხსნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებები (თავშესაფრები), 2013 წელს არსებულ თავშესაფრებს იმერეთის რეგიონში დაემატა ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), რომელიც შეიქმნა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში და 2014 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს სახელმწიფო დაფინანსებით.

ახალი თავშესაფრის გახსნის მიზნით, ფონდმა 2014 წლის ზაფხულზე, გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UNWOMEN) მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში, შეიძინა შენობა–ნაგებობა კახეთის რეგიონში. 2015 წლის იანვრიდან დაიწყო აღნიშნულ შენობა–ნაგებობაზე სარემონტო სამუშაოები, პარალელურად მიმდინარეობდა ახალი თავშესაფრის საყოფაცხოვრებო ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა. თავშესაფრის სარემონტო და აღჭურვის სამუშაოები განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან მიღებული გრანტის, ფონდის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოში აშშ საელჩოს ერთობლივი ფინანსური სახსრებით, თავშესაფარი (12 ბენეფიციარზე.) გაიხსნა 2016 წლის 5 აპრილს.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა განახორციელა ყველა საჭირო ღონისძიება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მდგრადობისა და ხარისხიანი სერვისების მიწოდების მიზნით.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.2.2.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის შექმნა და განვითარება*

<u>ინდიკატორი:</u> კრიზისული ცენტრის გახსნა; 2015 წლის ბოლოდან ცენტრის ფუნქციონირების ხარჯის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინება

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით სახელწიფო ფონდის ფარგლებში იგეგმება კრიზისული ცენტრის მოწყობა თბილისში, რისთვისაც უკვე მოძიებულია შესაბამისი ფართი, მიმდინარეობს სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აღჭურვისთვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. მუშაობა მიმდინარეობს ასევე ცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო პროცედურების შემუშავების და კადრების საკითხების დამუშავების კუთხითაც. კრიზისული ცენტრის გახსნა იგეგმება 2016 წლის პირველი სექტემბრიდან“.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.2.2.4. ოჯახში ძალადობის ეროვნული ცხელი ხაზის განვითარება*

<u>ინდიკატორი</u> სახელმწიფო ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში ცხელი ხაზის გათვალისწინება; მონიტორინგის ქმედითი, ეფექტიანი სისტემა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის დახმარების და შესაბამის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით 2010 წლის ოქტომბრიდან ფონდში ფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“ **(2 309 903)**, სადაც 24 საათის განმავლობაში ხორციელდება ოჯახში ძალადობის საკითხებზე სატელეფონო კონსულტაციის გაწევა და კრიზისული ინტერვენცია. ცხელი ხაზის მდგრადობა და მთელი ქვეყნის მასშტაბით შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. თუმცა, ტექნიკური პრობლემებიდან გამომდინარე, 2015 წლის ნოემბრის ბოლომდე, აღნიშნული ცხელი ხაზი უფასო იყო მხოლოდ გარკვეული ქსელის აბონენტებისთვის. ცხელი ხაზის მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხებზე ფონდის მიერ კონსულტაციები გაიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 20 ოქტომბრის №625/15 გადაწყვეტილებით ფონდს მიენიჭა „საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსი (ევრონომერი)“ – **116 006** (ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი). 2015 წლის დეკემბრიდან ოჯახში ძალადობის საკითხებზე ეროვნული ცხელი ხაზის **(116 006)** უფასო და უწყვეტი ფუნქციონირება მთელი ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფილია. ამასთანავე, აღნიშნული ნომრის პოპულარიზაციამდე, პარალელურ რეჟიმში კვლავ იფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“ **–2 309 903**.

ცხელი ხაზის (2 309 903) სტატისტიკა გენდერულ ჭრილში

წელი	**2014**	**2015**	**სულ**
ქალი	1001	997	**1998**
კაცი	181	146	**327**
სულ	**1182**	**1143**	**2325**

<u>საქმიანობა:</u> 14.2.2.5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერება

<u>ინდიკატორი:</u> ოჯახში ძალადობის პასუხსა და პრევენციაში ჩაბმულ პროფესიონალთათვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, მსმენელთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის #684 დადგენილებით დამტკიცდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი“. აღნიშნული წესი არეგულირებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესს, მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაში მონაწილე სუბიექტებს და მათ კომპეტენციას.

2015 წლის ივნისიდან მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა განაახლა მუშაობა და მას შემდეგ ჯგუფმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა 18 განმცხადებელს, უარი სტატუსის მინიჭებაზე განუცხადა 6-ს, ხოლო 3 განცხადება არ მიიღო განსახილველად.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2014 წლის 26 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების თანახმად იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სახელმწიფოს ხარჯზე. ასევე, ცვლილებების თანახმად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსით გათვალისწინებული დაცვის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ხარჯზე.

ამასთან, სახელმწიფო ფონდის ერთ–ერთ სერვისს წარმოადგენს სამართლებრივი დახმარება, რაც მოიცავს იურიდიულ კონსულტაციასა და საჭიროების შემთხვევაში – სასამართლო წარმომადგენლობას. **ჩატარებული ტრეინინგები.**[15]

ამოცანა: 14.2.3. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების დონის ამაღლება

<u>საქმიანობა:</u> 14.2.3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებული დოკუმენტი; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავებული დოკუმენტი; სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში ამ საკითხზე შეტანილი თემები; ინდიკატორი სამედიცინო განათლების სისტემაში, როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომის შემდეგ, კურიკულუმში ოჯახში ძალადობის საკითხებზე შემუშავებული მოდული

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

- 2014 წელს პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფრების) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ოჯახში ძალადობის საკითხებზე. პროექტი ითვალისწინებდა კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვას. ტრენინგი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა.
- 2014 წელს „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის მექანიზმები.
- გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ფონდთან თანამშრომლობით და მონაწილეობით 2014 წლის 12 ნოემბერს, ანაკლიაში, სამეგრელო–ზემო სვანეთის რაიონის გამგებლებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე – ოჯახში ძალადობის საკითხები და ფონდის მომსახურებები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის (ტრენერად მიწვეული იყო ფონდის წარმომადგენელი).
- ააიპ „ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელი“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში 2014 წელს ახორციელებდა ტრენინგების ციკლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (საპატრულო და საუბნო პოლიციის წარმომადგენლები). აღნიშნულ ტრენინგებში ტრენერად მონაწილეობას იღებდა ფონდის თანამშრომელიც. ტრენინგები ეხებოდა ოჯახში ძალადობის საკითხების, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და რეფერირების პროცედურების გაცნობას/სწავლებას მითითებული სამიზნე ჯგუფებისათვის. ტრენინგები ჩაუტარდათ კახეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონების პოლიციის თანამშრომლებს.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2014 წლის მაისსა და ივნისში კახეთისა და სამეგრელოს რეგიონში ჩაატარა ოჯახში ძალადობის საკითხებზე ერთდღიანი სწავლებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის. (10 პატრულ

[15] იხ. საქმიანობა 14.2.3.1

ინსპექტორი და 30 საუბნო პოლიციის წარმომადგენელი). აღნიშნულ სწავლებებში ტრენერად მონაწილეობას იღებდა ფონდის წარმომადგენელი.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისში, 2014 წლის 21 ივნისიდან 2014 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, ახორციელებდა ტრენინგების ციკლს ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (180 პატრულ ინსპექტორი და 40 საუბნო პოლიციის წარმომადგენელი). აღნიშნულ ტრენინგებში ტრენერად მონაწილეობას იღებდა ფონდის წარმომადგენელი.
- 2014 წლის 17 დეკემბერს ფონდის წარმომადგენლებმა ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს თბილისის №1 საჯარო სკოლის (კლასიკური გიმნაზია) მე–8, მე–9 და მე–10 კლასის მოსწავლეებთან.
- 2015 წლის აპრილ–მაისში ფონდის წარმომადგენლებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს საჯარო სკოლების (თბილისის #47 , #62, #64, ტყიბულის #6 და ქუთაისის #7) მე–9, მე–10 და მე–11 კლასის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან;
- 2015 წლის 2–3 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის ინიციატივითა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ მხარდაჭერით, ფონდთან თანამშრომლობითა და მონაწილეობით ჩატარდა ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ტრენერად მოწვეული იყო ფონდის წარმომადგენელიც.
- 2015 წლის 22 აპრილს ოჯახში ძალადობის თემაზე სიახლეებისა და არსებული სამართლებრივი მექანიზმების უკეთ ინფორმირების, ასევე ფონდის მომსახურებების გაცნობის მიზნით შეხვედრა გაიმართა შსს–ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარ სამმართველოს თანამშრომლებთან, ქ. გორში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა ფონდის წარმომადგენელმა.პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, 2015 წლის 15–16 მაისს, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფრების) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ოჯახში ძალადობისა და სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთნ, ასევე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პროექტი ასევე ითვალისწინებდა კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვას. ტრენინგი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. აღნიშნულ ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღო 15–მა მსმენელმა (თავშესაფრების თანამშრომელებმა);
- 2015 წლის 10 ივნისს ოჯახში ძალადობის თემაზე სიახლეებისა და არსებული სამართლებრივი მექანიზმების უკეთ ინფორმირების, ასევე ფონდის მომსახურებების გაცნობის მიზნით შეხვედრა გაიმართა შსს–ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებთან, ქ. რუსთავში. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთათვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა ფონდის წარმომადგენელმა.
- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ფონდის წარმომადგენლებმა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ბათუმის #1 საჯარო სკოლის, თბილისის კერძო სკოლა "ალბიონის“, სსიპ - თელავის

მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენის უფროსი კლასის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.

- 2015 წლის ოქტომბერ–ნოემბერში ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის საკითხებზე ფონდის წარმომადგენლების მიერ საჯარო ლექციები ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას გარდა სტუდენტებისა ესწრებოდნენ ქ. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- 2015 წლის 28-29 ნოემბერს გაეროს მოსახლეობის ფონდის ორგანიზებით, ექიმებისთვის ჩატარდა ტრეინინგი ქალის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე, სადაც სამართლებრივ საკითხებსა და ფონდის მომსახურებებზე სესია მიჰყავდა ფონდის წარმომადგენელს
- 2015 წლის 2 დეკემბერს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული 16 დღიანი ნარინჯისფერი კამპანიის ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლების მონაწილეობით ლექცია ჩატარდა ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტის გაუს სტუდენტებთან.
- სამოქალაქო განათლების მე-9 და მე-10 კლასის სახელმძღვანელოებში ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის საკითხები ასახულია ექვს საგაკვეთილო თემაში.
- რაც შეეხება მოძალადეთა სარეაბილიტაციო მექანიზმებს, სხვადასხვა საინფორმაციო ტრენინგებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების გარდა, 2015 წელს შეიქმნა ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა. დაიწერა სახელმძღვანელო, ფასილიტატორებად გადამზადდნენ პენიტენციური დაწესებულებების ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. 2013 წლიდან ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილმა ფსიქოლოგთა ინსტიტუციამ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სოციალურ მუშაკებს საშუალება მისცა ინდივიდუალური ინტერვენციით ემუშავათ ბენეფიციარებთან.
- მუშაობის შედეგად 2015 წლის ბოლოსთვის პენიტენციური სისტემა აღჭურვილია შემდეგი რესურსებით:
    - ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამა, მოდულებად გაწერილი სახელმძღვანელო, ფასილიტატორებად გადამზადებული პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები;
    - საინფორმაციო ფსიქო-სოციალური პროგრამები - ამაღლებს მსჯავრდებულთა ცნობიერებას ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: გენდერი, სტრესი, ჯანსაღი ცხოვრება და სხვა;
    - სარეაბილიტაციო ფსიქო-სოციალური პროგრამები - ხშირ შემთხვევაში ბენეფიციარებს ოჯახში ძალადობის გარდა სხვა მიმართულებით რეაბილიტაციაც ესაჭიროებათ, რაც მაქსიმალური შედეგის მომტანია;
    - სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა - სერვისების მიწოდების მექანიზმი.
- ამასთანავე, პრობაციის ეროვნული სააგენტოსათვის პრიორიტეტულია მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში ძალადობრივი ქცევის შემცირებისაკენ მიმართული სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვა და განვითარება.—პრობაციის

ეროვნული სააგენტოს პრობაციის ოფიცრები და სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები იყენებენ მულტიდისციპლინურ მიდგომას და ინდივიდუალური რისკებისა და საჭიროებების შეფასებაზე დაყრდნობით, სთავაზობენ სრულწლოვან და არასრულწლოვან მსჯავრდებულებს ინდივიდუალურ ფსიქო-სოციალურ ინტერვენციას/ინდივიდუალურ ჩარევას, ასევე, უტარებენ საინფორმაციო ხასიათის ტრენინგებს და ჯგუფურ შეხვედრებს ძალადობრივი ქცევის შემცირებისა და ძალადობის პრევენციის მიზნით.

- გარდა ამისა, ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ 2014 წელს შემუშავდა ტრენინგ-პროგრამა, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების, ასევე ძალადობის ამოცნობისა და ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე შესაბამისი რეფერირების შესახებ. იგი მიეწოდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით გასამართლებულ და ოჯახში ძალადობის რისკის მქონე პირებს ინდივიდუალურად და ჯგუფურად სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მიერ.
- 2015 წელს ორგანიზაცია UN-Women - ის და ძალადობის საკითხებზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ შეიქმნა საინტერვენციო ტრენინგ მოდული მოძალადეებისათვის ძალადობრივის ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამა (ჯგუფური მუშაობისათვის), რომელიც ეხება ოჯახში, გენდერულ ძალადობას, არასრულწლოვნებზე ძალადობას, სექსუალურ ძალადობას, ასევე სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას. აღნიშნულ მოდულს თან ერთვის ძალადობის რისკის განსაზღვრის და შეფასების ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია რისკის განსაზღვრა სამიზნე ჯგუფთან. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპეციალისტების მომზადება, რომლებიც უშუალოდ მოძალადე პირებისათვის შეძლებენ ჯგუფური მომსახურების მიწოდებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ძალადობრივი ქცევის შემცირებასა და საზოგადოების უსაფრთხოებას.
- 2016 წელს იგეგმება ძალადობის თემაზე სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების გადამზადება.

სატელევიზიო და რადიო რგოლები და გადაცემები

ფონდის მიერ დამზადებული სარეკლამო რგოლები გაშვებული იყო შემდეგ არხებზე:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი;
- მეორე არხი;
- აჭარის ტელევიზია;
- საზოგადოებრივი რადიო.
- ტელეკომპანია „რიონი“;
- რადიო „ძველი ქალაქი“.
- ობიექტივი

მათი სატელევიზიო ბადეში განთავსება განხორციელდა:

- 2014 წელი (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი; ნოემბერი, დეკემბერი);
- 2015 წლის (მარტი, აპრილი, მაისი ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი).

თითოეულ არხზე და რადიო ეთერში სარეკლამო რგოლი გადიოდა დღეში რამდენჯერმე.
საანგარიშო წლის განმავლობაში დამზადდა ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის აუდიო რგოლი, რომელიც პერიოდულად განთავსებული იყო, როგორც საზოგადოებრივი

რადიოს ეთერში ასევე, საინფორმაციო ცენტრ 118 08 –ში, რის შედეგადაც თითოეული აბონენტი ავტომატური ხმოვანი შეტყობინებით იღებდა აღნიშნული სერვისის შესახებ ინფორმაციას.

2015 წლის ნოემბრიდან, USAID-ის პროექტის „საქართველოში ოჯახში ძალადობის შემცირება“ მხარდაჭერით, ქალთა მიმართ 16 დღიანი „ნარინჯისფერი კამპანიის“ ფარგლებში დამზადდა ახალი სარეკლამო ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა საზოგადოებრივი ტელევიზიის, რუსთავი–2 და იმედის სატელევიზიო ბადეში.

საინფორმაციო –საცნობარო მასალების მომზადება და გავრცელება

ფონდის მიერ ***2014 წელს*** დამზადდა ბეჭდვითი საინფორმაციო მასალა (ფლაერები), რაოდენობით 5 000 და ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის სარეკლამო ტიპის კალენდარი, რაოდენობით 1000. რომელიც გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოსახლეობაში.

2015 წელს ფონდის მიერ დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები ოჯახში ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე, ასევე, 2015 წლის კალენდარი (ძალადობის წინააღმდეგ, ცხელი ხაზის ნომრით).

მოსახლეობასთან, საჯარო სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეებთან, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებთან და პედაგოგებთან საინფორმაციო შეხვედრების დროს ფონდის წარმომადგენლების მიერ რიგდებოდა საინფორმაციო მასალები (ფლაერები).

- საინფორმაციო მასალები (ფლაერები) ასევე გავრცელდა იუსტიციის სახლებში (თბილისი და რეგიონები);
- 2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მისაღებში განთავსდა ფლაერები ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის თემებზე.
- **2015 წლის 23 ივნისს** ფონდის თანამშრომლების მიერ სარფის სასაზღვრო პუნქტის ტერიტორიაზე დარიგდა ფლაერები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით.
- **2015 წლის 26 ივნისს** ქ. თბილისის ყველა მეტრო სადგურის შესასვლელთან მის მიმდებარე ტერიტორიებთან და ცენტრალური ქუჩების სავალ ნაწილზე გაიმართა საინფორმაციო კამპანია. დარიგდა ფლაერები, მაისურები და ჩანთები ტრეფიკინგისა და ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის გამოსახულებით. საღებავებით დაიბეჭდა ოჯახში ძალადობის საკონსულტაციო ცხელი ხაზის ნომერი. აღნიშნული აქტივობა დაანონსდა და სიმბოლურად განხორციელდა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დღის შოუს“ პირდაპირ ეთერში.
- 2015 წლის 28 ნოემბერს ქალთა ძალადობის წინააღმდეგ ნარინჯისფერი კვირეულის ფარგლებში, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფონდის ორგანიზებით სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა გაგარინის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე **კედელი მოხატეს.**
- 2015 წლის ივნისში დამზადდა ინტერნეტ სარეკლამო ბანერი და განთავსდა საინფორმაციო სააგენტო „ექსპრესნიუსის“ გვერდზე;

ბეჭდური მედია, ტელე–რადიო გადაცემები და სოციალური ქსელი

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებებიც, ფონდის ჩართულობით აქტიურად განიხილებოდა სხვადასხვა ბეჭდურ მედიაში ტელე–რადიო გადაცემებსა და სოციალურ ქსელებში.

საზოგადოების ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ყოველწლიურად ტარდება გარბენი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ფონდი ამ გარბენის ერთერთი ორგანიზატორი და მხარდამჭერია.

Facebook-ზე მოქმედებს ფონდის ორი გვერდი:

- „ოჯახი ძალადობის გარეშე", რომელიც კონკრეტულად ამ პრობლემის საზოგადოებაში ინფორმირებულობას ემსახურება. აღნიშნული გვერდის საშუალებით, გარდა ინფორმირებულობისა, ხდება მოქალაქეთათვის კონსულტაციების გაწევა.
- ATIPFUND - გვერდი ასახავს ფონდის საქმიანობას.

ფუნქციონირებს საიტი: www.atipfund.ge, სადაც განთავსებულია, როგორც საზოგადოებრივი და საკანონმდებლო სიახლეები, ასევე – საჯარო ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები. მოქალაქეებს მათთვის საინტერესო კითხვის დასმა შეუძლიათ საიტზე განთავსებული ელ. მისამართის საშუალებით contact@atipfund.ge.

მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UNWOMEN) მიერ, ფონდთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გადაღებულ იქნა ზურაბ ინაშვილის დოკუმენტური ფილმი „ხმა ამოიღე".

„ქალთა საინფორმაციო ცენტრმა" ფონდთან თანამშრომლობითა და მონაწილეობით, 2014 წლის 7 აპრილსა და 7 მაისს ჩაატარა ტრენინგები „თემთა მობილიზება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ღონისძიებების გზით ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის" ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან თელავის მუნიციპალიტეტში (ტრენერად მიწვეული იყო ფონდის წარმომადგენელი);

2015 წლის 28–29 ოქტომბერი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) თანამშრომლობით ქ. ახალციხეში და ქ. ახალქალაქში ჩატარდა საჯარო შეხვედრები ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისათვის.

2015 წლის 29 ივლისს პანკისის უხუცეს ქალთა საბჭოს და სახელმწიფო ფონდის თანამშრომლობის შედეგად ოჯახში ძალადობის საკითხებზე პანკისელ ქალებთან საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა.

<u>საქმიანობა:</u> 14.2.3.2 ადრეული ქორწინების უარყოფით შედეგებზე ცნობიერების ამაღლება

<u>ინდიკატორი:</u> ვიდეორგოლების, რადიო-ტელეგადაცემების რაოდენობა, შემდეგი წლის შედარება წინაწლის შედეგებთან, პროგრესის მაჩვენებელი; ოჯახში ძალადობის შესახებ საინფორმაციო საცნობარო მასალის რაოდენობრივი მაჩვენებელი და გავრცელების არეალი.

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.2.3.3. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული

რეფერალური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

<u>ინდიკატორი:</u> ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების შემუშავებული კრებული; ოჯახში ძალადობაზე მომზადებული ფილმის, ჩვენების რაოდენობა; საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრების რაოდენობა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>[16]

მიზანი: „14.3. ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების (შემდგომში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები) განხორციელება

ამოცანა: 14.3.1. უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 14.3.1.1. უსაფრთხოების სექტორში გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> უსაფრთხოების სექტორში წამყვან თანამდებობებზე/ გადაწყვეტილების მიმღებთა დონეზე ქალთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებლები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ხორციელდება გენდერული თანასწორობის შესახებ პერმანენტული საინფორმაციო შეხვედრების წარმოება ამავე სფეროში ცოდნის გაზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია.

რომლის მიზანია:

- ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა;
- გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა;
- თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ქალთა არსებული მდგომარეობის კვლევა;
- თავდაცვის სისტემაში ქალთა ჩართულობის გაზრდა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- განათლების შესაბამისი დონის შექმნა, კერძოდ, ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების შესახებ;
- გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა;
- გენდერის მრჩევლების ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

გენდერული თანასწორობის გაერო-ს უშიშროების საბჭოს N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების განხორციელების ხელშეწყობისა და სამინისტროს გენდერული სტრატეგიის

[16] ინორმაციისათვის იხ. საქმიანობა 14.2.2.5 და 14.2.3.1

განხორციელების მიზნით, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში, ბრიგადის დონის ქვედანაყოფების დონეზე, განისაზღვრა გენდერული მრჩევლები, რომელთა ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: სამინისტროს გენდერული სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა, გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება და კონსულტაციების გაწევა, სტრუქტურულ ერთეულში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სწავლებებისა და კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა და სტრუქტურულ ერთეულში, გენდერული დისკრიმინაციისა და გენდერული და სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე ადეკვატურად რეაგირების ხელშეწყობა.

2014 წლის მანძილზე სულ განისაზღვრა 42 გენდერული მრჩეველი, თითოეულ ქვედანაყოფში ორი, მათ შორის ერთი ქალი და ერთი მამაკაცი.

პირველ ეტაპზე გენდერული მრჩევლების განსაზღვრა მოხდა ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ, ხოლო მეორე ეტაპზე სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ქალ სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებს მისცემოდათ შესაძლებლობა თავად აერჩიათ მეორე გენდერული მრჩეველი.

2014 წლის მაისში თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული თავდაცვის აკადემიის, ქალთა საინფორმაციო ცენტრის, საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში გენდერულ მრჩევლებს ჩაუტარდათ 3 დღიანი სწავლება გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის შესახებ.

2014 წლის ოქტომბერში, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის DCAF ჟენევის ცენტრის გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით გენდერულ მრჩევლებს ჩაუტარდათ მეორე, ორდღიანი სემინარი, რომელზეც ასევე მოწვეულები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები (ჰაინრიხ ბიოლის ცენტრი და ქალთა საინფორმაციო ცენტრი) და სახალხო დამცველის აპარატი. სემინარი მიზნად ისახავდა გენდერული მრჩევლის ფუნქციების და გენდერული დისკრიმინაციის ან შევიწროების შემთხვევებისთვის გასაჩივრების მექანიზმების განხილვას და ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას.

2015 წლის **31 მარტი - 01 აპრილი - ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარდა გენდერულ მრჩეველთა ტრენინგი.** ტრეინინგზე მოწვეული იყვნენ ჰოლანდიელი და ნორვეგიელი გენდერული მრჩევლები, რომელთაც ისაუბრეს სამშვიდობო მისიებში გენდერული მრჩევლის როლსა და ფუნქცია მოვალეობებზე.

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის თანახმად გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის **ხელმძღვანელი პირებისათვის** მ.წ. 19-21 თებერვალს ჩატარდა 2 დღიანი სემინარი თემაზე: **„დისკუსია გენდერული თანასწორობის საკითხებზე, აუდიტის შედეგების მიმოხილვა და გენდერი სამშვიდობო ოპერაციებში“.**

15-17 ივლისს ჩატარდა რიგით მეორე სემინარი „უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპების ინტეგრირება“. სემინარი მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ პრინციპების გაცნობას თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირებისათვის.

2015 წლის 30-31 მარტს **„საქართველოს უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების"** ფარგლებში ჩატარდა კონფერენცია გენდერის თემაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და სხვა სამთავრობო უწყებების, საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის, გენდერის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. კონფერენცია მიეძღვნა ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტს. კონფერენციაზე თავდაცვის სამინისტრომ წარადგინა გენდერული თანასწორობის და გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 და თანმდევი რეზოლუციების განხორციელების კუთხით მიღწეული შედეგები და სტუმრებს გააცნო განსახორციელებელი ღონისძიებების ჩამონათვალი.

2015 წლის 19-20 ნოემბერს კახეთში ჩატარდა ტრეინინგი თემაზე - „უსაფრთხოების სექტორში გენდერულ საკითხებზე ზოგადი ცოდნა და საჩივრებზე რეაგირების მექანიზმები". ტრეინინგი მიზნად ისახავდა გენდერული თანასწორობისა და გაეროს N1325 რეზოლუციის - „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება" პრინციპების, ასევე გასაჩივრებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაცნობას თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის, შიდა აუდიტის და შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის. ასევე, შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო პირებისა და თავდაცვის სამინისტროში შექმნილი გენდერული მონიტორინგის ჯგუფის წევრებისათვის.

შვედეთის სამეფოსთან გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში ჩატარდა „გენდერის საკითხებში ტრენერთა ტრეინინგი". ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრენერების მომზადებას, რომლებიც შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს (განსაკუთრებით გადასროლის წინა სწავლების პროცესში), ჩაუტარებენ ტრეინინგს გაეროს N 1325 და თანმდევი რეზოლუციების და მათი სამშვიდობო ოპერაციებში პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

ტრეინინგი რეგიონალური მასშტაბის იყო და მასში მოწვეულნი იყვნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, უკრაინის, მოლდოვას, რუმინეთის და ბულგარეთის წარმომადგენლები. შვედეთის მხარის მოთხოვნით ტრეინინგი მიმდინარეობდა 2015 წლის 16 სექტემბრიდან 26 სექტემბრამდე ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, ქ გორში.

გენდერული თანასწორობის სტრატეგიის, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმისა" და „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის" განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, თავდაცვის სამინისტროში 03/11/2014წ. მინისტრის ბრძანებით N 3140001562 შეიქმნა გენდერული მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფს აგრეთვე დაევალა თავდაცვის სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების დაფიქსირებისას, შემთხვევაზე რეაგირების მიზნით ჩართოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და უფლებამოსილი პირები. ჯგუფი აგრეთვე ვალდებულია შეისწავლოს გამოვლენილი დისკრიმინაციის მიზეზები, გაეცნოს შედეგებს და მოამზადოს რეკომენდაციები მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან ასაცილებლად. მონიტორინგის ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს გენდერულ მრჩევლებთან.

თავდაცვის სამინისტროში გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მიერ განხორციელდა გენდერული აუდიტი. აუდიტის პირველ ეტაპზე განხორციელდა ნორმატიული ბაზის შესწავლა-ანალიზი, ხოლო მეორე ეტაპი მოიცავდა ინტერვიუებს აუდიტორების მიერ შერჩეულ სამიზნე ჯგუფთან,

ხოლო მესამე ეტაპზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების 15 წარმომადგენელთან. აუდიტის შედეგების და შესაბამისის რეკომენდაციების წარდგენა განხორციელდება 2015 წლის დასაწყისში და მათზე დაყრდნობით სამინისტროში შემუშავდება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

2014-2015 წწ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მომსახურე სამხედრო და სამოქალაქო პირები ასევე გაგზავნილ იქნენ სხვადასხვა ქვეყნების შესაბამისი სასწავლო ცენტრებში სპეციალურ კურსებზე, რომლებიც ეხებოდა გენდერულ თანასწორობასა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას N1325.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.1.2. ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპები გათვალისწინებულია ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე; სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილე ქალებისა და ქალთა ჯგუფების, ქალი მედიატორების მოსამზადებლად ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წლის მაისი-სექტემბრის თვეში გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 2 რაუნდი უწყებიდან ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში ჩართულ პირთა 30% ქალია.

ინციდენტებზე პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გაიმართა 4 (მათ შორის 1 რიგგარეშე შეხვედრა) შეხვედრა. შეხვედრებში მონაწილე პირთა 33% ქალია.

აღსანიშნავია რომ საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელებისათვის ითვალისწინებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართულ ქალთა მაჩვენებლის ზრდის ან შენარჩუნების ინდიკატორს.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.1.3. შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტინგენტში ქალთა მონაწილეობის მხარდაჭერა და ამ შენაერთების ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდა*

<u>ინდიკატორი:</u> სამშვიდობო კონტინგენტში გასაგზავნ ქვედანაყოფებში, გენდერული საკითხებისა და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა და მონაწილეთა გაყოფა სქესის ნიშნით; თავდაცვის ეროვნული აკადემიისათვის გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ მომზადებული და დანერგილი დამხმარე/სატრენინგო მასალა; შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტინგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით მოქმედი ფიზიკური ნორმატივების გადახედვის შედეგები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ ISAF-ის მისიაში გასაგზავნ 1600 სამხედრო მოსამსახურეს ჩაუტარდათ სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე.

ასევე, ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ სასწავლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება როგორც საბაკალავრო ასევე ოფიცრის საკარიერო კურსზე:

2014 წელს აკადემიის სკოლებში გადამზადებულ იქნა 865-მა სამხედრო მოსამსახურემ.

- საბაკალავრო სკოლა 472 იუნკერი მათ შორის 9 გოგო
- სასწავლო ბატალიონის 20 წარმომადგენელს (ოფიცრები და სერჟანტები)
- უმცროს ოფიცერთა სკოლა 191 მსმენელი მათ შორის 2 ქალი
- კაპიტნის საკარიერო სკოლაში 150 მსმენელი მათ შორის 2 ქალი
- სამეთაურო საშტატო სკოლის 32 მსმენელი

2015 წელს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში გადამზადდა 600 მსმენელი, ხოლო სერჟანტთა სკოლაში დაახლოებით 700 მსმენელი.

შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირების მიზნით მოხდა ნორმატივების, საჭიროებისამებრ, გადახედვა მიღებული შედეგების გათვალისწინება.

2015 წელს, გენდერული თანასწორობის პრინციპებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციაზე სწავლება ჩაუტარდათ გადასროლის წინა მომზადებაში მყოფ ISAF-ის მისიაში გასაგზავნ 2300 სამხედრო მოსამსახურეს (კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების ფასეულობების გათვალისწინებით). სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ დამტკიცდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც ხორციელდება, როგორც საბაკალავრო, ასევე ოფიცრის საკარიერო სკოლების სასწავლო პროგრამებით.

გაიმართა შეხვედრა საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასა და განათლების სარდალთან, რომელზეც განისაზღვრა ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილეობის მისაღებად გადასროლის წინა პერიოდის მომზადებაში გენდერის საკითხების და გაეროს 1325 და თანმდევი რეზოლუციების სწავლების დეტალები: თარიღი, საათების რაოდენობა, კონტიგენტის რაოდენობა.

შვედეთის სამეფოსთან გაფორმებული ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში ჩატარდა „გენდერის საკითხებში ტრენერთა ტრენინგი“. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა ტრენერების მომზადება, რომლებიც შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალს (განსაკუთრებით გადასროლის წინა სწავლების პროცესში), ჩაუტარებენ ტრენინგს გაერო-ს 1325 და თანმდევი რეზოლუციების და მათი სამშვიდობო ოპერაციებში პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

ტრენინგი რეგიონალური მასშტაბის იყო და მასში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, უკრაინის, მოლდოვას, რუმინეთის და ბულგარეთის წარმომადგენლები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გეგმის ფარგლებში გადაიხედა ფიზიკური ნორმატივები რომლებიც ქალებისა და კაცებისათვის განსხვავებულია. მათი გადახედვა მნიშვნელოვანი იყო შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებსა და სამშვიდობო კონტიგენტში ქალთა მონაწილეობის სტიმულირებისათვის.

„გენდერული პერსპექტივები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში“ ფოტო-გამოფენა მოეწყო ნატო-ს შტაბბინაში 2015 წლის 28 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით. ფოტო-გამოფენა ნატო-ს

გენდერული პერსპექტივებზე კომიტეტის ყოველწლიური კონფერენციასთან დაკავშირებით ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ელჩის მოწვევით მოეწყო. გამოფენის ფონზე განხორციელდა ელჩა და თავდაცვის მინისტრის შეხვედრა.

თავდაცვის სამინისტრომ (ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი) პირველად მიიღო მონაწილეობა 2015 წლის 1 -5 ივნისს ნატოს შტაბ-ბინაში გამართულ **ნატო-ს გენდერული პერსპექტივებზე კომიტეტის სხდომასა და ყოველწლიურ კონფერენციაში.** კონფერენციის მიზანი იყო მონაწილეებისათვის გენდერული მეინსტრიმინგისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების პროცესში მიღწეული წარმატებების, მიღებული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება. ასევე მთავარ მიზანს წარმოადგენდა ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე გენდერულ ჭრილში საჯარო ორგანიზაციებიდან თანამშრომელთა გადინების და შენარჩუნების შესახებ პრობლემურ საკითხებზე მსჯელობა და რეკომენდაციების შემუშავება. კონფერენციის მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები შეჯამებული სახით გადაეცა **საერთაშორისო სამხედრო შტაბს.** აღსანიშნავია, რომ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან უმაღლესი რანგის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლებმა. კონფერენციას საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.1.4. სახალხო დიპლომატიის პროცესებისა და ამ პროცესებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებთა მონაწილეობით განხორციელებული ერთობლივი პროგრამების/პროექტების რაოდენობა და ამ პროექტებში ჩართულ ქალთა და გოგონათა პროცენტული წილი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის მიზნით განხორციელებული პროექტებიდან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელწიფო მინისტრის აპარატში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით 2013-2015 წლებში ქალთა ორგანიზაციების მიერ, უშუალოდ ქალების მონაწილეობით განხორციელებული პროექტები შეადგენს 10% -ს.

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საგრანტო პროგრამა COBERM-ი რომელიც მხარს უჭერს ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივებსა და საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ცხოვრებისა და კონფლიქტით დაზარალებული თემების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, დაიწყო 2010 წლის მაისში. პროგრამის ორი ფაზა განხორციელდა 2010 – 2015 წლებში, ხოლო მესამე სამწლიანი ფაზა დაიწყო 2016 წლის იანვარში და მის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ქალები და ახალგაზრდები წარმოადგენენ, რაც შესაძლებელს გახდის 10%-იანი მაჩვენებლის ზრდის ხელშეწყობას.

ამოცანა: 14.3.2. კონფლიქტის პრევენციაში ქალთა საჭიროებების გათვალისწინება

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.2.1. კონფლიქტის პრევენციის მექანიზმებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემაში ქალთა საკითხების გათვალისწინება*

<u>ინდიკატორი:</u> კონფლიქტის პრევენციაზე ორიენტირებულ მექანიზმებსა და ადრეული გაფრთხილების ღონისძიებებში გენდერული პრინციპების შესატანად ჩატარებული სემინარების

და მათ მონაწილეთა რაოდენობა (სქესის ნიშნით, თანამდებობების მიხედვით დანაწევრებული მონაცემები)

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

რამდენადაც თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების (სამხედრო პერსონალი) ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე აქტივობების წარმოება პოლიტიკურად სენსიტიურ ხასიათს ატარებს, თავდაცვის სამინსიტროს მიერ აღნიშნული საქმიანობა ვერ განხორციელდებოდა.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.2.2. ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებთა რისკებსა და საფრთხეებზე, მათ შორის, საფრთხეებზე, რომლებიც ქალებსა და ბავშვებს ეხება, ინფორმირებულობის გაზრდა*

<u>ინდიკატორი:</u> ქალებისა და ბავშვების მიმართ რისკებისა და საფრთხეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების არსებული სისტემის ანალიზი და მისი გაუმჯობესების შესახებ მომზადებული წინადადებები; საათების რაოდენობა, რომლებიც საჯარო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების სასწავლო კურსებს ეთმობა; სამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გამართული შეხვედრების რაოდენობა, ერთობლივი ინიციატივები; მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომლისთვისაც გატარდა ღონისძიებები მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების შესამცირებლად, ასევე კონფლიქტის პრევენციისთვის; ამ ღონისძიებების მონაწილე ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა; ამ საკითხებზე სატელევიზიო და რადიო გადაცემების რაოდენობა, საგაზეთო და ინტერნეტ გამოცემების რაოდენობა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ამოცანა: 14.3.3. კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალთა წინააღმდეგ სექსუალური და გენდერული ხასიათის ძალადობის პრევენცია

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.3.1. კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში გენდერული და სექსუალური ძალადობის აღკვეთა, ნულოვანი ტოლერანტობა ქალებსა და გოგონებზე სექსუალური ძალადობის მიმართ*

<u>ინდიკატორი:</u> კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში განხორციელებული სექსუალური ძალადობის დანაშაულების თაობაზე არსებული კანონმდებლობის კვლევის შედეგები და რეკომენდაციები; კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში განხორციელებული სექსუალური ძალადობის დანაშაულების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ გამართული კონფერენციების, დისკუსიებისა და საინფორმაციო გადაცემების რაოდენობა; შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში, სამშვიდობო კონტინგენტსა და პოლიციის შენაერთებში გენდერული საკითხებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონების მიმართ გენდერული და სხვა სახის ძალადობის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების თაობაზე ჩატარებული ტრენინგის და მისი მონაწილე ქალებისა და კაცების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წლის მარტში, მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს კოდექსის ცვლილებების განახლება და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში განხილვა. 2015 წლის 13 ოქტომბერს, გაიმართა კონფერენცია სისხლის სამართლის კოდექსის განახლებულ პროექტთან

დაკავშირებით. კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად კოდექსის პროექტში განხორციელებული ცვლილებები. პროექტის წარდგენილ ვერსიაზე მოსაზრებების წერილობით გამოსაგზავნად არასამთავრობო ორგანიზაციებს, აკადემიკოსებსა და სახელმწიფო უწყებებს დამატებითი დრო მიეცათ.

საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციების, სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მიერ მოწოდებული მოსაზრებების/შენიშვნების/რეკომენდაციების განხილვის/გათვალისწინების შემდგომ, კანოპროექტის საბოლოო ვერსია მთავრობას და პარლამენტს წარედგინება.

შემუშავებული ცვლილებების მიხედვით ჩამოყალიბდა გაუპატიურების დანაშაულის ახალი დეფინიცია და გულისხმობს ნებისმიერი სახის სექსუალურ პენეტრაციას სხეულის ნაწილის ან საგნის გამოყენებით ჩადენილი ძალადობით, იმწუთიერი ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ცვლილებები შევიდა სსკ-ს 138 და 139 მუხლებში, 253-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებებით გაიზარდა პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმაზე 6-დან 10 წლამდე. ხოლო 255-ე მუხლით დასჯადი გახდა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება, გავრცელება, რეკლამირება, გასაღება, ან შენახვა ან ამ საგნით ვაჭრობა. შემუშავებული ცვლილებების მიხედვით, საერთაშორისო სისხლის სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბდა აგრესიის, გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები. კერძოდ, ცვლილებები შევიდა სსკ- შემდეგ მუხლებში: 404, 407, 408, 4081, 410, 411, 412, 4121, 413, 4131.

ამოცანა 14.3.4. ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა დაცვა ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეებისგან

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.4.1. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციებთან, აქტებთან, შეთანხმებებთან და მექანიზმებთან შესაბამისობის შეფასება; ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა დაცვა ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეებისაგან*

<u>ინდიკატორი:</u> ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხეებისაგან დაცვის კუთხით საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო კონვენციებთან, აქტებთან, შეთანხმებებთან და მექანიზმებთან შესაბამისობის შეფასების დოკუმენტი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.4.2. იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მიერ მართლმსაჯულების სრული ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მოსამართლეებისათვის, იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა შესაბამისი უწყებებისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით გათვალისწინებულ საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; მომზადებული თანამშრომლების/კადრების რაოდენობა (სქესის ნიშნით, თანამდებობების, რანგების მიხედვით და სხვა კრიტერიუმებით დანაწევრებული მონაცემები); იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მიზნით მათთვის გაწეული კონსულტაციების რაოდენობა, იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით შექმნილი საკოორდინაციო (გადამისამართების) მექანიზმი და განხორციელებული ერთობლივი ინიციატივები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები ამოქმედდა, რომლითაც გაიზარდა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. კერძოდ: 2015 წლის 01 იანვრიდან იურიდიული დახმარების სამსახური, მიუხედავად პირის გადახდისუუნარობისა, წარმომადგენლობას განახორციელებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ გამომდინარე საქმეებზე, როგორც შემაკავებელი ასევე დამცავი ორდერის გამოცემის საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე 2015 წლის 01 იანვრამდე მოქალაქეები სარგებლობდნენ მხოლოდ იურიდიული კონსულტაციითა და სამართლებრივი დოკუმენტის მომზადებით. ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის თანახმადაც, „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი იქნება ცვლილება და დაემატება „ქალთა მიმართ ძალადობა“. შესაბამისი ცვლილება შევიდა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 01 ივნისიდან. 2015 წლის 15 აპრილიდან იურიდიული დახმარების სამსახური გადახდისუუნარო პირთათვის, საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სასამართლოში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 231 –ე მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე. ესენია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე და მეექვსე წიგნებიდან, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, აგრეთვე აღნიშნული კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე საკითხები.

იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიუროები პერიოდულად ახორციელებენ გასვლით კონსულტაციებს დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები იძულებით გადაადგილებულ პირებს იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს აცნობენ და ადგილზე უწევენ კონსულტაციებს სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება დევნილთა უფლებებსა და სოციალური დახმარების საკითხებზე. 2015 წელს, 11 ვიზიტი განხორციელდა ძირითადად ქუთაისში და მცხეთის რაიონის კომპაქტურ დასახლებებში. ვიზიტების ფარგლებში, კონსულტაცია გაეწია 200-მდე დევნილს.

გარდა გასვლითი კონსულტაციებისა, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ბიუროები მონაწილეობენ დევნილთა პრობლემატიკასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებში. 2015 წლის 18 თებერვალს, იურიდიული დახმარების სამსახურის ზუგდიდისა და ფოთის ბიუროების ხელმძღვანელებმა მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდში გამართულ რეგიონულ

შეხვედრაში და სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუზიარეს დევნილთა საკითხებზე მუშაობის გამოცდილება.[17]

2015 წლის 01 იანვრიდან 01 მაისამდე სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურში შევიდა 3343 საქმე, აქედან სოციალური სტატუსით დევნილი იყო სულ 67 პირი. მათ შორის 59 მამრობითი სქესის, ხოლო 8 მდედრობითი სქესის. იურიდიული დახმარება კონსულტაციის სახით გაეწია 2233 პირს, მათ შორის სოციალური სტატუსით დევნილი იყო სულ 275 , აქედან მდედრობითი სქესის– 177, მამრობითი სქესის – 98.

2015 წლის თებერვალის თვეში გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის: "ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში" ფარგლებში მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა უზრუნველყონ საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით სასოფლო დასახლებებში მოქალაქეთათვის უფასო იურიდიული დახმარება, კონსულტაციის გაწევისა და სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენის გზით.

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური თანამშრომელთათვის ტრენინგი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე ჩატარდა 2015 წლის მარტი–აპრილის თვეში ოთხ ეტაპად („სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, „ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, „საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი“) და მასში მონაწილეობა მიიღო 18 თანამშრომელმა, რომელთაგან 9 არის ქალი, ხოლო 9 მამაკაცი. ანალოგიური ტრენინგი ჩატარდა 2014 წლის ოქტომბერი–ნოემბრის თვეში სხვა თანამშრომლებისთვის[18].

> *<u>საქმიანობა:</u> 14.3.4.3. იძულებით გადაადგილებულ და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ჩატარებული ბიზნეს ტრენინგები, განათლებისა და პროფესიული გადამზადების კურსები და მათი მონაწილეების რაოდენობა; ომის ფეთქებადი ნარჩენებისაგან გაწმენდის შესახებ წარდგენილი შესაბამისი ანგარიშები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

ამოცანა: 14.3.5. ქალთა სპეციფიკური საჭიროებების უზრუნველყოფა ომის / კონფლიქტის და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციაში

---

[17] http://www.legalaid.ge/index.php?action=news&lang=geo&npid=652

[18] შენიშვნა: შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემის საკითხთან დაკავშირებით საქმის განხილვა, ასევე „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე დავების განხილვა სასამართლოში

მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული თავისებურებებით. გარდა ამისა, დევნილთა მიმართ გაწეული იურიდიული დახმარების კუთხით სჭარბობს საოჯახო სამართლის საქმეები და კონსულტაციები.

<u>საქმიანობა:</u> 14.3.5.1. იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალების პრიორიტეტებისა და სპეციფიკური საჭიროებების განსაზღვრაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> იძულებით გადაადგილებული და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალების პრიორიტეტებისა და სპეციფიკური საჭიროებების კვლევების საფუძველზე მომზადებული პროგრამები/პროექტები

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.3.5.2. კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის, რეინტეგრაციის, პროექტების დაგეგმვის დროს ქალებისა და გოგონების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება და პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> ფსიქო-სოციალური საჭიროებების განსაზღვრისათვის ჩატარებული კვლევა, განსაკუთრებით პოსტ-ტრავმული სტრესის მქონეთა და სექსუალური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების შესასწავლად

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.3.5.3. ფსიქო-სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა იძულებით გადაადგილებული, ლტოლვილი და ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონებისათვის

<u>ინდიკატორი:</u> ფსიქო-სოციალურ დახმარებასა და მსხვერპლთა რეაბილიტაციის მართვაში ჩატარებული ტრენინგების და მომზადებული კადრების რაოდენობა (სქესის ნიშნით გაყოფილი მონაცემი); შექმნილი შესაბამისი ფსიქო-სოციალური და იურიდიული დახმარების და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმი; იმ ქალებისა და გოგონების რაოდენობა, რომელთაც ასეთი დახმარება გაეწიათ; კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების რაოდენობა, რომელთაც მიეწოდათ ინფორმაცია აივ-ინფექცია/შიდსის, ნებაყოფლობითი კონსულტირებისა და აივ ინფექციაზე ტესტირების შესახებ; „ცხელი ხაზის“ მოქმედება და ფსიქო-სოციალური სერვისების მქონე ორგანიზაციების შესახებ საინფორმაციო ბაზის არსებობა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

<u>საქმიანობა:</u> 14.3.5.4. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პოპულარიზაცია

<u>ინდიკატორი:</u> „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ მასმედიის ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული სემინარების, ტრენინგებისა და კონფერენციების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

თავდაცვის სამინისტროს მიერ შეიარაღებულ ძალებში „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული საქმიანობები.[19]

<u>საქმიანობა:</u> 14.3.5.5. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია და ანგარიშგება/მონიტორინგი

[19] გ თხ ოვ თ ი ხ ი ლ ოთ ამოცანა 14.3.1.

<u>ინდიკატორი:</u> გენდერული თანასწორობის საბჭოს ზედამხედველობით სამთავრობო საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა გეგმის შესრულების კოორდინაციისთვის; საკოორდინაციო ჯგუფის მიერ გამართული შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების ოქმები და მომზადებული წლიური ანგარიშები, თითოეული სამინისტროს წლიური ანგარიში ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2013 წელს პარლამენტის გენგერული თანასწორობის საბჭოსთან შეიქმნა და ფუნქციონირებდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების საკოორდინაციო ჯგუფი

2015 წლის იანვრიდან საკოორდინაციო ჯგუფის მექანიზმმა გადაინაცვლა აღმასრულებელ ხელისუფლებაში და მას ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში. მექანიზმის აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადასვლის შემდგომ ჩატარდა საკოორდინაციო ჯგუფის 4 სხდომა.

2015 წლის 12 თებერვალს ჩატარდა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების ფორუმი.

2015 წლის 12-14 ნოემბერს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, თბილისში ჩატარდა რეგიონალური ვორკშოპი, რომლის თემაც იყო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების "ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე" განხორციელებისათვის საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება.

2015 წელს საკოორდინაციო ჯგუფმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციი მხარდაჭერით დაიწყო მუშაობა 2016-2017 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე, რომლის დამტკიცებაც 2016 წლის გაზაფხულზე მოხდება. გეგმის შემუშავების პროცესში გაიმართა კონსულტაციები ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშრისო ორგანიზაციებთან.

მიზანი: 14.4. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე დისკრიმინაციასთან ბრძოლა

ამოცანა: 14.4.1. დისკრიმინაციული მოპყრობისაგან დაცვის საკანონმდებლო გარანტიების უზრუნველყოფა

> *<u>საქმიანობა:</u> 14.4.1.1. თანასწორი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ყოვლისმომცველი კანონის ინიცირება*

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (შემდგომში ანტიდისკრიმინაციული კანონი). კანონით დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორობის უზრუნველყოფა დაევალა დამოუკიდებელ ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველს. ანტიდისკრიმინაციული კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა სტრუქტურული ერთეული თანასწორობის დეპარტამენტი. გაზრდილი ფუნქციების სრულყოფილად შესრულების მიზნით, სახალხო დამცველის ბიუჯეტი 2015 წელს გაიზარდა 68%-ით, ხოლო 2016 წელს 12,5%-ით.

დისკრიმინაცია აკრძალულია, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. ამასთანავე, კანონი აკეთებს მნიშვნელოვან დათქმას იმის შესახებ, რომ დისკრიმინაციად არ შეიძლება ჩაითვალოს „სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ“.

საქართველოს სახალხო დამცველი იღებს და განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მომჩივანს არ ეკისრება დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის ტვირთი - სახალხო დამცველთან მიმართვისას საკმარისია პირმა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა და წარადგინოს შესაბამისი მასალები. ამის შემდგომ კი სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირი უნდა დაამტკიცოს, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. განხილვის შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ არსებობს საკმარისი მასალები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს, სახალხო დამცველს შეუძლია დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღსადგენად რეკომენდაციით მიმართოს შესაბამის დაწესებულებას ან პირს.

ანტიდისკრიმინაციული კანონი ასევე ითვალისწინებს სასამართლოში მიმართვის უფლებას იმ პირისთვის რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს. ასეთ პირს შეუძლია შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები, ანალოგიურად ათავისუფლებს მოსარჩელეს დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთისგან და აკისრებს დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენს დისკრიმინაციის უარყოფის ტვირთს.

ამოცანა: 14.4.2. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობის (სისხლის სამართლის კოდექსი, 53.31-ე მუხლის ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა

> *<u>საქმიანობა:</u> 14.4.2.1. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და ამ მოტივის გათვალისწინება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს*

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაცია განხილულ იქნა ევროსაბჭოს ექსპერტის მიერ და ამოქმედდება 2016 წლიდან.

2014 წლის 23 დეკემბერს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N47 მითითება "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების მიერ დისკრიმინაციის პრევენციისა და ამ ნიშნით ჩადენილ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების ღონისძიებების განხორციელების შესახებ". მითითება ითვალისწინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის დირექტივის მიცემას. კერძოდ, ესენია:

- დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება სიძულვილის ნიადაგზე/შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით;

- დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილ სხვა დანაშაულთან შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის ველში - ,,დანაშაულის ფაბულა'' უნდა მიეთითოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული შეუწყნარებლობის მოტივისა და დისკრიმინაციის კონკრეტული ნიშნის (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან/და სხვა) ,,შესაძლო'' არსებობის შესახებ;
- სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს დაევალა სიძულვილის ნიადაგზე/შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით სპეციალური სტატისტიკის წარმოება.
- ასევე, სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს დაევალათ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიების საკითხებზე სპეციალიზებული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით სამინისტროს ადმინისტრაციისთვის წინადადებების წარდგენა.

სამინისტროს ქვედანაყოფებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, საქმიანობისას, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის აკრძალვებისა და მოთხოვნების გათვალისწინება.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.4.2.2. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების გადამზადება, რათა ეფექტიანად მოაგროვონ ინფორმაცია და განასხვაონ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული სხვა დანაშაულისგან*

<u>ინდიკატორი:</u> გადამზადებულ პირთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში აღნიშნული საკითხები იკითხება შემდეგ პროგრამებსა და კურსებზე:

- დეტექტივ-გამომძიებლის მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში დაწინაურების კანდიდატთა გადამზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- უბნის ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში მოსამსახურეთა თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში დანიშნულ (დასანიშნ) კურს გავლილ პირთა გადამზადების კურსი.
- მანდატურის სამსახურის მანდატურთა სპეციალური პროგრამა

შსს აკადემიაში აღნიშნული პროგრამები:

- 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე გაიარა 791 მსმენელმა;
- 2015 წლის იანვრიდან 4 მარტამდე გაიარა 230 მსმენელმა;

2015 წელს პროკურატურის მიერ დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის თემაზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის სისტემის 90 წარმომადგენელი გადამზადდა. მათი ნაწილი შსს-თან თანამშრომლობით განხორციელდა და შედეგად პროკურორებსა და გამომძიებლებს ერთობლივი ტრენინგები ჩაუტარდათ. განხორციელებული პროექტების ფარგლებში, ტრენერად მოწვეული იყო სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის პროფესიული განვითარების ცენტრმა დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის ევროპულ სტანდარტებზე დაიწყო პროკურორებისათვის სპეციალური სასწავლო პროგრამის შემუშავება და სისტემის ტრენერების გადამზადება. ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით ტრენერთა ტრენინგის პირველი ეტაპი მიმდინარე წელს განხორციელდა.

ტრენერთა ტრენინგის შემდგომი ეტაპი 2016 წლის თებერვლის ბოლოს იგეგმება. პროცესის დასრულების შემდეგ, პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისათვის შემუშავდება შესაბამისი სასწავლო პროგრამა, მასალები და სისტემის ყველა პროკურორი და გამომძიებელი გადამზადებას ეტაპობრივად გაივლის.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.4.2.3. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის თაობაზე სპეციალური სტატისტიკის წარმოება*

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის წლიური ანგარიში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ პროკურორებისთვის შემუშავდა რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“. აღნიშნული რეკომენდაცია ასევე ავალდებულებს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებს სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის თითოეული შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს.

> *<u>საქმიანობა:</u> 14.4.2.4. სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის ნიადაგზე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით უზრუნველყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> ინფორმაცია თავშესაფარში შესაბამისი საფუძვლით განთავსებულ პირთა შესახებ

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

თავშესაფრის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. კერძოდ, თავშესაფარში მიიღებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, მოქალაქეობისა, წარმოშობისა, დაბადების ადგილისა, საცხოვრებელი ადგილისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, რელიგიისა ან რწმენისა, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილებისა, პროფესიისა, ოჯახური მდგომარეობისა, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, შეზღუდული შესაძლებლობისა, სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა ან სხვა ნიშნისა.
ფონდის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრით 2014 წელს, ისარგებლა სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე ოჯახში ძალადობის ერთმა მამრობითი სქესის მსხვერპლმა, ასევე, 2015 წელს ამავე ნიშნით – 1 ძალადობის მსხვერპლმა.

<u>საქმიანობა:</u> 14.4.2.5. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის თანამშრომელთა ინფორმირებულობის ამაღლება სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის წლიური ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

- ფონდის მიერ გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან (UNWOMEN) მიღებული გრანტის ფარგლებში, პროექტის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“, 2015 წლის 15–16 მაისს, ფონდის სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფრების) თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენინგები ოჯახში ძალადობისა და სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან, ასევე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ტრენინგი ასევე ითვალისწინებდა კანონმდებლობის, არსებული პრაქტიკის და ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვას. ტრენინგი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. აღნიშნულ ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღო 15–მა მსმენელმა (თავშესაფრების თანამშრომელებმა);

- 2015 წლის 11 – 12 ივლისს ბათუმში არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სოციალური, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები". ტრენინგი ასევე ითვალისწინებდა სექსუალურ ორიენტაციასთან/გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. მასში მონაწილეობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და ფონდის ცენტრალური ოფისის იმ თანამშრომლებმა მიიღეს, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ თავშესაფრების ბენეფიციარებთან. ტრეინინგებში მონაწილეობა მიიღო 13–მა მსმენელმა.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
76	26	32	18

15. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებები

მიზანი: 15.1. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამართლებრივი და სოციალური გაძლიერება; მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება

ამოცანა: 15.1.1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.1. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ცარიელი შენობების რეაბილიტაცია, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, ასევე, დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში

<u>ინდიკატორი:</u> მიღებულია დევნილთა შესახებ საქართველოს ახალი კანონი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „გრძელვადიანი განსახლების სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმებისა და პროცედურების“ შესახებ დოკუმენტის შესაბამისად, 2014-2015 წლებში 3507 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა.

ამ ეტაპზე სამინისტრო აგრძელებს საქმიანობებს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კუთხით - მიმდინარეობს თანამშრომლობა კომპანიასთან "Hualing International Special Economic Zone", რომლისგანაც სამინისტრომ 2014 წელს 630 ბინა შეიძინა. აქედან 330 ბინა დევნილებს 2015 წელს გადაეცათ, ხოლო დანარჩენი 300 ბინა 2016 წლის თებერვალსა და ივნისში გადაეცემათ.

სამინისტრომ მენაშენეებთან თანამშრომლობით ქვეყნის მასშტაბით შეიძინა 744 ბინა, რომელთაგან 2015 წელს დევნილებს გადაეცათ 266 ბინა თბილისსა და ქუთაისში. 2015 წელს დაიწყო მშენებლობა ზუგდიდში - (2 კორპუსი, 144 ბინა); გორში - (4 შეტყუპებული კორპუსი 480 ბინა); ქუთაისში - (2 კორპუსი, 160 ბინა). ზუგდიდში და ქუთაისში მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2016 წლის ბოლო კვარტალში, ხოლო გორში - 2017 წელს.

სამინისტროს მიდგომა განსახლების პროგრამების მიმართ გახდა კომპლექსური, რაც გულისხმობს განსახლების პროგრამების დაგეგმვას ისე რომ მოიცავს დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ასეთი მიდგომის მაგალითია - „სოფლად სახლის შეძენის“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სახლების შესყიდვა მიწის ნაკვეთით სოფლად, რაც დევნილებს მისცემს შესაძლებლობას განსახლების ადგილებში განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო აქტივობები. 2014-2015 წლებში სამინისტრომ 641 ამგვარი სახლი შეიძინა დევნილებისთვის. 2014 წელს სახლის შესყიდვაზე თანხმობა გაიცა 350 ოჯახზე და შეძენილ იქნა 120 სახლი (დანარჩენი 230 ოჯახისთვის შეძენილ იქნა 2015 წელს).

2015 წლის ბოლოსთვის სახლის შესყიდვაზე გაიცა დაახლოებით 800 თანხმობა და შეძენილ იქნა 521 სახლი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმდინარეობს დევნილთათვის გადასაცემი ბინების რეაბილიტაციის პროცესი ვაზიანში, ხაშურში, ბორჯომში, ზუგდიდსა და ქუთაისში, სადაც 2016 წელს 572 დევნილი ოჯახი საკუთრებაში მიიღებს ბინას. 2014 წელს კასპში მიმდინარე რეაბილიტაციის პროცესი დასრულდა, ხოლო გორში შეჩერდა შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამო. 2014 წელს ჯამში დევნილებს გადაეცათ 1105 ბინა.

მნიშვნელოვანია ასევე დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიმართულებით სამინისტროს მიერ გაწეული სხვა სახის დახმარება, რაც გულისხმობს დევნილთა ქირით უზრუნველყოფას. 2014-2015 წლების განმავლობაში სამინისტრო 2034 დევნილ ოჯახს დაეხმარა ყოველთვიური ქირის სახით, რომლის გადახდაც ხორციელდებოდა სხვადასხვა ხანგრძლივობით, საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანების შესაბამისად.

> *<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.2. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესის წარმართვა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესით“ განსაზღვრული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად*

<u>ინდიკატორი:</u> მინისტრის ბრანებით შექმნილია დაკანონების ხარვეზების შემსწავლელი კომისია პროცესის დაჩქარების მიზნით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, სამინისტროში მომზადდა და გამოიცა „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანება. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ხორციელდება აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის“, ამავე ბრძანებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და საცხოვრებელი ფართის სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, საცხოვრებელი ფართების განაწილების წესი ითვალისწინებს შშმ დევნილ ოჯახებისთვის, მათი სპეციფიკური, საჭიროებების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფართის კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე გადაცემის საკითხსაც.

<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.3. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები) მათთვის საკუთრებაში გადაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საცხოვრებელი სახლების დევნილთა საკუთრებაში გადაცემის ხელშეწყობის 10 თვიანი პროექტი გაგრძელდა და 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საერთო ჯამში პროექტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულება გამოიცა 7386 ოჯახზე.

კანონმდებლობით დადგენილი წესით, 2014-2015 წლების განმავლობაში მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე საქართველოს მთავრობის განკარგულება გამოიცა 9469 ოჯახზე (2014 წელს - 2389 ოჯახზე და 2015 წელს - 7080 ოჯახზე).

<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.4. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართებიდან უკანონო გამოსახლებისგან დევნილთა დაცვა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართებიდან უკანონოდ გამოსახლებისგან დაცვის უმთავრესი გარანტი არის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი“, რომლის მე-6 და მე-14 მუხლები იცავენ დევნილის საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებულ უფლებას.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება წარმატებით იცავს დევნილებს უკანონო გამოსახლებისაგან. 2014 წელს დევნილთა უკანონო მფლობელობაში არსებული საცხოვრებლებიდან გამოსახლების 120 შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილებს ამ შემთხვევაშიც შესთავაზა ალტერნატიული თავშესაფარი, ქირის თანხით უზრუნველყოფის სახით. 2015 წელს, უკანონო მფლობელობაში არსებული საცხოვრებლიდან, არცერთი დევნილის გამოსახლება არ მომხდარა. მხოლოდ 21 დევნილი ოჯახი იქნა გადაყვანილი ძველი ობიექტებიდან ახალ ბინებში.

<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.5. შშმ პირების საჭიროებების გათვალისწინება

<u>ინდიკატორი:</u> სამინისტროს მიერ გამოცხადებულ სამშენებლო სამუშაოების ტენდერებში, გათვალისწინებულია შშმ პირთა საჭიროებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს დევნილთა განსახლების პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა, რომლის ფარგლებში, რეაბილიტირებულ თუ ახალაშენებულ კორპუსებში, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად იქმნება ყველა პირობა მათი სოციალური ინტეგრაციისათვის. დღეის მდგომარეობით, ადაპტირებულ გარემოში განსახლებულია 1000 შშმ დევნილი.

ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანების მე-3 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საცხოვრებელი ფართები გადაეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე; ხოლო განსახორციელებელ პროექტებში, საცხოვრებელი ფართები დაპროექტდება დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის გათვალისწინებით (ერთ-ერთი სატენდერო პირობის თანახმად, ბინების დაპროექტების დროს უნდა მოხდეს შშმ პირებისათვის ადაპტირების საკითხის გათვალისწინება).

> *<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.6. დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების (ყოფილი დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტები) და რეაბილიტირებულ ან ახალაშენებულ შენობებში განსახლებულ დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაჩქარება*

<u>ინდიკატორი:</u> სამინისტროს მონაცემები, ანგარიში, საჯარო რეესტრის მონაცემები სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“ პროექტის ფარგლებში აღწერილ იქნა 857 ჩასახლება (1400-მდე შენობა-ნაგებობა) და გამოიცა მთავრობის განკარგულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გადაგზავნილ 12400 ოჯახის შესახებ დოკუმენტაციაზე (2014 წელს გამოიცა 2389 ოჯახის, ხოლო 2015 წელს 7622 ოჯახის შესახებ). მთავრობის განკარგულების გამოცემის შემდეგ, დევნილებს მიეცათ ვადა ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად, რათა დაერეგისტრებინათ ბინები საკუთრებად. ისევე როგორც 2014 წლის შემთხვევაში, 2015 წლის ბოლოს, 5599 ოჯახმა დაირეგისტრირა ბინა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2014-2015 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ არაერთ დევნილთან გააფორმა ხელშეკრულება. კერძოდ, 2014 წელს გაუფორმდა ხელშეკრულება 1821 დევნილ ოჯახს ხოლო 2015 წელს – 5599 ოჯახს, რომლის საფუძველზე მათი საკუთრების უფლებები დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ. ეს პროცესი გაგრძელდება 2016 წელსაც).

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში[20] აღნიშნული პროცესს დადებითად აფასებს ასეთ

[20] http://ombudsman.ge/uploads/other/3/3373.pdf

მოკლე დროში ბინების საკუთრებაში გადაცემის პირველ შემთხვევად აფასებს. აღნიშნული შეფასებასთან ერთად ანგარიში აღნიშნავს რომ აუცილებელია, პრივატიზაციის პროცესში დევნილებს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდოთ განსახლების ალტერნატივების შესახებ.

> *<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.7. განახლდეს და ახალ კანონთან შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012–2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“*

<u>ინდიკატორი:</u> მიღებულია განახლებული სამოქმედო გეგმა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის 4 თებერვალს დამტკიცდა “საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის” განახლებული დოკუმენტი, რომელშიც რამოდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი სიახლე არის ასახული დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ალტერნატივებისა და ახალი რეაბილიტაციების სტანდარტების კუთხით, როგორებიცაა „სოფლად სახლის“ პროგრამა (სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად), მენაშენეებისაგან ბინების გამოსყიდვის პროგრმა, იმ დევნილთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომლებმაც საცხოვრებელი ფართი შეიძინეს იპოთეკური სესხით და სხვა.

> *<u>საქმიანობა:</u> 15.1.1.8. დევნილთა შესახებ 2014 წლის 1 მარტს ამოქმედებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა“ შესახებ საქართველოს კანონის მუდმივი გადახედვისა და სრულყოფის, საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომი დაახლოების, საჭიროებების გათვალისწინებით მეტი დაცვის მექანიზმების შემოღების, დევნილთა პრობლემების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდის მიზნით ღონისძიებების განხორციელება*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, დევნილთა სტატუსიდან საჭიროებაზე დაფუძნებულ დახმარებაზე გადასვლის საკითხზე, პრივატიზაციის პროცესის მონიტორინგისა და განსახლების საკითხებზე.

სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებული დახმარების სისტემაზე გადასვლაზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა რეკომენდაციების პაკეტის შესამუშავებლად, რომლის მიხედვითაც განხორციელდება თანამიმდევრული გადასვლა სტატუსიდან საჭიროებაზე მორგებული დახმარების სისტემაზე. სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2015 წლის 28 აპრილს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 6 თვით. პირველი სამი თვის განმავლობაში სულ გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა. მეოთხე სამუშაო შეხვედრის განმავლობაში სამინისტრომ წარადგინა ახალი პროექტი, რომელიც დაეხმარება სამინისტროს სტატუსიდან საჭიროებაზე დაფუძნებულ დახმარებაზე გადასვლის პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვაში. პროექტში ჩართულია ორი მოწვეული ექსპერტი: სოციალური დაცვის რეფორმისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტი. პროექტის ძირითადი მიზანია დაეხმაროს საქართველოს მთავრობას რეფორმების პაკეტების შემუშავებაში სტატუსზე დაფუძნებულიდან საჭიროებაზე დაფუძნებულ დახმარებაზე გადასვლისთვის. რაც შეეხება კონკრეტულ მიზანს, ეს გახლავთ ახლად შექმნილი პოლიტიკისა და ანალიტიკის სამმართველოსა და სსიპ-ის „დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს“ გაძლიერება. ეს გახლავთ ის სამი ძირითადი მიმართულება, რაზეც იმუშავებს პროექტი.

განსახლების მექანიზმების გაუმჯობესების მხრივ შემოთავაზებების/რეკომენდაციების გაწევის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა სამი. სამუშაო ჯგუფის ფორმატში განხილულ იქნა პრობლემური საკითხები, რომლებიც წევრების მიერ იდენტიფიცირდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს #320 ბრძანებაში - „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი“. შემუშავებული რეკომენდაციები წარედგინა სამეთვალყურეო საბჭოს, რომელთაგან სამინისტრომ ნაწილი გაითვალისწინა და მინისტრის ბრძანებაში განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი ცვლილებები: 1) დაზუსტდა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის უფლებამოსილების ფარგლები, 2) საცხოვრებელი ფართების განაწილებისას დევნილის ორმაგი მოქალაქეობა აღარ არის შემზღუდავი გარემოება, 3) დევნილ ოჯახებს, რომელთა განცხადებები საცხოვრებელი ფართის შესყიდვის თაობაზე დაკმაყოფილდა, ნაცვლად 1 თვისა, მიეცემათ 3 თვიანი ვადა საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შერჩევისათვის, კომისიისათვის წარდგენის მიზნით, 4) გასწორდა სამართლებრივად არასწორი შინაარსის მატარებელი ტერმინები. ამას გარდა, ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაციების პაკეტი დოკუმენტისათვის „გასაჩივრებისა და ხარვეზების გამოსწორების მექანიზმები დევნილებისათვის, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი“.

რაც შეეხება დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის საერთო სარგებლობაში არსებული ფართების გადაცემის პროცედურას, ამ საკითხზე მუშაობდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

პრივატიზაციის პროცესის მონიტორინგის ჯგუფი ძირითადად მუშაობდა პრივატიზაციის პროცესის დროს დაშვებული ხარვეზების გასწორების სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებაზე. აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმის შექმნის მიზნით საექსპერტო ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეთანხმება მემორანდუმის საბოლოო სახეზე. 2015 წლის 27 აგვისტოს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია დევნილთა განსახლების ობიექტებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნის ხელშეწყობა, მათთვის გადასაცემი საერთო სარგებლობის ფართების იდენტიფიცირება, გადაცემის უზრუნველყოფა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემული საერთო სარგებლობის ფართებზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მოქმედების ვადის განმავლობაში დასახული ამოცანის განხორციელების მიზნით სულ გაიმართა ექვსი სამუშაო შეხვედრა. აქტიურად მიმდინარეობდა თემატური შეხვედრები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და მთავრობის ადმინისტრაციის ჩართულობით. საექსპერტო ჯგუფის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების საფუძველზე საბოლოოდ შემუშავდა პრივატიზაციის დროს დაშვებული ხარვეზების გასწორების სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მიზანია მოაგვაროს საკუთრებაში გადაცემული არასწორი მოცულობის ფართისა და არასწორი საკადასტრო კოდის საკითხი.

ახალი მექანიზმის ფარგლებში სამინისტრო ყველა საჭირო დოკუმენტაციითა და ახალი აზომვითი ნახაზებით პირდაპირ მიმართავს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც მოახდენს ხარვეზის ჩასწორებას.

დროებითი საექსპერტო ჯგუფის მიერ შემუშავებული მექანიზმი დღეის მდგომარეობით აქტიურად გამოიყენება. ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია არასწორად დარეგისტრირებულ ფართსა და შენობის საკადასტრო კოდთან, თანდათან სწორდება. ამჟამად მსგავსი საქმეების რაოდენობა დაახლოებით ოცს შეადგენს.

ამოცანა: 15.1.2. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ- ეკონომიკური ინტეგრაცია;

<u>საქმიანობა:</u> 15.1.2.1. ფუნქციონირება დაიწყოს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა და მოხდეს მისი განვითარება დაფინანსების გაზრდა და საქმიანობის გააქტიურება

<u>ინდიკატორი:</u> სსიპ-ის დაფინანსების მონაცემები და საქმიანობის ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და 2015 წელს მისი ბიუჯეტი შეადგენდა 250 000 ლარს, რომლის დაფინანსების წყაროც იყო სახელმწოფო ბიუჯეტი. 2015 წლიდან აქტიურად დაიწყო სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის შემუშავება და საქმიანობის პროცესში დანერგვა (შესაბამისი ცვლილება შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, რის შემდეგაც სააგენტო უფლებამოსილი გახდა ჩაატაროს საგრანტო კონკურსები და გასცეს გრანტები. 2015 წლის განმავლობაში სააგენტო დაკომპლექტდა შესაბამისი თანამშრომლებით. სააგენტომ შეიმუშავა კონცეფცია და ოპერაციული პროცედურები, რითაც განსაზღვრულია მისი საქმიანობების პრინციპები, ფარგლები, მოდალობები და სხვა ოპერაციული საკითხები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან დაფინანსებით მოხდა სააგენტოს მიერ რიგი მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელება, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N257 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის“ განხორციელების 2016 – 2017 წლების განახლებული და დახვეწილი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სააგენტოს აქტიურ ჩართვასთან. აღნიშნული სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N2721 განკარგულებით.

<u>საქმიანობა:</u> 15.1.2.2. საარსებო წყაროების პროგრამების/პროექტების შემუშავება და განხორციელება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო საქმიანობის ძირითად მიმართულებას საწყის ეტაპზე წარმოადგენდა დევნილთა საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და თვითკმარობის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათ საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელება.

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის N128 განკარგულებით დამტკიცებული „დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, 2015 წლის განმავლობაში დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა პროგრამა და პროექტი, რომელთა შორის უმთავრესია დევნილთა ჩართვა სასოფლო სამეურნეო პროგრამებით დადგენილ აქტივობებში (სოფლის მეურნეობის სუბსიდიები და სერვისები, სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული კრედიტები, წარმოების წახალისება, ფერმერთა ორგანიზაციების და კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა და სხვა); სოფლის მეურნეობაში ჩართული დევნილების მხარდაჭერა სათანადო ინფრასტრუქტურით (საირიგაციო სისტემა და სხვა) და ძირითადი საშუალებებით (ტექნიკა/ინვენტარი, შინაური ცხოველები/ფრინველები, სხვადასხვა მასალები და ნედლეული); აგრობიზნესის ინკუბატორების შექმნა და არსებულ(ებ)ის წახალისება; სოფლის მეურნეობის შერეული (დევნილი/ადგილობრივი) კოოპერატივების შექმნა სოფლად სახლის შეძენის პროგრამის ბენეფიციარებისთვის; მიკრო და მცირე ბიზნესის

სახელმძღვანელოების/გზამკვლევის/საინფორმაციო მასალების მომზადება, ტრენინგების ორგანიზება (სოციალური მეწარმეობა, მცირე ბიზნესის განვითარება/მართვა, აგრო-ბიზნესი); დევნილების კონსულტაცია მოთხოვნად პროფესიებზე, პროფესიული ორიენტაცია, მათი მომზადება დამსაქმებელთან გასაუბრებისთვის, მხარდაჭერა CV-ის შედგენაში; დევნილთა რეგისტრაცია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში, რის შემდეგაც რეგულარულად მიიღებენ ინფორმაციას მათი კვალიფიკაციის შესაბამისი ვაკანსიების შესახებ; პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულთა სტაჟირებების მხარდაჭერა; კონსულტაცია საწარმოს რეგისტრაციისა და განვითარების ეტაპებზე; სოციალური საწარმოების შექმნა და განვითარება; კერძო ბიზნეს კომპანიებისთვის სახელმწიფო საკუთრების (მიწები, შენობა-ნაგებობები და სხვა) შეღავათიანი პირობებით, სხვადასხვა ფორმით გადაცემის შესაძლებლობების განხილვა, დევნილთათვის სამუშაო ადგილების შესაქმნელად; დევნილ, დევნილთა ჯგუფებსა და მეწარმე სუბიექტებს შორის პარტნიორული (წილობრივი) ურთიერთობების მხარდაჭერა/წახალისება.

ჩამოთვლილ აქტივობათა მნიშვნელოვანი ნაწილი სააგენტოს მხრიდან შესრულებულია. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროგრამებით დადგენილ აქტივობებში დევნილთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან. 2015 წლის განმავლობაში დაიგეგმა და განხორციელდა 10-ზე მეტი ერთობლივი საველე ვიზიტი დევნილთა ჩასახლების ადგილებზე, რომელთა ფარგლებშიც დევნილები დაწვრილებით გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანების დადებით მხარეებს.

სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად ახორციელებენ დევნილთა კონსულტაციას შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებზე და სამსახურის მაძიებელ დევნილთა რეგისტრაციას შრომის ბაზრის მართვის ერთიან სისტემაში. დღეის მდგომარეობით, სააგენტოში დარეგისტრირებულია 337 დევნილი, რომელთაგან სააგენტოს რეკომენდაციით კონკრეტული ვაკანსიების დასაკავებლად გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღო 84 დევნილმა.

დევნილთა დასაქმების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს როგორც სხვა საჯარო უწყებებთან, ასევე კერძო სექტორთან. წლის განმავლობაში სამუშაოს მაძიებელთა შრომის ბაზრის მართვის ერთიან სისტემაში რეგისტრირებულ დევნილთაგან 43 მუშა-მოსამსახურე წარგზავნილ იქნა კომპანია ჰუალინგ ჯგუფში სხვადასხვა ვაკანტურ პოზიციაზე, რომელთაგან 13 ხელშეკრულებით იქნა აყვანილი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმზე სააგენტოს რეკომენდაციით წარგზავნილ იქნა 13 დევნილი, რომელთაგან სამმა გადაწყვიტა გაეარა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ კურსები სხვადასხვა სპეციალობებში.

დევნილთა დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში წეროვნის დევნილთა ჩასახლებაში სააგენტოს ორგანიზებითა და სამინისტროს ქვემო ქართლის ტერიტორიული ორგანოს ხელშეწყობით გაიმართა შეხვედრა, სადაც შპს ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრ მთიების ხელმძღვანელმა სამუშაოს აღწერილობა და პირობები გააცნო დაინტერესებულ დევნილებს, რომელთაგან 28 ქალბატონმა მიიღო დასაქმების შეთავაზება.

2015 წლის პირველ ნახევარში გამოიკვეთა საარსებო წყაროების მიმართულებით სამთავრობო პროგრამებისა და არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტების კოორდინაციის აუცილებლობა, რათა სექტორული და გეოგრაფიული გადაფარვების რისკი მაქსიმალურად შემცირებულიყო. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გადახედვის საჭიროება. 2015 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ინიცირებითა და აქტიური ჩართულობით, განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 თებერვლის N128 განკარგულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის გადახედვა და მოდიფიცირება. პროცესი მიმდინარეობდა 2015 წლის გაზაფხულიდან 2015 წლის ბოლომდე. შედეგად, 2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს მთავრობის მიერ N2721 განკარგულებით დამტკიცდა „დევნილთათვის საარსებო წყაროებზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა,“

<u>საქმიანობა</u> 15.1.2.3. დევნილი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებამდე ქვეყნის სხვა ნაწილში ინტეგრაციის პროცესში

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

დევნილთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამის შემუშავების მიზნით, 2015 წლის მეორე ნახევარში სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა სამინისტროს „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა საარსებო საჭიროებების კვლევა. აღნიშნული კვლევის რეკომენდაციების საფუძვლეზე, სააგენტოში დღეისათვის მიმდინარეობს კონკრეტული საგრანტო პროგრამის წინადადების შემუშავება. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთათვის შემოსავლის მომტანი ინიციატივების დაფინანსებას.

გარდა ამისა, არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლისა და უშუალოდ დევნილთაგან მათ საჭიროებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვება-შეფასების მიზნით 2015 წლის განმავლობაში სააგენტომ მოაწყო 10 საკონსულტაციო შეხვედრა მთელი საქართველოს მასშტაბით (3 შეხვედრა - შიდა ქართლში, 2 შეხვედრა - მცხეთა-მთიანეთში, 2 შეხვედრა - იმერეთში, 1 შეხვედრა - ქვემო ქართლში და 2 შეხვედრა - სამეგრელო-ზემო სვანეთში).

ისევე როგორც სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიში[21] ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიშიც[22] საუბრობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დევნილთა ჩართულობის გაზრდის აუცილებლობაზე 2015 წელს იმისათვის, რომ ერთი მხრივ გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა თემებზე, და ამასთან, სწორად განისაზღვროს პრიორიტეტები. ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ნათლად ჩანს რომ დევნილი მოსახლეობის პროცესში ინტეგრირების მიზნით 2015 წლიდან დევნილთა სამინისტრო ახორციელებს შეხვედრებს საქართველოს მასშტაბით.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
11	10	1	0

[21] http://ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf
[22] http://ombudsman.ge/uploads/other/3/3373.pdf

16. თავშესაფრის მქონე პირთა უფლებები

მიზანი: 16.1. „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა

ამოცანა: 16.1.1. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა/სრულყოფა

<u>საქმიანობა:</u> 16.1.1.1. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

<u>ინდიკატორი</u>: სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან (UNHCR) და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს გაეროს ასოციაციასთან“ (UNAG) ერთობლივი მუშაობის შედეგად, მოხდა „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შემუშავება, რომელიც 2015 წელს მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს შემდგომ საკითხებს:

- 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიაწვდის დასაბუთებას თავშესაფრის მაძიებელზე სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე უარყოფითი დასკვნის დადების შემთხვევაში;
- შემოღებულ იქნა ადგილზე ლტოლვილის (sur place) ცნება, რითაც მოხდა იმ საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც აღიარებს შესაძლებლობას, რომ დევნის საფუძვლიანი შიში ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს თავისი წარმოშობის ქვეყნის დატოვების შემდეგ;
- მოხდა სტატუსის მინიჭებიდან გამორიცხვისა და სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა;
- 2014 წლის 23 დეკემბერს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება, რომელიც მოიცავს როგორც თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებების, სახელმწიფო საზღვრის კვეთის პროცედურებისა და არ გაძევების პრინციპის დაცვის, ასევე თავშესაფრის მაძიებელთა იდენტიფიკაციის, სახელმწიფო საზღვარზე მიღების, გადაცემისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში არსებულ მიმართულებებსა და საკითხებს.

<u>საქმიანობა:</u> 16.1.1.2. უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების განახლება/ახალი ბრძანებულების პროექტის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შესაბამისი სამართლებრივი აქტები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის #50 ბრძანებით დამტკიცდა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის წესი.

სამინისტრომ შეიმუშავა „უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ“ დებულების პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის #227 ბრძანებულებით დამტკიცდა 2014 წელს.

დებულება ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავშესაფრის მიცემას იმ უცხოელთათვის, რომლებიც თავშესაფრის მოთხოვნის მომენტისათვის არ იმყოფებიან საქართველოში და მათი მოქალაქეობის ან ადგილსამყოფელ ქვეყანაში იდევნებიან რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო.

დოკუმენტით განსაზღვრულია უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის შესახებ განცხადების მიღების, განხილვისა და მათთვის თავშესაფრის მიცემის, შეწყვეტის ან გაუქმების წესი, მათი უფლებები და მოვალეობები.

<u>საქმიანობა:</u> 16.1.1.3. თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის გაფართოება

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2010 წლიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ფუნქციონირებს 60 ადამიანზე გათვლილი თავშესაფრის მაძიებელთა მიღებისა და განთავსების ცენტრი. ცენტრი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი ნაკადიდან გამომდინარე, თავშესაფრის მაძიებელ პირთა დროებითი განთავსების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, თბილისში აშშ-ს საელჩომ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (UNHCR) და სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობით, აშშ-ის ევროპული სარდლობისა (EUCOM) და აშშ-ის თავდაცვის თანამშრომლობის ოფისის (ODC) ხელმძღვანელობით განახორციელა მარტყოფის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის დამატებითი შენობის მშენებლობა. ახალი ცენტრი გათვლილია 72 ადამიანზე. 2015 წლის ბოლოს დასრულდა მეორე შენობის მშენებლობა, და კეთილმოწყობა რომელიც 2016 წლის 12 თებერვალს გაიხსნა

პროექტის შემუშავებამდე, მიმღები ცენტრი გათვალისწინებული იყო 80 ბენეფიციარისათვის, ხოლო საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდგომ, თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 72 პირისათვის.

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, აღსანიშნავია საქართველოში თავშესაფრის სისტემის განვითარების მიზნით 2014-2015 წლებში განხორციელებული შემდეგი აქტივობები:

- საქართველოს თავშესაფრის სისტემის დახვეწისა და განვითარების მიზნით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან და საქართველოში გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით მიმდინარეობს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე მუშაობა. აღნიშნული კანონი ჩაანაცვლებს 2011 წელს მიღებულ საქართველოს კანონს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“;

- ახალი კანონის მიღების შედეგად დაიხვეწება და გაუმჯობესდება საქართველოში თავშესაფრის მიმართულებით არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ისევე როგორც თავშესაფრის მაძიებელთა და სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა;

- კონკრეტდება და დეტალურად გაიწერება თავშესაფრის პროცედურის ზოგადი პრინციპები და პროცედურული გარანტიები, როგორებიცაა: საერთაშორისო დაცვის ახალი ფორმა - დროებითი დაცვა; სპეციალური პროცედურები მოწყვლადი კატეგორიის თავშესაფრის მაძიებელთათვის; დაჩქარებული პროცედურები თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადის განხილვისთვის; სამართლებრივი გარანტიები; საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა და თავშესაფრის პროცედურაზე ხელმისაწვდომობა.

სახალხო დამცველის 2015 წლის სპეციალური ანგარიში თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ[23] საუბრობს მიმღები ცენტრის მონიტორინგზე რომლის შედეგადაც გამოცემულ იქნა 2 რეკომენდაცია კერძოდ ცენტრის ადაპტირება და აღჭურვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონეპირთა საჭიროებებისათვის და ახალი ცენტრის მშენებლობის დროულად დასრულება. ზემოაღნიშნული ინფორმაციის თანახმად მიმღები ცენტრის მეორე შენობა 2016 წლის 12 თებერვალს გაიხსნა და ის ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით

<u>საქმიანობა:</u> 16.1.1.4. თავშესაფრის მაძიებელთა და თავშესაფრის მქონე პირთა სოციალური დახმარება და ინტეგრაცია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წლის 1 მარტიდან ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა, დევნილების მსგავსად, განისაზღვრა 45 ლარით ("საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლი, მე-5 პუნქტის დ.ბ. ქვეპუნქტი).

„2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 დეკემბრის #650 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებით დამტკიცებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარებს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან ერთად, დაემატნენ თავშესაფრის მაძიებელი პირები.

2015 წელს სამინისტროში შექმნილი ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის გასაცემი შემწეობების დამდგენი კომისიის გადაწყვეტილებით ხორციელდება ალტერნატიული საცხოვრებელის, ყოველთვიური სოციალური შემწეობის ან დამატებითი ჯანდაცვის საჭიროებების ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის #15 დადგენილებით, განისაზღვრა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება და ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესაძლებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 თებერვლის No.2-5 დადგენილებით, მოხდა საქართველოს მოქალაქეების მსგავსად თავშესაფრის მაძიებლის,

[23] https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUb0FhZGRDdFNUMm8/view

ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
4	3	1	0

17. ეკო-მიგრანტების უფლებები

მიზანი: 17. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) სამართლებრივი და სოციალური დაცვა

ამოცანა: 17.1. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტთა) განსახლების უზრუნველყოფა

> *<u>საქმიანობა:</u> 17.1.1. ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) განსახლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის #779 ბრძანების შესაბამისად სამინისტროს ასიგნებების გათვალისწინებით*

<u>ინდიკატორი:</u> სამინისტროს მიერ მომზადებული ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის #779 ბრძანებით შექმნილი „სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახთა განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის“ გადაწყვეტილებით შეირჩა 91 სტიქიით დაზარალებული, გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახი, რომლებსაც მიეცათ საშუალებამათთვის სასურველ მუნიციპალიტეტში, მოეძებნათ და წარმოედგინათ საცხოვრებელი სახლი, 20 000 ლარის ფარგლებში შემდგომი შესყიდვისათვის. აღნიშნული სახლების შესყიდვა განხორციელდა შერჩეული ოჯახების მიერ წარმოდგენილ სახლებზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნების საფუძველზე. გარდა ამისა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე სამინისტროს მიერ დამატებით შესყიდულია 53 საცხოვრებელი სახლი სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის.

ლარის კურსთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით 2015 წელს კომისიის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელი სახლების შესყიდვა 2016 წლიდან განხორციელდება 25 000 ლარის ფარგლებში.

2015 წელს კომისიამ უკვე შეარჩია 42 ოჯახი, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ შერჩეული საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც სამინისტრო შეუსყიდის 25 000 ლარის ფარგლებში 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებებით.

გარდა ამისა, 2016 წლის განმავლობაში დამატებით 48 ოჯახის შერჩევა მოხდება კომისიის მიერ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2014 წელს 65 ეკომიგრანტ ოჯახს გაუფორმდა ხელშეკრულება, ხოლო 2015 წელს – 151 ოჯახს. 2014-2015 წლებში ეკომიგრანტ ოჯახებთან გაფორმებული ხელშეკრულებები წარედგინა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მათ საფუძველზე უფლებები დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

> *<u>საქმიანობა:</u> 17.1.2. საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს ბუნებრივი ან ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შედეგად იძულებით გადაადგილებას დაქვემდებარებულ პირთა (ეკომიგრანტი) უფლებრივი მდგომარეობა*

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 6 ივნისის #123 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომელშიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ერთად ჩართული იყვნენ სახალხო დამცველის აპარატისა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შეიმუშავა „ეკომიგრანტთა შესახებ“ კანონის პროექტი.

ამ დროისათვის სამინისტრო ხელმძღვანელობს მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის #779 ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს“ – („განცალკევებულ საცხოვრებელ ფართზე მუდმივად მცხოვრები ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი) და ცხოვრობენ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ შენობაში/სახლში ან ბუნებრივი ან ანთროპოგენული კატასტროფების ან/და ასეთი რისკების ზონაში“) და არეგულირებს „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების“ საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცედურებს, კერძოდ:

- დაზარალების კატეგორიას;
- დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის პროცედურას;
- დაზარალებულთა საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფის კრიტერიუმებს;
- სამინისტროს მიერ კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვას;
- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის“ გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლების მონიტორინგისა და საკუთრებაში გადაცემის პროცედურას.

აღნიშნულ ბრძანებაში, 2015 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა იმ პირთა წრე და გარემოებანი, რომელთა დადგომის შემთხვევაში ოჯახი ჩაითვლება ეკომიგრანტად და გავრცელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული სტიქიური მოვლენების შედეგად

დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების წესით განსაზღვრული პროცედურები. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახად (ეკომიგრანტად) ჩაითვლება ოჯახი, რომლის საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) და არ ექვემდებარება აღდგენას ან/და სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი, ჯდენადი გრუნტი, გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა), საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.

<u>საქმიანობა:</u> 17.1.3. ეკომიგრანტთა მონაცემთა ბაზის ფორმირება და წარმოება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სამინისტროსა და ევროკავშირის მჭიდრო თანამშრომლობით, „სამინისტროში მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებული ტექნიკური დახმარების“ პროექტის ფარგლებში შეიქმნა მონაცემთა ბაზის პროგრამული უზრუნველყოფა (სოფტი) და 2015 წელს დასრულდა მონაცემთა ბაზის ფორმირება და წარმოება. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება მონაცემთა ბაზის რეგულარულად განახლება.

<u>საქმიანობა:</u> 17.1.4. 2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მიერ უკვე განსახლებული ეკომიგრანტებისათვის შესაბამისი საცხოვრებელი ფართების კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყება

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის #996 განკარგულების საფუძველზე სამინისტრომ „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებით სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ პროექტის ფარგლებში, განახორციელა 2004-2012 წლებში შესყიდულ საცხოვრებელ სახლებში განსახლებული ოჯახების აღწერა/მონიტორინგი. ასევე, მოამზადა აღნიშნული სახლებისა და მიწის ნაკვეთების აზომვითი საკადასტრო ნახაზები და დაიწყო მათი ხელახალი რეგისტრაცია სახელმწიფო საკუთრებად, რომლის შემდეგაც, 2016 წლის დასაწყისიდან დაიწყება მათი კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცედურები და 1000-მდე ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდება საცხოვრებელი სახლი.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
4	2	1	1

18. რეპატრიანტთა უფლებები

მიზანი: 18. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა უფლებათა რეალიზაცია

ამოცანა: 18.1. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

> *<u>საქმიანობა:</u> 18.1.1. ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის გამოცემის მიზნით შესაბამის სამთავრობო დაწესებულებებთან აქტიური თანამშრომლობა*

<u>ინდიკატორი:</u> გამოცემულია ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა, რეპატრიანტთა ინტეგრაციის სახალმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მომზადებული ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის პროექტი მიღებულ იქნა 2014 წლის 12 სექტემბერს მთავრობის #1671 განკარგულებით. სტრატეგია მიზნად ისახავს რეპატრიანტთა ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობას და რეპატრირებული მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმაზე. მომზადდა სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც გადაგზავნილია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში დასკვნებისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. 2015-2016 სასწავლო წელს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებს დაფინანსების თხოვნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის არ მიუმართავთ.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
1	0	0	1

19. ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა

მიზანი: 19.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვა და მათი მძიმე სოციალურ -ეკონომიკური და ჰუმანიტარული პირობების გაუმჯობესება

ამოცანა: 19.1.1. გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანებისათვის ჯანდაცვის უზრუნველყოფა; განათლების ხელმისაწვდომობა; სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა

> *<u>საქმიანობა:</u> 19.1.1.1. ახალი ამბულატორიების მშენებლობა და მათი აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით; სამედიცინო პერსონალის პროფესიული გადამზადება*

<u>ინდიკატორი:</u> გამყოფი ხაზების სიახლოვეს განხორციელებული პროექტების რაოდენობა მათ შორის, სხვადასხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის (გზები, სკოლები, საირიგაციო სისტემა, ამბულატორიები, ა.შ.) შეკეთება და მშენებლობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

მოსახლეობისათვის ამბულატორიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წლის განმავლობაში ყველა მუნიციპალიტეტში აშენდა და აღიჭურვა 82 სოფლის ამბულატორია.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №302 განკარგულების შესაბამისად, 2015 წლის 20 აპრილს, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრსა“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს“ გადაეცა ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი), თეთრი წყაროს და წალკის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამედიცინო ცენტრების უძრავ-მოძრავი ქონება.

2015 წელს დაიწყო მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. რუხში, რომელიც გათვლილია 220 საწოლზე და უზრუნველყოფილ იქნება ყველა საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურით.

ასევე, მიმდინარეობს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა გორის რაიონის სოფ. ტყვიავში.

საზღვრისპირა სოფლებში არსებული რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება მათი სუბსიდირება. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და მის მიმდებარე რეგიონში სპეცდაფინანსებაზე იმყოფება 14 ამბულატორიული და სტაციონარული დაწესებულებები.

2015 წლის დასაწყისიდან, ამოქმედდა „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს საექიმო სპეციალობის მაძიებელთა და მომიჯნავე სპეციალობებში სერტიფიცირებულ ექიმთა დიპლომისშემდგომი /სარეზიდენტო მზადების დაფინანსებას მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში. ამჟამად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ხორციელდება 25 რეზიდენტის დაფინანსება.

<u>საქმიანობა:</u> 19.1.1.2. პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნა; სტუდენტებისათვის მაქსიმალური შეღავათების დაწესება; სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> აქ მცხოვრები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა; სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის დახმარებების ბენეფიციართა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრისპირა სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში; პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014 წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 141 სტუდენტმა, ხოლო 2015 წელს 163 სტუდენტმა.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ დაზარალებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსება ხორციელდება ასევე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში 2013-2014 სასწავლო წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა 471 დაზარალებულმა სტუდენტმა, 2014-2015 სასწავლო წელს დაფინანსდა 586 სტუდენტი, ხოლო 2015-2016 სასწავლო წელს - 725 სტუდენტი.

„საჯარო სკოლის მოსწავლეების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში“ ჩართულია გამყოფ ხაზთან მდებარე (მანძილი გამყოფი ხაზიდან მაქსიმუმ 4 კმ) შიდა ქართლის რეგიონის 23 საჯარო სკოლა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 23 საჯარო სკოლა და იმერეთის რეგიონის 1 საჯარო სკოლა.

<u>საქმიანობა:</u> 19.1.1.3. სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა, მშენებლობა და განვითარება; საერთაშორისო დონორთა მობილიზება მათ საჭიროებებზე დამატებითი რეაგირებისათვის

<u>ინდიკატორი:</u> აქ მცხოვრები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა; სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა სახის დახმარებების ბენეფიციართა რაოდენობა; საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარების მოცულობა და სახე

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდში გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია განაგრძობდა აქტიურ მუშაობას. მიმდინარეობს 58 სოფლის (13,375 კომლი) გაზიფიცირება, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 19 მლნ. ლარი. გაზიფიკაციის სამუშაოები უკვე დასრულდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების უმრავლესობაში (16 სოფელში).

დასრულდა სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც შიდა ქართლში გამყოფი ხაზის მიმდებარე 39 სოფლის 20 000 ჰექტრამდე მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდა, რაც 18 000 ოჯახს მოუტანს სარგებელს.

ასევე, გაგრძელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (გაზიფიკაცია, შიდა გზების, საირიგაციო და სასმელი წყლის სისტემების, გარეგანათების რეაბილიტაცია; სასკოლო, სპორტული ინფრასტრუქტურის შეკეთება/განახლება და ა.შ.).

> *<u>საქმიანობა:</u> 19.1.1.4. კრიმინოგენური სიტუაციის სტაბილიზაცია; ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე შესაძლო პროვოკაციების თავიდან აცილება, გამყოფ ხაზებთან მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა*

<u>ინდიკატორი:</u> გამყოფი ხაზების სიახლოვეს მდებარე სოფლების მოსახლეობისაგან დაცლის შეჩერება; კრიმინალური ფაქტების სტატისტიკის შემცირება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ოკუპაციის ზოლის გასწვრივ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მიმართულებაზე პოლიციას გააჩნია არა მარტო საგუშაგოები, არამედ ახდენს რეგულარულ პატრულირებას, ამავე მოწოდებებით მიმართავს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასაც. დაკავებების ყველა შემოსულ ინფორმაციაზე შსს ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას ე. წ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით და საქმის კურსში აყენებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, განიხილავს ამ ფაქტებს IPRM-სა და ჟენევის დისკუსიების ფორმატში.

მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირება ხორციელდება როგორც სახელმწიფო უწყებების, მათ შორის შსს–ს, ასევე მედიის საშუალებებით. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად არის ინფორმირებული არსებული საფრთხეების შესახებ.

მიზანი: 19.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის ჯანდაცვის და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა და ადამიანების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის შესაბამისი ძალისხმევის მობილიზება

ამოცანა: 19.2.1. საქართველოს მოსახლეობის აღნიშნული ნაწილისათვის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა

> *<u>საქმიანობა:</u> 19.2.1.1. რეფერალური პროგრამით გათვალისწინებული სერვისების გაგრძელება, მექანიზმების დახვეწა და პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება*

<u>ინდიკატორი:</u> რეფერალური მომსახურების პროგრამით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსარგებლეთა რაოდენობა; საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო და სპეციალური ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2013 წლის თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა და დაავადებაზე ორიენტირებული ე.წ. 22 „ვერტიკალური“ სახელმწიფო პროგრამა, რომელთა მოსარგებლეებს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა, რომლებიც ფლობენ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს, ისევე სარგებლობენ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით, როგორც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა.

რეფერალური სახელმწიფო პროგრამა ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ცხინვალის რეგიონის, საჩხერის რაიონის სოფელ პერევის, ქურთის, ერედვისა და აჟარის

მუნიციპალიტეტების და ახალგორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებზე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ან შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის ქონის მიუხედავად.

ოკუპირებული აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო სერვისებით უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილების შესაბამისად, ,,რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში სპეციალური კომისიის მიერ განიხილება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შუამდგომლობები იმ მოქალაქეთა სამედიცინო სერვისების დაფინანსებაზე, რომელთა იდენტობა დადასტურებულია, ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე და არ არიან საქართველოს ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების მოსარგებლეები, ან გადმოყვანილ იქნენ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში საგანგებო სიტუაციების რეჟიმისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ შესაბამის სტრუქტურებთან შეთანხმებით.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა საკითხი, რომლებიც ამავე დროს არიან საქართველოს ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამების მოსარგებლეები, ასევე განიხილება ,,რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.

იმ მოქალაქეების საკითხს, რომლებიც ნამდვილად ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კომისია განიხილავს განსაკუთრებული პროტოკოლით - საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დადასტურებულია, რომ რეალურად ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სრულად უფინანსდება სერვისი, რომელიც ჩვეულებრივ, ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან.

2015 წელს რეფერალური პროგრამის ფარგლებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის დაფინანსდა 1577 შემთხვევა.

ამოცანა: 19.2.2. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ნაწილისათვის განათლების სახელმწიფო პროგრამების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა

> *<u>საქმიანობა:</u> 19.2.2.1. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მასწავლებლებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნა და მათი პროფესიული გადამზადება*

<u>ინდიკატორი:</u> ჩატარებული ტრენინგ/სემინარების რაოდენობა და მსმენელთა რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები. გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წვრთნის მიზნით ზუგდიდში მივლენილ იქნა ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც გადაამზადეს მასწავლებელი, (2015 წელს მოხდა 45 მასწავლებლის გადამზადება) შემდგომ კი მათ მიერ მოხდა აბიტურიენტებს მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

საქართველოს მთავრობა ცდილობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პედაგოგებსა და მოსწავლეებს განსაკუთრებული პირობები შეუქმნას, ხოლო სტუდენტებისათვის მაქსიმალური შეღავათები დააწესოს.

„ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015 წელს გალის რაიონის 29 სკოლის პედაგოგი და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი და ახალგორის მუნიციპალიტეტის 7 სკოლის პედაგოგი და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი უზრუნველყო ყოველკვარტალური ფინანსური დახმარებით.

„1+4“ პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობა საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე.

> *<u>საქმიანობა:</u> 19.2.2.2. ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტებისათვის საქართველოს სასწავლებლებში განათლების მისაღებად მაქსიმალური შეღავათების დაწესება*

<u>ინდიკატორი:</u> ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისა და სტუდენტების რაოდენობა საქართველოს სასწავლებლებში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამა ითვალისწინებს იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014 წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 189 სტუდენტმა, ხოლო 2015 წელს - 198 სტუდენტმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი პროგრამის ფარგლებში 2015 წელს სახელმწიფო სასწავლო გრანტი მიენიჭა სამ სტუდენტს, რომლებმაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე განაგრძეს სწავლა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ამოცანა: 19.2.3. გამყოფ ხაზებზე ადამიანების თავისუფალი მიმოსვლის, ხალხთა შორის კონტაქტების წახალისება, ნათესაური კავშირების შენარჩუნება; მავთულხლართებისა და სხვა ბარიერების აღმართვის პროცესით შექმნილი პრობლემების აღმოფხვრა

> *<u>საქმიანობა:</u> 19.2.3.1. გამყოფ ხაზებთან მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ჩართულობისა და რეაგირების მობილიზება მავთულხლართების აღმართვის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობისთვის ამით შექმნილი პრობლემების მოგვარებისათვის; ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და IPRM მექანიზმის გამოყენება*

<u>*ინდიკატორი:*</u> გამყოფ ხაზებზე გადაადგილებულ პირთა რაოდენობა; საერთაშორისო რეზოლუციები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ოკუპაციის ზოლის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე შსს რეგულარულად ახდენს ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) ინფორმირებას ე. წ „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, განიხილავს ამ ფაქტებს IPRM-სა და ჟენევის დისკუსიების ფორმატში. შინაგან საქმეთა სამინისტრო სთავაზობს და დაინტერესების შემთხვევაში უზრუნველყოფს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა და ქვეყნის მოწვეულ წარმომადგენელთა ვიზიტს საოკუპაციო ზოლთან რათა ისინი ადგილზე გაეცნოს არსებულ ვითარებას და დააფიქსიროს არსებული პრობლემები, რითაც ხელს შეუწყობს პრობლემების ინტერნაციონალიზაციას მათი დიპლომატიური გზებით გადაჭრის მიზნით.

გალის IPRM-ის მექანიზმის ჩაშლის მიზეზი გახდა აფხაზური მხარის მიერ გადადგმული პროვოკაციული ნაბიჯები და პოლიტიკური მოთხოვნები. ქართული მხარე, გამოდის რა ოკუპაციის ზოლის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების უფლებების ეფექტური დაცვის ღირებულებიდან, აქტიურად განიხილავს ფორმატის აღდგენის გზებს, ისე რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესები არ იქნას შელახული. ბოლო პერიოდში გამონახული იქნა რიგი კომპრომისები, რომლებიც ფორმატის ახლო მომავალში აღდგენის იმედს გვიტოვებს.

> *<u>საქმიანობა:</u> 19.2.3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და საქართველოს მოქალაქის სამგზავრო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ოკუპირებულ ტერიროტიებზე მცხოვრები მოსახლეობაზე. (მათ შორის სტატუს ნეიტრალური დოკუმენტების)*

<u>ინდიკატორი:</u> საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთა რაოდენობა (მათ შორის სტატუს ნეიტრალური დოკუმენტების)

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 2014-2015 წლებში აფხაზეთის ა/რ, ცხინვალისა და ახალგორის რაიონში რეგისტრირებულ პირებზე გაცემულ იქნა შემდეგი სახის დოკუმენტები: პირადობის მოწმობა, პასპორტი, პირადობის ნეიტრალური მოწმობა, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

2014 წელს აფხაზეთში რეგისტრირებულ პირებზე გაცემულ იქნა 14766 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, 9447 პასპორტი, 27 პირადობის ნეიტრალური მოწმობა და 2 ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი. 2015 წელს აფხაზეთში რეგისტრირებულ პირებზე 13822 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, 10857 პასპორტი, 27 პირადობის ნეიტრალური მოწმობა და 3 ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

2014 წელს ახალგორში რეგისტრირებულ პირებზე გაცემულ იქნა 1437 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და 261 პასპორტი, ხოლო 2015 წელს 610 პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და 219 პასპორტი

2014 წელს ცხინვალის რეგიონში რეგისტრირებულ პირებზე გაცემულ იქნა 1580 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და 585 პასპორტი ხოლო 2015 წელს 1879 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი 562 პასპორტი და 1 პირადობის ნეიტრალური მოწმობა

ამოცანა: 19.2.4. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისათვის მძიმე ჰუმანიტარული შედეგების შემსუბუქება, ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის, სხვადასხვა ფორმის დისკრიმინაციისა და ძალადობის, მათ შორის ყაჩაღობის, გატაცებისა და გამოძალვის შემთხვევების აღმოფხვრა

<u>საქმიანობა:</u> 19.2.4.1. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის არსებული მექანიზმებით (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და IPRM მექანიზმი); საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის; მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებაზე მუშაობა

<u>ინდიკატორი:</u> საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა და ჩართულობა შესაბამისი მექანიზმებით ადამიანის უფლებების დაცვისათვის; კრიმინალური ფაქტების სტატისტიკის შემცირება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობდა ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის (როგორც ცალკეული სახელმწიფოებისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის) მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მექანიზმით 1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე; 2. მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და 3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე.

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის მიწოდება ზემოაღნიშნულ საკითხებზე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებისათვის და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების მეშვეობით ადგილსამყოფელი სახელმწიფოების შესაბამისი უწყებებისათვის. მუდმივად ხდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროპის საბჭოს, ევროკავშირი და ეუთო) არსებული ფორმატების გამოყენება, რათა განახლებული ინფორმაცია მიწოდებოდა ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს და ორგანიზაციის სამდივნოს აღნიშნულ საკითხებზე.

განხორციელდა რიგი დელეგაციების ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე ზონებში, მათ შორის საოკუპაციო ხაზთან იმყოფებოდა გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი გაერო-სთან აკრედიტებული ელჩების ჯგუფი, ეუთო-ს გენერალური მდივანი ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთოს უმაღლესი კომისარი, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორი, ეუთო-სთან აკრედიტებული ელჩების ჯგუფი.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები

საანგარიშო პერიოდში ჟენევის საერთაშორისო მოლაპარკებების არსებული ფორმატის გამოყენებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის. კერძოდ კი, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მეორე ჰუმანიტარული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ქართული მხარის ინიციატივით განიხილებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლება და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების დარღვევები, როგორიც არის საოკუპაციო ხაზის ე.წ. „ბორდერიზაციით“ გამოწვეული თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვები და უკანონო დაკავებები, ინტეგრაციის შესახებ ე.წ. „ხელშეკრულებების“ იმპლიკაციები ადგილობრივი მოსახლეობის ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა, უკანონო გატაცებები, ასევე კულტურული და რელიგიური ძეგლების მდგომარეობა.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ორივე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში რეგულარულად აღინიშნებოდა ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმის, ასევე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგის მექანიზმის შექმნის აუცილებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დამატებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა ახალი მექანიზმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობაზე და მავთულხლართების აღმართვის პროცესზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით.

1. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველკვარტალური ანგარიშები

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რაც გამოიხატება ადამიანების წამებასა და არასათანადოდ მოპყრობაში და უკანონო დაკავებაში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია თავისუფალი გადაადგილების უფლება, მასიურად დარღვეულია საკუთრების უფლება და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლება. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების დამონტაჟებამ აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.

2015 წლის 1 იანვრიდან საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ყოველკვარტალური ანგარიშების მომზადება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ანგარიშები მზადდება ინგლისურ ენაზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამეგობრობის უკეთ ინფორმირებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ანგარიშები ასევე მოიცავს ინფორმაციას მავთულხლართების აღმართვის პროცესის უარყოფით გავლენაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებებზე.

სამინისტროს ანგარიშები მზადდება ღია წყაროებზე დაყრდნობით და ახდენს არსებული ინფორმაციის კონსოლიდაციას და ანალიზს ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების დარღვევის კუთხით. ანგარიშების მომზადების მიზანია გაგრძელდეს და გაძლიერდეს საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე. ანგარიშები მზადდება საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით.

სამინისტროს მიერ მომზადებული ყოველკვარტალური ანგარიშები ეგზავნება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების მეშვეობით ადგილსამყოფელი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სხავადასხვა ორგანოებსა და ინსტიტუტებს. საქართველოს დიპლომატიური მისიების მეშვეობით, აღნიშნული ანგარიშების გავრცელება ხდება გაერო-ს, ევროპის საბჭოსა და ეუთო-ს სხვადასხვა ორგანოებში. აღნიშნული ანგარიშები ასევე მიეწოდება იმ საერთაშორისო არასამათავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებებზე.

2016 წლის იანვრის მდგომარეობით მომზადდა სამი ასეთი ანგარიში. მეოთხე ანგარიში, რომელიც მოიცავს 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერ პერიოდს მზადების პროცესშია.

2. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)

გაერო-ს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-2 ციკლის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებულ ეროვნულ ანგარიშში საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეტანილ იქნა თავი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. აღნიშნულმა დიდ წილად განაპირობა ის, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) განხილვის ფარგლებში 10 ნოემბერს, 12 სახელმწიფო (ავსტრია,

ავსტრალია, აშშ, გაერთიანებული სამეფო, ესტონეთი, კოსტა რიკა, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, პოლონეთი, სლოვენია, უკრაინა) თავის გამოსვლაში სხვადასხვა ფორმით შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობას და ხაზი გაუსვა საერთაშორისო მონიტორინგის აუცილებლას.

3. გაერო-ს სახელშეკრულებო ორგანოებში წარდგენილი სახელმწიფო ანგარიშები

საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით მომზადებულ „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ შესრულების შესახებ გაერთაინებულ მე-6, მე-7 და მე-8 ანგარიშსა და „ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის“ შესრულების თაობაზე საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას.

4. ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრა (HDIM).

2015 წლის 21 სექტემბერს - 2 ოქტომბერს ქ. ვარშავაში გაიმართა ეუთო-ს ადამიანური განზომილების იმპლემენტაციაზე შეხვედრა (HDIM). აღნიშნული შეხვედრის ფორმატში, კერძოდ კი 29 სექტემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გაიმართა სპეციალური ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას. ღონისძიების დროს გაიმართა პრეზენტაცია და ინფორმაცია მიეწოდა დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. შემდეგ გაიმართა დისკუსია აღნიშნულ თემაზე. ღონისძიებას ესწრებოდა დიპლომატიური კორპუსის ფართო სპექტრი, ეუთოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

5. საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგი

საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის 2015 წლის ივნისის შეხვედრის დღის წესრიგში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეტანილ იქნა საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. შესაბამისად, დიალოგის ფარგლებში ინფორმაცია მიეწოდა ევროკაშირის მხარეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე ადამიანის უფლებათა დარღვევების კუთხით, რასაც მოჰყვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

6. საქართველო-ევროკავშირის სტრატეგიული დიალოგი

2015 წლის 1 აპრილს შედგა სტრატეგიული დიალოგი ევროკავშირთან, რომლის დროსაც, უსაფრთხოების საკითხებთან ერთად, ფართოდ იქნა განხილული ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა.

7 . საქართველო-ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დიალოგი

საქართველო-ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დიალოგის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართა 2015 წლის 8 სექტემბრის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეტანილ იქნა საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. შესაბამისად, დიალოგის ფარგლებში ინფორმაცია მიეწოდა ბრიტანულ მხარეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე ადამიანის უფლებათა დარღვევების კუთხით, რასაც მოჰყვა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

8. ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის გადაწყვეტილება

2015 წლის 12 მაისს ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა მიიღო ქართული მხარის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, მინისტრთა მოადგილეების კომიტეტმა „გამოხატა სერიოზული შეშფოთება რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის გაგრძელების გამო, რაც სხვა საკითხებთან ერთად, არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების, საკუთრების, ოჯახური ცხოვრებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას;“

9. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის კონსოლიდირებული ანგარიშები კონფლიქტზე საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ყოველ 6 თვეში ამზადებს კონსოლიდირებულ ანგარიშს კონფლიქტზე საქართველოში. თითოეული ანგარიში, რომელიც მომზადდა საანგარიშო პერიოდში მოიცავს სამ კომპონენტს: ადამიანის უფლებების მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ რუსთისა და საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და ნდობის აღდგენის პროექტები.

10. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია

2015 წლის 3 ივნისს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მორიგი „რეზოლუცია აფხაზეთიდან/საქართველო, ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი/საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სტატუსზე“.

აღნიშნული რეზოლუციის პირველი პუნქტის თანახმად აღიარებულია ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და დევნილის, მათი შთამომავლების უფლება, მიუხედავად ეთნიკური ჯგუფისა, დაბრუნდეს საკუთარ სახლში მთელი საქართველოს მასშტაბით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ჩათვლით“. არეზოლუცია სევე აღნიშნავს დევნილი მოსახლეობის საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას, გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს და ხაზს უსვამს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების გადაუდებელ აუცილებლობას. გარდა ამისა, რეზოლუცია მოუწოდებს გაერო-ს გენერალურ მდივანს, ყოველწლიურად მოახსენოს გენერალურ ასამბლეას საქართველოში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მდგომარეობა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მონიტორინგის არარსებობის ფონზე. მნიშვნელოვანია, რომ რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს და 2015 წელს რეზოლუციის მომხრეთა რიცხვი 75 სახელმწიფომდე გაიზარდა.

11. გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიერ მომზადებულ მეშვიდე პერიოდულ ანგარიშზე

2015 წლის 28 აპრილს გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო დასკვნა რუსეთის ფედერაციის მიერ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო პაქტის განხორციელებაზე. აღნიშნული დასკვნის მე-6 პუნქტში საუბარია რუსეთის ვალდებულებაზე გამოიძიოს საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი სამხრეთ ოსეთის რეგიონში რუსეთის ფედერაციის მოქმედების შედეგად დარღვეული ადამიანის უფლებათა ფაქტები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში (2014 წლის ივლისი - 2015 წლის დეკემბერი) საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობის შედეგად i. შემუშავდა დამატებითი ეფექტიანი მექანიზმები ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობაზე და მავთულხლართების აღმართვის პროცესზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირების მიზნით; ii. ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიღებულ რამდენიმე ათეულ განცხადებაში/რეზოლუციაში/ანგარიშში/გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა პოზიციები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მძიმე მდგომარეობაზე და მავთულხლართების აღმართვის პროცესზე; iii. საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გრძელდებოდა პოზიციის დაფიქსირებისა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედების აუცილებლობაზე.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
10	6	4	0

20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

მიზანი: 20. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

ამოცანა: 20.1. საკანონმდებლო გარემოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; შშმ პირთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 20.1.1. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავება და მიღება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შშმ პირებთან დაკავშირებული ასპექტები

<u>ინდიკატორი:</u> ანტიდისკრიმინაციული კანონი ინიცირებულია; სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კანონი მიიღო, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 7 მაისს. "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს.

დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხვედველობის უფლებამოსილება კანონის თანახმად, დაეკისრა საქართველოს სახალხო დამცველს. კანონით დაკისრებული უფლებამოსილების შესასრულებლად სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი. დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სახალხო დამცველს უფლება აქვს გამოსცეს რეკომენდაცია, ზოგადი წინადადება, მიმართოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელებით და "სასამართლოს მეგობრის" მოსაზრებით.

<u>საქმიანობა:</u> 20.1.2. შეზღუდული შესაძლებლობის შეფასებისა და სტატუსის მინიჭების სისტემის რეფორმირება და სოციალურ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლის პროცესის გაგრძელება

<u>ინდიკატორი:</u> შშმპ სტატუსის მინიჭების ახალ მოდელზე გადასვლისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია; დაწყებულია დანერგვა

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ პირთა) სტატუსის მინიჭების ახალი მოდელის დანერგვის მიზნით, 2015 წლის დეკემბრის თვეში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახელმწიფო უწყებების, სახალხო დამცველის აპარატის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. 2015 წლის 4 დეკემბერს ჯგუფის შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო ექსპერტებით დაკომპლექტებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს წინადადებებს და რეკომენდაციებს სტატუსის მინიჭების ახალი მოდელის საწყის ეტაპზე პილოტირების და შემდეგ მისი სრულად დანერგვის მიზნით. საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის წევრებს ეთხოვათ წარმოადგინეთ შესაბამისი კანდიდატურები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებდნენ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში. აღნიშნული პროცესს ტექნიკურ დახმარებას უწევს გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). შეფასების სისტემის ახალი მოდელის პილოტირება სავარაუდოდ დაიწყება 2016 წლის მიწურულს, სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი წინადადების და რეკომენდაციების საფუძველზე.

<u>საქმიანობა:</u> 20.1.3. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შშმ პირების ჩართულობის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> შშმ პირების ან მათი წარმომადგენელების მონაწილეობით ხდება გეგმების და პროგრამების შემუშავება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან უზრუნველყოფილია, შშმ პირების და შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა შშმ პირებთან დაკავშირებული სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების და პროგრამების შემუშავებისას. ამასთან, შშმ პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე 10 არასამთავრობო ორგანიზაცია არის წარმოდგენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოში, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოს შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ასევე, გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მექანიზმს.

<u>საქმიანობა:</u> 20.1.4. სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან (გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა)

<u>ინდიკატორი:</u> კანონმდებლობის ცვლილება კონვენციის შესაბამისად დაწყებულია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზირების მიმართულებით, აღსანიშნავია

„ქმედუნარიანობის სისტემის“ რეფორმის ფარგლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.

განხორციელებულ ცვლილებებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქმედუუნარობის საფუძვლად მიიჩნეოდა პირის „ჭკუასუსტობა ან „სულით ავადმყოფობა“. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის ქმედუუნაროდ აღიარება ხდებოდა სასამართლოს მიერ, რომლისადმი მიმართვის უფლება ქონდა პირის ოჯახის წევრს, მის კანონიერ წარმომადგენელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან ფსიქიატრიულ დაწესებულებას. სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველი გახლდათ პირის ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი. დიაგნოზის დადასტურების მიზნით, სასამართლოს მხრიდან ინიშნებოდა სასამართლო-ფსიქიატრული ექსპერტიზა და დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში ხდებოდა მისი ქმედუუნაროდ აღიარება. ქმედუუნაროდ აღიარების შემდეგ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ვალდებული იყო დაენიშნა პირის მეურვე. სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის თანახმად, მეურვე განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარ-მოადგენდა სამეურვეო პირის უფლებებსა და ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის - სასამართლოშიც. ქმედუუნაროდ აღიარებისთანავე პირს ავტომატურ რეჟიმში ერთმეოდა რიგი სამოქალაქო უფლებები: საკუთრების შეძენის და გასხვისების უფლება, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ასევე, ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებად მიიჩნეოდა და დაქორწი-ნება არ დაიშვებოდა იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი იყო ცნობილი ქმედუუნა-როდ. ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არ ჰქონდა საკუთარი მკურნალობის ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1254-ე მუხლისა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად ქმედუუნაროდ ცნობა მიიჩნეოდა ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ბავშვის გაშვილების სამართლებრივ საფუძვლად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, (საქმის დასახელება - ირაკლის ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფსიქიური დაავადებების გამო შშმ პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყო საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-16, მე-18, 36-ე, 42-ე მუხლებთან მიმართებაში საკანონმდებლო ნორმების შეცვლა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისგან გამომდინარე 67 კანონში. რეფორმის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა 200-მდე კანონქვემდებარე აქტში. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, სამოქალაქო კოდექსში ქმედუუნარო პირის ნაცვლად შემოვიდა ახალი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის“ (მხარდამჭერის მიმღები) ცნება. ამავე კანონის თანახმად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე არის პირი, მყარი ფსიქიკური, გონებრივი ინტელექტუალური დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობის მიზნით, ექსპერტიზა ტარდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 29 მაისის N01-16/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების წესისა და სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული წესის თანახმად, ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანოა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (ქალაქი თბილისი) და მისი ორი ტერიტორიული ერთეული: დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დე-პარტამენტი ქალაქ ქუთაისში და აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი ქალაქ

ბათუმში. გამოსაკვლევი პირის ფსიქიატრიულ, სოციალურ-საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-შრომით და ფსიქოლოგიური მონაცემების კომპლექსურ შეფასებას ახორციელებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ოკუპაციური თერაპევტი. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის და მათი დაკითხვის საფუძველზე სასამართლო ნიშნავს მხარდამჭერს. (მხარდამჭერებს) სასამართლოს შეუძლია პირს მხარდამჭერი დაუნიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს უფლება, რომლით სარგებლობისთვისაც უწესდება პირს მხარდაჭერა, აგრეთვე მხარდაჭერის ფარგლები.

ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება ეზღუდებათ მხოლოდ მხარდაჭერის მიმღებ იმ პირებს, რომლებიც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოთავსებულნი არიან სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუწესდა მხარდაჭერა საპროცესო წარმომადგენლობის განსახორციელებლად, სასამართლო ვალდებულია ასეთი საქმე განიხილოს მხარდაჭერის მიმღებისა და მისი მხარდამჭერის სავალდებულო მონაწილეობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის თანახმად, თუ ერთ-ერთი მეუღლე მაინც მხარდაჭერის მიმღებია, ქორწინების რეგისტრაციამდე აუცილებელია დაიდოს საქორწინო ხელშეკრულება. კანონმდებლობის შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია მეურვების და მზრუნველობის ორგანოს და მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. ამასთან, განხორციელებული ცვლილებების შედეგად გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი არ ენიჭებათ მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობილი მშობლის (მშობლების) შვილებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1508[1] შესაბამისად ქმედუუნაროდ აღიარებული პირების სტატუსის გადასინჯვის გარდამავალ პერიოდად განისაზღვრა 5 წელი. კერძოდ, 2015 წლის 1 აპრილიდან 4 წლის განმავლობაში ქმედუუნარო პირების მეურვეები ვალდებულები არიან მიმართონ სასამართლოს ინდივიდუალური შეფასებისათვის და მხარდაჭერის ხარისხის დადგენისათვის. სტატუსის შეცვლამდე მეურვეები განაგრძობენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას. ამავე მუხლის შესაბამისად სტაციონალური ფსიქიატრული დაწესებულებები ვალდებულები არიან 2 წლის ვადაში მიმართონ სასამართლოს, ხოლო სპეციალიზებული დაწესებულებს განსაზღვრული აქვთ 4 წლის ვადა. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ვადებში არ მოხდა სასამართლოსადმი მიმართვა მეურვეობისა და მზრუნველების ორგანო ვალდებულია სტაციონარული ფსიქიატრიული დაწესებულების შემთხვევაში ვადის გასვლიდან 2 წელში, ხოლო დარჩენილ 2 შემთხვევაში ვადის გასვლიდან 1 წელში მიმართოს სასამართლოს ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ინდივიდუალური შეფასების მიზნით. (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1508[3])

2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ქმედუუნაროს სტატუსი შეეცვალა და მხარდაჭერის მიმღები გახდა 49 პირი, პირველადი მიმართვის საფუძველზე მხარდაჭერის მიმღების სტატუსი დაუდგინდა - 183 პირს. 2015 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ქმედუუნარო პირის სტატუსი უნარჩუნდება 3109 პირს.

ამოცანა: 20.2. ცნობიერების ამაღლება

<u>საქმიანობა:</u> 20.2.1. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე (მედია-საშუალებათა პერსონალის, მათ შორის ჟურნალისტების ინფორმირება და ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე)

<u>ინდიკატორი:</u> დატრენინგებულია მინიმუმ 30 ჟურნალისტი

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს ორგანიზებით არ ჩატარებულა შესაბამისი ტრენინგი ჟურნალისტებისათვის.

ამოცანა: 20.3. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 20.3.1. საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და მომსახურების, მათ შორის საჯარო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესის აქტიურად წარმართვა

<u>ინდიკატორი:</u> მიღებულია ტექნიკური რეგლამენტი; ხორციელდება ახალი სამშენებლო სტანდარტების ზედამხედველობა; შემუშავებულია გაუმჯობესებული ფიზიკური გარემოს მაჩვენებელი სტატისტიკა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტი.

ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს, შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინებას, პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში. ამ მოთხოვნათა დაცვა და შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის, რომელიც ამუშავებს დასახლებულ ადგილთა გეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს ან ახდენს მათ რეალიზაციას.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“-ს მიერ შემუშავებული მშენებლობის ნებართვა გაიცემა მე-5 კლასის ობიექტებზე, (კერძოდ: ჰიდროელექტრო სადგურებზე, ანძებზე, საავტომობილო გზებზე და ა.შ.), საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე ნებართვის გაცემისას სააგენტო არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადებისას ითვალისწინებს შშმ პირთა გადაადგილების საჭირო პირობებს (ლიფტებს, პანდუსებს და ა.შ.).

<u>საქმიანობა:</u> 20.3.2. საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა შესაბამისი რეგულაციების შემუშავების და დანერგვის გზით

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია და მოქმედებს ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებების და ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისათვის საჭირო ნორმები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საავტომობილო ტრანსპორტი:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოამზადა საქართველოს კანონის პროექტი „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. კანონპროექტი ითვალისწინებს საავტომობილო ტრანსპორტის დარგში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების კერძოდ – „მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესი“– ს და „ავტოსადგურის ფუნქციონირების წესისა და პირობები“- ს გადამუშავებას და ზემოთ აღნიშნულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

ტექნიკური რეგლამენტების პროექტებში გათვალისწინებულია სამგზავრო ავტოსადგურებში შშმ პირთათვის მომსახურების სავალდებულო პირობების უზრუნველყოფა. კერძოდ, ავტოსადგურისთვის სავალდებულო გახდება მისი მიმდებარე ტერიტორია და ავტოსადგურში ტექნოლოგიური მომსახურების სხვადასხვა კვანძები (საპირფარეშო, ბაქანი, მოსაცდელი დარბაზი და სხვა) აღჭურვილი იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილებისა და მათი მომსახურებისათვის საჭირო პირობებით.

გამომდინარე იქიდან, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა აღნიშნული კანონპროექტის მიღება, ამჟამად „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში დამატებით მიმდინარეობს „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის განახლებულ ვარიანტზე მუშაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის პროცესის დაჩქარების მიზნით, „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მხრიდან საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, კანონქვემდებარე აქტების დონეზე მოხდება, (ცვლილებები შესაბამის ტექნიკურ რეგლამენტებში) შშმ პირებისათვის, სავალდებულო პირობების უზრუნველყოფა.

სამოქალაქო ავიაცია:

სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების ფარგლებში, შეიმუშავა და დანერგა ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 5 ივლისის N107/2006 რეზოლუციის შესაბამისად „საჰაერო გადაყვანა - გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ-„სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 30 იანვრის N16 ბრძანებით (აღნიშნული წესი ძალაშია 2013 წლის პირველი აპრილიდან). წესში ასახული მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ახორციელებს ავიაგადამზიდველების და საქართველოს აეროპორტების მუდმივ მონიტორინგს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომსახურების განხორციელების კუთხით. სააგენტოს მიერ ასევე, ხორციელდება მუდმივი ზედამხედველობა საავიაციო ობიექტების მშენებლობაზე, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ის სტანდარტები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით.

ამასთან, „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“ შეთანხმების შესაბამისად, საქართველო ვალდებულია მოახდინოს მომხმარებელთა დაცვისა და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებული ევროპული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვა ქვეყანაში. აღნიშნული ვალდებულების ფარგლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი და ახორციელებს მათი მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას, კერძოდ:

მგზავრების კომპენსაციის გაცემის და დახმარების აღმოჩენის, ასევე, ძირითადი უფლებების შესახებ მგზავრთა და მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულების გამყარების მიზნით,

N261/2004 რეგულაციის საფუძველზე, სააგენტოს მიერ 2012 წელს ამოქმედდა წესი, რომელიც განსაზღვრავს საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევებში, მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის საკითხებს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლაზე. წესის თანახმად ავიაკომპანიები ვალდებულები არიან (თუ შესაძლებელია) მოახდინონ მგზავრის წინასწარი ინფორმირება ფრენის გაუქმების შესახებ და შესთავაზონ ალტერნატიული მარშუტები. მგზავრს ასევე, უფლება აქვს დაიბრუნოს ბილეთის საფასური ან აირჩიოს სასურველი ალტერნატიული მიმართულება და მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია ფრენის გაუქმების შემთხვევაში. წესის თანახმად, მგზავრს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ფრენის დაგვიანების ან გაუქმების შესახებ წერილობითი (ელ-ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის), ხოლო უსინათლო და ახლომხედველ მგზავრებს კი ალტერნატიული საშუალებით. 2014-2015 წლებში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ მუდმივად მიმდინარეობდა წესის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა.

შშმ პირთა მიერ თანაბარი შესაძლებლობების განხორციელების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი სრული ჩართულობის უზრუნველყოფის, ასევე შშმ პირთათვის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, N1107/2006 რეგულაციის საფუძველზე სააგენტოს მიერ შემუშავებულია წესი „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ“, რომელიც ძალაშია 2013 წლის აპრილიდან. აღნიშნული წესის მიზანია, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გარანტირებული სრულყოფილი დახმარების აღმოჩენა და დისკრიმინაციისგან დაცვა, ასევე, მათთვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა, პროცედურების გამარტივება და ოპერატორის/ავიასაწარმოს მიერ მომსახურების უზრუნველყოფა შესაბამისი ეტლით, მგზავრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. აღნიშნულ წესში მოცემული მოთხოვნების შესრულების მიზნით, სააგენტო 2013-2015 წლებში ახორციელებდა ავიაგადამზიდველების და საქართველოს აეროპორტების მუდმივ მონიტორინგს შშმ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებით. მონიტორინგის შედეგების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო აეროპორტები დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაშია, რაც შეეხება შიდა საჰაერო გადაზიდვების აეროპორტებს, მიმდინარეობს შშმ პირთა მომსახურებისათვის აუცილებელი პირობების და ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება.

სარკინიგზო ტრანსპორტი:

სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2014 წელს შესყიდულ იქნა შშმ პირთა ეტლები ვაგონში ასასვლელად საჭირო 8 ერთეული დამხმარე დაფა (ე.წ. „რამპა“) საერთო ღირებულებით 11040 ლარი, რომლებიც დამონტაჟებულია ყველა ჩქარ ელექტრომატარებელში და შესაძლებელია სარგებლობა საჭიროების შესაბამისად.

ამოცანა: 20.4. ინდივიდუალური მობილურობის ხელშეწყობა

> *<u>საქმიანობა:</u> 20.4.1.შშმ პირთა დამოუკიდებელი გადაადგილებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფილია საჭიროების მქონე პირები, რომლებმაც მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას;
ბ) საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფას;
გ) სმენის აპარატებით უზრუნველყოფას;
დ) კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფას;
ე) ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფას.

2014-2015 წლების განმავლობაში დამხმარე საშუალებების ბენეფიციარებზე გაცემის სტატისტიკური მონაცემები არის შემდეგი:

2014 წელი - მექანიკური სავარძელ-ეტლი - 409 ერთეული; - 2015 წელი - 405;
2014 წელი - ელექტრო სავარძელ-ეტლი - 110; - 2015 წელი - 32;
2014 წელი - საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებები - 988; - 2015 წელი - 756;
2014 წელი - სმენის აპარატი - 1341; - 2015 წელი - 1465;
2014 წელი - კოხლეარული იმპლანტი - 26; - 2015 წელი - 20;
2014 წელი - ხელჯოხ-ყავარჯენი, ყავარჯენი, უსინათლოთა ხელჯოხი, გადასაადგილებელი ჩარჩო - 162; - 2015 წელი - 199.

ამოცანა: 20.5. აზრისა და შეხედულებების გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 20.5.1. შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმით ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> გაუმჯობესებულია ინფორმაციის მიღების და გავრცელების საშუალებები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2015 წელს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შორის დაიწყო კონსულტაციები აუდიოვიზუალური მომსახურების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განხორციელდა კვლევა, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზს, სამაუწყებლო კომპანიების მიერ შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი ფორმატით ეთერში განთავსებული გადაცემების შესახებ ინფორმაციას და მხედველობის და სმენის არმქონე შშმ პირებისთვის აუდივიზუალური მომსახურებების მიწოდების კუთხით საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზს. მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო 2016 წელს გეგმავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნას. სამუშაო ჯგუფის მხრიდან მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც შშმ პირთათვის ადაპტირებული მედია პროდუქტების რაოდენობის ზრდის მიზანს მიემართება.

ამოცანა: 20.6. განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 20.6.1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული დოკუმენტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის პრინციპებთან ჰარმონიზირების მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ტექნიკური დახმარებით შეიმუშავა, ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი. 2016 წლისთვის დაგეგმილია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში.

<u>საქმიანობა:</u> 20.6.2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლების დაფინანსების ადექვატური სისტემის დანერგვა

<u>ინდიკატორი:</u> სათანადო სამართლებრივი დოკუმენტები და ანგარიში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის N9 დადგენილებაში ,,ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ნოემბრის N281 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საჯარო სკოლებს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის გამოეყოფათ დამატებითი დაფინანსება შემდეგი ოდენობით:

- 1-დან 6-ის ჩათვლით სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის სწავლებისათვის - 4200 ლარი;
- 7-დან 13-ის ჩათვლით სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის - 8400 ლარი:
- 14-დან 23-ის ჩათვლით სსსმ მოსწავლის სწავლებისათვის - 12600 ლარი;
- 23-ზე მეტი სსსმ მოსწავლის სწავლისათვის - 16800 ლარი.

საქართველოს მოქალაქეებისთვის, პროფესიული განათლების მიღება, სახელმწიფოს მიერ ან/და მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დაფინანსების მიღების წინაპირობას წარმოადგენს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება. პირები, რომელთაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების შედეგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება უდასტურდებათ, თავისუფლდებიან ზემოაღნიშნული ტესტირებისგან და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, იღებენ 100% სახელმწიფო დაფინანსებას, სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით (2013 წლის 23 აგვისტოს N218 და 2015 წლის 27 აგვისტოს N449 დადგენილებები) დამტკიცებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტის დაფინანსების წესი ითვალისწინებს, იმ სტუდენტთა დაფინანსებას უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების (ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის) საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შშმ პირები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ფინანსდებიან 4-6 წლის განმავლობაში (პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით) სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობის (2250 ლარი) ფარგლებში. სოციალური პროგრამის ფარგლებში 2014 წელს სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა აღნიშნული კატეგორიის 37 სტუდენტმა, ხოლო 2015 წელს - 51 სტუდენტმა.

<u>საქმიანობა:</u> 20.6.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტები, განათლების ხარისხის შეფასების შესახებ კვლევები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2013 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში ნორვეგიის განათლებისა და კვლევების სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა. 2015 წლის მონაცემებით, თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ირიცხება სსსმ პირი. სსსმ სტუდენტთათვის ხარისხიანი პროფესიული განათლების მიწოდების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის სისტემურ მხარდამჭერ მექანიზმებს. სსსმ სტუდენტთა სასწავლო პროცესის მხარდაჭერის მიზნით, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაერთნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სსსმ პირთა ასისტენტები, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერები, ჟესტური ენის თარჯიმნები და სხვა სპეციალისტები. მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკურ გარემოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიქმნა არქიტექტურული პროექტები უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით 5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლის მიხედვითაც დაიწყო სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიწყო პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზრდა ინკლუზიური განათლების საკითხებში. 2013-2015 წლებში პროფესიული განათლების მისაღებად სასწავლებლებში ჩაირიცხა 246 სსსმ პირი. ასევე, 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის პირველ კვარტალში, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა კვლევა იმ გარემოებების გამოსავლენად, რაც ხელს უშლის სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს, რომ დაეუფლონ პროფესიულ განათლებას. მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფებს შორის იყვნენ შშმ და სსსმ პირები. კვლევის რეკომენდაციების საფუძველზე დაწყებულია მუშაობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კონცეფციის შემუშავების მიზნით.

„პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წლების სტრატეგიის“ ფარგლებში შემუშავებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სამართლებრივ საფუძვლებში - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებში (იხ. „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის # 492-ე ბრძანება „პროფესიული სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“) სავალდებულო კომპონენტად განსაზღვრულია - „რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის“, რაც პროგრამულ დონეზე უზრუნველყოფს სსსმ პირთა ხელმისაწვდომობას უწყვეტ და ხარისხიან პროფესიულ განათლებაზე.

2014-2015 წლებში ზოგადი განათლების საფეხურზე სასწავლო პროცესში (საჯარო სკოლებში) ჩართული სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 13.6.2.2-ის შესრულების ანგარიშში.

ამასთან, 2015 წლის მონაცემებით 9 ინტეგრირებული კლასი ფუნქციონირებს სხვადასხვა საჯარო სკოლაში: 1. სმენადაქვეითებული, 1 მრავლობითი დარღვევების მქონე, 6 აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის და 1 ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში. ზოგადი განათლების საფეხურზე, ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად, სკოლის მასწავლებლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი გზამკვლევებით. 2014 წელს უსინათლო მოსწავლეებისზთვის ყველა საგანში დაიბეჭდა სახელმძღვანელოები. ასევე, 2015 წელს უსინათლო მოსწავლეებისათვის შეიქმნა ტაქტილით დაბეჭდილი საგანმანათლებლო რესურსები ქიმიასა და ბიოლოგიაში. ამასთან, 2015 წელს

შემუშავდა ალტერნატიული კურიკულუმი მძიმე და მრავლობითი დარღვევის, სმენის არმქონე და უსინათლო მოსწავლეებისთვის, რომლის პილოტირებაც 2016 წელს დაიწყება. ასევე, ახალი შენობების მშენებლობის და არსებული შენობების რეაბილიტაციის პროექტები 2014 წლიდან მტკიცდება მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყებისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის) შესაბამისად. 2015 წლის მონაცემების საფუძველზე 764 საჯარო სკოლას აქვე პანდუსი, 97 ადაპტირებული საპირფარეშო და 8 საჯარო სკოლაში მუშაობს ლიფტი.

<u>საქმიანობა:</u> 20.6.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> მონიტორინგის მექანიზმის შესახებ შემუშავებული დოკუმენტი; სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და ორგანიზაცია "დეას" დახმარებით, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა სსსმ პირთა განათლების მონიტორინგის მექანიზმი, განათლების ყველა საფეხურისთვის. 2016 წლიდან მონიტორინგის ინსტრუმენტის დანერგვა დაგეგმილია განათლების ზოგად და პროფესიულ საფეხურებზე.

ამოცანა: 20.7. ჯანმრთელობის დაცვის თანაბარი გარემოს უზრუნველყოფა

<u>საქმიანობა:</u> 20.7.1. ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული დისკრიმინაციის გარეშე

<u>ინდიკატორი:</u> შშმ პირთა %, რომელთათვისაც ჯანმრთელობის დაცვის სერვისები ხელმისაწვდომია.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

შშმ პირთათვის ხელმისაწვდომია ჯანმრთელობის დაცვის სერვისები, რადგან ისინი ინტეგრირებულია არიან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ (ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ მოცემულია საქმიანობა 20.7.4.-ის შესრულების ანგარიშში).

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით, შშმ პირებისათვის ჯანმრთელობის დაცვის არსებულ სერვისებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია განსაკუთრებული მიდგომები მათი უსაფრთხო გადაადგილების კუთხით, რაც ასახულია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, როგორც სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობებში, ასევე, ამბულატორიული სერვისის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებში („სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 და „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებები, „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის №01-25/ნ ბრძანება).

<u>საქმიანობა:</u> 20.7.2. შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარეობათა მართვის გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> უწყების მიერ მომზადებული პერიოდული ანგარიშები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის დადგენილებით ყოველწლიურად მტკიცდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ღონისძიებების განხორციელება ამცირებს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკს. სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც მოიცავს ხსენებულ პრობლემატიკას, არის შემდეგი: დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი, ფსიქიკური ჯანმრთელობა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა; დიაბეტის მართვა; დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა.

ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით დამტკიცებულია გაიდლაინები და პროტოკოლები, რომლებიც ორიენტირებულია შშმ პირთა საჭიროებებზე. (მაგალითად: გაიდლაინი - „შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში“, პროტოკოლი - „გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“, პროტოკოლი - „დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების საწყისი შეფასება და მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“, პროტოკოლი - „ჰიდროცეფალიის სკრინინგი, დიაგნოსტიკა და მართვა პედიატრიული ასაკის პაციენტებში“, გაიდლაინი - „გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში“ და სხვ.).

საქართველო შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ხდება სახელმწიფო პროგრამების შესახებ ანგარიშების მომზადება, რომელიც ასევე, მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობით განპირობებული ჯანმრთელობის მდგომარების მართვის გაუმჯობესები კუთხით ინფორმაციას და ანალიზს.

<u>საქმიანობა:</u> 20.7.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> მომზადებული დოკუმენტები და გატარებული ცვლილებები

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შეფასება, გადახედვა და დახვეწა როგორც ბენეფიციართა მიზნობრიობის, ისე სერვისების მიწოდების, პროგრამის ადმინისტრირებისა და მართვის კუთხით. 2015 წელს სამინისტრომ მოახდინა საექსპერტო მომსახურების შესყიდვა სახელმწიფო პროგრამების შეფასებისა და ღრმა ანალიზისთვის. მიღებული ექსპერტული დასკვნები ასახული იქნება მომდევნო წლის სახელმწიფო პროგრამებში, რომელიც გავლენას მოახდენს პროგრამების მიზნობრიობის მართვის ეფექტიანობისა და ხარჯთეფექტურობის გაუმჯობესებაზე.

<u>საქმიანობა:</u> 20.7.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის 1 სექტემბრამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები სარგებლობდნენ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა შშმ პირებისთვის გეგმიურ ამბულატორიულ მომსახურების, გადაუდებელი სტაციონარული და ამბულატორიული სერვისების, გეგმიური ქირურგიული ოპერაციების, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის და მშობიარობის/საკეისრო კვეთის დაფინანსებას, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბრიდან სრულად, იგივე პირობებით და სერვისებზე ხელმისაწვდომობით არიან ინტეგრირებულნი საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“, რომლის ბენეფიციარია საქართველოს მთელი მოსახლეობა, გარდა 520 ათასამდე კერძო დაზღვევის მქონე ადამიანისა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს სამკურნალო საშუალებების ნაწილობრივ სუბსიდირებას (100 ლარი წლიური ლიმიტი 50%-იანი თანაგადახდით) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით (2010 წლის 26 თებერვლის №53/ნ) დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

ამოცანა: 20.8 აბილიტაცია და რეაბილიტაცია

<u>საქმიანობა:</u> 20.8.1. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის არსებული სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი:</u> აბილიტაცია-რეაბილიტაციის მომსახურების მიღება შეუძლია საჭიროების მქონე პირს

<u>საქმიანობა:</u> 20.8.2. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის ღონისძიებათა ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მომსახურების სტანდარტები (ახალი გაიდლაინები და პროტოკოლები) დამტკიცებულია; მომსახურება ხორციელდება დამტკიცებული სტანდარტების მიხედვით

<u>საქმიანობა:</u> 20.8.3. სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> შშმ პირების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაზრდილია

<u>საქმიანობა:</u> 20.8.4. აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება; შესრულების მდგომარეობა

<u>ინდიკატორი:</u> აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა, მოცვა და ეფექტიანობა გაზრდილია

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა პროგრამის მომწოდებელთა მომსახურების გეოგრაფული არეალი. გასულ წლებში მომსახურება ხორციელდებოდა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. 2014 წლიდან მოსახურება

ხორციელდება თბილისის 5 დაწესებულებაში, ასევე ქალაქ ქუთაისში, დაბა ჩაქვში, ქალაქ თელავსა და ქალაქ გორში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე, გაიზარდა მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა. ბენეფიციართა ოჯახების მხრიდან თანადაფინანსების წილი 2014 წლის აპრილის თვიდან შემცირდა 25%-დან 10%-მდე, ხოლო ნოემბრიდან სრულად გაუქმდა. პროგრამის ბიუჯეტი 2014 წელს შეადგენდა 1 424 530 ლარს, ხოლო 2015 წელს შეადგინა 1 651 600 ლარს. დაფინანსებული კურსების მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე ნაცვლად 5-ისა, განისაზღვრა 7-ით. ამასთან, დაფინანსებული კურსების რაოდენობა 4935-დან გაიზარდა 5295-მდე. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის ამოცანებია ბავშვთა ცერებრული დამბლის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის, დაუზუსტებელი) პირველადი დაზიანების, ჰემი, პარა და ტეტრაპლეგიის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების შედეგების, ანთებითი პოლინეიროპათიების შედეგების, პერიფერიული ნერვული სისტემის სამშობიარო ტრავმის შედეგების მქონე 3 წლისა და მეტი ასაკის (მათ შორის, მინდობით აღზრდაში/სააღმზრდელო დაწესებულებაში მყოფი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისა და აგრეთვე ამავე მდგომარეობების მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვების სპეციფიკური რეაბილიტაცია, აბილიტაცია, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამავე ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოადგენენ 18 წლამდე ასაკის პერტესის დაავადების მქონე ბავშვები.

> *<u>საქმიანობა:</u> 20.8.5. ადრეული ჩარევის სისტემის ფორმირება ბავშვთა აბილიტაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში*

<u>ინდიკატორი:</u> ადრეული ჩარევის მოდელი შექმნილია; ადრეული ჩარევის მომსახურება ხორციელდება საერთაშორისო პრაქტიკაზე დამყარებული დამტკიცებული მოდელის შესაბამისად

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის ან შშმ ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენცია. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან გონებრივი განვითარების შეფერხების (მათ შორის, დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა, აუტიზმი და სხვა) მქონე 0--დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა და პროგრამის დაფინანსება. წლების მიხედვით ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ბენეფიციართა (ერთდროულად სერვისის მიმღებთა) რაოდენობა და შესაბამისი ბიუჯეტები არის შემდეგი: 2013 წელი - ბენეფიციართა რაოდენობა - 130, ბიუჯეტი - 223 000 ლარი; 2014 წელი - ბენეფიციართა რაოდენობა - 350, ბიუჯეტი - 472 000 ლარი; 2015 წელი - ბენეფიციართა რაოდენობა - 495, ბიუჯეტი - 832 800 ლარი.

ამასთან, 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, დაინტერესებული პირების ჩართულობით შეიმუშავა ადრეული ჩარევის მომსახურების კონცეფცია და სტანდარტები, რომლის დამტკიცებაც იგეგმება 2016 წელს.

ამოცანა: 20.9. შრომის და დასაქმების ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 20.9.1. შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> სახალხო დამცველის ანგარიშები

<u>საქმიანობა:</u> 20.9.2. შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შესახებ მონაცემები

<u>საქმიანობა:</u> 20.9.3. შრომის ბაზარზე შშმ სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის გაზრდა

<u>ინდიკატორი:</u> შექმნილია შშმ პირების პროფესიული ორიენტაციის სისტემა, პროფესიული მომზადება-გადამზადება გავლილი აქვთ შშმ სამუშაოს მაძიებლებს, რომლებსაც აქვთ პროფესიული უნარების განვითარების საჭიროება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 აგვისტოს N451 დადგენილებით დამტკიცდა ,,სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა სწავლებითა და სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის პროექტის მე-3-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თანაბარ პირობებში, სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის უპირატესი უფლება სხვა მოწყვლად ჯგუფებთან ერთად, ენიჭებათ სსსმ და შშმ პირებს.

ამასთან, შრომის ბაზარზე შშმ პირთა დასაქმების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურეობის სააგენტოს რეგისტრაციის ერთიან ონლაინ სისტემაში (worknet.gov.ge) მიმდინარე ეტაპზე დარეგისტრირებულია 1218 შშმ პირი, რომელთაგან დასაქმდა 21 პირი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს ნორვეგიის მთავრობის დახმარებით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი. მხარდაჭერითი დასაქმების მოდელი გულისხმობს დაბალ კონკურენტუნარიანი, შშმ და სსსმ პირთა შრომის ღია ბაზარზე ჩართვას, დასაქმების კონსულტანტთა მხარდაჭერის გზით. აღნიშნული პროცესის ფარგლებში 2016 წლისთვის დაგეგმილია საქართველოს მასშტაბით 10 დასაქმების კონსულტანტის და ერთი კოორდინატორის შერჩევა. მხარდაჭერითი დასაქმების მოდელის პრინციპების ზედმიწევნით დაცვის მიზნით, დასაქმების სპეციალისტების რეკრუტირების და მათი გადამზადების პროცესს კოორდინირებას უწევს ევროკავშირის მხარდაჭერითი დასაქმების სააგენტოს (EUSE) ყოფილი პრეზიდენტი. შერჩეული დასაქმების კონსულტანტებისთვის 2016 წელს დაგეგმილია სასწავლო ვიზიტი მხარდაჭერითი დასაქმების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის და დასაქმების სპეციალისტების კომპეტენციის ამაღლების მიზნით. ამასთან, ევროკავშირის დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის (EUVEGE) ფარგლებში, 2016 წელს საქართველოში დაგეგმილია დასაქმების კონსულტანტებისთვის 2 ტრენინგის ჩატარება, რომლებიც მოიცავს შშმ პირთა უფლებების, შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების და სამუშაოს მაძიებლის კონსულტირების კომპონენტებს.

შშმ და სსსმ პირების პროფესიული განათლების კუთხით არსებული ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 20.6.3.-ის შესრულების ანგარიშში.

<u>საქმიანობა:</u> 20.9.4. შრომის ღირსეული, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ნორმები; ხორციელდება შრომის უსაფრთხო, ჯანსაღ გარემოზე სახელმწიფო ზედამხედველობა შემცირებულია იძულებული შრომისა და ტრეფიკინგის შემთხვევები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

ამ საქმიანობის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 21.4.4-ის შესრულების ანგარიშში.

ამოცანა: 20.10. სოციალური დაცვა

> *<u>საქმიანობა:</u> 20.10.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის უფლების განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით*

<u>ინდიკატორი:</u> შშმ პირთა საჭიროებები გამოვლენილია; მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, შშმ პირთათვის გათვალისწინებული მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადასტურებული და გამოვლენილი საჭიროებებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ ეფუძნება მოქალაქეების მომართვის საფუძველზე გამოვლენილ საჭიროებებს.

ამასთან, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტში სისტემატურად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული სერვისების განმახორციელებლების, შესაბამის სპეციალისტების, შშმ პირების და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს ქვეპროგრამების ეფექტურობის ზრდას და ქვეპროგრამების დაგეგმვისას შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას.

> *<u>საქმიანობა:</u> 20.10.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულობის, სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება*

<u>ინდიკატორი:</u> მომსახურებების სტანდარტები შემუშავებულია; მომსახურებები აკმაყოფილებს მოქმედი სტანდარტის პირობებს

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში არსებული ქვეპროგრამების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წელს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტში შეიქმნა მონიტორინგის სამმართველო. სამმართველოს ძირითადი ფუნქციაა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურებების არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და სერვისების მიმწოდებლებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

პროგრამების მონიტორინგის სამმართველომ 2015 წელს მონიტორინგი განახორციელა შშმ პირთა/ბავშვთა შემდეგ მომსახურებებში:

- შშმ პირთა დღის ცენტრში - 5 გეგმიური მონიტორინგი;
- შშმ ბავშვთა დღის ცენტრში - 7 მონიტორინგი;

- შერეული შშმ პირთა/ ბავშვთა დღის ცენტრში - 2 მონიტორინგი;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში - 12 მონიტორინგი, აქედან ინტეგრირებული შშმ ბავშვთათვის 2 სახლი;
- სათემო ორგანიზაციებში - 8 მონიტორინგი;
- სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შშმ პირთა პანსიონატებში - 3 მონიტორინგი.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მომსახურებებში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები: არასრულყოფილად წარმოებული დოკუმენტაცია მოქმედ სტანდარტებთან მიმართებაში; მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ფორმალური/არაფორმალური აქტივობების სიმცირე; ბენეფიციართა/პერსონალის არასათანადო ინფორმირებულობა; მომსახურებების გარკვეულ ნაწილში სანიტარია/ჰიგიენის არასათანადო დაცვა; მომსახურებების ნაწილში გამოვლინდა არსებული ფიზიკური გარემოს შეუთავსებლობა სამიზნე კონტიგენტის საჭიროებებთან.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ დღის ცენტრების მიერ უზრუნველყოფილია ბენეფიციართა (მათ შორის შშმ პირების) ბაზისური აკადემიური უნარების განვითარებაზე ზრუნვა. 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის გარდა, ამავდროულად ჩართულნი არიან ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში (ინკლუზიური განათლების პროგრამაში) და სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით. მეორე მხრივ, ბენეფიციართა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში (ინკლუზიური განათლების პროგრამაში) ჩართვა მეტწილად დამოკიდებულია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დღის ცენტრების მიერ უზრუნველყოფილია თითოეული ბენეფიციარის რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმების შედგენა/განხორციელება და უზრუნველყოფილია ბენეფიციართა ფსიქო-ფიზიკური, ყოფითი/ფუნქციონალური და სოციალური უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ბენეფიციართა შეფასება (ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი მხარეების, შესაძლებლობების და ა.შ.) ხორციელდება მომსახურების მულტიდისციპლინარული გუნდის (ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, დამხმარე), ან მოწვეული სპეციალისტის მიერ (მაგალითად, ოკუპაციური თერაპევტი). დღის ცენტრთა უმრავლესობა, ბენეფიციართათვის მომსახურების მიწოდებას ახორციელებს ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებით“ განსაზღვრული ნორმების დაცვით.

მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, მომსახურების მიმწოდებელს ეგზავნება ანგარიში, სადაც რეკომენდაციებთან ერთად მითითებულია რეკომენდაციების აღსრულების ვადები. არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მომსახურებას ეძლევა გონივრული ვადა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, პროგრამების მონიტორინგის სამმართველო მომსახურების მიმწოდებლისგან იღებს უკუკავშირს რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

> *<u>საქმიანობა:</u> 20.10.3. ალტერნატიული სოციალური მომსახურებების განვითარების ხელშეწყობა*

<u>ინდიკატორი:</u> ალტერნატიულ სოციალურ მომსახურებებში ჩართული შშმ პირების რაოდენობა გაზრდილია

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიზარდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ქვეპროგრამების (დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, ადრეული განვითარების მომსახურებები, ბავშვთა რეაბილიტაცია, მინდობით აღზრდა)

დაფინანსება და მოცულობა. მითითებულ ქვეპროგრამებში ჩართული შშმ პირების რაოდენობის და დაფინანსების შესახებ ინფორმაცია არის შემდეგი:

ქვეპროგრამა	ბენეფიციართა რაოდენობა 2014 წლის ბიუჯეტი	ბენეფიციართა რაოდენობა 2015 წლის ბიუჯეტი
ბავშვთა რეაბილიტაციის	საშუალოდ თვეში - 380 1 424 530	საშუალოდ თვეში - 500 1 651 600
ადრეული განვითარების	საშუალოდ თვეში - 350 438 000	საშუალოდ თვეში - 495 832 800
სათემო ორგანიზაციების	საშუალოდ თვეში - 160 836 000	საშუალოდ თვეში - 180 1 044 300
დღის ცენტრების	საშუალოდ თვეში - 1400 3 084 000	საშუალოდ თვეში - 1500 3 235 900
მინდობით აღზრდის	საშუალოდ თვეში - 1200 (156 შშმ ბავშვი) 5 822 500	საშუალოდ თვეში - 1215 (182 შშმ ბავშვი) 6 201 200

<u>საქმიანობა:</u> 20.10.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური მომსახურებებისა და ფულადი გასაცემლების "სოციალური პაკეტის" გაუმჯობესება

<u>ინდიკატორი:</u> ფულადი და არაფულადი სოციალური დახმარებები - ,,სოციალური პაკეტი" გაფართოვდა და ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებებს.

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის N459 დადგენილებით ცვლილება შევიდა ,,,სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში, რომლის თანახმადაც 2015 წლის 1 სექტემბრიდან სოციალური პაკეტი მკვეთრად გამოხატული შშმ პირთათვის გაიზარდა 10 ლარის, ხოლო შშმ ბავშვებისათვის 60 ლარის ოდენობით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შშმ პირთა სოციალური პაკეტები განსაზღვრულია შემდეგი ოდენობებით:

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირი - 160 ლარი;
- მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი - 100 ლარი;
- ზომიერად გამოხატული შშმ პირი - 70 ლარი;
- შშმ ბავშვი - 160 ლარი.

ამოცანა: 20.11. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა

<u>საქმიანობა:</u> 20.11.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის პროცესის გააქტიურება

<u>ინდიკატორი:</u> განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე, სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის, იდენტიფიცირებულ 400 საარჩევნო უბანზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) საინფორმაციო ვიდეო რგოლი სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა), ხოლო თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურისთვის 300 საარჩევნო უბანზე. საქართველოში პირველად, მცირემხედველ ამომრჩევლებს, საშუალება მიეცათ ყველა საარჩევნო უბანზე გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზის ფურცელი. კენჭისყრის დღეს, 15 ივნისს, ლინზის ფურცელი, გამოიყენა 4284 მცირემხედველმა ამომრჩეველმა, ხოლო არჩევნების მეორე ტურისთვის 1048 ამომრჩეველმა. პროექტი განხორციელდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით. კენჭისყრის დღეს, 88 შშმ ამომრჩეველმა ისარგებლა მობილური ჯგუფის სერვისით, რომელიც გულისხმობდა მათ საარჩევნო უბნებზე ტრანსპორტირების უზრუნველყოფას. მობილური ჯგუფების მომსახურება ცესკოს სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში განხორციელდა.

ქალაქ თბილისისა და რეგიონების საოლქო საარჩევნო კომისიებში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობამ შეადგინა - 464 საარჩევნო უბანი. ასევე ცესკომ დამატებით უზრუნველყო არჩევნების 13 პორტატული პანდუსის განთავსება.

არჩევნების პირველ და მეორე ტურში, ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის, განთავსდა სპეციალური ხმის მიცემის კაბინები, იდენტიფიცირებულ 800 საარჩევნო უბანზე.

15 ივნისის, კენჭისყრის დღეს საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახდინა უბანზე მისული შშმ ამომრჩეველთა აღრიცხვა, კატეგორიების მიხედვით. აღრიცხვის შედეგად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 272-მა უსინათლომ, 239-მა სმენადაქვეითებულმა, 88 ეტლით მოსარგებლემ, და 4284-მა მცირემხედველმა ამომრჩეველმა. არჩევნების მეორე ტურში, 12 ივლისს, მონაწილეობა მიიღო 120-მა უსინათლომ, 66-მა სმენადაქვეითებულმა, 33 ეტლით მოსარგებლემ და 1048-მა მცირემხედველმა ამომრჩეველმა.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საარჩევნო სუბიექტებს, პირველად გაუჩნდათ ვალდებულება, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ყველა მაუწყებლის ეთერში განეთავსებინათ სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელს, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, დაევალა არჩევნებთან დაკავშირებული გადაცემების ეთერში გაშვება სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). აღნიშნული ცვლილებებით სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებმა პირველად შეძლეს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.

ცესკომ შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობისა და მათი გააქტიურების მიზნით, პირველად მოამზადა სპეციალური საიმიჯო/საინფორმაციო ვიდეო რგოლი. ასევე, ცესკოს მიერ არჩევნებისთვის დამზადებული 10 საიმიჯო/საინფორმაციო რგოლი გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, მეორე არხისა და 24 რეგიონალური ტელევიზიის ეთერში სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). საზოგადოებრივ მაუწყებელზე, მერობის კანდიდატებს შორის გაიმართა დებატები პირდაპირ ეთერში, რომელიც გაშუქდა სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა).

2014 წელს ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) სიახლე იყო ,,საარჩევნო რუკა“, სადაც ყველა მოქალაქეს საშუალება ჰქონდა მიეღო დეტალური ინფორმაცია 73 მუდმივმოქმედ საარჩევნო ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის ადაპტირებული 464 საარჩევნო უბნის შესახებ. ასევე, ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) ბანერში,

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები“, განთავსდა ინფორმაცია, მათი საარჩევნო უფლებების, საკანონმდებლო რეგულაციებისა და ცესკოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 2014 წელს განხორციელდა ცვლილება, (58-ე მუხლის 1^1 პუნქტი), რომლის მიხედვით სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, 2016 წლის მორიგი საპარლამენტო არჩევნებისათვის შშმ პირთა საარჩევნო უბნებზე თავისუფლად გადაადგილებისა და ხმის დაუბრკოლებლად მიცემის უზრუნველსაყოფად, გაუჩნდათ კენჭისყრის ადგილის ადაპტირების ვალდებულება. აღნიშნული კანონის შესრულების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივით, 2015 წელს ცესკოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს (მერია), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ხელმომწერმა ინსტიტუციებმა აიღეს ვალდებულებები, რომ 2016 წლის მორიგი საპარლამენტო არჩევნებისთვის, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს მაქსიმალურ განვითარებას და შეასრულებენ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-9 (მისაწვდომობა) და 29-ე მუხლებისა (პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა) და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 58-ე მუხლის 1^1 პუნქტის მოთხოვნებს.

ამომრჩეველთა ცნობიერების და სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების მიზნით, ცესკოსთან არსებული სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) 2010 წლიდან კონკურსის წესით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გასცემს გრანტებს. 2015 წელს ცესკომ საგრანტო კონკურსის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა შშმ პირთა გააქტიურება სამოქალაქო უფლებებისა და საარჩევნო პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობისთვის. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსდა 7 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა საერთო ბიუჯეტმა შეადგინა 269 141 ლარი.

2015 წელს უსინათლო ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღების უზრუნველსაყოფად, ცესკომ შეისწავლა სხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი პრაქტიკის შესაბამისად, უსინათლო ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით, 2016 წელს ცესკო პირველად უზრუნველყოფს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების შესახებ ინფორმაციის აუდიო ფორმატში დამზადებასა და უსინათლოთა კავშირის საშუალებით გავრცელებას.

2015 წელს საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის ცესკომ უზრუნველყო მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემო. კერძოდ, მცირემხედველ ამომრჩევლებს საარჩევნო უბანზე საშუალება ჰქონდათ გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო - ლინზის ფურცელი. ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.cesko.ge) ბანერში ,,საარჩევნო რუკა“ ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია საარჩევნო ოლქებში შემავალი ადაპტირებული 16 საარჩევნო უბნის შესახებ (საგარეჯო - 11 უბანი; მარტვილი - 4 უბანი; ვანი - 1 უბანი). ადაპტირებულ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღეს ხელმისაწვდომი იყო სპეციალური ხმის მიცემის კაბინები. სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისათვის საინფორმაციო ვიდეო რგოლი უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით (ჟესტური ენა). აღნიშნული სარეკლამო რგოლები გადიოდა, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე რეგიონალური ტელევიზიების ეთერში.

კენჭისყრის დღეს, 31 ოქტომბერს, საგარეჯოსა და მარტვილის რაიონებში მცხოვრებ შშმ პირებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ მობილური ჯგუფის სერვისის მომსახურებით, რაც ითვალისწინებდა შშმ პირთა საარჩევნო უბნამდე ტრანსპორტირებას. აღნიშნული სერვისის მომსახურებით ისარგებლა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 85 ამომრჩეველმა. მობილური

ჯგუფის სერვისით მომსახურება ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. საარჩევნო პერიოდში, ცესკოს სწავლების ცენტრმა უზრუნველყო შშმ ამომრჩევლებთან (მათ შორის უსინათლო, ეტლით მოსარგებლე და სმენადაქვეითებული) საუბრის ეტიკეტისა და ქცევის ნორმების დაცვის შესახებ ინტენსიური ტრენინგების ჩატარება ყველა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისათვის.

ცესკომ აღრიცხა და დაამუშავა კენჭისყრის დღეს 31 ოქტომბერს, შუალედურ არჩევნებში მონაწილე შშმ ამომრჩევლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 101-მა ამომრჩეველმა.

შშმ პირების უფლებების რეალიზების, მათ შორის შრომისა და დასაქმების უფლების ხელშესაწყობად, 2015 წელს ცესკომ უზრუნველყო ორი შშმ პირის დასაქმება და კვალიფიკაციის ამაღლება. შშმ პირთა დასაქმების პოლიტიკა ცესკომ 2012 წლიდან დაიწყო და დღემდე აგრძელებს.

<u>საქმიანობა:</u> 20.11.2. შშმ პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებებში საქმიანობის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში შშმ პირთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს ორგანიზებით საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობაში შშმ პირთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის ჩატარება არ მომხდარა.

ამოცანა: 20.12. კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა

<u>საქმიანობა:</u> 20.12.1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში

<u>ინდიკატორი:</u> კულტურულ პროექტებში მონაწილე შშმ პირთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა

<u>საქმიანობა:</u> 20.12.2. კულტურული დაწესებულებებისა და მასალების თანაბარი მისაწვდომობის ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> განხორციელებული პროექტების ანგარიში

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა, შშმ პირებთან დაკავშირებული 13 პროექტი, რომლებშიც ჩართული იყო 345 შშმ პირი, მათ შორის:

2014 წელს შშმ პირთა ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა პროექტი „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო და დასაქმდა 50 უსინათლო პირი. „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრმა“ თბილისსა და რეგიონებში გამართა კონცერტები, მოაწყო ახალი წიგნების პრეზენტაციები და შეხვედრები მწერლებთან (დ. ტურაშვილი, ე. ტოგონიძე, თ. დოლენჯაშვილი, დ. აკრიანი). ცენტრში მოქმედმა დრამატულმა წრემ მაყურებელს წარუდგინა სპექტაკლები

„მანველიძეების ოჯახი“, „ზუსტად 8 საათზე“ და მონოლოგების საღამო. ცენტრში მოქმედი ანსამბლის რეპერტუარი შეივსო ახალი სიმღერებით, ბრაილის შრიფტით გამოიცა ჟურნალის „სინათლე“ 10 ნომერი. ამასთან, პროექტის ფარგლებში სტუდია „ცოდნამ“ გაახმოვანა მხატვრული ლიტერატურა და ინგლისური ენის შემსწავლელ წრეში 2 ასაკობრივ ჯგუფს ჩაუტარდა 80 მეცადინეობა.

2015 წელს გაგრძელდა „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის საქმიანობის მხარდაჭერა“. კულტურის ცენტრში მოქმედმა ანსამბლმა განახლებული რეპერტუარით გამართა კონცერტები თბილისსა და რეგიონებში. დრამატული წრის მიერ მომზადდა და ნაჩვენები იქნა 3 წარმოდგენა, მოეწყო პოეზიისა და პროზის საღამოები. 20 უსინათლო მოზარდს 2 ასაკობრივ ჯგუფში ყოველთვიურად ჩაუტარდა მეცადინეობები ინგლისურ ენაში.

2014 წელს საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით საქართველოს ყრუთა კავშირმა განახორციელა პროექტი „ჟესტური სამყარო“. პროექტის ფარგლებში სმენადაქვეითებულებმა შეისწავლეს სიმღერები და ცეკვები. სმენადაქვეითებულების მონაწილეობით გაიმართა კონცერტები თბილისსა და თელავში. სმენადაქვეითებულმა მონაწილეობა მიიღეს ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, რომელშიც მონაწილეობდა 800 სტუმარი 43 ქვეყნიდან, ხოლო ქალაქ პრაღაში სილამაზის საერთაშორისო კონკურსში „მის მსოფლიო“ და „მის ევროპა“ მონაწილეობა მიიღო სმენადაქვეითებულმა გოგონამ - ინგა კირცხალიამ. პროექტის ფარგლებში დასაქმდა 70 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

2015 წელს პროექტის ,,ჟესტური სამყარო“ ფარგლებში შესაბამისმა პედაგოგმა შეარჩია სიმღერები და მოარგო მონაწილეთა შესაძლებლობებს. მუსიკის და ტექსტის შესაბამისად დამუშავდა ჟესტის ტექნიკა და პლასტიკა. კონცერტები გაიმართა ქალაქებში; ფოთი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გურჯაანი და თბილისში. პროექტის ფარგლებში ჩართული იყო 30 სმენადაქვეითებული პირი, ხოლო მათ კონცერტებს დაესწრო 5000-მდე ყრუ და სმენადაქვეითებული პირი.

2015 წლების ა(ა)იპ ,,მშობელთა ხიდი“-ს პროექტის ,,პარაორკესტრის“ ფარგლებში მოხდა უკვე არსებული პარაორკესტრის განვითარება, რომლის წევრიც არის 20 შშმ პირი. პარაორკესტრმა გამართა 5 კონცერტი, რომლის რეპერტუარშიც 10 ახალი მუსიკალური ნაწარმოები შევიდა, მათ შორის ქართველი კომპოზიტორების პოპულარული ნაწარმოებები და ჯაზური კომპოზიციები.

2015 წლის განხორციელდა პროექტი “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოცნებების რეალიზაცია თოჯინების თეატრთან ერთად”. პროექტის მიზანია, შშმ პირების დასაქმება თოჯინების თეატრში. 2015 წლის 26-29 დეკემბერს თეატრის წარმომადგენლები ეწვივნენ ქალაქ ლონდონში მდებარე თეატრს - Chickenshed, რომელიც წარმოადგენს ლიდერ თეატრს ინკლუზიური ხელოვნების დარგში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თეატრის თანამშრომლების გადამზადება შშმ პირებთან მუშაობის მეთოდოლოგიის შესწავლის და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიმართულებით.

<u>საქმიანობა:</u> 20.12.3. რეკრეაციული, გასართობ-შემეცნებით და არაფორმალური განათლების პროგრამებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა

<u>ინდიკატორი:</u> აღნიშნულ პროექტებსა და პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით 2014-2015 წლებში შშმ პირთა რეკრეაციულ და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიზნით ჩატარდა შემდეგი სახის აქტივობები:

2014 წლის 28 მარტს უსინათლოებს შორის გაიმართა დებატების საჩვენებელი შეჯიბრი, რომლის ორგანიზებაც მოახდინა დებატების კლუბმა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 50-მა უსინათლო ახალგაზრდამ.

2014 წელს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სახელობო სწავლებებში მონაწილეობა მიიღო 30-მა ახალგაზრდამ, რომლებმაც შეისწავლეს მუშაობა თექაზე და თიხაზე.

2014 წლიდან პროექტის „ცხენოსნობა შშმ პირთათვის“ ფარგლებში შშმ პირებს ეძლევათ ცხენოსნობის შესწავლის შესაძლებლობა. პროგრამაში 2014-2015 წლებში მონაწილეობა მიიღო 100-მდე შშმ პირმა.

2014 წელს ჩატარდა მეკლდეურობის სწავლება, რომელშიც მომზადება გაიარა 80-მდე შშმ პირმა.

2014 წელს დაიწყო პარაკალათბურთისთვის მონაწილეთა შერჩევა და ჩამოყალიბდა გუნდი, რომელიც დღემდე ვარჯიშობს და აწყობს საჩვენებელ მატჩებს. გუნდში ასპარეზობს 12 სპორტსმენი.

2014 წლის 1 ივნისს გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი „მზის ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შშმ 500 ბავშვმა. ფესტივალის ფარგლებში უსინათლოთათვის მოეწყო შაშის ტურნირი, კონცერტები და გამოფენები.

2014 წლის სექტემბერში განხორციელდა 2 ინკლუზიური ექსკურსია მუხრანსა და ბოლნისში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 100-მდე შშმ პირმა.

2014 წელს განხორციელდა 4D სპექტაკლი უსინათლოებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა მსახიობმა. სპექტაკლს დაესწრო 300 უსინათლო ახალგაზრდა თბილისსა და რუსთავში.

2014 წელს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სახელობო სწავლებებში მონაწილეობა მიიღო 30-მა ახალგაზრდამ, რომლებმაც შეისწავლეს მუშაობა თექაზე და თიხაზე.

2014 და 2015 წლებში ასპინძაში მოეწყო ბანაკი შშმ ახალგაზრდებისთვის. ორი წლის განმავლობაში ბანაკში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 200 შშმ პირს.

2015 წლის განმავლობაში შშმ პირთა საზოგადოებაში ინკლუზიის პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 40-მდე შშმ პირი დისტანციურად (სახლიდან გაუსვლელად) საინფორმაციო საიტებსა და ქართულ ვიკიპედიაში.

ასევე, 2015 წლის ივნისი-ივლისის თვეების განმავლობაში ჩატარდა ტრენინგი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს 15 სოფლის საზოგადოებრივ ცენტრებში სახელწოდებით „ნუ შეზღუდავთ ჩვენს შესაძლებლობებს“ სადაც მონაწილეობა მიიღო - 450 ახალგაზრდამ. ტრეინინგები ჩაატარა შშმ პირებისგან შექმნილმა ტრენერთა ჯგუფმა.

> *<u>საქმიანობა:</u> 20.12.4. შშმ პირთათვის სპორტული დარბაზებისა და მოედნების ადაპტირება და ხელმისაწვდომობის გაზრდა*

<u>ინდიკატორი:</u> შშმ პირთა სპორტულ/ფიზიკურ აქტივობებში ჩაბმისა და ადაპტირებული ობიექტების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წელს აშენდა და გარემონტდა 32 საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ობიექტი, რომლებიც სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის, მათ შორის, დიღმის ტერიტორიაზე „ახალ თბილისში“ არსებული მძლეოსნობის მოედანი, საწყლოსნო კომპლექსი, ფრენბურთისა და ტანვარჯიშის დარბაზები, ვაკის ჩოგბურთის კორტები, ახალი სპორტის სასახლე, ვერის საკალათბურთო დარბაზი და სხვა. ამასთან, 2015 წელს თბილისის მერიამ დაასრულა ცენტრის ახალი კომპლექსის მშენებლობის პროცესი. ცენტრის ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული შშმ პირთათვის. ცენტრში ყოველდღიურად მომზადებას გადის 100 შშმ სპორტსმენი პარასპორტის 10 სახეობაში. 2014-2015 წლებში ცენტრის 43-მა შშმ სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კატეგორიის 22 საერთაშორისო ტურნირში. მოცემული მომენტისათვის შშმ სპორტსმენები ემზადებიან 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროში გასამართ პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისათვის. პარაოლიმპიური კომიტეტის ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შშმ პირების სპორტულ აქტივობებში ჩართულობის მაჩვენებელი გაიზარდა 15%-ით.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
36	13	21	2

21. შრომითი უფლებები

მიზანი: 21. შრომის უფლების დაცვა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად

ამოცანა: 21.1. შრომის კანონმდებლობის სრულყოფის პროცესის გაგრძელება

<u>საქმიანობა:</u> 21.1.1. საქართველოს შრომის კოდექსის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების მომზადება და ინიცირება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებული და ინიცირებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს 2013 წლის 2 აგვისტოს N199 მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული (რომელშიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N732 დადგენილებით განხორციელდა ცვლილება) - „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსის დებულებების შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება, სოციალურ პარტნიორებთან განხილვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის მომზადება. სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიგეგმა და გატარდა შესაბამისი ორგანიზაციული სამუშაოები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვის სამინისტროში სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზნით, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან სახელმწიფო უწყებების, სოციალური პარტნიორების,

არასამთავრობო ორგანიზაციების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლები (დამკვირვებლის სტატუსით).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტები წარმოდგენილ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“, „ახალი ვექტორის“ ,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირის მიერ. შემოთავაზებული წინადადებები ეხებოდა შემდეგ საკითხებს: შრომითი ურთიერთობების ყველა ეტაპზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა; შრომით, მათ შორის, წინა-სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დისკრიმინაციის აკრძალვა; ღამის სამუშაო საათებში ქალთა (ორსული, მეძუძური და 6-წლამდე ასაკის ბავშვიანი დედებისთვის) დასაქმების შეზღუდვა მათი თანხმობის გარეშე; მამის დეკრეტული შვებულებით და სუროგაციის შემთხვევაში დეკრეტული შვებულებით სარგებლობა; სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევაში გასაჩივრების ვადის გახანგრძლივება; სტაჟიორთა შრომით-სამართლებრივი მდგომარეობა და სხვა.

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში აღნიშნულ წინადადების განხილვის პროცესი უნდა დასრულდეს 2016 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც შეთანხმებულ საკითხებზე მოხდება საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენა საქართველოს პარლამენტისადმი.

<u>საქმიანობა:</u> 21.1.2. შრომითი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის შესახებ საკანონმდებლო რეგულაციების პროექტების შემუშავება

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია შესაბამისი კანონის პროექტი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადდა, „შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის“ შესახებ კანონის პროექტი. აღნიშნულ კანონის პროექტის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ სოციალური პარტნიორები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ხოლო ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფდნენ ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის“ (EUVEGE) ექსპერტები. ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების 30-ე დანართში მოცემული ევროდირექტივების (89/654/EEC, 89/656/EEC, 2009/104/EC) დებულებების შესრულების და მათი საქართველოს კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის მიზნით, მომზადდა შესაბამისი პროექტები. „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის“ შესახებ კანონის პროექტის წარდგენა საქართველოს პარლამენტში იგეგმება 2016 წლის განმავლობაში, ხოლო ევროდირექტივების პროექტების სამართლებრივ ფორმა განისაზღვრება, „შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის“ შესახებ კანონის მიერ.

<u>საქმიანობა:</u> 21.1.3. დასაქმების შესახებ კანონის დამუშავება, პროექტის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> ინიცირებულია დასაქმების შესახებ კანონის პროექტი პარლამენტში

<u>სტატუსი: შეუსრულებელი</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მომზადდა, დასაქმების შესახებ კანონის პირველადი პროექტი. 2014 წლის 16 ივნისს დასაქმების შესახებ კანონის პროექტის პირველადი რედაქციის განხილვის მიზნით,

ჩატარდა სამუშაო შეხვედრა. პროექტის განხილვას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, სოციალური პარტნიორების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელები. სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ ფორმატში კანონის პროექტის მუხლობრივი განხილვის გაგრძელების, თუმცა 2015 წელს ამ მიმართულებით სამუშაოები აღარ განხორციელებულა. „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“ თანახმად, დასაქმების კანონის პროექტის შემუშავების და მისი საქართველოს პარლამენტში წარდგენის საბოლოო ვადად გათვალისწინებულია 2018 წელი.

<u>საქმიანობა:</u> 21.1.4. შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის პროექტის მთავრობაზე ინიცირება

<u>ინდიკატორი:</u> განხილულია შრომითი მიგრაციის შესახებ კანონის პროექტი პარლამენტში

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2015 წლის 1 აპრილს დამტკიცდა საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ.“ კანონის მიზანია საქართველოში შეიქმნას შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ეფექტური საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში ლეგალური შრომითი მიგრაციის განვითარებასა და გამორიცხავენ არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს. საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ არეგულირებს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ურთიერთობებს, რომლებიც პირის (საქართველოს მოქალაქის, მუდმივი ბინადრობის მქონე უცხოელის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის) საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება.

საქართველოს კანონის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მე-17 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შემუშავდა და 2015 წლის 7 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N417 დადგენილებით დამტკიცდა, „შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესი“. აღნიშნული წესის მიზანია, საქართველოში შეიქმნას შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი ეფექტური საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ლეგალური შრომითი იმიგრაციის განვითარებას და ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფას. ამასთან, დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, ადგილობრივი დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი იმიგრანტის შრომითი მოწყობისა და მისი შრომის გამოყენების შემთხვევაში, შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმ პროფესიების, სპეციალობების და კვალიფიკაციების შესახებ, რომელთა მქონე პირების დასაქმებაც მოხდა ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ.

ამასთან, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა და დამტკიცდა კანონიდან და დადგენილებიდან გამომდინარე შემდეგი სამართლებრივი აქტები:

1. 2015 წლის 4 ნოემბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-54/ნ ბრძანება „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების წესის შესახებ“.
2. 2015 წლის 27 ნოემბრის საქართველოს მთავრობის N2557 განკარგულება „შრომითი

მიგრაციის სფეროში ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“.

3. 2015 წლის 17 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N631 დადგენილება „ანგარიშვალდებული იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების) მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე.“

4. 2015 წლის 22 დეკემბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-58/ნ ბრძანება „საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ.“

ამოცანა: 21.2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციების იმპლემენტაცია

<u>საქმიანობა:</u> 21.2.1. კონვენცია გაერთიანების თავისუფლებისა და ორგანიზების უფლების დაცვის შესახებ 1950 (N87)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.2. კონვენცია იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ 1930 (N29)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.3. კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 1957 (N 105)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.4. კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ 1949 (N98)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.5. კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ 1973 (N138)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.6. კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ 1999 (N182)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.7. კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ 1951(N100)

<u>საქმიანობა:</u> 21.2.8. კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958 (N 100)

<u>ინდიკატორი:</u> კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების საკითხებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის ყოველწლიურ დასკვნებში ასახული პოზიტიური დინამიკა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

2014 წელს მომზადდა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაიგზავნა N87; N100; N111; N98, ხოლო 2015 წელს N29; N105; N88; N138; N181; N182 კონვენციების შესრულების ანგარიშები. კონვენციების შესრულების შესახებ ანგარიშების საფუძველზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნებში მეტწილად პოზიტიურადაა შეფასებული მითითებული კონვენციების იმპლემენტაციის კუთხით ქვეყანაში არსებული დინამიკა, თუმცა დასკვნებში ასევე, ხაზგასმულია პრობლემური საკითხები, რომელთა აღმოფხვრის კუთხითაც სახელმწიფოს მართებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცის N98 (კონვენცია კოლექტიური მოლაპარაკების ორგანიზებასა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ) კონვენციის შესრულების შესახებ დასკვნაში ექსპერტთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ პროფესიული კავშირების წევრობისთვის დისკრიმინაციის აკრძალვის ნაწილში საქართველოს ორგანულ

კანონში „საქართველოს შრომის კოდექსი“ 2013 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კოდექსი ღიად კრძალავს პროფესიული კავშირების წევრობისთვის დისკრიმინაციას როგორც წინა-სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ისე შრომითი ურთიერთობების პროცესში. ასევე, შრომის კოდექსი ღიად კრძალავს დისკრიმინაციის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთან, მედიაციის მექანიზმთან დაკავშირებით ექსპერტთა კომიტეტი მოუწოდებს მთავრობას სრულად უზრუნველყონ სოციალური პარტნიორების ჩართულობა დავების გადაწყვეტის პროცესში და კოლექტიური მოლაპარაკებების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N100 (კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ) კონვენციის შესახებ დასკვნაში აღნიშნულია, რომ თანაბარი ანაზღაურების პრინციპი არ არის სრულად გამოხატული საქართველოს შრომის კოდექსში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციაში თანასწორობის შესახებ ჩანაწერზე. ექსპერტთა კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა მოხდეს ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ანაზღაურების სრულად უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე. ამასთან, კომიტეტი მიუთითებს ეფექტური აღმასრულებელი ორგანოს არარსებობას, რაც გარდა შრომის უსაფრთხოების საკითხებისა, უზრუნველყოფს თანაბარი ანაზღაურების პრინციპის პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელებას.

ამოცანა: 21.3. საქართველოს შრომის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების ეფექტური იმპლემენტაცია პრაქტიკაში

<u>საქმიანობა:</u> 21.3.1. სოციალური დიალოგის აქტიურად წარმართვა

<u>ინდიკატორი:</u> გამართული ღონისძიებების, შეხვედრების, ერთობლივი ინიციატივების რაოდენობა

<u>საქმიანობა:</u> 21.3.2. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ამოქმედება

<u>ინდიკატორი:</u> სხდომების რაოდენობა

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბერის N258 დადგენილებით დამტკიცებულია სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 12 მარტის N55 ბრძანებით განისაზღვრა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შემადგენლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის ერთი სხდომა, 2014 წლის 1 მაისს. ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N277 ბრძანების შესაბამისად დამტკიცდა სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის განახლებული შემადგენლობა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 მაისის ბრძანება N01-114/ო საფუძველზე შეიქმნა, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამუშაო ჯგუფი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა სამუშაო ჯგუფის 4 შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა შრომით უფლებებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დისკუსია მიმდინარეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „შრომითი ურთიერთობის და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტს ახორციელებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით. პროექტის ფარგლებში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO), სოციალური პარტნიორების და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა პროექტის მრჩეველთა კომიტეტის 3 შეხვედრა,

რომლებზეც განხილული იყო სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის რეფორმირების და ორმხრივი და სამმხრივი დიალოგის განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული კონსულტაციების შედეგად გადაწყვეტილება იქნა მიღებული განხორციელებულიყო ცვლილება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბერის N258 დადგენილებაში, რომლის თანახმადაც პრემიერ-მინისტრს მიენიჭებოდა უფლებამოსილება სამმხრივი კომისიის შეხვედრების ჩატარების უფლების დელეგირება მოეხდინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრისადმი. ამასთან, ცვლილებები გულისხმობდა სამმხრივი კომისიის სამდივნოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში გადასვლის საკითხს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა აღნიშნული ცვლილებების პროექტი. შემოთავაზებული ცვლილებების და სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ზემოთაღნიშნული პროექტის („შრომითი ურთიერთობის და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში“) ფარგლებში 2016 წლის იანვრის თვეში დაიგეგმა გასვლითი შეხვედრა სოციალური პარტნიორების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილოებით. ასევე, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ინიციატივით საქართველოში სამმხრივი და ორმხრივი დიალოგის მხარდაჭერის მიზნით, დაიგეგმა დაწესებულებებში/ორგანიზაციებში ორმხრივი დიალოგის წარმოების პილოტური პროექტის განხორციელება. აღნიშნული პროექტისთვის სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმებით შეირჩა ორი ორგანიზაცია „რუსთავის აზოტის“ და „თბილისის ტრანსპორტის კომპანიის“ სახით. 2015 წელს აღნიშნული ორგანიზაციების თანამშრომლებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ ჩაუტარდათ ტრენინგი სოციალური დიალოგის შესახებ. 2016 წელს დაგეგმილია აღნიშნულ ორგანიზაციებში პილოტური პროექტის დაწყება.

ამოცანა: 21.4. შრომითი უფლებების დასაცავად საჭირო ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება

<u>საქმიანობა:</u> 21.4.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფორმირების საკითხის მომზადება

<u>ინდიკატორი:</u> გამართული შეხვედრების და დისკუსიების რაოდენობა; ორგანიზაციული განვითარების ამოცანათა იდენტიფიკაცია და გარდაქმნათა გეგმის დამუშავება

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

აღნიშნული საქმიანობის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქმიანობა 21.4.4.-ის შესრულების ანგარიშში.

<u>საქმიანობა:</u> 21.4.2. მედიაციის მექანიზმის შექმნა რომელის მანდატშიც შევა

კოლექტიური შრომითი დავების შემათანხმებელი პროცედურებით გადაწყვეტა და შრომითი კონფლიქტების ესკალაციის პრევენცია (იმ შემთხვევების ჩათვლით, როცა დამქირავებლის როლში გამოდის სახელმწიფო);
კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების ხელშეწყობა

<u>ინდიკატორი:</u> მედიაციის მექანიზმის გამოყენების შემთხვევათა რაოდენობა; მედიაციის მექანიზმის ფარგლებში გაფორმებული კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების რაოდენობა

<u>საქმიანობა:</u> 21.4.3. კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტის მედიაციის მექანიზმების განვითარება

<u>ინდიკატორი:</u> შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუქციები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 ნოემბრის N301 დადგენილებით დამტკიცებულია კოლექტიური დავის შემათანხმებელი პროცედურებით განხილვისა და გადაწყვეტის წესი. 2014 წელს კოლექტიური შრომითი დავების მედიაციის სისტემის ფორმირების მიზნით, შერჩეულ იქნნენ მედიატორები ძირითადი (4 მედიატორი) და სარეზერვო (4 მედიატორი), რომლებსაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები (25.04.2014-08.09.2014). საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მიერ მედიატორთა რეესტრის დამტკიცება არ მომხდარა.

2014 წელს მედიატორთა მონაწილეობით დასრულდა კოლექტიური შრომითი დავების 3 შემთხვევა, („RMG Gold“/“RMG Copper“; სს „საქართველოს რკინიგზა“; შპს „საქართველოს ფოსტა“) რომელთაგან 2 შემთხვევა „RMG Gold“/“RMG Copper“-სა და სს „საქართველოს რკინიგზა“-ში გადაიჭრა მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შპს „საქართველოს ფოსტა“-ში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას კოლექტიური ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით და შესაბამისად აღნიშნულ დოკუმენტს ხელი არ მოეწერა.

2015 წელს ადგილი ჰქონდა კოლექტიური დავების 7 შემთხვევას (შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“-ში, სს „APM TERMINALS POTI“-ში, შპს „RMG Gold“-სა და სს „RMG Copper”-ში, სს „საქართველოს რკინიგზა“-ში, სს „მინა“-ში, შპს „ჯორჯიან მანგანეზ“-ში და სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ში). პროცესი მხარეთა შეთანხმებით დასრულდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“-ში, სს „APM TERMINALS POTI“-ში, სს „საქართველოს რკინიგზა“-ში. შპს „RMG Gold“-სა და სს „RMG Copper”-ში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, სს „მინა“-ში, შპს „ჯორჯიან მანგანეზ“-ში 2015 წელს პროცესი ვერ დასრულდა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკებებს გააგრძელებდნენ 2016 წელს, ხოლო სს „ენერგო პრო ჯორჯია“-ში მხარეებთან შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სადავო საკითხების გადაწყვეტა სცილდებოდა შრომითი მედიაციის კომპეტენციის ფარგლებს და აღნიშნული დავა არ წარმოადგენდა მხარეთა შორის კოლექტიურ შრომით დავას.

მედიაციის მექანიზმის განვითარების მიზნით, 2016 წელს სოციალური პარტნიორების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაწილეობით დაგეგმილია სამუშაო პროცესის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებული იქნება მედიაციის მექანიზმის არსებული ხარვეზები და შეიქმნება მისი განვითარების მოდელი.

> *<u>საქმიანობა:</u> 21.4.4. შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესება და სამუშაო პირობების ინსპექტირების მექანიზმის ფორმირება*

<u>ინდიკატორი:</u> დამუშავებულია შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის მექანიზმის ასამოქმედებლად საჭირო რეკომენდაციები; ამოქმედებულია შესაბამისი მექანიზმი

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სოციალურ პარტნიორებთან და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ILO) ერთად შემუშავდა შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა დამტკიცდა 2015 წლის 5 თებერვალს საქართველოს მთავრობის N38 დადგენილებით. ამასთან, 2015 წლის საქართველოს

მთავრობის 2015 წლის 2 მარტის N81 დადგენილების თანახმად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც ახორციელებს ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამას. სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით, 2015 წლის ივნისის თვეში შეირჩა 25 ძირითადი და 25 სარეზერვო მონიტორინგის განმახორციელებელი პირი (მონიტორი). შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ILO) და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების ევროპული სააგენტოს ექსპერტების მიერ 2015 წლის ივლისისა (13-18.07.2015) და სექტემბრის (12-16.09.2015) თვეში ჩატარდა მონიტორების ტრენინგები. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნებაყოფლობითობის საფუძველზე მონიტორების მიერ შემოწმდა 80 კომპანია (100 ობიექტი), მათ შორის 25 სახელმწიფო და 55 კერძო დაწესებულება. შემოწმების შედეგად მომზადდა შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მიეწოდათ დამსაქმებელს.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მანდატის გაფართოების მიზნით, 2015 წელს შევიდა ცვლილებები საქართველოს კანონებში „მეწარმეთა შესახებ“ და „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ცვლილებების თანახმად, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და რეაგირების მიზნით, სახელმწიფო ზედამხედველობას განხორციელება დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. კანონის თანახმად, სამინისტრო ვალდებულია, ზემოაღნიშნული მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის შეამოწმოს დაწესებულებები და იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტების დადასტურების შემთხვევაში მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

2015 წლის აგვისტოს თვეში საქართველო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქართველოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია შრომითი ექსპლუატაციის და იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენის ხელშეწყობა. მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეწოდა 192 საწარმოსა და ორგანიზაციის სია, სადაც დასაქმებულები იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და არსებობდა შრომითი ექსპლუატაციის და იძულებითი შრომის შემთხვევების რისკი. შემოწმების შედეგად ამ საწარმოებში და ორგანიზაციებში იძულებითი შრომის და შრომითი ექსპლუატაციის ფაქტები არ გამოვლინდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა „შრომითი ექსპლუატაციის და რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის“ შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლოატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობას განახორციელებს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. მთავრობის დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ორგანიზაციების, როგორც პროაქტიულ (გეგმიური) ასევე, რეაქტიულ (ცხელი ხაზზე შეტყობინების, განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე) შემოწმებას.

<u>საქმიანობა:</u> 21.4.5. დასაქმების ხელშეწყობის სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა

<u>ინდიკატორი:</u> სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

„საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში, 2014 წლის 20 სექტემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში გაიმართა დასაქმების

ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 141 დამსაქმებელმა, 10 პროფესიულმა კოლეჯმა. 2014 წლის განმავლობაში დასაქმდა აღნიშნულ ფორუმში მონაწილე 180-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი.

ამასთან, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, ვაკანსიების მოძიებისა და საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა და შესაბამისმა ტერიტორიულმა ერთეულებმა, 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყეს დამსაქმებლებთან კომუნიკაცია. 16 თვის განმავლობაში სულ კომუნიკაცია დამყარდა და საშუამავლო მომსახურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 9188 დამსაქმებელს, მათ შორის, 8161 ტელეფონისა და ელ-ფოსტის საშუალებით, ხოლო 1027 შემთხვევაში განხორციელდა ვიზიტი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, მომართა 499 დამსაქმებელმა, მოწოდებული ვაკანსიების საერთო რაოდენობამ შეადგინა 4567. ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 39500 სამუშაოს მაძიებელს. ვაკანსიებს გამოეხმაურა 9360 სამუშაოს მაძიებელი. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 3954 სამუშაოს მაძიებელი. დამსაქმებლებთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, მუდმივი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმდა 2228 სამუშაოს მაძიებელი. დამსაქმებლების მიერ დოკუმენტურად დადასტურებულია შრომითი ხელშეკრულების გაფორმების 701 შემთხვევა.

2013 წლის 25 დეკემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაციის ერთიანმა სისტემამ (შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა) - worknet.gov.ge. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა worknet.gov.ge-ს მიზანია ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირება და ეფექტური საშუამავლო მომსახურების უზრუნველყოფა. სისტემაში შესაძლებელია ონლაინ რეგისტრაცია, ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა, რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. 2014 წელს რეგისტრაცია გაიარა 32 715 სამუშაოს მაძიებელმა. 2015 წელს სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 23003 სამუშაოს მაძიებელმა. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულები მოემსახურა 7991 სამუშაოს მაძიებელს. 2015 წლის მეორე ნახევარში მომზადდა worknet.gov.ge-ს შემდგომი განვითარების გეგმა და ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც დაიწყო სისტემის დამატებითი მოდულების (დამსაქმებელი, ვაკანსიები, უკუკავშირი, სტატისტიკური მონაცემები, რეპორტები) პროგრამული უზრუნველყოფის პროცესი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 02 ივნისის N245 დადგენილებით დამტკიცდა „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში „შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ყველა რაიონულ განყოფილებაში სამუშაოს მაძიებლებს უტარდებათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტაციები. კონსულტირების თემებია: სამუშაოს მოძიების ტექნიკა, ზოგადი და კონკრეტული ვაკანსიის პირობებში თვითშეფასება, დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის: CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენის პრინციპები და გასაუბრებაზე გასვლის ტექნიკა. 2014-2015 წლებში სააგენტოს ტერიტორიული ცენტრების მიერ ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 15309 სამუშაოს მაძიებელს, ხოლო ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1939 სამუშაოს მაძიებელმა.

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს ჩატარდა დასაქმების 2 ფორუმი: 10 ივლისს იმერეთის რეგიონისათვის ქალაქ ქუთაისში და 21-25 სექტემბერის „ვაკანსიების კვირეული“ ქალაქ თბილისსა და ქალაქ თელავში. ქუთაისში ჩატარებულ დასაქმების ფორუმში მონაწილეობა მიიღო 74 დამსაქმებელმა და 2000-მდე სამუშაოს მაძიებელმა, მონიტორინგის შედეგების მიხედვით დასაქმდა 125 სამუშაოს მაძიებელი. „ვაკანსიების კვირეულის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 58 დამსაქმებელმა და 1335 სამუშაოს

მაძიებელმა. კვირეულის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 264 ვაკანსია. მონიტორინგის შედეგების მიხედვით დასაქმდა 40 სამუშაოს მაძიებელი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის N451 დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს 62 ტერიტორიულ განყოფილებაში ფუნქციონირებს „დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები“. ცენტრების ძირითადი ფუნქციაა სამუშაოს მაძიებლების ინფორმირება, კონსულტირება, რეგისტრაცია და დასაქმებაში ხელშეწყობა, მათ შორის, პროფესიული მომზადება/გადამზადების ორგანიზების გზით. უმუშევართა პროფესიული სწავლების სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისას პრიორიტეტულია დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მონაწილეობა. 2015 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის თვისებრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ 55 მოთხოვნად პროფესიაში განხორციელდა სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა.

2015 წელს პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიმწოდებლად დარეგისტრირდა და სამუშაოს მაძიებელთა მიღების მზაობა გამოხატა 27 პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, რომელთაგან მომსახურების მიწოდება განახორციელა 25 კოლეჯმა, 24 პროფესიაში. ამასთან, გაიცა 601 ვაუჩერი, სასწავლებლებში რეგისტრაცია გაიარა და სწავლება დაიწყო 472 სამუშაოს მაძიებელმა, (მათ შორის 74 სოციალურად დაუცველი, 31 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, 52 იძულებით გადაადგილებული პირი) რომელთაგანაც სწავლება დაასრულა 415 სამუშაოს მაძიებელმა. სტაჟირებაზე ინფორმაცია მიეწოდა 1219 დამსაქმებელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. სტაჟირების მიმწოდებლად დარეგისტრირდა 1 დამსაქმებელი, სადაც გაიგზავნა ორი სტაჟიორი. ამასთან, პროგრამის ფარგლებში გამოიცა მოთხოვნადი პროფესიების აღწერები ბროშურის სახით. (2000 ცალი)

2015 წლის აგვისტოს თვიდან დაიწყო ევროკავშირის დამმობილების პროექტის (Twinning) - „დასაქმების მომსახურებათა შესაძლებლობების განვითარება“ განხორციელება. პროექტის მთავარი მიზანია სიიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დასაქმების სახელმწიფო მომსახურებათა განვითარება და გაძლიერება. პროექტს გააჩნია 5 მთავარი შედეგი, რაც გულისხმობს: 1. დასაქმების თემატიკასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის თანაბარი შესაძლებლობების კანონმდებლობასთან დაახლოებას; 2. დასაქმების სახელმწიფო მომსახურებათა ინსტიტუციურ მოწყობას საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს თავისებურებების გათვალისწინებით; 3. დასაქმების სახელმწიფო მომსახურებათა განვითარებასა და დანერგვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; 4. დასაქმების სახელმწიფო მომსახურების ადამიანური რესურსის სწავლება-მომზადებას; 5. კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების გზით, დასაქმების სახელმწიფო მომსახურებათა ეფექტურობის გაზრდასა და გაძლიერებას. პროექტის განმახორციელებელია სლოვაკეთ-ჩეხეთ-უნგრეთის კონსორციუმი. 2015 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა პირველი, მეორე, მესამე და მეხუთე შედეგების ფარგლებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემუშავდა დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ინსტიტუციური/სტრუქტურული მოწყობის მოდელი და მისი განხორციელების გეგმა. მომსახურებათა განვითარების ფარგლებში ექსპერტები აქტიურად არიან ჩართულნი worknet.gov.ge-ს, საშუამავლო მომსახურების, კარიერის დაგეგმვის მომსახურებათა განვითარების პროცესებში, რის შედეგადაც მომზადდა კომუნიკაციის სქემა და სტრატეგიის პირველადი დოკუმენტები. პროექტი აგრძელებს მუშაობას და დასრულდება 2017 წლის იანვრის თვეში.

ამოცანა: 21.5. შრომისა და დასაქმების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

<u>საქმიანობა:</u> 21.5.1. თანამშრომლობისა და კონტაქტების გაღრმავება ტრადიციულ პარტნიორებთან (აშშ შრომის სამინისტრო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ევროპის სასწავლო ფონდი) და ახალი პარტნიორული კავშირების დამყარება

<u>ინდიკატორი:</u> თანამშრომლობის არეალის გაფართოება, მიმდინარე პროექტების წარმატებული განხორციელება, ახალი პროექტების განხორციელების წამოწყება

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014-2015 წლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა შრომისა და დასაქმების სფეროში მოღვაწე საერთაშორისო პარტნიორებთან, რომლის მაგალითებიც მოყვანილია სხვადასხვა საქმიანობების შესრულების ანგარიშში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხორციელდებოდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები „შრომითი ურთიერთობის და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში“ (განმახორციელებელი შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)) და ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტი“ (EUVEGE). 2014-2015 წლების განმავლობაში აშშ-ის შრომის დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტს „შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება საქართველოში“ ახორციელებდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენდა მთავარ პარტნიორს პროექტში „საქართველოს სამუშაო ძალის დროებითი შრომითი მიგრაციის პილოტირება პოლონეთსა და ესტონეთში.“ პროექტის მიზანია, განავითაროს საქართველოდან პოლონეთსა და ესტონეთში შრომითი მიგრანტების მობილურობის ოპერატიული ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს კადრებზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ეფექტურ კავშირს, მიგრანტთა პროფესიული უნარების განვითარების და მათი შრომითი უფლებების დაცვას. პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისია საქართველოში და მის პირდაპირ ბენეფიციარებს წარმოადგენენ შრომითი მიგრანტები საქართველოდან.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
20	3	16	1

22. საკუთრების უფლების დაცვა

მიზანი: 22. საკუთრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად

ამოცანა: 22.1. უძრავი ქონების რეგისტრაციის ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება

<u>საქმიანობა:</u> 22.1.1. ერთიანი ელექტრონული საკადასტრო ბაზის შექმნა; ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ელექტრონულ ფორმატში გადატანა

<u>ინდიკატორი:</u> შექმნილია ერთიანი ელექტრონული საკადასტრო მონაცემთა ბაზა; ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული უძრავი ქონების ელექტრონულ ფორმატში გადატანის მიზნის მისაღწევად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა სრულყოფილია და ეტაპობრივად მიმდინარეობს რეგისტრაციის პროცესი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

2014 წელს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული 6508 მიწის ნაკვეთი, ასევე მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში 1998-2001 წწ. სისტემური წესით, ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული 582 მიწის ნაკვეთი გადაიტანა ელექტრონულ ფორმატში. 2015 წელს ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული 6966 მიწის ნაკვეთი, ხოლო, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში 1998-2001 წწ. სისტემური წესით, ქაღალდის აზომვითი ნახაზებით რეგისტრირებული 10234 მიწის ნაკვეთი იქნა გადატანილი ელექტრონულ ფორმატში. აღნიშნული საქმიანობა გაგრძელდება 2016-2017 წლებშიც.

<u>საქმიანობა</u> 22.1.2. შატილის თემის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის დადგენილ საერთო რეჟიმში მოქცევა

<u>ინდიკატორი:</u> ტერიტორიის კოსმოსური გადაღება, გეოდეზიური გაზომვების ჩატარება, გადაღებული მასალის კამერალური დამუშავება, ორთოფოტოების, საკადასტრო გეგმებისა და რუკების შედგენა

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

სიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ შატილის თემში განხორციელებული სპეციალური პროექტი გულისხმობდა 1200 კვ. კმ ფართობზე აეროკოსმოსური (სატელიტური, რადგან, როგორც სასაზღვრო ზონა, აეროფოტოგადაღება საჭიროებს მოსაზღვრე ქვეყანასთან, რუსეთის სახელმწიფოსთან, შეთანხმებას) სურათების მომზადებას.
სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ სამუშაო ჯგუფი იმყოფებოდა სამოქმედო არეალის ტერიტორიაზე და შერჩეულ იქნა ადგილები მარკირებისთვის, რომლებიც შემდგომ ეტაპზე გამოყენებულ იქნა კოსმოსური სურათების დამუშავებისათვის. 2014 წლის მაისამდე შესრულდა კოსმოსური გადაღებისთვის მოსამზადებელი კამერალური სამუშაოები, ძველი 1:25000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების რეფერენსირება, რელიეფის ამოხაზვა, სიმაღლური მოდელის შექმნა.

2014 წლის სექტემბრამდე განხორციელდა საკადასტრო რუკების შექმნისთვის საჭირო საველე აგეგმვითი სამუშაოები პირიქითა ხევსურეთის შემდეგ სოფლებზე: შატილი, მუცო, წუქიო, კისტანი, ლებაისკარი, გიორგიწმინდა, არდოტი, ანდაქი, არჭილო, ხონისჭალა, ხონე, სულ 216 ნაკვეთზე (უგზოობისა და ტრანსპორტის მიუდგომლობის გამო სოფელ ხახაბოში ვერ მოხერხდა სარგებლობის საზღვრების იდენტიფიცირება).

საველე აგეგმვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილია ნაკვეთების საკადასტრო გეგმები და ინფორმაცია მესაკუთრეების შესახებ, რომელიც მიეწოდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. დამუშავებული მონაცემების მიხედვით მომზადდა და დაიბეჭდა სოფლების საკადასტრო რუკები. რუკებზე დატანილია, აგრეთვე, კერძო მოსარგებლეთა მიერ დაკავებული უძრავი ქონების საკადასტრო მონაცემები და ინფორმაცია მოსარგებლეების შესახებ.

შესრულებული სამუშაოების შედეგად შექმნილი მონაცემები ქმნის საფუძველს იდენტიფიცირებული მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში რეგისტრაციისათვის.

<u>საქმიანობა:</u> 22.1.3. ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა ზოლში (დვანისა და დიცის მუნიციპალიტეტებში) არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის დადგენილ საერთო რეჟიმში მოქცევა

<u>ინდიკატორი:</u> სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოებიდან გამოთხოვილია უძრავ ნივთებზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, განხორციელებულია მიწის ნაკვეთის აღწერა/დაზუსტება, სისტემურად რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით მომზადებულია მესაკუთრეთა/მფლობელთა სიები; კორექტირებული მონაცემებით მომზადებულია საკადასტრო აზომვითი ნახაზები შემდგომი რეგისტრაციის მიზნით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა ზოლში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის საერთო დადგენილ რეჟიმში მოქცევის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

- შეძენილ და დამუშავებულ იქნა ცხინვალის რეგიონის სატელიტური კოსმოსური სურათები;
- ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ზოლის გასწვრივ განისაზღვრა კონკრეტული არეალი, რომლის სიგანე სხვადასხვა ადგილის მიხედვით მერყეობს 600 მეტრიდან 900 მეტრამდე;
- კვლევის ფარგლებში მოექცა დაახლოებით 10 460 ერთეული მიწის ნაკვეთი;
- ტექნიკური სამუშაოების უზრუნველსაყოფად შესყიდულ იქნა შესაბამისი აღჭურვილობა;
- გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების მიწების შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტაცია (საკომლო წიგნის ჩანაწერები, მიწის განაწილებისა და გადასახადების გადამხდელთა სიები, მიღება-ჩაბარების აქტები) გამოთხოვილ იქნა საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოებიდან, კერძოდ, გორის, ქარელის, კასპისა და ხაშურის ტერიტორიული არქივებიდან;
- განხორციელდა არქივიდან გამოთხოვილი დოკუმენტაციის დიგიტალიზება, შედეგად, შეიქმნა დოკუმენტაციის ელექტრონული არქივი;
- განსაზღვრულ ტერიტორიულ არეალთან მიმართებით ქაღალდის მატარებელზე დაცული რეგისტრირებული მონაცემები ასახულ იქნა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში;
- განხორციელდა საჯარო რეესტრში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის დიგიტალიზება, ელექტრონულ ფორმატში გადატანილ იქნა როგორც უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ისე სააღრიცხვო ბარათები და საკადასტრო რუკები. დამუშავებული მასალების რაოდენობა შეადგენს 1001 ბაინდერს და მოიცავს 6 რაიონს, 23 საკრებულოსა და 73 სოფელს.

პრობლემატიკის იდენტიფიცირების მიზნით საპილოტე ტერიტორიად შერჩეულ იქნა დიცის საკრებულოს კონკრეტული უბანი. ამ ტერიტორიის ფარგლებში:

- მომზადდა შესაბამისი რუკები, მესაკუთრეთა/მფლობელთა სიები;
- შედგა შეხვედრა საკრებულოს წარმომადგენლებთან, რომლებსაც გადაეცათ მომზადებული/მოძიებული მასალა. თავის მხრივ, საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან რწმუნებულებს დაევალათ მესაკუთრეთა/მფლობელთა ინფორმირება და დაინტერესებული პირების მობილიზება;
- საკრებულოსა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ ერთობლივი მუშაობით შესრულდა 62 მიწის ნაკვეთის აღწერისა და დაზუსტების სამუშაო ახალი სატელიტური სურათის გამოყენებით დიგიტალიზაციის საფუძველზე, რაც მოიცავს დიცის საკრებულოში არსებული მიწის ნაკვეთების სრული რაოდენობის 10%-ს;
- განხორციელდა მესაკუთრეთა/მოსარგებლეთა იდენტიფიცირება;

- შემოწმდა რუკაზე არსებული ნაკვეთების ადგილმდებარეობა, საზღვრები, ფართობი და მითითებული მესაკუთრეები;
- კორექტირებული მონაცემებით მომზადდა მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზები;
- შესწავლილ იქნა 62 ნაკვეთთან დაკავშირებული საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შედეგად, დადგინდა, რომ 36 მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო დოკუმენტაცია სრულყოფილია, ხოლო 26 მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც შეიძლება განზოგადდეს საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების მიმდებარედ განლაგებულ მიწის ნაკვეთებზეც.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადდა „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის სპეციალურ წესს, ადგენს რეგისტრაციის სამართლებრივ საფუძვლებს და ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს. კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო პროექტი ხორციელდება დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ამ კანონით დადგენილი შეღავათიანი წესებით მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში რეგისტრაციის წახალისების მიზნით.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
3	3	0	0

23. ეკოლოგიური უფლებების დაცვა

მიზანი: 23. ეკოლოგიური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტიების შექმნა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად

ამოცანა: 23.1. გარემოზე ზემოქმედების გამართული სანებართვო სისტემის შექმნა და ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფის სრულყოფილი სამართლებრივი სტანდარტების დანერგვა

<u>საქმიანობა:</u> 23.1.1. სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან და ევრო დირექტივებთან

<u>ინდიკატორი:</u> დადგინდა ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. წარიმართება მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად არსებულ გარემოზე ზემოქმედების სანებართვო სისტემის სრულყოფის მიზნით. აგრეთვე, წარიმართება მუშაობა ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფის სამართლებრივი ბერკეტების სრულყოფის მიზნით

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ პროგრამის (EaP GREEEN) ფარგლებში შემუშავდა

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროდირექტივებს და საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს მთავრობის მხრიდან კანონპროექტის წარდგენა პარლამენტისათვის დაგეგმილია 2016 წლის საგაზაფხულო სესიაზე.

ამასთან, ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის უზრუნველყოფის სრულყოფილი სამართლებრივი სტანდარტების დანერგვის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს მომზადდა, საკანონმდებლო ცვლილება “გარემოს დაცვის შესახებ” საქართველოს კანონში. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება განხილვისათვის წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

> <u>*საქმიანობა:*</u> 23.1.1.2. *გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმების დანერგვა და ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების დაგეგმვა/ორგანიზება*

<u>ინდიკატორი:</u> *დაინერგება დაინტერესებული საზოგადოებისათვის სამინისტროში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება; გარდა ამისა, მოეწყობა სემინარები, მრგვალი მაგიდები, დისკუსიები გარემოსდაცვითი კანონის პროექტების, აგრეთვე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესში სანებართვო დოკუმენტების განხილვის მიზნით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ჩართულობით*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

,,მწვანე ეკონომიკა აღმოსავლეთ სამეზობლოში“ პროგრამის (EaP GREEEN) ფარგლებში შემუშავებული ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს პროექტში გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმები.

ასევე, საზოგადოების გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა შეიმუშავა ელექტრონული სერვისები, როგორიცაა:

- გარემოსდაცვით სფეროში ახალი კანონის მიღების, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების და ახალი სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დაგეგმილი საჯარო განხილვების შესახებ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა;
- გარემოსდაცვით თემაზე სემინარის, ტრენინგის, კონსულტაციის, საჯარო დისკუსიის და სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ელეტრონულად მოთხოვნა;
- გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით შეკითხვების ელექტრონულად მიღება და შესაბამისი რეაგირება;
- გარემოსდაცვითი კანონდარღვევის შესახებ შესაბამისი უწყებისათვის ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების ხელშეწყობა და კოორდინაცია.

ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, 2014 წლის თებერვლიდან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა“ გამართა 20 საჯარო დისკუსია საქართველოს კანონის პროექტებზე „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რომლებსაც დაესწრო საკრებულოებისა და გამგეობების 366 თანამშრომელი. აღნიშულ სამიზნე ჯგუფს წარედგინა კანონპროექტები და ამ კანონპროექტებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ვალდებულებები. მუნიციპალიტეტების წარმომადგენელებს ეთხოვათ წარმოედგინათ საკუთარი კომენტარები და შენიშვნები აღნიშნულ კანონპროექტებზე.

ამასთან, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის არსებულ ვებ გვერდზე ქვეყნდება ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ. სსიპ გარემოსადაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ზემოხსენებულ ინფორმაციას ელ.ფოსტის საშუალებით აგზავნის გარემოსდაცვით სფეროში არსებული სიახლეების მიღების მსურველებთან.

2014 წელს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 66 ლექცია/სემინარი. აღნიშნულ ლექცია/სემინარებს ესწრებოდა 2174 ადამიანი.

გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით 2015 წელს გაიმართა 100 შეხვედრა, რომელთა სამიზნე ჯგუფსაც ძირითადად წარმოადგენდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები, სტუდენტები და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. სულ შეხვედრებში მონაწილეობდა 3150 ადამიანი. აღნიშნული შეხვედრებიდან, ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა 60 ლექცია/სემინარი და 9 საინფორმაციო შეხვედრა, მათ შორის, 4 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ტყითა და წიაღისეულით სარგებლობის ახალი სამართლებრივი აქტების შესახებ. ასევე, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა მსხვილი და საშუალო ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ გარემოსდაცვითი მმართველის ფუნქცია-მოვალეობებთან და მწარმოებლის გაფართოებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. ორი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სკოლის მასწავლებლებთან, სადაც განიხილეს ESD დოკუმენტი - გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის გამჭოლი სტანდარტი და ერთი საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ბაღის მასწავლებლებთან სკოლამდელი მზაობის სახელმწიფო პროგრამაში გარემოსდაცვითი კომპონენტის ასახვის შესახებ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კუთხით გაიმართა 166 შეხვედრა, მათ შორის, 126 ლექცია-სემინარი.

ამოცანა: 23.2. გარემოსდაცვითი სტრატეგიული შეფასების მექანიზმის დანერგვა

> *<u>საქმიანობა:</u> 23.2.1. გარემოს სტრატეგიული შეფასების საპილოტე პროექტის მოსამზადებელი ეტაპის განხორციელება*

<u>ინდიკატორი:</u> *მოძიებულია დონორი ორგანიზაცია რომელიც დაგვეხმარება პროექტის განხორციელებაში და მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები; საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ აქტებში ცვლილებების მომზადება*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ,,მწვანე ეკონომიკა „აღმოსავლეთ სამეზობლოში“ პროგრამის (EaP GREEEN) ფარგლებში, განხორციელდა ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საპილოტე პროექტი. პროექტის ფარგლებში ექსპერტების მიერ მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები და მიმდინარეობს აღნიშნული რეკომენდაციების ნარჩენების მართვის სტრატეგიასა და ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების პროცესი.

> *<u>საქმიანობა:</u> 23.2.2 პროცედურის დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით პრობლემათა შესახებ არსებული ცოდნის ინტეგრაციას*

<u>ინდიკატორი:</u> *საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ აქტებში ცვლილებების მომზადება*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სანებართვო სისტემის მიმართულებით არსებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ანალიზი, რის შედეგადაც გამოიკვეთა კანონმდებლობაში არსებული პრობლემები. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, გასატარებელი ღონისძიებები ასახულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პროექტში.

ამოცანა: 23.3. ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზისა და ვებგვერდის შექმნა

> *<u>საქმიანობა:</u> 23.3.1 გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მქონე ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის სრულყოფა*

<u>ინდიკატორი:</u> *განხორციელდება არსებული მონაცემთა ბაზის დამუშავება და სისტემაში მოყვანა; მოძიებულ იქნება თანადამფინანსებელი და განხორციელდება პროექტი*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტში მუდმივად ხორციელდება, არსებული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მქონე ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის დამუშავება და სისტემატიზაცია.

> *<u>საქმიანობა:</u> 23.3.2. ელექტრონული პროგრამის შექმნა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისა და კონტროლის მექანიზმები*

<u>ინდიკატორი:</u> *მოძიებულ იქნება თანადამფინანსებელი და განხორციელდება პროექტი*

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეიქმნა და სატესტო რეჟიმში გაეშვა ელექტრონული პორტალი, რაც უზრუნველყოფს გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებისა და მათთან დაკავშირებული მასალების შესაბამის საძიებო სისტემაში ატვირთვასა და შემდგომ მართვას.

ამასთანავე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შეიქმნა, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების რუკა/რეესტრი (maps.eiec.gov.ge) სადაც ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონის "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" ფარგლებში გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული მეტაინფორმაცია 2014 წლიდან. 1995 წლიდან 2013 წლამდე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვების და მასთან დაკავშირებული მეტაინფორმაციის მოძებნა კი შესაძლებელია შესაბამის რეესტრში.

ასევე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის არსებულ ვებ-გვერდზე (eieic.gov.ge) გარემოზე ზემოქმედების ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები.

> *<u>საქმიანობა:</u> 23.3.3. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების შესრულების მიზნით, სამინისტროში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ვადების მონიტორინგი და ანალიზი*

<u>ინდიკატორი:</u> დაინერგება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობები; მოძიებულ იქნება თანადამფინანსებელი და განხორციელდება პროექტი

<u>სტატუსი: შესრულებული</u>

საქმიანობა 23.3.2-ის შესრულების ანგარიშში მითითებული სატესტო რეჟიმში მომუშავე ელექტრონული პორტალი, უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი პირობების შესრულების მიზნით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი მასალის მონიტორინგს.

ამოცანა: 23.4. ვებგვერდის შექმნა, რომელზეც განთავსდება გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზები

> *<u>საქმიანობა:</u>* 23.4.1. *მონაცემების შეგროვება უწყებებიდან; გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის გასაგები ფორმატით მომზადება და მიწოდება*

<u>ინდიკატორი:</u> შეიქმნება ვებგვერდი, რომელზეც განთავსებული იქნება გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზები

<u>სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული</u>

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ფლობს გარემოს დაცვის სფეროში არსებულ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების ბაზას, რომლებიც განთავსებულია ცენტრის არსებულ ვებ გვერდზე eiec.gov.ge შესაბამისი თემების კატეგორიების ქვეშ.

ამასთან, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- 2014 წელს ცენტრის ინიციატივით მუშაობა დაიწყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ინტერაქტიულ რუკაზე, რომელიც განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე;

- ცენტრმა დაასრულა გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ბაზის განახლება (2014 წლის ჩათვლით), რომელიც განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე; ცენტრის ვებგვერდზე, ასევე, განთავსებულია 2014 წლიდან დღემდე შემუშავებულია ნებართვების რუკა და დოკუმენტები;

- 2014 წელს ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ბაზა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე შესაბამისი თემატიკების ქვეშ;

- 2014 წელს ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა გარემოსდაცვითი კონვენციებისა და ორმხრივი შეთანხმებების ბაზა, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე;

- 2014 წელს ცენტრის ინიციატივით დაიწყო ანალიზური რუკების შემუშავება. აღნიშნული ინიციატივის მიზანია, საზოგადოების მაღალი ინტერესის მქონე საკითხებზე გასაგებ ენაზე მომზადდეს აღიშნული რუკები. ამ ეტაპზე მომზადებულია მდინარე ყვირილასა და მდინარე კაზრეთულას ანალიზური რუკები, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორია ამ მდინარეებში მანგანუმისა და სპილენძის კონცენტრაციები და რამდენად აჭარბებს ის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ქიმიური ელემენტების მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს;

- 2014 წელს ცენტრმა დაასრულა მუშაობა მის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ჩამონათვალის განახლებაზე, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე;

- 2014 წელს ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა გარემოს დაცვის სფეროში არსებული ორგანიზაციების ბაზა.

საქმიანობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
8	7	1	0

საქმიანობების შესრულების ჯამური მაჩვენებლები:

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა
386	226	120	40

საქმიანობების შესრულების პროცენტული მაჩვენებლები:

შესრულებული საქმიანობების %	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების %	შეუსრულებელი საქმიანობების %
59	31	10